

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

.

დავით გურამიშვილის სახელობის ქართულ-უკრაინულ  
ურთიერთობათა საერთაშორისო უნივერსიტეტ „იბერიას“  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული  
სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

**დავით ჩიტაია**

# **უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია X-XIX სს.**

(სახელმძღვანელო)

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2009

წინამდებარე სახელმძღვანელოში ისტორიოგრაფიულ მასალე-  
ბზე დაყრდნობით წარმოდგენილია უკრაინის მართლმადიდებელი  
ეკლესიისა და სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესი X საუ-  
კუნიდან XIX ს-ის ჩათვლით.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და უკრაინის საეკლესიო  
ისტორიით დაინტერესებული ფართო წრისათვის.

**რედაქტორები:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ქ. პავლიაშვილი**  
ისტორიის დოქტორი **მ. ბენდელიანი**

**რეცენზენტები:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნ. კალანდია**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **დ. ჯოჯუა**

© დავით ჩიტაია

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009

ISBN 978-9941-10-151-9

**შინაარსი**

<b>I კარი</b> .....	<b>5</b>
I თავი. წინასიტყვობა .....	5
II თავი. შესავალი .....	7
III თავი. უკრაინის ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია (საზღვრები).....	9
<b>II კარი. აღმოსავლეთ სლავები წინარე ქრისტიანულ ხანაში და პირველი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია</b> .....	<b>11</b>
თავი I. აღმოსავლეთ სლავების ზოგადი დახასიათება და კიევის რუსეთის პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი .....	11
თავი II. სლავების წარმართული რელიგია .....	12
თავი III. კიევის რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა (საშინაო და საგარეო ფაქტორი).....	35
თავი IV. აღმოსავლეთ სლავების მზადება ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად და კიევის რუსეთის გაქრისტიანება.....	48
<b>III კარი. კიევის რუსეთის საეკლესიო ორგანიზაცია</b> .....	<b>55</b>
I თავი. სამრევლოების ჩამოყალიბება კიევის რუსეთში.....	55
II თავი. ეპარქიალური მმართველობა და საეპარქიო სტრუქტურა კიევის რუსეთში (X-XII ს.ს.) .....	60
<b>IV კარი. სახელმწიფო და ეკლესია კიევის რუსეთში</b> .....	<b>64</b>
I თავი. უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება და მისი დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლებასთან.....	64
II თავი. მიტროპოლიტი კლიმენტი სმოლიატიჩი და არეულობა რუსულ ეკლესიაში XII ს-ის მეორე ნახევარში. ვლადიმერ-სუზდალის თავადის წმ. ანდრია ბოგოლიუბის საეკლესიო მოღვაწეობა .....	68
III თავი. იაროსლავ ბრძენის საეკლესიო პოლიტიკა (XIII ს-ის პირველი ნახევარი) .....	72
<b>V კარი. მონასტრების დაფუძნება კიევის რუსეთში</b> .....	<b>78</b>
I თავი. მონასტრები და სამონასტრო ცხოვრება კიევში .....	78
II თავი. კიევის მიტროპოლიტები.....	81

**VI კარი. საეკლესიო ცენტრის კიევიდან ვლადიმირში გადატანა და მისი პოლიტიკური მნიშვნელობა .....85**  
 I თავი. უკრაინის ეკლესია XIII საუკუნის დასასრულს..... 85

**VII კარი. ქრისტიანული კულტურა და ხელოვნება კიევის რუსეთში.....94**  
 I თავი. მართლმადიდებლური ტაძრის არქიტექტურა (მონღოლამდელი პერიოდი)..... 94  
 II თავი. საეკლესიო ფერწერა კიევის რუსეთში. .... 105

**VIII კარი. კონფესიონალური ურთიერთობის საკითხები უკრაინაში ..... 110**  
 I თავი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უკრაინაში და საეკლესიო საკითხი XVII-XVIII ს.ს..... 110  
 II თავი. ყირიმის ბერძენ ქრისტიანთა სარწმუნოებრივი საკითხი რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში XVIII ს..... 114

**IX კარი. რუსეთის სარწმუნოებრივი პოლიტიკა უკრაინაში(XVIII-XIX სს) ..... 124**  
 I თავი. რუსეთის საეკლესიო მოდერნიზაციის პოლიტიკა რეჩ პოსპოლიტას მესამე დაყოფის შემდეგ..... 124  
 II თავი. უკრაინის ეკლესია XIX ს-ში. კონფესიონალური დაპირისპირების საკითხი ცარიზმის სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში..... 135

**X კარი. მართლმადიდებლური სარწმუნოების საკითხი კარპატისპირა უკრაინაში XIX-XX ს.ს..... 140**  
 I თავი. მართლმადიდებლური მოძრაობის ისტორიული წინამძღვრები კარპატისპირეთში XIX-XX ს.ს..... 140  
 II თავი. მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი დასავლეთ უკრაინაში..... 151  
 III თავი. კარპატისპირა უკრაინის ისტორიული კავშირები ათონსა და „წმინდა მთასთან“. .... 165

**ბიბლიოგრაფია..... 174**

# I კარი

## I თავი. წინასიტყვაობა

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, საქართველოში განვიტარებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა, კულტურულ-სოციალურმა და სულიერ-სარწმუნოებრივმა მოვლენებმა ქართველ ისტორიკოსებს ამოცანად დაუსახა ობიექტურად გაშუქდეს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი პროცესები. ამ მიმართულებით, ბოლო ხანებში, ქართულ სამეცნიერო წრეებში ფართო მუშაობა გაიშალა.

საბჭოური სისტემის ხასიათიდან გამომდინარე არა თუ სხვა (მეზობელი) ქვეყნების ეკლესიათა ისტორიის კვლევა ან სახელმძღვანელოს გამოქვეყნება, არამედ საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევას ტაბუ ჰქონდა დადებული. მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიები ერთმანეთისაგან გამიჯნულად, ცალსახად შუქდებოდა, - ბუნებრივია, საბჭოთა იდეოლოგიის გათვალისწინებით; ამდენად ისტორიული წყაროების ცალსახად გაშუქებამ საბჭოური ქვეყნების საისტორიო მეცნიერება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სამსახურში ჩააყენა.

პოსტსაბჭოთა ეპოქამ ქართველი მეცნიერებისგან მოითხოვა ახალი, მიუკერძოებელი ისტორიოგრაფიის შექმნა და მისი შედეგების სასწავლო პროცესებში ჩართვა. ამ მიმართულებით ჩვენი ეროვნული მეცნიერებისთვის მნიშვნელოვან დატვირთვას ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს, ჩვენი პოლიტიკურ-სტრატეგიული მოკავშირე ქვეყნის უკრაინის ისტორიის (როგორც პოლიტიკური, ასევე რელიგიურ-კონფესიონალური თვალსაზრისით) შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა.

თანამედროვე დემოკრატიული პროცესების პირობებში, მკვლევარ-ისტორიკოსებს ჩვენს ქვეყანაში შესაძლებლობები შეექმნათ სახელმწიფო ცენზურისაგან დამოუკიდებლად ურთიერთშეჯერებით გააშუქონ მეზობელი სახელმწიფოების როგორც ტრადიციული, ასევე ამ ქვეყანაში მოქმედი, ლეგალიზებული კონფესიების ისტორია, შეძლებისდაგვარად წყაროების თანამიმდევრული კვლევით გააკეთონ შესაბამისი დასკვნები, შეადგინონ სახელმძღვანელოები მოთხოვნილებისდა მიხედვით და სხვ.

ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე წიგნი-სახელმძღვანელო, რომელიც ჩვენი მეზობელი უკრაინის სახელმწიფოს რელიგიურ-კულტურულ და პოლიტიკურ გარემოს უკავშირდება.

## II თავი. შესავალი

საქართველოს თანამედროვე ფართო საზოგადოებაში სულ უფრო იზრდება ინტერესი უკრაინის, როგორც ტრადიციული, ასევე სხვა კონფესიებისადმი. გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიოს სხვა ერებს შორის უკრაინის მრავალრიცხოვან სახელმწიფოსაც კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნება-გადარჩენის მიმართულებით უზდება ბრძოლა. ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყნები (საქართველო და უკრაინა დ.ჩ.) ძალზედ წააგავენ ერთმანეთს. ამდენად, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს უკანასკნელ წლებში, ქართულ საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებშიც საგრძნობლად გაიზარდა უკრაინის როგორც პოლიტიკური, ასევე საეკლესიო ისტორიით დაინტერესება. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებში ერთობ შეიმჩნევა გააქტიურება უკრაინის საეკლესიო ისტორიით დაინტერესება. ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად კი საჭირო გახდა სათანადო სასწავლო-სახელმძღვანელო წიგნის დანერგვა, რომელიც ქართველ მომავალ თაობას მეგზურად გამოადგება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესასწავლად, ამავედროულად განაწყოს ახალგაზრდობას მსოფლიოს რელიგიათა და კულტურათა მიმართ პატივისცემით.

სახელმძღვანელო მომზადდა სოხუმის უნივერსიტეტთან არსებულ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტსა და დ.გურამიშვილის ქართულ-უკრაინული საერთაშორისო უნივერსიტეტ „იბერია“-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სადაც ჩამოყალიბდა ქართულ-უკრაინულ ურთიერთობათა შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომლის ხელმძღვანელია ისტორიის დოქტორი მ.ბენდელიანი.

სახელმძღვანელო მომზადდა ორ ნაწილად:

პირველი ნაწილი (წინამდებარე წიგნი) მოიცავს უკრაინის მართლმადიდებელ ისტორიას X-XIX საუკუნეების ჩათვლით, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ.ჩიტიანა, ხოლო მეორე ნაწილში წარმოდგენილია რელიგიის და პოლიტიკის საკითხები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა უკრაინასა და საქართველოში, - ავტორი ისტორიის დოქტორი მ.ბენდელიანი.

სახელმძღვანელოს ავტორები მიაწინებენ, რომ რადგან წიგნები საქართველოს ისტორიოგრაფიულ სინამდვილეში უკრაინის საეკლესიო ისტორიის წარმოჩენის პირველ მცდელობას წარმოადგენს, იგი ხარვეზებისაგან არ იქნება დაზღვეული. ამდენად, ავტორები მაღლიერებით მიიღებენ საქმიან შენიშვნებს და გაითვალისწინებენ მომავალში წიგნის სრულად გამოცემისთვის.

უკრაინის ისტორიის ყველა ეპოქაში მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობა-მოღვაწეობა განპირობებული იყო საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა ფაქტორით, რაც ეროვნულ ეკლესიას ანიჭებდა განსაკუთრებულ ფუნქციას, განსაკუთრებით უკრაინელთა მენტალობის და მისი კულტურის განვითარების საქმეში.

უკრაინელი საზოგადოების ცხოვრებაში მართლმადიდებელ ეკლესიას ნებისმიერ ეპოქაში უაღრესად რთული და ეპოქისთვის შესატყვისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური როლი ჰქონდა დაკისრებული. აქედან გამომდინარე, ამ ერის ისტორია ღრმად იყო შეჭრილი საზოგადოებრივ პროცესებში და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, უკრაინის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მამოძრავებელი და წარმართველი ძალა იყო, ამიტომ წარმოუდგენელია უკრაინის ისტორიის ნებისმიერი საკითხის გაშუქება და შესწავლა ეკლესიის ისტორიისგან გამიჯვრებით, ამ უკანასკნელის კვლევა და შედეგების გაცნობა მომავალი თაობებისთვის უკრაინის სამოქალაქო ისტორიის გარეშე.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის შეფასებისთვის, აუცილებლად საჭიროა ეკლესიის ისტორიისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ იდეოლოგიასა და პრინციპებს.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე, უკრაინის ეკლესიას და მის სასულიერო კრებულს ყოველთვის ეკავა პროგრესული ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. უკრაინელ სამღვდელოებს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა უკრაინელი ხალხის დემოკრატიულ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ და სახალხო მოძრაობაში. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ ეპოქაში გამოდიოდა ქვეყნისა და ერის გაერთიანების ინიციატორად, სახელმწიფოებრიობისთვის მებრძოლად, ეროვნული კულტურის ამაღორძინებლად და ა.შ.

განვითარებული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ეკლესია იბრძოდა ძალადობით თავზემოხვეულ უნიების წინააღმდეგ, რომელი პროცესებიც დღემდე გრძელდება უკრაინაში.

თვითმპყრობელური რუსეთის მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის რუსულ ეკლესიასთან შერწყმის შემდგომ, უკრაინისა და მისი საზოგადოებრიობის ცხოვრება შეიცვალა. თუმ-

### III თავი. უკრაინის ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია

ცა აღნიშნულ საკითხზე უკრაინის პრორუსულ და პროუკრაინულ საზოგადოებაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ საზოგადოებრიობის ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. უკრაინაში მთლიანად მოიშალა ყველა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რაც წინაპირობად იქცა უკრაინელი ხალხის „დიდ ერთან“ ასიმილაციისათვის.

გაუქმებულ ეროვნულ ინსტიტუტებს შორის ყველაზე სავალალო შედეგების მომტანად მოიაზრებოდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იურიდიული უფლებებისათვის (დამოუკიდებლობისთვის) ლტოლვის იგნორირება და მისი რუსული ეკლესიის დანამატად გადაქცევა. ამრიგად, უკრაინაში შეიქმნა ახალი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც ბუნებრივად განსხვავდებოდა უკრაინული ტრადიციებისაგან და არ აკმაყოფილებდა უკრაინელთა ეროვნულ და სოციალურ მოთხოვნილებებს და სხვა ჩინოვნიკური ორგანიზაციების გვერდით იღწვოდა მხარის რუსიფიკაციისთვის. რუსული საეკლესიო ბირთვი (უკრაინის საეგზარქოსო — დ.ჩ.) უკრაინაში ისწრაფოდა თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკის მართველობა-დამკვიდრებისთვის. მთელი XVIII-XIX-XX საუკუნის მანძილზე რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ და საერო ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჯერ გაბატონებულიყო, შემდგომ შეენარჩუნებინა თავისი გავლენა და პოზიციები უკრაინაში.

ხსენებულ საუკუნეთა მანძილზე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სამოქალაქო სხვადასხვა მმართველობის სისტემის ხელისუფლებასთან მყარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური და კულტურულ-ეკონომიური ქსელებით იყო დაკავშირებული და სახელმწიფო სამსახურში დგომის გამო, მისი ინტერესების გამტარებელი იყო ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, ის მოქნილი იარაღი იყო მოსახლეობაში ხელისუფლებისთვის მისაღები სახელმწიფო სისტემის დამკვიდრებისთვის. თავის მხრივ, რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ქვეყნები და მათ შორის უკრაინაც მწვავედ განიცდიდა იმპერიული პრინციპების ზემოქმედებას, რაც საუკუნეთა განმავლობაში ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების დაკნინება-გადაგვარებას იწვევდა.

რუსული საეკლესიო პროგრამა საქართველოსთან მიმართებაში რთულ ევოლუციურ პროცესებს მოიცავდა. პროგრამა განიცდიდა ეპოქალურ ცვლილებებს პოლიტიკურ კატაკლიზმებთან შესატყვისობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უკრაინის საეკლესიო ისტორია რამდენიმე პერიოდად იყოფა, რომელიც თავის თავში ქვეპერიოდებს მოიცავს. თითოეულ მათგანს თავისი სახასიათო ნიშნები გააჩნია და სისტემასთან შესატყვისი მოქმედების მეთოდ-ხერხებით ხასიათდება.

პირველი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩო შემოსაზღვრულია X-XII საუკუნეებით და მოიცავს კიევის რუსეთში ქრისტიანიზაციის პერიოდს, როდესაც მიმდინარეობს ხსენებული სახელმწიფოს პოლიტიკური წყობის გამაგრება და მსოფლიოს სხვა მძლავრ სახელმწიფოთა რიგში ჩადგომის მცდელობა, რომელ საქმეშიც ეკლესიის იდეოლოგიურ სამსახურს უაღრესად მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება. ამავედროულად, ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში, სწრაფად მიმდინარეობს საეკლესიო მმართველობის, ეპარქიალური და სამრეკლო სტრუქტურათა ჩამოყალიბების პროცესი, რასაც შედეგად მოჰყვება ქრისტიანული კულტურისა და ხელოვნების მაღალ ხარისხში წარმოჩენა.

მეორე პერიოდი მოიცავს მონღოლუბამდელ პერიოდს, როცა რუსულ სამთავროებსა და ეკლესიას შორის ჩამოყალიბდა გარკვეული ტენდენციები. ამ პერიოდში ეკლესია ფართოდ იყენებს სამთავრო ხელისუფლების აპარატს სხვადასხვა ანტისაეკლესიო და ერეტიკული მიმართულების წინააღმდეგ საბრძოლველად. თავის მხრიდან, სამთავროები ისწრაფოდნენ გამოეყენებინათ საეკლესიო აპარატი ქრისტიანული სიმბოლიკა, რათა მიეღწიათ კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისთვის.

მესამე პერიოდი მოიცავს მონღოლების ბატონობის პერიოდს, როცა თათარ-მონღოლთა ურდოს უღელმა შეძლო საეკლესიო პოზიციების გამაგრება. ოქროს ურდოს ხანები ისწრაფოდნენ გამოეყენებინათ ეკლესიის ავტორიტეტი რუსულ დაპყრობილ მიწებზე საკუთარი მმართველობის გასამტკიცებლად. მათ გაანთავისუფლეს ეკლესია ურდოს თავის განკუთვნილ ე.წ. „გამოსაღებისაგან“ – გადასახადისაგან. ამავე პერიოდში ვლინდება ეკლესიის არაჩვეულებრივი შეფარვითი პოლიტიკა მიმართული ქვეყნის გადაგვარებისაგან გადარჩენის საქმეში.

მეოთხე პერიოდი მოიცავს XIV-XVI საუკუნეებს. ამ პერი-

ოდში აქტიური დატვირთვა მიენიჭა მართლმადიდებელი ეკლესიის იდეოლოგიურ ბრძოლას გარეშე აგრესიის (პოლონელების, ლიტველების, უნგრელების და გერმანელი) დაპყრობლების წინააღმდეგ. ამ პერიოდში უკრაინის ტრადიციული ეკლესია საკუთარი რელიგიურ-სარწმუნოებრივი (პროტესტანტული და კათოლიკური დ.რ.) აღმსარებლობის დანერგვის საწინააღმდეგოდ უკრაინაში.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება უკრაინის რეჩ პოსპოლიტას სახელმწიფოს იურისდიქციაში მოხვედრა და ლუბლიანას ცნობილი უნიის საკითხიც, რომლის ძალითაც კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს „თანასწორი გარანტიები მიეცათ“.

მეექვსე პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩო შემოისაზღვრება XVII-XVIII საუკუნეებით და თავის მხრივ იყოფა ორ ქვეპერიოდად.

პირველი პერიოდი ძირითადად მოიცავს ანტილათინურ მოძრაობას მიმართულს, - უკრაინაში მართლმადიდებლობის გაძლიერებასა და სახელმწიფოებრივი კურსის შერჩევასთან დაკავშირებით, რომელ საქმეშიც ტრადიციულ ეკლესიას უდიდესი დატვირთვა მიენიჭებოდა.

მეორე ქვეპერიოდი მოიცავს რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების ლტოლვას უკრაინის როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკლესიურად იმპერიის სისტემაში შემოსამტკიცებლად.

მეშვიდე პერიოდში ძირითადად გამოვლინდა რუსეთის პოლიტიკურ სარწმუნოებრივი არეალის გაფართოება არა მარტო კონკრეტულად უკრაინის, არამედ სრულიად აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთის, ახლო აღმოსავლეთის და კავკასიის მიმართულებით. ეს პერიოდი აღსავსეა რელიგიურ – კონფესიონალური პროცესების კატაკლიზმებით, რომელ საქმეში აქტიურ დატვირთვას იძენს რუსეთის იმპერიის „გამანთავისუფლებელი“ ბრძოლები ქრისტიანულ სახელმწიფოს მაჰმადიანთა აგრესიისგან მართლმადიდებლური ეგიდით და ამ საქმეში რუსეთის ეკლესიისთვის მონიჭებული ფართო უფლებებით.

## II კარი

### აღმოსავლეთ სლავები წინარე ქრისტიანულ ხანაში და პირველი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია

#### I თავი. აღმოსავლეთ სლავების ზოგადი დახასიათება და კიევის რუსეთის პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი

აღმოსავლეთ სლავების უძველეს ისტორიაზე ძალზე ცოტა რამაა ცნობილი. წყაროთა ნაკლებობის მიზეზად დამწერლობის არქონა შეიძლება იყოს მიჩნეული. ასევე სიმწირე წყაროებისა უ.ყ. უკავშირდება ხსენებული ეთნოსის ჩამომორებას ევროპული და აზიური კულტურული ცენტრებიდან.

უძველეს ცნობებს აღმოსავლეთ სლავების ადრეული ისტორიის შესახებ გვაძლევენ ბიზანტიელი და არაბი ისტორიკოსები. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია არქეოლოგიური მონაცემები და მათი შედარებითი ანალიზი.

სლავების უძველესი საცხოვრებელი ადგილი განფენილი იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. დაწყებული მდინარე ელბიდან და ოდერიდან ვიდრე ვისლამდე. დნესტრის ზემო დინებასა და დნეპრის შუა წელამდე. ჩრდილოეთიდან სლავებს ესაზღვრებოდნენ გერმანული და ბალტური ტომები, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან-ირანული მოდგმის ტომები (სკვითები, სარმატები) სამხრეთით-თრაკიელები და ირილიელები, ხოლო დასავლეთიდან-კელტები. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, სლავების პირველი სამშობლო მდინარე ვისლის აღმოსავლეთით მდებარეობდა. გერმანელებთან და ბალტებთან ერთად სლავების წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ ძვ. წელთ. III-II ათასწლეულის მიჯნაზე შავიზღვისპირეთში, კარპატებში, ცენტრალურ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრები ტომები.

II-IV სს-ში გერმანელ ტომთა შემოჭრის შედეგად სლავებმა გადაინაცვლეს ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო V საუკუნეში, ჰუნების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ,

სამხრეთით(დუნაისა და ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთის) და ბიზანტიის იმპერიის ბალკანურ პროვინციებში. ამ პერიოდში ბიზანტიელი ავტორები უკვე არჩევდნენ სლავების ორ ძირითად დაჯგუფებას — ანტებსა და სლავებს. ორივე ჯგუფი იყოფოდა რამდენიმე ქვეჯგუფად.

უკრაინის ტერიტორიაზე გადმოსახლებულ სლავთა ტომების შესახებ მემატიანე წერს: „ასევე ეს სლავებიც მოვიდნენ და დასახლდნენ დნეპრის გასწვრივ და ეწოდათ მათ პოლიანები, ხოლო სხვებს დრევილიანები, იმიტომ, რომ ტყეებში დასახლდნენ, სხვები კიდეც მდ. პრიპიატსა და დვინას შორის და ეწოდათ დრეგოვიჩები, ზოგნი დვინის ნაპირებზე დასახლდა და პოლოჩანები ეწოდა, იმ მდინარის მიხედვით, რომელიც დვინას ერთვის და პოლიტი ეწოდება, ხოლო ის სლავები, რომლებიც ილმენის ტბის მახლობლად დამკვიდრდნენ, იწოდნენ სლავებად, ააგეს ციხე-ქალაქი და უწოდეს მას ნოვგოროდი. სხვები დესნაზე, სემზე და სულაზე განთავსდნენ და ეწოდათ სევერელები (ჩრდილოელები). ასე განეფინა სლავი ხალხი და მისივე სახელი „სლავური“ ეწოდა დამწერლობასაც“.

როგორც ვხედავთ, მემატიანე რუსეთისა და უკრაინის ტერიტორიაზე დასახლებული სლავური ტომების სახელწოდებათა ეტიმოლოგიას გვთავაზობს. მას ეთნიკური განფენილობის საკითხი ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს სანამ სლავები აღმოსავლეთით გადმოსახლდებოდნენ, მდინარეების სახელწოდება უკვე არსებობდა, მდინარეების და ტბების სახელები გამზადებული დახვდათ და დროთა ვითარებაში ეს სახელები ეწოდათ ამ ტომებს. ერთადერთი ტომი, რომელსაც ძველი სახელწოდება „სლავი“ შერჩა, მემატიანის აზრით, ეს ნოვგოროდის მაშენებელი ტომი უნდა ყოფილიყო.

თავისთავად ცხადია, მემატიანეს სურდა დაემტკიცებინა, რომ თავისი დროის სხვადასხვა სახელწოდების მქონე კიევის სახელმწიფოს მოსახლეობის ერთი ძირითადი ნაწილი სხვადასხვა მოდგმის კი არ არის, არამედ ერთი ხალხია, სლავური მოდგმისა, რომელსაც, თითქოს, სახელები რუსეთის ტერიტორიაზე გადმოსახლების შედეგად შეეცვალათ. მემატიანე ამასთანავე იმასაც გვაუწყებს, რომ სლავების გარდა რუსეთისა და უკრაინის ტერიტორიაზე სხვა ხალხებიც ცხოვრობდნენ. იგი წერს: „აი, სხვა ხალხები, რომელნიც რუსეთს ხარკს უხდიან: ჩუდი, შერია, ვესი, მურომა, ჩერემისები, მორდვა, პერმი, პიერორი, იამი, ლიტკა, ზიმიგოლა, კორსი, ნაროვა, ლივონელები – ესენი ლაპარაკობენ თავიანთ ენაზე. ესენიც იაფეთის შთამომავალნი არიან, ჩრდილოეთ ქვეყანაში მცხოვრები“.

კიევის რუსეთის მოსახლეობის ვინაობის ახსნის შემდეგ მემატიანე სამიმოსვლო გზების შესახებ გვამცნობს: „... აქ იყო ვარიაგებიდან საბერძნეთში მიმავალი გზა; ხოლო საბერძნეთიდან დნეპრზე - მომავალი; დნეპრის სათავეებიდან ნავს გადაატარებენ (ხმელეთით) ლოკატამდე, ლოკატით ილმენის დიდ ტბაში შედიან; ამ ტბიდან კი ვოლხოვი გამოდის და შეერთვის ნევის ტბას, ხოლო ეს ტბა ვარიაგების ზღვას უერთდება. ამ ზღვით შეიძლება რომამდე ცურვა, რომიდან, იმავე ზღვით, ცარგრადამდე (კონსტანტინოპოლამდე), ცარგრადიდან შეიძლება შემოსვლა პონტოს ზღვაში, რომელსაც მდინარე დნეპრი შეერთვის. დნეპრი გამოდის ოკოვის ტყიდან და მიედინება სამხრეთით, დვინაც იმავე ტყიდან გამოდის და ვარიაგთა ზღვას ერთვის. ამავე ტყიდან ვოლგაც გამოდის და აღმოსავლეთით მიედინება და სამოცდაათ ტოტად ხვალისის (კასპის) ზღვას შეერთვის. ასევე, რუსეთიდან შეიძლება ვოლგით ბოლგარში და ხვალისის (ზღვაში) მისვლა და შემდეგ აღმოსავლეთში შეიძლება გასვლა სემის წილ (ქვეყანაში), ხოლო დვინით – ვარიაგების ქვეყანაში, ვარიაგებიდან რომამდე, რომიდან ქამის შთამომავლობის ტომამდე, ხოლო დნეპრი პონტოს ზღვაში ჩადის, ეს ზღვა რუსების ზღვად იწოდება...“.

მემატიანე მკითხველს, რუსეთში მოსახლე სლავური ტომების ზნე-ჩვეულებასაც აცნობს. იგი წერს: „ყოველ მათგანს თავიანთ წინაპართა მიერ გადმოცემული ისტორიული სარწმუნოებრივი ჩვეულება და სამართალი ჰქონდათ... პოლიანებს თავის წინაპართა უწყინარი და მშვიდი ჩვეულება ჰქონდათ, მორცხვობდნენ რძლებსა და დების წინაშე, დედებისა და მეზობლების წინაშე, დიდად მორცხვობდნენ მამამთილისა და მამლების წინაშე. აქვთ ქორწინების ადათი: სასიძო საცოლის მოსაყვანად კი არ მიდის, არამედ ქალს წინა დღით მოიყვანენ, ხოლო მეორე დღეს მოაქვთ ამ ქალის საფასური (სამაგიერო), რის მიცემაც სურთ. ხოლო დრევილიანები მხეცე-ბივით, ხვადაგებოვით ცხოვრობენ, კლავენ ერთიმეორეს, ყოველ უწმინდურს ჭამდნენ. ქალიშვილებს იტაცებდნენ მდინარესთან.“

ხოლო რადიმიჩებს, ვიატიჩებს და სევერელებს ერთნაირი ჩვეულება ჰქონდათ – ტყეში ცხოვრობდნენ, როგორც მხეცეები, ჭამდნენ ყოველ უწმინდურს, ბილნსიტყვაობდნენ მეზობლებისა და რძლების წინაშე. სოფლებს შორის იმართებოდა თამაში აქ გროვდებოდნენ ცეკვისა და ეშმაკეული სიმღერებისათვის და იტაცებდნენ თავიანთ საცოლეებს, ხოლო თითოეულს ორი და სამი ცოლი ჰყავდა...“.

მემატიანის მოტიანილი ცნობიდან საყურადღებოა სლავი მოდგმის ხალხთა ერთმანეთისგან განმასხვავებელი ზნე-წეს-ჩვეულებათა სურათი. ამ მიმართულებით საყურადღებოა ცნობა დრეველიანელების საყოფაცხოვრებო კულტურაზე, განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული უწმინდურ ცხოველთა საკვებად გამოყენებასა და ქალთა სქესთან დამოკიდებულებაზე.

მემატიანე დნეპრის მიდამოებში დამკვიდრებულ სლავთა ტომის-პოლიანების ძველ საზოგადოებრივ წყობილებაზეც გვანვდის ცნობას. იგი წერს: „პოლიანები ცხოვრობდნენ გვარებად, თითოეული თავის გვარს თვითონ მართავდა“. მატიანიდან არ ჩანს, როგორ აქვს წარმოდგენილი ავტორს გვაროვნული მმართველობა, მაგრამ ერთგან ისეთი ცნობა აქვს მოტიანილი, რომ ამჟამად, პოლიანების ტომში იგი ერთ დროს ერთმმართველი პიროვნების არსებობას გულისხმობს.

სწორედ იქ, სადაც საუბარია პოლიანების გვაროვნულ მმართველობის შესახებ, მემატიანე აღნიშნავს, რომ „...პოლიანებს შორის სამი ძმა იყო, ერთს სახელად კიი ერქვა, მეორეს – შკეჩი და მესამეს – ხორივე, ხოლო მათი და ლიბედი იყო. დასახლებული იყო კიი ბორცვზე, სადაც ახლა ბორიჩის აღმართია, შკეჩი კი იმ ბორცვზე იყო დამკვიდრებული, რომელსაც ახლა შჩეკოვიცა ეწოდება, ხოლო ხორივე მესამე ბორცვზე, რომელიც მისივე სახელით იწოდება – ხორივიცა. და აღაშენეს მცირე ციხე უფროსი ძმის სახელზე და ეწოდა ამ ციხეს კიევი. ციხის გარშემო ტყე იყო, სადაც იჭრდნენ მხეცებს. ისინი ბრძენი და გონიერი ვაჟკაცები იყვნენ და იწოდებოდნენ პოლიანებად. ამათი წყალობით პოლიანები დღესაც კიევში არიან“.

V-VII სს. სლავები იმდენად გამრავლდნენ ევროპაში, რომ ეს მრავალრიცხოვანი ტომი გეოგრაფიულად გაიყვნენ 3 ნაწილად: სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ სლავებად, რომელთაც, ბუნებრივია, ელოდათ სხვადასხვა ისტორიული ბედი. აღმოსავლეთ სლავები ორ ნაკადად განსახლდნენ აღმოსავლეთ ევროპაში, ერთი ჯგუფი განთავსდა დონის აუზში, თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე შემდეგ ის გავრცელდა ჩრდილოეთით ვოლგის ზემო ნაწილში, და აღმოსავლეთისკენ თანამედროვე მოსკოვისკენ, ასევე დასავლეთით დნესტრის დაბლობებისკენ და სამხრეთ ბუგისკენ თანამედროვე მოლდავეთისა და სამხრეთ უკრაინისკენ.

მეორე ჯგუფი აღმოსავლეთ სლავებისა გადასახლდა ჩრდილო-აღმოსავლეთში, სადაც ისინი შეეჯახნენ ვარიანებს. აქვე

ჩამოაყალიბეს მათ განსაკუთრებული რეგიონალური ცენტრი – ნოვგოროდი.

მეთორმეტე საუკუნისთვის კიევის რუსეთში სლავური კონგლომენტალისგან და არა სლავური ტომებისგან სხვადასხვა დროს რიურიკების დინასტიის მორჩილებაში ყოფნამ გამოიწვია ამ ეთნოსის ერთიანი სახის ჩამოყალიბება. შემდგომი მიგრაცია, რომელიც შედგა იმ ეპოქაში, უკავშირდება ფინური მოდგმის ხალხს.

არქეოლოგიური მასალები ნათელს ხდიან, რომ VII-VIII საუკუნეებისათვის სლავთა საზოგადოება განვითარებული იყო. ამ ტომებისთვის მინათმოქმედება უძველესი დროიდან ყოფილა დამახასიათებელი; ხანძრის შედეგად მიტოვებულ ნასახლართა ტერიტორიაზე აღმოჩენილია მინათმოქმედების იარაღები, პურის, ჭვავის და შვრიის მარცვლები. დნეპრის აუზში არაბული ლირჰემების დიდი რაოდენობის პოვნა იმის ამკარა მაჩვენებელია, რომ ამ დირჰემების ეპოქის (VIII) სლავები ალექსანდრეში იყვნენ ჩაბმული და მათ საზოგადოებაში ლითონის ფული ტრიალებდა. ამჟამად ჩვენთვის იმას მნიშვნელობა არა აქვს სად არის ლითონის მონეტა მოჭრილი. რაკი მონეტა ხმარებაშია, რაკი იგი ერთს დაგროვილი აქვს და საგანგებოდ ინახავს, მაშასადამე, შემნახველმა იცის მისი გემო და იგი აუცილებლად კერძო მესაკუთრე უნდა ყოფილიყო. ასეთ საზოგადოებას კი თავისი განვითარების შესაფერისი წყობილება უნდა ჰქონოდა პოლიტიკური აპარატით. IX საუკუნემდე აღმოსავლეთ სლავები განვითარების სტადიაში, რომ იმყოფებოდა, ამის დადასტურებელი არაპირდაპირი ცნობები ჩვენ რუსულ მატიანეშიც მოგვეპოვება.

მსოფლიოს ყველა ხალხის ისტორიაში გვარის მამასახლისები ანუ უხუცესები, ხოლო შემდეგი საფეხურის – სამხედრო დემოკრატიის წინამძღოლები, ბოლოს მთავრებად ან მეფეებად გვევლინებიან. რუსეთიც, ამ შემთხვევაში, გამოწაკლისს არ წარმოადგენდა. რუსული მემატიანე დრეველიანების მთავარს – მალს იხსენიებს: „ნოვგოროდელებს „რიურიკის მოწვევამდე“ ჰყოლიათ მთავარი ბრალანი, შემდეგ – ცნობილი გასტომისლი კიევსაც თავისი უფროსი ჰყოლია: ამ ფაქტის ყრუ გამოძახილი უნდა იყოს „კის“ ამბავი, რომელიც მატიანეში საგანგებოდ არის მოთხრობილი, როგორც კიევის ციხე-სიმაგრის მშენებელი.

რუსი მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ IX საუკუნეში „რიურიკის მოწვევამდე“, აღმოსავლეთ სლავთა ტერიტორიაზე ციხე-ქალაქები არსებობდა, კლასობრივი საზოგადოების ამკარა მაჩვენ-



ებელია. მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რიურისკისა და მისი ძმების მოსვლის დროს რიურისკი ნოვგოროდში დაჯდა, სინეური-იზბოსკში, ხოლო ტრუფორი-ბელოოზეროში. მემატიანეს ეს ციხე-ქალაქები ადრე წარმოშობილად მიაჩნია და ასახელებს არა მარტო ამ ქალაქებს, არამედ სხვა ქალაქებსაც, რომელთა ხელმძღვანელებად რიურისკი თავის ხალხს ნიშნავდა.

თვით სახელწოდება „ნოვგოროდი“-ც იმის მაჩვენებელია, რომ აქ ადრე ძველი ციხე-ქალაქი არსებობდა, რადგან ძველის არ არსებობის შემთხვევაში მას „ნოვგოროდი“ არ დაერქმევოდა. მართალია, ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო VII-VIII საუკუნის ქალაქის სახე, როგორ ცხოვრობდნენ იქ მაგრამ ის, რომ ჩვეულებრივი სოფლისგან განსხვავდებოდა თავისი ნაგებობებით და იქ მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობით, სადაო არ შეიძლება იყოს.

როგორც ვხედავთ, მემატიანე, სლავურ ტომებში, გვაროვნული მმართველობის შემდეგ, ერთმმართველი მთავრობის წარმოშობას გვაუწყებს. მართალია, მან არ იცის როდის, რომელ საუკუნეში ხდება ეს პროცესი, მაგრამ, მისი აზრით, გვაროვნული მმართველობა ადრინდელია. ხოლო მთავრების მმართველობის დაწესება შემდეგი საფეხურია.

წლების მიხედვით ისტორიული ფაქტების აღწერას რუსული მატიანე 852 წლიდან იწყებს და აქვე აღნიშნავს, თუ რატომ იწყებს 852 წლიდან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ისტორიული ამბების თხრობას. მემატიანე წერს, რომ აღნიშნულ წელს რუსეთი პირველად არის მოხსენიებული ბერძნულ მატიანეში, როგორც კონსტანტინოპოლზე თავდამსხმელი ქვეყანა. მემატიანის აზრით, სწორედ 852 წლიდან კიევის რუსეთის არსებობა ისტორიული ფაქტია და ისიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგვითხრობს რუსეთის ამბებს. მისი აზრით, 862 წლამდე რუსეთში სახელმწიფო არ არსებობდა. ის აღნიშნავს, რომ 859 წელს, ზღვის გაღმადან მოსული ვარიანები ჩუდებისაგან, სლავიანებისაგან, მერებისაგან და ყველა კრივიჩებისაგან იღებდნენ ხარკს, ხოლო ხაზარები პოლიანებისაგან, სევერიანელებისაგან-თითო თეთრს (ვერცხლის მონეტას) და თითო კრვერნას თითოეულ კომლზე“.

860 და 861 წლების შემდეგ მემატიანე აღარ გვანოდებს ცნობებს, მასალების უქონლობის გამო.

მემატიანე მხოლოდ 862 წლიდან იწყებს კიევის რუსეთის სახელმწიფოს შექმნის აღწერას. იგი ამბობს: „6370 (862) წელს განდევნეს ზღვის გაღმა, ვარიანები და არა მისცეს მათ ხარკი და

თავის თავს თვითონ ეუფლებოდნენ. არა იყო მათ შორის კანონი (სამართალი) და აღსდგა გვარი გვარსა ზედა და იყო შინათ აშლა, ერთიმეორეს ებრძოდნენ. და ერთმანეთს შორის (მოლაპარაკების შედეგად) თქვეს: მოვძებნოთ ჩვენთვის მთავარი, რომელიც ჩვენ დაგვეუფლებოდეს და განგვსჯიდეს სამართლის (კანონის) მიხედვით და წავიდნენ ზღვის გაღმა ვარიანებთან-რუსებთან. ის ვარიანები რუსებად იწოდებოდნენ ისე, როგორც სხვები (ვარიანთა სხვა ტომები), მაგალითად, შვედებად იწოდებოდნენ, ზოგი ნორმანებად და ანგლებად, ხოლო სხვები კიდევ მოტლანდებად, - აი, ამათაც ასე ეწოდებოდათ (რუსი). უთხრეს რუსებს ჩუდებმა, სლავებმა, კრივიჩებმა და ვესებმა: „ჩვენი ქვეყანა დიდი არის, მაგრამ წესრიგი იქ არ არის. მოდით, იმთავრეთ და გვეუფლეთ ჩვენ“.

და გამოირჩა სამი ძმა თავიანთი გვარებით და თან წამოიყვანეს რუსების მთელი ტომი ნოვგოროდში, ხოლო მეორე-სინერუსი ბელოოზეროში, მესამე ტრუფორი კი-იზბორსკში. და იმ ვარიანთაგან იწოდა რუსეთის ქვეყნად. ნოვგოროდელები იგივე ხალხია, ვარიანების მოდგმიდან, წინათ კი სლავები იყვნენ; ორი წლის შემდეგ სინერუსი და მისი ძმა ტრუფორი გარდაიცვალნენ და მთელ ძალაუფლებას ერთი, რიურისკი დაეპატრონა და დაიწყო თავის კაცებზე ციხეების დარიგება – იმას პოლოცკი (მისცა), ამას – როსტოვი, სხვას ბელოოზერო. ამ ციხეებში ვარიანები მოსულები არიან. ხოლო ნოვგოროდში მკვიდრი მოსახლეობა – სლავებია, პოლოცკში – კრივიჩები, როსტოვში – მერიები, ბელოოზეროში – ვესები, მურომში – მურომელები და ყველა ამათზე რიურისკი მფლობელობდა. და ჰყავდა მას ორი დიდებული (ორი კაცი) არა ნათესავი, არამედ ბოიარი და თხოვეს ამათ კონსტანტინოპოლში წასვლის ნებართვა თავისი გვართურთ. და გაემგზავრნენ დნეპრით, ერთ ბორცვზე პატარა ციხე დაინახეს და, როცა ახლო ჩაუარეს, იკითხეს: „ვისია ეს პატარა ციხე?“ იქაურმა მცხოვრებლებმა უპასუხეს: „იყო სამი ძმა კიი, შჩეკ და ხორივე, რომელთაც ეს ციხე-სიმაგრე ააგეს და გარდაიცვალნენ; ჩვენ კი იმათი შთამომავალი აქ ვცხოვრობთ და ხარკს ხაზარებს ვაძლევთ“. ასკოლდი და დირი ამ ციხეში დარჩნენ, თან შემოიკრიბეს მრავალი ვარიანი და ეუფლნენ პოლიანელების მიწას. რიურისკი კი ამ დროს ნოვგოროდში მთავრობდა.

ამ მასალის თანამიმდევრულად გადმოცემით მემატიანე კიევის სახელმწიფოს დაარსებულად თვლის. ახლა, თუ ჩვენ მოტანილ მასალას თვალს მივადევნებთ, გარკვევით დავინახავთ რუსული სახელმწიფოს წარმოქმნის მემატიანისეულ კონცეფციას.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მემატრიანეს საუბარი აქვს რუსეთის გაერთიანებული სახელმწიფოს წარმომოხაზე. ამ მიმართულებით რიურის მოღვაწეობას იგი სახელმწიფოებრიობის საწყისად თვლის.

მისი აზრით, სახელმწიფო არის იქ, სადაც მთავარია, რომელიც ქვეყანას ეუფლება და კანონების მიხედვით გაასამართლებს ქვეშევრდომებს; მემატრიანის გაგებით, როცა სახელმწიფო არსებობს, მაშინ საზოგადოებაში წესრიგია, შინა ბრძოლები გვარებს შორის არ არის; რიურის მინვევის დღიდან, სლავურ ტომებში გვარებს შორის, წინათ არსებული, დაუსრულებელი ბრძოლები წყდება.

მთავარი, თავისი დრუჟინით (ამალა) იმორჩილებს ყველას და კანონების მიხედვით ასამართლებს წესრიგის დამრღვევთ. მემატრიანის კონცეფციაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს აზრი რუსეთის სახელმწიფოს წარმომოხაზის შესახებ.

საისტორიო ლიტერატურაში დავა მიმდინარეობს კიევის რუსეთის სახელმწიფოს წარმომოხაზის შესახებ. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ასაბუთებდა, რომ რუსეთის სახელმწიფო ვარიანტმა შექმნეს, მეორე ჯგუფი კი უარყოფდა რუსეთის სახელმწიფოებრიობის ვარიანტულ საწყისებს და სახელმწიფოს სლავურ წარმომოხაზს ამტკიცებდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მეცნიერთა ეს ორი ბანაკი „ნორმანისტებად“ და „ანტინორმანისტებად“ იწოდება. „ნორმანები“ სკანდინავიის ნახევარკუნძულის მცხოვრებთა სახელწოდებაა და აქედან მომდინარეობს იმ მეცნიერთა ჯგუფის სახელწოდება, რომლებიც ვარიანტების ანუ ნორმანების როლს აზვიადებენ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორც „ნორმანისტებმა“, ისე ანტინორმანისტებმა“ რუსეთის სახელმწიფოს წარმომოხაზის გარშემო მრავალი მასალა დააგროვეს და განიხილეს, მაგრამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას აძნელებდა, როგორც ძველი წყაროების ბუნდოვანი და ერთმეორის საწინააღმდეგო ცნობები, ისე ყალბი თეორია სახელმწიფოს წარმომოხაზის შესახებ.

რუსი მემატრიანე რეალურ ცნობას გვანვდის, როცა წერს, რომ ვარიანტები ზღვის იქითა მხრიდან მოდიოდნენ და ხარკს ართმევდნენ ბალტიისპირეთის ახლოს მცხოვრებ სლავებსა და სხვა მოსახლეობას. ვარიანტთა მეკობრე, რაზმი ცნობილია დასავლეთ ევროპის წყაროებითაც. ვარიანტები შავ ზღვაზე ჩამოდიოდნენ დნეპრის გზით და ბიზანტიის სამსახურშიც ვხედავთ X საუკუნიდან. ბალტიის ზღვას რუსი მემატრიანე ვარიანტთა ზღვას უწოდებს ერთგან რუსი მემატრიანე საინტერესო ცნობას გვანვდის ვარიანტების შესახებ: „როცა

პოლიანები ცალცალკე ცხოვრობდნენ (დნეპრის გასწვრივ). აქ გზა იყო ვარიანტებიდან საბერძნეთამდე და პირიქით, საბერძნეთიდან ვარიანტებამდე, დნეპრის სათავეებამდე, შემდეგ გადათრევა (ნავეზის ხმელეთით) ლოკატამდე, ლიკატით კი ილმენის დიდ ტბაში: ხოლო ამ ტბიდან ვოლხოვი გამოდის და ნევის დიდ ტბაში ჩადის და ამ ტბის შესართავი ვარიანტების ზღვაში ჩადის.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ვარიანტები სლავებით დასახლებულ ტერიტორიას ნავეზით გადმოსერავდნენ და ბიზანტიაში მიდიოდნენ. ცხადია, ვარიანტები ისე ვერ გადაივლიდნენ სლავების ტერიტორიას, რომ მათთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

ოლეგის, იგორისა და სვიატოსლავის მიერ ბიზანტიასთან დადებული ხელშეკრულებებიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ ვარიანტები, რუსეთის დიდი მთავრის კარზე ისე დანინაურებული ყოფილან, რომ ხელშეკრულების დასადავად არაერთი ვარიანტი გამგზავრებული კონსტანტინოპოლში, როგორც რუსეთის მაშინდელი მთავრობის წარმომადგენელი. ხელშეკრულებაში მათი სახელებიცაა აღნიშნული. მემატრიანე ოლეგის კონსტანტინოპოლზე ლაშქრობის შესახებ წერს: „ოლეგი მცირედ უკან იხევს სატახტო ქალაქიდან და ზავის შესახებ მოლაპარაკებას მართავს საბერძნეთის მეფეებთან, ლეონთან და ალექსანდრესთან, და გამოავაზვნა მათთან სატახტო ქალაქში კარლი, ფარლოკი, ველმუდი, რულავი და სტიმიდე წინადადებით — გადავვიხადეთ ჩვენ ხარკი: „მეორე ადგილას იქ, სადაც მემატრიანეს საბერძნეთთან დადებული ხელშეკრულების ტექსტი აქვს მოტანილი, ვკითხულობთ: „იმავე მეფეების ლეონ და ალექსანდრეს დროს დადებული ხელშეკრულების პირი. ჩვენ რუსის მოდგმიდან — კარლი, ინეგელდი, კარლოვი, რულავი, გუდი, რაულდი, კარგნი, ფრელავი, რუარი, აკტიეჟუ, ტრუანი, ლიდელი, ფოსტი, სტიმიდი — რუსეთის დიდი მთავრის ოლეგისგან წარგზავნილნი... მოვედით თქვენთან საბერძნეთის მეფეებთან“. როგორც ვხედავთ, ვარიანტთა ერთი ბირთვი დანინაურებულია ოლეგის სამთავრო კარზე და ისეთ საპასუხისმგებლო საქმეს ავალბენ ვარიანტებს, როგორც ბიზანტიასთან საზავო ხელშეკრულების დადება. ჩამოთვლილ პირთა შორის არც ერთი სლავი არ უნდა იყოს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა ჩანს იგორისა და სვიატოსლავის დროსაც, ამ მთავრებსაც თან ახლავს ვარიანტთა დანინაურებული ბირთვი.

რუსი მემატრიანე რუსეთის სახელმწიფოს წარმომოხაზის შესახებ იმ დროს არსებულ ლეგენდას ამუშავებდა, რუსეთის ისტორიის მასალებთან შედარებით, მას ვარიანტების სლავთა საზოგადოებრივ

ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ საკმაო ფაქტები ჰქონდა და თავის კონცეფციას ნაწილობრივ მათ უფარდებდა.

როგორც შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, ვარიაგები, საზოგადოებრივი განვითარების საფეხურის მიხედვით, აღმოსავლეთის სლავებზე დაბლა მდგარან და სლავებს შორის მცხოვრები ვარიაგები გასლავებულან. სპეციალისტებს დღეისთვის გამორკვეული აქვთ, რომ ძველ რუსულ ენაში მხოლოდ 17 ვარიაგული სიტყვაა შემორჩენილი, სხვა მხრივ მათი კვალი სლავურ კულტურას ვერ დააჩნდა, რუსი მემატრიანეც ერთგან შენიშნავს: „ხოლო სლავი ხალხი და რუსი ერთია, ვარიაგების გამო უნოდა რომ სლავებს რუსი, წინათ კი სლავები იყვნენ, თუმცა პოლიანებად იწოდებოდნენ, მაგრამ ენა სლავური ჰქონდათ. პოლიანები იმიტომ ეწოდათ, რომ მინდვრებში ცხოვრობდნენ. ენა კი საერთო იყო- სლავური“.

მემატრიანის მიერ მოტანილი ცნობით, ვარიაგების გამო ეწოდა სლავი ხალხის სახელმწიფოს რუსეთი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთის სახელმწიფო ვარიაგების სახელმწიფოს წარმოადგენს. სახელწოდება ცვალებადია, მაგრამ ხალხის არსს რომ არ ცვლის, ამის მაგალითად მემატრიანე პოლიანების შესახებ გვამცნობს:

პოლიანებს, ვარიაგების მონვევამდე, თავისი მთავრები ჰყავდათ. იქ, სადაც კიის ამბავი აქვს მოთხრობილი და კიის ძმებსა და დის გარდაცვალებას გვაუწყებს, იგი წერს: „ამ ძმების გარდაცვალების შემდეგ მათი შთამომავლობა მთავრობდა პოლიანებში, ხოლო დრევილიანელებს თავისი მთავრები ჰყავდათ, დრევილიანელებს თავისი, ხოლო სლავიანებს, ნოვგოროდში, თავისი....“

როგორც ჩანს, მემატრიანეს, როცა იგი რუსეთის სახელმწიფოს წარმოქმნას ვარიაგებს მიაწერდა, მხედველობაში ჰქონდა გაერთიანებული, ერთი დიდი მთავრის ხელქვეითად მყოფი, აღმოსავლეთ სლავების სახელმწიფო, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო ეწოდა. სლავებში ცალკეული სამთავროების არსებობას იგი არ უარყოფს, ასეთი მთავრები, სლავთა გაერთიანებული რუსული სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგაც არსებობს, რასაც ადასტურებს მემატრიანის სიტყვები: „ჩვენმა დიდმა მთავარმა იგორმა, მთავრებმა და ბოიარებმა მისმა და ყველა რუსმა გამოგვგზავნა ჩვენ.... საბერძნეთის მეფეებთან“. დრევილიანების მთავარი ხომ იგორის დროს სახელითაც არის მოხსენიებული მატრიანეებში. მემატრიანე, აღწერს რა იგორის გამგზავრებას თავისი დრუჟინით, გვამცნობს, რომ ხარკი როცა შეაგროვა, მხლებლებს გამოატანა, ხოლო თვით დრევილიანების რაიონების შემოვლა და დამატებით ხარკის აღება

ისურვა. აქ მემატრიანეს აღწერილი აქვს ისიც, რომ: „დრევილიანებმა გაიგონეს რა, ხელახლა მოდიოდა (იგორი) თათბირი გამართეს თავიანთ მთავარ – მალთან“.

სლავთა მთავრები მოხსენიებული არიან კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულების იმ ნაწილშიც, რომელშიც კონსტანტინოპოლის სასახლეში ოლეგის მიღებაზეა საუბარი.

ამრიგად, რუსეთის სახელმწიფოს წარმოქმნა სლავთა ტომების შინაგანი სოციალური განვითარების შედეგია, სახელმწიფოებრიობა სლავურ ტომებში გვაროვნული წყობილების რღვევის ნიადაგზე აღმოცენდა, სხვადასხვა ტომებში სხვადასხვა დროს. სლავური სამთავროები, არსებითად, სახელმწიფოებია, სადაც გარკვეული სოციალური ფენა ბატონობს და მის ხელთ ძალმომრეობის აპარატი. მართალია, ეს აპარატი ჯერ პრიმიტიულია, მაგრამ იგი მაინც, იმ დროის შესაფერისი, იძულების ორგანიზაციაა. IX საუკუნეში კი სლავური სამთავროების ერთი დიდი მთავრის ხელქვეით გაერთიანებასთან გვაქვს საქმე. სახელმწიფოებრივი გაერთიანების პროცესში შესაძლებელია, ვარიაგთა რაზმები დაქირავებული იყოს სლავთა რომელიმე სამთავროს მიერ ისევე, როგორაც შემდეგ საუკუნეებში ჰქონდა ადგილი ვარიაგთა რაზმების დაქირავებას. სლავთა შორის დამკვიდრებულ ვარიაგთა ერთი ნაწილი გასლავდა კიდევ. ასე, რომ, ვარიაგების მოსვლა რუსული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის საფუძველი არ არის.

მაგრამ, თუ სლავური ტომების სახელმწიფო ძველი რუსული სახელმწიფოა, რატომ არ ეწოდება მას სლავური ან რომელიმე სლავური ტომის სახელი? რას ნიშნავს სიტყვა რუსი?

სიტყვა „რუსი“ მნიშვნელობის შესახებ არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს მოსაზრება და უცდია მისი დამტკიცება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინის შესახებ გარკვეულ ახსნა-განმარტებას იძლევა არა ერთი წყარო – როგორც რუსული, ისე უცხოური – საკითხი საბოლოოდ გადაჭრილად არ მიგვაჩნია. საკითხის საბოლოოდ გადაჭრას უფრო მკაფიო ცნობები სჭირდება, ვიდრე, ჩვენს ხელთ არსებობს.

მემატრიანე, როგორც ზემოთ მოტანილი ამონარიდებიდან ჩანს, რუსებს უწოდებს ვარიაგების ერთ-ერთ ტომს. იგი არაერთგან უსვამს ხაზს ამ გარემოებას. სწორედ იქ, სადაც საუბარი აქვს ვარიაგების მთავრებად მინვევის შესახებ, წერს: „და წავიდნენ ზღვის გაღმა ვარიაგებთან-რუსებთან. ის ვარიაგები რუსებად იწოდებოდნენ ისე, როგორც სხვები, მაგალითად, შვედებად, ზოგი-ნორმანებად, ხოლო

სხვები კიდევ-გოტლანდებად, აი, ამათაც ასე ეწოდებოდათ უთხრეს რუსებს ჩუდელებმა....“

მეორე ადგილას აღნიშნულია: „ხოლო სლავი ხალხი და რუსი ერთია, ვარიაცის ვარიაცობისა გამო ეწოდა ხომ სლავებს რუსი....“ თითქოს აქ ყველაფერი გარკვევით არის ნათქვამი და საკამათო არაფერი არ უნდა იყოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მემატიაანის მოტიანილ განმარტებებს „რუსის“ შესახებ ვერ მიიჩნევენ მეცნიერები მისაღებად.

გარკვეულია, რომ ვარიაცთა მოდგმაში არ არსებობდა ტომი, რომელსაც რუსი ერქვა. ამას მხოლოდ რუსი მემატიაანე ამბობს და ეტყობა, ეს მისი ნააზრევი უნდა იყოს, ვიდრე სინამდვილიდან ამოღებული რაიმე ფაქტი. საფიქრებელია, რომ რუსი მემატიაანე, ამ შემთხვევაში, ბიზანტიასთან დადებულ ხელშეკრულებათა ტექსტების იმ ადგილებს დაეყრდნო, სადაც ვარიაც-ელჩების სახელება ჩამოთვლილი; ისინი რუსების მოდგმის ხალხად იხსენიებიან ხელშეკრულებაში. 912 წლის ხელშეკრულების შესავალი ასე იწყება: „Мы от рода русского, Карлы, Инелелд, Фарлоф...“ ასე იწყება იგორის ხელშეკრულებაც. აქ რუსეთის ხალხია და მთავრის სახელით გამოსვლაზეა საუბარი და არა რუსების უცხოურებაზე--ვარიაცულ წარმოშობაზე.

არაბი გეოგრაფები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „რუსები დიდი ხალხია, იზნ ხორდად ბე წერს: „რუსები სლავების ტომია“.

უალრესად საყურადღებოა IV საუკუნის ავტორის, ევრემ სიხეილის ცნობა რუსი ხალხის შესახებ. VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი ფსევდო--ზაქარიაც ახსენებს რუსების ხალხს და, რაც ყველაზე საინტერესოა, ამ რუსებს ეს ავტორები იცნობენ, როგორც სამხრეთის ხალხს და არა სკანდინავიის ნახევარკუნძულის მცხოვრებთ.

ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ბიზანტიასთან დადებული ხელშეკრულების ტექსტებში რუსეთის მხარე ფიცის დროს ასახლებს წარმართულ ღვთაებებს, მაგრამ არც ერთი ღმერთი ვარიაცული არ არის. დასახელებულია მხოლოდ სლავების ღმერთები: პერუნი, ელვისა და ქუხილის ღმერთი და ვოლოსი-საქონლის ღმერთი. ამ ფაქტის უგულებელყოფა ყოვლად დაუშვებელია. თუკი „რუსი“ გაბატონებული ვარიაცული ტომია სლავებში, ნუთუ საბერძნეთი ამ გაბატონებულ ვარიაცებს იმ ღმერთებით აფიცებდა, ხელშეკრულების მუხლების ცხოვრებაში გატარების გარანტირებისათვის, რომელნიც ხელშეკრულებაზე ხელის მომწერთა ერთმხარეს არ სწამდა. ვიმეორებთ, რუსეთის სახელმწიფო, თავიდან ბოლომდე,

სლავთა სახელმწიფოა, სადაც გარკვეული პირობების ვითარებაში ვარიაციც შეიძლებოდა დაქირავებული ყოფილიყო, პაჭანიკიცა და ყივჩაღიც. სწორედ ისე, როგორც ეს ბიზანტიაში, საქართველოში და ევროპის სახელმწიფოებში VIII-XIII ს.ს. ხდებოდა.

აქვე გვინდა შევეხოთ სლავების სახელმწიფოებრივ გაერთიანებასაც. როგორც ცნობილია, ძველი რუსეთის სახელმწიფოებრივი გაერთიანება ჩრდილოეთიდან დაიწყო. რიურიკთა დინასტიის ფუძემდებლის, რიურიკს, პირველ რიგში, ჩრდილოეთით მობინადრე სლავური ტომების ციხე-ქალაქებში ჩაუყენებია გარნიზონები „თავისი კაცების“ ხელმძღვანელობით და ამ გზით თავისი დინასტია რუსეთის ჩრდილო ნაწილში გაუბატონებია. ახალ დინასტიას სატახტო ქალაქად ნოვგოროდი აურჩევია. ეს არჩევანი ნოვგოროდის სამდინარო გზის სისტემაზე მდებარეობამ განაპირობა. მათიანიდან ჩანს, რომ ნოვგოროდში მჯდომ მთავარს, თავდაპირველად, პოლოცკი, როსტოვი, ბელოოზერო და მურომი ექვემდებარებოდა. მის ხელქვეით მყოფ ორ ბოიარს ასკოლდს და დირს მდ.დნეპრის გასწვრივ მდებარე პოლიანების ტომის ქვეყანა დაუმორჩილებია. ისინი კიევი გაბატონებულან, მაგრამ ნოვგოროდის მთავარს აღარ დამორჩილებიან.

მემატიაანე არაფერს გვაუწყებს რა გააკეთა ნოვგოროდის მთავარმა თავის სამფლობელოში, ციხე-სიმაგრეების ხელში ჩაგდების გარდა. რიურიკის გარდაცვალებას მემატიაანე 879 წლით ათარილებს. რიურიკს მცირეწლოვანი ვაჟიშვილი – იგორი დარჩენია და მას თანამმართველად თავისი სახლიკაცი ოლეგი დაუნუშნავს. ოლეგი, მათიანის ცნობით, თავდაპირველად, მართლაც, თანამმართველად ჩანს და გარდაცვალებამდე სახელმწიფოს განაგებს, არ არის გამორიცხული, უზურპაციის გზით.

ოლეგის რეზიდენცია სამი წლის განმავლობაში ისევ ნოვგოროდში იყო. ამ ხნის მანძილზე მან სმოლემსკი და ლიუბეჩე დაიმორჩილა. ამ ციხეებში თავისი გარნიზონი ჩააყენა და შემდგომ კიევისკენ გაილაშქრა. ამ ლაშქრობის დროს ოლეგს პატარა იგორიც თან ახლდა: როდესაც ოლეგი კიევის მალლობებს მიახლოებია, ლაშქარი ჩაუსაფრებია, ხოლო თავი, იგორის დავალებით, საბერძნეთში მიმავალ ვაჭრად გამოუცხადებია. როცა კიევის მფლობელნი ასკოლდი და დირი მათ მიერ მოტიანილი საქონლის სანახავად მივიდნენ, ოლეგის მიერ ჩასაფრებული რაზმელები გამოცვივდნენ და ალყაში მოქცეულ ასკოლდს და დირს განუცხადეს, რომ მათ მმართველობის უფლება არ ჰქონდათ, რადგან მთავრების მოდგმისანი არ

იყვნენ. ასკოლდი და დირი მოკლეს, ხოლო კიევი ნოვგოროდელი მთავრების კუთვნილებად გამოაცხადეს. აღნიშნული ფაქტი, მემატინის სიტყვებით, მიენერება 882წ.

ნოვგოროდიდან კიევში დიდი მთავრის ტახტის გადმოტანას რუსეთის სახელმწიფოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ აქტმა ძველი კიევის რუსეთის სახელმწიფოს საზღვრები იმთავითვე შემოსაზღვრა. სლავური ტომების და მათი ტერიტორიების ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანების პროგრამა ოლეგის სიტყვებშია მოცემული. მდინარეთა სისტემის გზაჯვარედინზე მყოფი კიევი, შესანიშნავად წვდებოდა როგორც ჩრდილოეთსა და სამხრეთს (ბალტიის, აზოვის და შავ ზღვებს), ისე დასავლეთსა და აღმოსავლეთით (პრიპიატი და დესნა) დასახლებულ ადგილებს. კიევი თავისი მდებარეობით სლავური ტომებით დასახლებული აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი გახდა.

ოლეგიდან მოკიდებული, სლავთა გაერთიანებულ სახელმწიფოში, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო ეწოდებოდა, უზენაეს ხელისუფლად დიდი მთავარი ითვლებოდა. კიევში მჯდომი დიდი მთავრის უფლება IX საუკუნიდან XII საუკუნის პირველ მეოთხე-დამდე, უზარმაზარ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა: ჩრდილოეთით ლადოგის და ონეგის ტბებიდან – სამხრეთით შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებამდე, დასავლეთით კარასტის მთების კალთებიდან-აღმოსავლეთით ვოლგამდე.

წესით და ტრადიციულად, მთავრის ოჯახში ძალაუფლება მემკვიდრეობის პრინციპით მამიდან შვილზე გადადიოდა. უფროსი შვილი სხვა შვილზე მეტი უფლებით სარგებლობდა და, დიდი მთავრის გარდაცვალების შემთხვევაში, ტახტიც უფროს ვაჟიშვილს რჩებოდა.

კიევის რუსეთის სახელმწიფოში დიდ მთავარს სხვა წვრილი მთავრები ექვემდებარებოდნენ. წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ რუსეთის სახელმწიფოში შემავალ ამა თუ იმ სლავურ ტომს თავისი ადგილობრივი, არა რიურიკთა დინასტიის წარმომადგენელი, მთავარი ჰყავდა და ადგილზე ეს მთავრები განაგებდნენ. ასე რომ კიევში მჯდომი დიდი მთავარი მათ საშინაო საქმეებში, თავდაპირველად, არ ერეოდა, გარდა საგარეო ურთიერთობისა. რუსეთის დიდი მთავრების მიერ ბიზანტიის სახელმწიფოსთან დადებულ ხელშეკრულებაში კარგად ჩანს, რომ კიევში მჯდომი დიდი მთავარი, საერთო სახელმწიფოებრივი საკითხების გადანყვევტისას, მთავრებთან და ბოიარებთან თათბირობდა და მათი სახელით გამოდიოდა უცხო სახელმწიფოსთან მოლაპარაკების დროს.

ბიზანტიასთან დადებულ ხელშეკრულებაში, ერთგან, აღნიშნულია, რომ რუსეთიდან კონსტანტინოპოლში გაგზავნილი დელეგაცია „უფლებამოსილია რუსეთის დიდი მთავრის ოლეგისაგან და ყველა მის ხელქვეით მყოფი ბრწყინვალე და დიდი მთავრებისაგან და მისივე დიდი ბოიარებისაგან“. როგორც ვხედავთ, კიეველი დიდი მთავრები მნიშვნელოვან საგარეო საკითხებს მთავრებთან და ბოიარებთან განიხილავდნენ. საბუთის იურიდიულად გასაფორმებლად დიდი მთავრის ხელქვეით მყოფი მთავრების და ბოიარების მოხსენიება საჭირო იყო.

მატიანეში დაცული ცნობიდან ჩანს, რომ როცა ვლადიმერ სვიატოსლავის ძე სახელმწიფოსთვის ქრისტიანული სარწმუნოების სავალდებულო რელიგიად გამოცხადების საკითხს წყვეტდა, მაშინ ბოიარებთან და „ქალაქის უხუცესებთან“ თათბირობდა და რელიგიის შეცვლის საკითხი მათთან შეთანხმების შედეგად გადანყდა. მემატინეს არ შეეძლო დიდი მთავრის ბოიარებთან და ქალაქის უხუცესებთან თათბირის არარსებული წესი გამოეგონებინა. ამდენად, ამ შემთხვევაში, მემატინის ცნობა სარწმუნოა.

დიდი მთავრის მიერ დადგენილი თანამდებობის პირების უფლებები სხვადასხვა ქალაქებში თანდათან, მაგრამ თვალსაჩინოდ იცვლებოდა ქალაქებისა და ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატის გაძლიერებასთან დაკავშირებით. XI საუკუნისთვის ნოვგოროდში, პოლოცკში, ჩერნიგოვში და სხვა ქალაქებში ჩვეულებრივ მოვლენად ჩანს კიევის დიდი მთავრებისაგან დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება.

XI საუკუნისთვის კიევის რუსეთში დაიხვეწა შეიარაღებული ძალების რაოდენობაცა და წყობაც. მართალია, დიდი მთავრის დრუჟინა დარჩა, დარჩა ბოიარების დრუჟინაც, მაგრამ გაჩნდა სხვა ლაშქარიც, სახელმწიფო სამხედრო ბეგარის წესით გამოსული „ვოი“.

სახელმწიფოს მიერ გამოძახებულ ლაშქარში ბოიართა დრუჟინები ცალკეულ რაზმებს ქმნიდნენ. ისინი მთავრის დრუჟინას არ ერეოდნენ და მისგან დამოუკიდებელ რაზმებად იდგნენ, მაგრამ ომის დროს, რა თქმა უნდა, მთავარსარდლობას ექვემდებარებოდნენ და მისი ბრძანების შესაბამისად მოქმედებდნენ.

მთავრის და ბოიარის დრუჟინები რამდენიმე ათასი კაცისგან შედგებოდნენ. ასეთი ძალა კი საკმარისი იყო სახელმწიფოში შინაგანი წესრიგისა და რეჟიმის დასაცავად. მთავრების დრუჟინები კიევის რუსეთის სახელმწიფოს კლასობრივი საყრდენი იყო.

კიევის რუსეთის პოლიტიკურ წყობილებაზე რომ სრული წარმოდგენა გვექონდეს, საჭიროა, „ვეჩეს“ საკითხსაც შევხვით. სიტყვა „ვეჩე“ მომდინარეობს სიტყვიდან „ვეშჩატ“, რაც მოლაპარაკებას, ამბის შეტყობინებას ნიშნავს. ტერმინი „ვეჩე“ კი სახალხო ყრილობას და თათბირს ნიშნავს. VI საუკუნის ავტორი პროკოპი კესარელი თავის თხზულებაში, სადაც სლავების შესახებაც წერს, ერთგან აღნიშნავს: „სლავებსა და ანტებს მართავს არა ერთი პიროვნება, არამედ, უძველესი დროიდან, ისინი დემოკრატიული მმართველობით ცხოვრობენ და ყველა საქმეს საერთო კრებით წყვეტენ“. ეს ძველი საზოგადოების „ვეჩე“ უნდა იყოს, რომელიც გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობს. მაგრამ

IX-XI საუკუნეთა „ვეჩე“ სრულიად არ წარმოადგენს VI საუკუნის „ვეჩე“-ს თავისი შინაარსითა და ფუნქციებით. IX-XI საუკუნეებში ჩვენ რუსულ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, - მთავრის სახელმწიფო მართვა-გამგებლობის სისტემით. წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ „ვეჩე“ როგორც მუდმივმოქმედი ორგანო, არ არსებობს დიდი მთავრის გვერდით. დიდი მთავარი თათბირობს არა სახალხო კრებასთან, არამედ თავისი დრუჟინის წევრებთან და ისიც „უფროს“ დრუჟინასთან“. „ვეჩეს“ შეკრება თუ მომხდარა კიევში, მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში, როცა ქალაქში დიდი მთავარი არ იმყოფებოდა და ქალაქს მტერი შემოსეოდა. XI საუკუნის მეორე ნახევრიდან „ვეჩე“ მოქმედებს და გამოცოცხლებას იწყებს ქალაქებში, როცა ძველი რუსეთის ცალკეული ნაწილი გაიზარდა და ცენტრისგან ჩამოცილების ტენდენცია დაეტყო. „ვეჩეს“ საქმიანობა დიდხანს მოჩანს კიევის სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთის მხარეში-ნოვგოროდში, ფსკოვსა და პოლოცკში, სადაც ფეოდალებმა და ვაჭრებმა მთავრის ძალაუფლება შეზღუდეს, ფაქტიურად ხელისუფლება ხელთ იგდეს, მაგრამ სახალხო ყრილობა („ვეჩე“) ვერ მოსპეს. სამაგიეროდ ეს ინსტიტუტი თავისი ინტერესების დაცვის იარაღად აქციეს.

რიურკითა დინასტიის ფუძემდებლების პირველი საზრუნავი სლავთა გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნა იყო. ამ მიმართულებით დიდი დამსახურება ოლეგს მიუძღვის. მაგრამ, ერთ სახელმწიფოში სლავთა ტომების გამაერთიანებელი დუღაბი, თითქმის, ყოველწლიურად გასაახლებელი ყოფილა, როგორც მატიანიდან ჩანს, ძველი რუსეთის სახელმწიფოში შემავალ არც ერთ სლავური ტომის მთავარს კიევის დიდი მთავრის მორჩილებაში ყოფნა არ სურდა. მატიანეში აღნიშნულია, რომ ოლეგის გარდაცვალებისთანავე „დრევიანები იგორისგან ჩაიკეტნენ (გა-

ნუდგნენ იგორს)“. იგორიც ტახტზე ასვლის მეორე წელს დასხმია თავს დრევიანებს, დაუმარცხებია ისინი და წინათ დაწესებული ხარკის რაოდენობა გაუდიდებია.

როგორც მემატიანის ცნობებიდან ჩანს, დრევიანები ცენტრალური ხელისუფლებისთვის მუდმივ მტკივნეული საზრუნავს წარმოადგენდნენ; პოლიტიკურ ბატალიებს დიდი მთავრის იგორის სიცოცხლეც კი შეეწინა.

დრევიანები კიევის მორჩილებიდან გამოვიდნენ და დიდი მთავრის ოჯახის (ცოლ-შვილი) თავის ქვეყანაში წაყვანა მოინდომეს. მატიანის ცნობით, იგორის მეუღლეს ოლგას წინადადება მისცეს, დრევიანების მთავარს-მალს გაჰყოლოდა ცოლად, ხოლო, რაც შეეხება მცირეწლოვან სვიატოსლავს-მისი ლიკვიდაცია ჰქონდათ დაგეგმილი.

დიდი მთავრის კარზე მყოფმა მმართველმა წრეებმა და ოლგამ დრევიანების კვლავ დამორჩილება დაადგინეს. ამ მიმართულებით კიევის დიდი მთავარი საგანგებო ღონისძიებებს ატარებს დრევიანების ქვეყანაში, მათ შორის აღსანიშნავია საგადასახადო საქმის ერთგვარი რეფორმა. ამით, თითქოს დრევიანების შემომტკიცება დამთავრდა, მაგრამ ოლგას და მის მმართველ წრეს სახელმწიფოს მთლიანობის უზრუნველსაყოფად სარწმუნოების შეცვლა დაუსახავს საჭიროდ. სლავთა წარმართული სარწმუნოება თავისი მრავალრიცხოვანი წარმართული პანთეონით მაშინდელი რუსეთის სახელმწიფოსთვის სრულიად გამოუსადეგარი და მიუღებელი აღმოჩნდა, მაგრამ ახალი რელიგიის მიღების პრობლემა ოლგამ სახელმწიფოს მასშტაბით ვერ გადაწყვიტა. ასევე გადაუწყვეტელი დარჩა რუსეთის სახელმწიფოში შემავალი სლავური ტომების ადგილობრივი მთავრების შეცვლის საკითხიც. ადგილობრივი დინასტიის მთავრების შეცვლა მხოლოდ ვლადიმერ სვიატოსლავის ძემ მოახერხა. ჩვენ არ ვიცით, უმტკივნეულოდ ჩაატარა თუ არა ვლადიმერმა ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი, მაგრამ საკუთარი შვილები რომ გაგზავნა ადგილობრივი, „ბრწყინვალე დიდი მთავრების“ ქალაქებში და ისინი განაგებდნენ სამთავროებს, როგორც პროვინციებს, გარდა ვიატიჩების ქვეყნისა, ეს სადაო არ არის. ვლადიმერ სვიატოსლავის ძეს ეგონა, სახელმწიფოს მთლიანობის შესანარჩუნებლად საკუთარი შვილები უფრო გამოადგებოდა ძველი მთავრების ნაცვლად, მაგრამ სწორედ მისმა საყვარელმა შვილმა, იაროსლავმა, ითავა ნოვგოროდის კიევში მჯდომი დიდი მთავრის ბატონებისგან გათავისუფლება და ის იყო მამ-შვილს შორის ომი უნდა დაწყებულიყო, რომ დიდ მთავარს, ვლადიმერს, სიკვდილმა მოუსწრო.

## II თავი. სლავების წარმართული რელიგია

როგორც ცნობილია, სლავებში იგულისხმება ენათა ნათესაობით და წარმომავლობით გაერთიანებული ხალხები. მათი უძველესი საცხოვრებელი ადგილი იყო ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში. სლავები, როგორც წინა პარაგრაფში ავლნიშნეთ, უდიდეს ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებული, რამაც ცალკეულ დაჯგუფებათა წარმოქმნა გამოიწვია I ათასწლეულის III მეოთხედში აღმოცენდა სამი დაჯგუფება: დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის სლავების, რის შედეგადაც შეიქმნა ბულგართა სამეფო, დიდი მორავის სახელმწიფო, კიევის რუსეთი; ამავე პერიოდში ჩამოყალიბდნენ: პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, სერბები და ხორვატები. უფრო მოგვიანებით, დაახლოებით XIV-ში წარმოიქმნა სამი დიდი ეთნოგრაფიული ერთობა: რუსების, უკრაინელების და ბელორუსების სახით.

სლავების რელიგიით დაინტერესება გამოიწვია მათი შთამომავლების ეროვნული თვითშეგნების წყურვილმა, რომელიც განსაკუთრებით გამძაფრდა XVIII საუკუნეში. ამ დროისათვის ყველა სლავური სახელმწიფო ქრისტიანიზებული იყო და ძალზე ბევრი ჩვეულება და რიტუალი, რომელთაც შეეძლოთ სინათლე შეეტანათ სლავების წარმართული რელიგიის შესწავლაში, დავინწყებას მისცემოდა. მიუხედავად ამისა, მეცნიერებამ, რომელიც სწავლობს სლავთა ყოფასა და კულტურას შეისწავლის სლავიანისტიკა ეწოდება, რომელმაც გარკვეული სიცხადე შეიტანა მათ უძველეს რელიგიურ შეხედულებათა გამორკვევის საქმეში.

ცნობილია, რომ ძველი სლავები პოლიტიკურად არასოდეს გაერთიანებულან. აქედან გამომდინარე, მათ არც უნდა ჰყოლოდათ, და არც ჰყოლიათ, ერთი საერთო ღმერთი. სლავები ისევე, როგორც პირველყოფილი საზოგადოების საფეხურზე მყოფი ხალხები, თავიანთს მიაგებდნენ თავიანთ სატომო და საგვარეულო ღვთაებებს. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სახის გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მათთან გავრცელებული იყო მიცვალებულის კულტი, რისი საუკეთესო გამოვლინებაა დასაფლავების ყორღანული წესი. ზოგიერთ შემთხვევაში იგი სრულდებოდა კრემაციის თანხლებით, რასაც განსაკუთრებული ზეიმით ატარებდნენ თავიანთი ტომის ბელადის დასაფლავებისას. ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა არაბი ავტორის იბნ ფადლანის კიევის რუსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი,

რომელიც ჩანერილია მისი ამ ქვეყანაში მოგზაურობის დროს (921-922წ.წ.). იბნ ფადლანი აცხადებს, რომ ყურმოკვრით გაუგია ადამიანის დაწვის ჩვეულების შესახებ და აი, შემთხვევა მისცემია, საკუთარი თვალთ ეხილა ეს სანახაობა-რიტუალი.

მათ მოუკვდათ ერთი გამოჩენილი ადამიანი, - გვიყვება იგი-რომელიც ჩაანვიწეს სამარაში, თან ჩაატანეს ხილი, სასმელი, ბალაღიკა. საფლავი დახურეს, მიაყარეს მიწა და ისე დატოვეს ათი დღის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე მიცვალებულს უკერავდნენ ტანსაცმელს, ყოველმხრივ ემზადებოდნენ გასაპატიოსნებლად და მიირთმევდნენ სასმელს, რომელიც შეეძინათ მიცვალებულის ქონების ხარჯზე. რიტუალის თავკაცების უმთავრესი მოვალეობაა, ამ ხნის განმავლობაში შეარჩიონ მიცვალებულის სახლეულისგან ერთი კარგი გოგონა, რომელიც უნდა შესწირონ მას. შესაფერისს კანდიდატს შეარჩევენ თუ არა, მას მაშინვე მიუჩენენ ზედამხედველსა და „მომვლელს“. მომვლელის ძირითადი მოვალეობაა რაც შეიძლება ბევრი სასმელი ასვას მას, რათა გადასატანი განსაცდელის სიმძიმე დაავინწყებინოს. გოგონა, თავის მხრივ, ხარბად ეტანება მათრობელა სითხეს, წრეგადასულად ხარხარობს და მხიარულობს.

და, აი, დგება კრემაციის დღე. უკვე მომზადებულია ნავი (გობი), სადაც უნდა ჩაანვიწიონ მიცვალებული. ნავი გამაგრებულია ხელნებით და გარშემო ხის კერპები აქვს შემოწყობილი. რიტუალი კულმინაციას აღწევს, გარშემო არის სმა, ყაყანი, ღრიანცელი.

მოთავეები, პროცესის თანხლებით, საფლავისკენ გაემართებიან, ამოთხრიან მიცვალებულს, შემოსავენ ახალი ტანსაცმელით, მიიტანენ და ჩაანვიწენ ნავში, შიგნით ჩაუნვიწენ შუაზე გაჭრილი ძაღლის ნახევარს, აჩეხილი ცხენის ხორცს, ქათმის მამლებსა და ქოთნით საგზალს. ამის შემდგომ გამოიყვანენ ზვარაკს, რომელიც ხელში აყვანილი მოჰყავს რამდენიმე კაცს საგანგებოდ გაკეთებული ფარდულისაკენ, სადაც მიცვალებულია დასვენებული. ქალი თვალებს მიაპყრობს ფარდულს და ამბობს: „აი, ვხედავ ჩემს დედას და ჩემს მამას“. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მას ძირს დაუშვებენ, ცოტას გაივლიან და კვლავ აიტაცებენ ხელში, გოგონა ამჯერად ამბობს: „აი, ვხედავ ყველა გარდაცვლილ მშობელს, ნათესავებს, ვხედავ ჩემს ბატონს, ზის მშვენიერ ბაღში, მასთან იმყოფება მისი დრუჟინა და ყმანვილები, ბატონი მეძახის, წამიყვანეთ მასთან“. გოგონა ხელიდან იხსნის სამაჯურებს და აძლევს მოხუცებულ ქალს, რომელიც ისევ აძალებს სასმელს. გოგონა სვამს და თანდათან უახლოვდება ფარდულს, სადაც მისი ბატონია მოთავსებული.

როდესაც კარავში შეჰყავდათ, გოგონა გაჯიუტდა, - აღნიშნავს ფადლანი, -სახე შეეცვალა, გაფითრდა და აკანკალდა, უკვე აღარ სურდა იქ შესვლა, მაგრამ რიტუალის აღმასრულებელმა (ქურუმებმა) ძალით გაიგდეს წინ, ხოლო ფარებით შეიარაღებულმა მებრძოლებმა ბაკაბუკი აუტეხეს ფარებს, რათა მისი ყვირილი ამ ხმაურით ჩაეხშოთ, გოგონა სწრაფად მოუნვინეს ბატონს, ხელ-ფეხი გაუკრეს. მოხუცმა ქალმა ყელზე თოკი წაუჭირა და გაგუდა.

შემდეგ მოიტანეს შეშა, შემოუნყვეს გარშემო, მიუნთეს ცეცხლი და მთელი ფარდული და გობი თავის ბატონიან-მსახურიანად დაიბუგა. ამ რიტუალის შემსწრე იბნ ფადლანისათვის თავისი ჩვეულებებით აღფრთოვანებული ერთ რუსს მიუმართავს: „თქვენ, არაბები, სულელი ხალხი ხართ, პატივსაცემ კაცს ჩააგდებთ მიწაში, სადაც მას მატლები შეჭამენ, ჩვენ კი დანვით უცბად შეგვყავს სამოთხეში“. იბნ-ფადლანის მიერ აღწერილი ეს ჩვეულება ძალზე საგულისხმოა იმის ნათელსაყოფად, თუ რა შეხედულებანი ჰქონდათ მათე საუკუნეში რუსთა წინაპრებს ადამიანის სულის სამოთხეში მოხვედრასთან დაკავშირებით და რა საშუალებებს მიმართავენ ამის მისაღწევად.

როგორც ავღნიშნეთ, სლავებში ფართოდ იყო გავრცელებული მიცვალებულის საფლავზე ყორღანების აღმართვა, ხოლო დასაკრძალავ კამერაში სამარხი ინვენტარის დაფიქსირება კიდევ ერთხელ ადასტურებს არაბი ავტორის ზემოთ მოტანილ ცნობას. საყურადღებოა, რომ საერთო სლავური სიტყვა სამოთხე («Рай») აღნიშნავს აყვავებულ ბაღს, რაც საიქიოს ცნებასთან უნდა იყოს გაიგივებული.

მიცვალებულთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული რწმენები გვიანობამდე შემორჩა სლავთა რელიგიურსა და ეთნოგრაფიულ ყოფას. როგორც შესაბამისი სახის მასალებიდან ირკვევა, სლავების შეხედულებით, მიცვალებულები ორ კატეგორიად იყოფოდნენ: ერთნი წმინდა რიგისა-ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილნი, რომელთაც უწოდებდნენ „რადიტელებს“ და „ძიადებს“ და მეორენი უწმიდურნი, ანუ არაბუნებრივი გზით გარდაცვლილნი, ე.წ. „მერტვიაკები“-დამღრჩვალნი, თვითმკვლელნი, ჯადოქრები მისთანნი. ასეთი ხარისხობრივი დაყოფა თავს იჩენდა ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ „რადიტელებს“ პატივს მიაგებდნენ, მიიჩნევდნენ ოჯახის მფარველ სულად, ხოლო „მერტვიაკების“ ეშინოდათ, ლოცულობდნენ მათგან უვნებლად გადარჩენისათვის. რადიტელებისა და ძიადების დღეობა-

ნი წელიწადში რამდენჯერმე იმართებოდა. დღესასწაულისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ: ასუფთავებდნენ ბინას, ამზადებდნენ საკურთხს და პატიუბდნენ სულებს სუფრასთან.

საოჯახო-საგვარეულო კულტის გამოძახილია აგრეთვე რწმენა ე.წ. „დომოვოის“ შესახებ, რაც ფუძის ანგელოზის მსგავსი მითური პერსონაჟია, რომელიც ყველა ოჯახშია და ცხოვრობს ზღურბლთან, ან ღუმელის თავზე. იგი განსაკუთრებით მფარველობს მუყაითსა და გამრჯე პატრონს და შესაბამისად სჯის უქნარებსა და უგერგილოებს.

სლავთა ზოგიერთ ეთნიკურ ჯგუფს განსაკუთრებით მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდა უწმინდურ მიცვალებულებთან. მათი რწმენა ადასტურებს, რომ ამ უკანასკნელთა სულის კი არა, თავად მათი მოსვლისა ეშინოდათ და ეს რომ არ მომხდარიყო, ყველა ფიზიკურ ასოს უმსხვრევდნენ, რათა მათთვის სააქაოზე მობრუნების უნარი მოესპოთ. უწმინდურ მკვდრებს უკავშირებდნენ გვალვის ხანგრძლივობასაც და წვიმის გამოწვევის მიზნით თხრიდნენ საფლავიდან და ჭაობში აგდებდნენ.

საოჯახო-საგვარეულო კულტების გარდა, სლავებთან დასტურდება სათემო კულტებიც, რომელნიც ძირითადად წარმოშობილნი იყვნენ აგრარულ პროცესებთან დაკავშირებით. სამინათმოქმედო ურთიერთობის ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო, მაგალითად, მზის ღვთაების სკაროგისადმი თაყვანისცემის ტრადიცია, ამავე სახისაა ღვთაება დაჟდბოგი, ხორსი და ქუხილის ღმერთი პერუნიც. რუსულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბოლო დრომდე შემორჩა მაკოშასადმი თაყვანისცემის რიტუალი. საყურადღებოა, რომ მთელ აღმოსავლეთ სლავურ პანთეონში-ესაა ერთადერთი ღვთაება, რომელიც დედაკაცური ნიშნისაა. მაკოშა ქალური საქმიანობის ღვთაებაა, და განსაკუთრებით მფარველობს მრთველებსა და მქსოველებს.

რუსულ ისტორიოგრაფიაში ხშირად წამოუჭრიათ საკითხი იმის შესახებ, არსებობდნენ თუ არა საერთო სლავური ღმერთები. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი თითქმის დადებითად იყო გადაჭრილი სრრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოში და, ბუნებრივია, რომ ამ გაერთიანების მოთავედ რუსთა უშუალო წინაპრები იყვნენ დასახელებულნი. ეს იყო საბჭოური მეცნიერების კიდევ ერთი ყალბი ცნების- „ეთნიკური ინტეგრაციის“- აპოლოგიისათვის მომზადებული საფუძველი, რაც გულისხმობდა რუსების, როგორც მაღალგანვითარებული ეთნოსის, წინ წამოწევას. ეთნიკური ინტეგრაცია,



როგორც სოციალისტური საზოგადოების გარდუვალი მოვლენა, საბჭოთა ადამიანის ჩმოყალიბების ფაზა იყო. სამეურნეო-კულტურული და ეკონომიკური ბერკეტების ერთი „მაღალგანვითარებული ერის“ ხელში თავმოყრის შემდგომ ხალხთა შორის თანდათან ნაიშლებოდა ეროვნული განსხვავებანი, ჩამოყალიბდებოდა ერთი ინტერესის მქონე საზოგადოება, რომელიც ხალხით დაივინყებდა თავის ისტორიას, მომავალზე სავსებით არ იზრუნებდა, რადგან მას სათავეში ეყოლებოდა „დიდი რუსი ხალხი“, რომელიც თავის თავზე აიგებდა ისტორიის სადავეებს. ასეთი პირველობის აღიარებისთვის მას ბევრი რამ სჭირდებოდა, განსაკუთრებით კი სახელოვანი წარსული, რომელიც დაადასტურებდა, რომ ასეთი მისიისთვის იგი ადრევე იყო გამორჩეული.

საგულისხმოა, რომ ცნობილი მეცნიერი ტოკარევი ეჭვის თვალთ უყურებდა საერთო სლავური ღვთაებების არსებობას (მითუმეტეს რუსული ეთნიკური ერთობის რაიმე პრიორიტეტს). „ბევრმა ავტორმა, - აღნიშნავს იგი, თავისს რომანტიკულ-სლავოფილური გატაცების კვალობაზე, კინაღამ ყველა მითოლოგიური პერსონაჟი, მათ შორის უკიდურესად საეჭვონიც, საერთო სლავურ ღმერთებად გამოაცხადა. შემდგომში გამოირკვა, რომ ღვთაებათა ერთ ნაწილს ეთაყვანებოდნენ აღმოსავლეთ სლავები, მეორეს-დასავლელები და მესამეს-სამხრეთელები.

საერთო სლავურ ღმერთებად მიიჩნევენ სვაროგსა და დაჟდბოგს, ზოგჯერ ველესსაც, მაგრამ ეს შეხედულება სარწმუნო არაა“.

ამდენად, საერთო სლავურ ღვთაებათა შესახებ და, მითუმეტეს, რუსთა უშუალო წინაპრების რაიმე პრიორიტეტზე მსჯელობა ამ საკითხის გარშემო არამეცნიერულია.

სლავთა რელიგიაში დიდი ადგილი ეჭირა სატომო ღვთაებისადმი პატივისცემას. ყველა ტომს ჰყავდა თავისი ღვთაება, რომლთაგან ზოგიერთი, ტომთა ურთიერთობის, მათი შეერთების კვალობაზე, საერთო ტომობრივ ნიშანსაც ატარებდა: ასეთები იყვნენ, მაგალითად, სვიატოვიტი, რადოგოსტი, ტრიგლავი, იაროვიტი, ქალღმერთი სივა და სხვ.

კლასობრივი საზოგადოების აღმოცენების კვალობაზე ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირობებში, როდესაც დღის წესრიგში დადგა ერთიან ღვთაებათა პანთეონის შექმნის აუცილებლობა, რუსეთის მთავარი ვლადიმირი შეეცადა ამის გაკეთებას, მაგრამ უშედეგოდ, ეს იყო მხოლოდ მცდელობა. ვლადი-

მირს სურდა შეექმნა ოფიციალურ ღვთაებათა პანთეონი, რაც მას თავისი მიწა-წყლის იდეოლოგიური და პოლიტიკური ერთიანობისთვის ესაჭიროებოდა, მაგრამ ვერ შეძლო ამის განხორციელება, ვერ აისრულა ნადილი და ამ ამბიდან 8 წლის შემდგომ გადაწყვიტა, ბიზანტიის მემკვიდრით, მიეღო ქრისტიანული სარწმუნოება. ეს მოხდა X საუკუნის ბოლოს.

სლავთა რელიგიურმა წარმოდგენებმა თავი შემოინახეს მოსახლეობის დაბალი ფენების მითოლოგიაში, სადაც გამოკვეთილი ადგილი უჭირავთ წყლისა და ტყის ბოროტ სულებს, რომლებიც ადამინებს დალუპვით ემუქრებიან. რუსების, ჩეხების, პოლონელების მითოლოგია ადასტურებს სულის არსებობას ე. წ. „პოლუდნიცას“ სახით, რომელიც წარმოდგენილი ჰყავთ როგორც თეთრებით მოსილი ქალი. იგი კრძალავს შუადლით მუშაობას და ვინც კი ამ წესს დაარღვევს დალუპვით ემუქრება. არსებობს მათი მსგავსი სხვა სულებიც, რომლებსაც ვილებად მოიხსენიებდნენ, ესენი იყვნენ ქალწულის სახით წარმოდგენილი ძალები, რომელნიც, თავიანთი მოქმედების შესაბამისად, კეთილად ან ბოროტად ეპყრობიან ადამიანებს.

სლავური წარმომავლის თითქმის ყველა ხალხთან ფიქსირდება ქართული ალის სახის პერსონაჟი, ე.წ. „რუსალკა“, რომელიც დაკავშირებულია წყალთან და არა თუ იშვიათად წყლის მემკვიდრით ღუპავს ადამიანებს. სლავებთან ასევე დასტურდება გათვალული და ჯადოთი შეკრული ადამიანების განკურნების პრაქტიკა ექიმბაშებისა და ჯადოქრების მიერ, რომელიც ვერ მოშალა ქრისტიანული რელიგიის შემოღებამ.

ვინაიდან სლავთა უძველეს რელიგიას არ მიუღწევია თავისი განვითარების მაღალი ფორმისთვის, კულტმსახურების პრაქტიკა და მისი იერარქიული ხასიათი საკმაოდ ჩამოყალიბებულია. საფიქრებელია, რომ საოჯახო-საგვარეულო კულტებისადმი თაყვანისცემა ხორციელდებოდა ოჯახისა და გვარის მეთაურების უშუალო ხელმძღვანელობით. საზოგადოებრივი კულტის მსახურება კი უნდა ყოფილიყო პროფესიონალი მისნების ხელში, რომელთაც უფრო ჯადოქართა პრიორიტეტი ჰქონდათ. ბუნდოვანია თაყვანისცემის კულტი, მაგრამ მის მიმართ მსხვერპლშენიშვნის ფაქტი დასტურდება როგორც ცხოველების ასევე ადამიანების სახით. მაგალითად, რუსული მემატინის ცნობით, ვლადიმირის ერთი სახელოვანი ბრძოლის აღსანიშნავად კიევში რომელიღაც ღვთაებას ადამიანის თავი მიართვეს ზვარაკად (Xს.).

გამოჩენილ სწავლულს ვ. ანიჩკოვს მიაჩნდა, რომ სლავთა რელიგიებიდან ყველზე უფრო უბადრუკია რუსული წარმართობა, რომლის ღვთაებები ერთობ ბეჩავნი არიან, ხოლო კულტი და მასთან დაკავშირებული ჩვეულებანი უხეში. თავისთავად ეს ფაქტი მიუთითებს, რომ სლავთა ძველი რელიგია, და მითუმეტეს რუსების, ვერ ამალდა მსოფლიოს ძველი რელიგიების დონეზე და ვერ მოიპოვა ჩამოყალიბებული სახე, თუმცა ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ასეთი პრიმიტიული წარმოდგენები საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ისინი არსებობდნენ ქრისტიანობასთან ერთად, განსაკუთრებით მოსახლეობის დაბალ ფენებში.

### III თავი. კიევის რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკური წყობილება (საშინაო და გარე ფაქტორი)

ძველი რუსეთის სახელმწიფოებრივი განვითარება ჩრდილოეთიდან დაიწყო. რიურიკთა დინასტიის ფუძემდებელს, რიურიკს, პირველ რიგში, ჩრდილოეთით მობინადრე სლავური ტომების ციხე-ქალაქებში ჩაუყენებია გარნიზონები თავისი „კაცების“ ხელმძღვანელობით და, ამ გზით, თავისი დინასტია რუსეთის ჩრდილო ნაწილში გაუბატონებია. ახალ დინასტიას სატახტო ქალაქად ნოვგოროდი აურჩევია - ეს არჩევანი ნოვგოროდის სამდინარო გზის სისტემაზე მდებარეობამ განაპირობა. მათიანედან ჩანს, რომ ნოვგოროდში მჯდომ მთავარს თავდაპირველად პოლოცკი, როსტოვი, ბელოოზერო და მურომი ექვემდებარებოდა. მის ხელქვეით მყოფ ორ ბოიარს, ასკოლდს და დირს მდ. დნეპრის გასწვრივ მდებარე პოლინების ტომის ქვეყანა დაუმორჩილებია. ისინი კიევში გაბატონებულან, მაგრამ ნოვგოროდის მთავარს აღარ დამორჩილებიან.

მემათიანე არაფერს გვაუწყებს, რა გააკეთა ნოვგოროდის მთავარმა თავის სამფლობელოში, ციხე-სიმაგრეების ხელში ჩაგდების გარდა. რიურიკის გარდაცვალებას მემათიანე 879 წლით ათარიღებს. რიურიკს მცირეწლოვანი ვაჟიშვილი, იგორი, დარჩენია და მის თანამართველად მისი სახლიკაცი, ოლეგი, დაუნიშნავს. ოლეგი, მათიანის ცნობით, თავდაპირველად, მართლაც, თანამმართველია და იგორის სახელით მოქმედებს, მაგრამ შემდეგ იგი დიდ მთავრად ჩანს და გარდაცვალებამდე სახელმწიფოს განაგებს, შესაძლებელია ხელისუფლების უზურპაციის გზით. ოლეგის რეზიდენცია 3 წლის განმავლობაში ისევ ნოვგოროდში იყო. ამ ხნის მანძილზე მან სმოლენსკი და ლიუბეჩე დაიმორჩილა, ამ ციხეებში თავისი გარნიზონი ჩააყენა და შემდეგ კიევისკენ გაილაშქრა. ამ ლაშქრობის დროს ოლეგს პატარა იგორიც თან ახლდა.

როდესაც ოლეგი კიევის მალლობებს მიუახლოვდა, ლაშქარი ჩაუსაფრებია, ხოლო თავი, იგორის დავალებით, საბერძნეთში მიმავალ ვაჭრად გამოუცხადებია. როცა კიევის მფლობელნი ასკოლდი და დირი მათ მიერ მოტანილი საქოლნის სანახავად მივიდნენ, ოლეგის მიერ ჩასაფრებული რაზმელები გამოცვივდნენ და ალყაში მოქცეულ ასკოლდსა და დირს განუცხადეს, რომ მათ მმართველობის უფლება არ ჰქონდათ, რადგან მთავრების მოდგმისანი არ

იყვნენ. ისინი მაშინვე დახოცეს, ხოლო კიევი ნოვგოროდზე დიდი მთავრის კუთვნილებათ გამოაცხადეს. მემატიანე ასე გადმოგვცემს ოლეგის სიტყვებს: „კიევი რუსეთის ქალაქების დედა იქენაბა“. ეს ამბები, თითქოს, 882 წელს მომხდარა.

ნოვგოროდიდან კიევში დიდი მთავრის ტახტის გადმოტანას რუსეთის სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამ ფაქტმა ძველი რუსეთის სახელმწიფოს საზღვრები იმთავითვე შემოსაზღვრა.

სლავური ტომების და მათი ტერიტორიების ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანების პროგრამა ოლეგის სიტყვებშია მოქცეული. რუსეთის მდინარეთა სისტემის გზაჯვარედინზე მყოფი კიევი, შესანიშნავად წვდებოდა როგორც ჩრდილოეთსა და სამხრეთს (ბალტიის, აზოვის და შავ ზღვებს), ისე დასავლეთსა და აღმოსავლეთით (პრიპიატი და დესნა) დასახლებულ ადგილებს. კიევი თავისი მდებარეობით სლავური ტომებით დასახლებულ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი გახდა.

ოლეგიდან მოყოლებული, სლავთა გაერთიანებულ სახელმწიფოში, რომლსაც რუსეთის სახელმწიფო ეწოდებოდა, უზენაეს ხელისუფლად დიდი მთავარი ითვლებოდა. კიევში მჯდომი დიდი მთავრის უფლება, IX საუკუნიდან XII საუკუნის პირველ მეოთხე-დამდე, უზარმაზარ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა: ჩრდილოეთით ლადოგის და ონეგის ტბებიდან-სამხრეთით კარპატის მთების კალთებიდან-აღმოსავლეთით ვოლგამდე.

ტრადიციულად, დიდი მთავრის ოჯახში ძალაუფლება მემკვიდრეობის პრინციპით მამიდან შვილზე გადადიოდა. უფროსი შვილი სხვა შვილებზე მეტი უფლებით სარგებლობდა და, დიდი მთავრის გარდაცვალების შემთხვევაში, ტახტი უფროს ვაჟიშვილს რჩებოდა. ქალი, როგორც ოლეგის მაგალითიდან ჩანს, დიდი მთავრის ოჯახში უფლებააყრილი არ ყოფილა, მაგრამ ვაჟიშვილის არყოლის შემთხვევაში, შეეძლო თუ არა ქალიშვილს ტახტის მემკვიდრეობა, არ ჩანს. ოლეგის მაგალითი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა, იგი სახელმწიფო საქმეებს მაშინ განაგებდა როცა მისი მეუღლე-იგორი დრევნიანელებმა მოკლეს, ხოლო მათი შვილი-სვიატოსლავი მცირეწლოვანი იყო. ოლგა სვიატოსლავის სრულწლოვანებამდე ქვეყანას სახელმწიფო საბჭოსთან ერთად განაგებდა. მემატიანე წერს: „ოლგა თავისი ვაჟიშვილით, სვიატოსლავით კიევში იმყოფებოდა. მისი მამამძუძე ასმუდი იყო, ხოლო ვოევოდად სვესელი.“

ქრისტიანობის გავრცელებას რუსეთში ქალის უფლებრივი

მდგომარეობა საერთოდ უნდა შეეცვალა, მაგრამ როგორი იყო ეს ცვლილებები სპეციალური კვლევის საგანია.

კიევის რუსეთის სახელმწიფოში დიდ მთავარს სხვა წვრილი მთავრები ექვემდებარებოდნენ. წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ რუსეთის სახელმწიფოში შემავალ ამა თუ იმ სლავურ ტომს თავისი ადგილობრივი, არარიურიკთა დინასტიის წარმომადგენელი მთავარი ჰყავდა და ადგილებზე ეს მთავრები გადაგებდნენ. ასე რომ, კიევში მჯდომი დიდი მთავარი მათ საშინაო საქმეებში თავდაპირველად არ ერეოდა, გარდა საგარეო ურთიერთობისა. რუსეთის დიდი მთავრების მიერ ბიზანტიის სახელმწიფოსთან დადებულ ხელშეკრულებაში კარგად ჩანს, რომ კიევში დიდი მთავარი, საერთო სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისას მთავრებთან და ბოიარებთან თათბიობდა და მათი სახელით გამოდიოდა უცხო სახელმწიფოსთან მოლაპარაკების დროს. ბიზანტიასთან დადებულ ხელშეკრულებაში ერთგან აღნიშნულია, რომ რუსეთიდან კონსტანტინოპოლში გაგზავნილი დელეგაცია „უფლებამოსილია რუსეთის დიდი მთავრის ოლეგისაგან და ყველა მისი ხელქვეით მყოფი ბრწყინვალე და დიდი მთავრებისაგან და მისსივე დიდი ბოიარებისაგან“. როგორც ვხედავთ, კიეველი დიდი მთავრები მნიშვნელოვან საგარეო საკითხებს მთავრებთან და ბოიარებთან განიხილავდნენ. საბუთის იურიდიულად გასაფორმებლად დიდი მთავრის ხელქვეით მყოფი მთავრებისა და ბოიარების მოხსენიება საჭირო იყო.

მატიანეში დაცული ცნობიდან ჩანს, რომ, როცა ვლადიმირ სვიატოსლავის ძე სახელმწიფოსათვის ქრისტიანული სარწმუნოების სავალდებულო რელიგიად გამოცხადების საკითხს წყვეტდა, მაშინ ბოიარებთან და „ქალაქის უხუცესებთან“ თათბირობდა და რელიგიის შეცვლის საკითხს მათთან ათანხმებდა. სრულიად შეუძლებელია მემატიანეს ბოიარებთან და ქალაქის უხუცესებთან თათბირის არარსებული წესი გამოეგონებინა. ამდენად, ამ შემთხვევაში, მატიანის ცნობას უნდა ვენდოთ.

წყაროებში დიდი მთავრის სახელთან მუდამ დაკავშირებულია „დრუჟინა“. დრუჟინა ერთფეროვანი არ უნდა ყოფილიყო; წყაროები არ ასახელებენ „სტარშია დრუჟინა“-ს, ანუ მთავრის ამალას—“მთავრის კაცებს“, რომელთანაც უშუალოდ თათბირობდა მთავარი.

ამ შემთხვევაში დრუჟინა სამხედრო წრეა, რომელიც მთავრის ძალაუფლების საყრდენი იყო. ტერმინი „დრუჟინა“ ძველი სლავური სიტყვაა და ძველად იგი სლავურ „домочадцы“-ს უდრიდა. ძველ

ქართულში მისი შესატყვისი „სახელმწიფო“ იქნება. „დრუჟინა“ იმ-  
ავე დროს გაერთიანებას, ამხანაგობას აღნიშნავდა, მაგრამ კი-  
ევის რუსულ სახელმწიფოში „დრუჟინა“ მთავრის სამხედრო წრეა,  
პირველ ხანებში მთავრის კმაყოფაზე მყოფი, შემდეგ კი მინისმ-  
ფლობელებად და მემამულედ გადაქცეული. იგორის „დრუჟინა“  
მისი შვილის- სვიატოსლავის ხელში გადავიდა. მაშასადამე, მთავრ-  
ის ოჯახში მემკვიდრეობით-მამიდან შვილის სამსახურში გადადიო-  
და. რუსულ მათიანეში აღნიშნულია, რომ, როდესაც ოლგამ თავის  
შვილს, სვიატოსლავს, ქრისტიანობის მიღება შესთავაზა, მან უარ-  
ით უპასუხა იმ მოტივით, რომ მარტო მას სარწმუნოების შეცვლა არ  
შეუძლია და უარს ასე ასაბუთებდა- „დრუჟინა დამცინებსო“.

დიდი მთავარი საჭირო შემთხვევაში არა მარტო საკუთარი  
„დრუჟინის“ სათავეში დგებოდა, არამედ მთელი სახელმწიფოს შეი-  
არაღებული ძალების სათავეშიც. სახელმწიფოს გაერთიანებული  
ძალები კი ცალკეული მთავრების და ბოიარების დრუჟინებისა და  
სმერდების მობილიზაციით იკრიბებოდა. ასეთი ლაშქარი, საგანგე-  
ბო შემთხვევაში, საგარეო პრობლემების გადასაწყვეტად იკრიბე-  
ბოდა. „დრუჟინები“ კი ადგილობრივ მთავრებთან არსებული მუდ-  
მივი შეიარაღებული რაზმები იყო ყოველ სამთავროში. ლაშქარი  
ათეულებად იყოფოდა. ათასის მეთაურს სათავეში „ტისიცკი“ ედგა,  
ასეულის - „სოტნიკი“ და ათეულის - „დესიატნიკი“. ათასეულისა და  
ასეულის მეთაური დროთა ვითარებაში ადმინისტრაციული ხასია-  
თის ფუნქციასაც ასრულებდა. ათასისთავი - „ტისიაცკი“ წყაროებ-  
ში ყოველთვის ტერიტორიული ერთეულის დასახელებით არის მოხ-  
სენიებული. მაგალითად, „კიევის ათასისთავი“, „ბელგოროდის“,  
„ნოვგოროდის ათასისთავი“ დას ხვ. სახმელეთო ლაშქრის გარდა  
რუსეთის სახელმწიფოს სამდინარო და საზღვაოსნო ფლოტიც ჰყო-  
ლია, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ დროის შესაფერისი ნიჩბებითა და  
იალქნებით გამართული ნავეები. შიარაღებული ძალების რაოდენ-  
ობის განსაზღვრა არ ხერხდება წყაროების უქონლობის გამო.  
მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს, როცა ოლეგის და სვიატოსლავის  
ჯარის რაოდენობა დასახელებული. ბიზანტიაზე შესეული ოლე-  
გის ლაშქარი 80000 კაცისგან შედგებოდა, ხოლო დუნაისპირეთის  
ბულგარეთში ლაშქრობის დროს სვიატოსლავის ლაშქარი-60000  
მეომრისგან. გარდა ამისა, რუსები გაბედული მეთაურები ყოფი-  
ლან, მაგრამ X-ის ცნობიდან ჩანს, რომ ბიზანტიელების ფლოტს  
რუსები ზღვაზე სასტიკად დაუმარცხებია. ე.წ. „ბერძნული ცეცხ-  
ლი“ შიშის ზარს სცემდა რუსეთის ფლოტს. მაგრამ იქ, სადაც ამ  
ჯარის რიცხვზეა საუბარი, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ

რუსეთის სახელმწიფოს მეთაურს ამ ლაშქრის გარდა კიდევ რა  
ძალები ჰყავდა დატოვებული თვით რუსეთში. როცა, მაგალითად,  
სვიატოსლავი ბიზანტიას ებრძოდა დუნაისპირეთში, კიევს პაჭანი-  
კები შემოესივნენ, მაგრამ კიევმა კარგა ხანს შეძლო თავდაცვა  
სვიატოსლავის დაბრუნებამდე. თავისთავად ცხადია, რომ ოლეგის  
და სვიატოსლავის ლაშქრის შემადგენლობაში მარტო დრუჟინის  
წევრები კი არ არიან, არამედ საგანგებოდ, სალაშქროდ განწყეული  
„სმერდებიც“, ე.ი. თემის გლეხებიც.

მთავარს საკმაოდ მნიშვნელოვანი მატერიალური სახსრები  
გააჩნდა, მას გადასახადების აკრეფის უფლება ჰქონდა. ბიზანტიის  
იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენტის თხზულებაში დაცუ-  
ლია აღწერილობა, თუ რა წესით წარმოებდა რუსეთის სახელმწი-  
ფოში გადასახადის-ე.წ. „ხარკის“ აღება. იმ დროისათვის ხარკი და  
გადასახადი ჩანს გაიგივებულია. რუსულ ენაზე მას „დან“ ეწოდე-  
ბოდა.

ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე აღნიშნავს, რომ დიდი  
მთავარი, თავისი დრუჟინის თანხლებით ჩამოივლის მის სახელმწი-  
ფოში შემავალ მხარეებს და სავალდებულო გადასახადს ართმევს  
და აგროვებსო. გადასახადის სახეობა სხვადასხვა რაიონისათ-  
ვის სხვადასხვა უნდა ყოფილიყო. ეს იმის მიხედვით, თუ რით იყო  
რაიონი მდიდარი. გადასახადის აკრეფის ამ წესს „პოლიუდიე“ ერ-  
ქვა ე.ი. კომლობრივი ჩამოვლა, მათიანის ცნობით IX-X საუკუნეებში  
გადასახადი კომლზე ან სამეურნეო ხნულზე გაენერებოდა, ანდა  
„გუთანზე“, „გუთან“ XII საუკუნეში დღეში ორი ხარის ან ერთი ცხ-  
ენის ძალით მოხნული მიწის ნაკვეთს, ე.ი. „დლიურს“ ნიშნავდა.

ოლგას მოღვაწეობამდე, ე.ი. X საუკუნის შუაწლებამდე, რუსე-  
თის სახელმწიფოში საგადასახადო საქმეს პრიმიტიული სახე ჰქო-  
ნია. ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე პორფირომენტი,  
თავის თხზულებაში ე.წ. „პოლიუდიეს“, ანუ გადასახადის აკრეფას,  
ძველ რუსეთში ასე აღწერს „როდესაც ნოემბრის თვე დადგება მათი  
(ე.ი.რუსების) მთავრები მაშინვე ტოვებენ კიევს, თავისი რუსებით  
(ე.ი.დრუჟინით) და მიემართებიან „პოლიუდიეზე“ (ხარკის ასაკრე-  
ბად) ე.ი. დრევილიანების, დრეგოვიჩების, სევერელების და სხვა  
სლავების მოხარკე ქვეყნების დასავლელად. მთელი ზამთრის გან-  
მავლობაში თავს ირჩენენ ამ ქვეყნებში და აპრილის თვეში, როცა  
დნებრზე ყინული გალღვება, კიევში ბრუნდებიან. აქ თავს უყრიან  
ნავებს და, როგორც ზემოთ ვთქვით, მიემგზავრებიან საბერძნეთ-  
ში“.

ხარკის აკრეფის პრიმიტიული წესი კარგად ჩანს თვით რუსულ მატიანეებში აღწერილი ფაქტებიდანაც. მემატიანეს ასე აქვს აღწერილი ხარკის აკრეფა დრევლიანების ქვეყანაში: „945 წელს, დრუჟინამ მიმართა იგორს: „სვენელდის ყმანი მშვენივრად მოირთვნენ იარაღით და ტანსაცმლით, ჩვენ კი შიშვლები ვართ. წავიდეთ, მთავარო, ერთდ ხარკისათვის, შენც იშოვი და ჩვენც“. დაეთანხმა მათ იგორი და დრევლიანების ქვეყანაში წავიდა, ხარკის ასაკრეფად.

წინანდელი ხარკის რაოდენობას ახალი დაუმატეს და ძალადობდნენ იგორის კაცები. აიკრიფა რა ხარკი, იგორი თავისი ქალაქისკენ გაემართა, მაგრამ გზაზე გადაიფიქრა და დრუჟინას უთხრა: „წადით თქვენ შეგროვილი ხარკით სახლში, მე კი მოვბრუნდები და კიდევ შევავროვებ“. და გაისტუმრა დრუჟინა სახლში, ხოლო თვითონ, დრუჟინის მცირე ნაწილის თანხლებით, მეტი სიმდიდრის მოსაპოვებლად დაბრუნდა“, როგორც ცნობილია, იგორი ამჯერად დრევლიანელებმა მოკლეს.

იგორის შემდეგ, ოლგას მმართველობის დროს, „პოლიუდიეს“ წესში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი და გადასახადის აკრეფამ ერთგვარად უფრო მონესრიგებული სახე მიიღო. მატიანის ცნობით, ამა თუ იმ მხარეში საგანგებო პუნქტები დაინიშნა, სადაც ხარკი თვითონ გადამხდებოდა უნდა მიეტენათ; ამ გზით გარკვეულ ადგილებზე დაგროვილი ხარკი დიდი მთავრის ხელქვეითებს კიევში მიჰქონდათ მთავრისათვის ჩასაბარებლად. ასეთ ვითარებაში საგადასახადო ერთეულიც წინასწარ განსაზღვრული უნდა ყოფილიყო. მატიანის ცნობით არსებული ხარკის ორი მესამედი მთავარს მიჰქონდა დრუჟინისა და სასახლის შესანახად.

კიევის რუსეთის გაერთიანებული სახელმწიფო აპარატი, პირველ რიგში, ვალდებული იყო ქვეშევრდომები გარე მტრისგან დაეცვა; იგივე აპარატი ვალდებული იყო გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის ქონება და უფლება დაეცვა, სახელმწიფოს პირდაპირი დანიშნულება იყო გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის ქონებისა და უფლების დაცვა; სახელმწიფოს პირდაპირი დანიშნულება იყო, გაბატონებულ კლასს მარადჟამს მორჩილებაში ჰყოლოდა ქვეშევრდომთა ექსპლუატირებული ფენა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს ქვეშევრდომი სახელმწიფო დანესებულებას იშვიათად აწუხებდა, ჯერ კიდევ მეტწილად ადათები აწესრიგებდა ქვეშევრდომთა ურთიერთდამოკიდებულებას. ამდენად სახელმწიფო დანესებულებათა რიცხვი თითზე

ჩამოსათვლელი იყო. სახელმწიფო სამმართველო აპარატი მარტივი ჩანს. ოდითგან არსებული სასოფლო თემის ორგანიზაცია („ობ-შინა“) „მირი“ და „ვერვი“ სახელმწიფო ორგანიზაციამ შეიგუა და უზარმაზარ ტერიტორიაზე, შესანიშნავად გამოიყენა. სასოფლო თემი სახელმწიფოში სასამართლოს ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებდა. სასოფლო თემი ვალდებული იყო სოფლად ქურდი მოეძებნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებული იყო დაზარალებულისთვის გადაეხადა საზღაური და სახელმწიფოსათვისაც სისხლის სამართლის ჯარიმა. კაცისმკვლელის მოძებნა ასევე თემის მოვალეობა იყო. უარის შემთხვევაში ჯარიმას თავად თემი გადაიხდიდა. თვით მეთემე სმერდების შინაურთიერთობა ძირითადად ადათით წესრიგდებოდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძველი რუსეთის სახელმწიფოს თავის სამართლის კრებული არ ჰქონოდა.

უძველესი ცნობა რუსული კანონის არსებობის შესახებ ბიზანტიასთან დადებულ ხელშეკრულებაში გვაქვს დაცული. 912 წლის ხელშეკრულებაში ერთგან აღნიშნულია: „თუ ვინმე (რუსი ან ბერძენთაგანი) ხმლით ან სხვა რაიმე იარაღით შემოჰკრავს ვინმეს (რუსს ან ბერძენს) ხუთ ლიტრა ვერცხლს გადაიხდის რუსული კანონის (სამართლის) მიხედვით“. იაროსლავ ბრძენის უძველესი დროინდელი რუსული სამართლის წერილობითი კრებული XI ს-ის რედაქციით არის შემონახული და დაახლოებით 1036 წლითა დათარიღებული. იაროსლავის კრებული ახალი ცხოვრების შესაბამისად შეავსეს იაროსლავის შვილებმა (1068-1071 წლებს შორის), როცა სამი ძმის მმართველობა („ტრიუმვირატი“) იყო. XII ს-ის დასაწყისში (1113-1125 წლებში) სამართლის კრებული ისევ შეივსო ვლადიმერ მონომახის ინიციატივით.

უზენაესი მოსამართლე თვით დიდი მთავარი იყო, რომლსაც თავისივე დანიშნული მოსამართლენი შევლოდნენ. რუსულ სასამართლოს კრებულში, რომელსაც „რუსკაია პრავდა“ ეწოდებოდა, დიდი მთავრის სასახლე სასამართლოს სხდომების ადგილად არის მოხსენიებული. რუსული სამართლის მუხლების გაცნობა ნათელყოფს, თუ ვის იცავდა და რისგან იცავდა რუსეთის სახელმწიფო აპარატი ქონებრივად და უფლებრივად დიფერენცირებულ მოსახლეობას, რაც მკვეთრად არის ამ კანონთა კრებულში ასახული.

IX-X საუკუნეებში არსებული და ჩამოყალიბებული ძველი რუსეთის პოლიტიკური წყობილების ზემოთმოცემული მოკლე სურათი XI საუკუნეში უცვლელად არ რჩება. მართალია, XI საუკუნეშიც სახელმწიფოს სათავეში დიდი მთავარია (მისი ადგილსამყოფელი

კიევში იყო) და მას გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის მაღალი წრე უდგას გვერდით, მაგრამ წინანდელი დამოკიდებულება დიდი მთავარს და ამ მაღალ წესს შორის შეცვლილია. XI ს-ში დრუჟინის წევრები უკვე მინათმფლობელები არიან, რომლებიც წინანდელი ბოიარებისგან, ამ მხრივ, აღარ გამოირჩევიან. თუ წინათ დრუჟინის წევრები ეკონომიკურად მთლიანად მთავარზე იყვნენ დამოკიდებულნი და მთავრის სასახლეში ცხოვრობდნენ, ახლა ნაკლებ არიან დამოკიდებულნი. ისინი დიდ მთავარს ჩვეულებრივ ვასალური ურთიერთობის წესით ემსახურებიან. ახლა დიდი მთავარი მათ უფრო მეტ ანგარიშს უწევს, ვინემ წინათ, როცა ისინი მთლიანად მთავარზე იყვნენ დამოკიდებულნი.

დიდმა მთავარმა ერთგული დრუჟინა და სხვა ხელქვეითნი რომ იყოლიოს, განსაკუთრებით სამხედრო მოღვაწენი, ამისთვის მათ მიწები უნდა დაურიგოს სამფლობელოდ თუ სამამულოდ. ეს ღონისძიება კი, დროთა განმავლობაში, უფრო მეტად ამდიდრებდა დრუჟინის წევრებს და, ამდენად, კიდევ უფრო საშიშ ძალად იქცეოდნენ ცენტრალური ხელისუფლებისათვის – ე.ი. დიდი მთავრისათვის. მსხვილი ბოიარებიც ისე იქცეოდნენ, როგორც მთავარი და დრუჟინის წევრები.

მათაც თავიანთი ვასალები გაიჩინეს. ბოიარები ისე ძლიერდებიდნენ, რომ თავიანთი სამფლობელოსა და ხელქვეითებში ისეთივე უფლების მატარებელნი ხდებოდნენ, როგორც მთავარი. ასეთი გაძლიერებული ბოიარების დაქვემდებარება უკვე უძნელდებოდა დიდ მთავარს. დიდი მთავრისა და ვასალების პოლიტიკური ინტერესები ერთიმეორეს უპირისპირდებოდნენ. მთავარი საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ბოიარები კი თავიანთი სამფლობელოსა და მამულების ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო სახელმწიფოებრივი და ბოიართა ინტერესები ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ზოგჯერ უპირისპირდებოდნენ კიდევ. ამდენად სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნება პრობლემად იყო ქცეული, უკვე XI ს-ის პირველი ნახევრიდან.

დიდი მთავრის მიერ დადგენილი თანამდებობის პირების უფლებები სხვადასხვა ქალაქებში თანდათან, მაგრამ თვალსაჩინოდ ითვლებოდა ქალაქებისა და ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატის გაძლიერებასთან დაკავშირებით. XI ს-თვის ნოვგოროდში, პოლოცკში, ჩერნიგოვში და სხვა ქალაქებში ჩვეულებრივ მოვლენად ჩანს კიევის დიდი მთავრებისგან დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა.

შეიცვალა რუსეთის სახელმწიფოში შეიარაღებული ძალების რაოდენობაც და წყობაც. მართალია, დიდი მთავრის დრუჟინა დარჩა, დარჩა ბოიარების დრუჟინაც, მაგრამ გაჩნდა სხვა ლაშქარიც, სახელმწიფო სამხედრო ბეგარის წესით გამოსული „ვოი“.

უფროსი დრუჟინა ერთგვარ სამხედრო საბჭოს დაემსგავსა. ამ უფროსი დრუჟინის წევრებს მშვიდობიანობის დროს მაღალი თანამდებობები ეჭირათ – ოლქის უფროსების, მთავრის ნაცვლის პოსტები. მთავარი მათ უბიძგებდა „სარჩოდ“ („კორმლენიე“) ქალაქებს, ოლქებს და აქედან ეს თანამდებობის პირი კრეფდა გადასახადებს და ჯამაგირის ნაცვლად შემოსავალს მთლიანად პირადად ღებულობდა. ომის დროს კი უფროსი დრუჟინის წევრები ცალკეული რაზმების სარდლებად ინიშნებოდნენ, სამხედრო საკითხებსაც მთავარი ამათთან ერთად წყვეტდა.

სახელმწიფოს მიერ გამოძახებულ ლაშქარში ბოიართა დრუჟინები ცალკეულ რაზმებს ქმნიდნენ. ისინი მთავრის დრუჟინას არ შეერეოდნენ და მისგან დამოუკიდებელ რაზმებად იდგნენ, მაგრამ ომის დროს, რა თქმა უნდა, მთავარსარდლობას ექვემდებარებოდნენ და მისი ბრძანების შესაბამისად მოქმედებდნენ. მთავრის და ბოიარის დრუჟინები რამდენიმე ათასი კაცისაგან შედგებოდნენ. ასეთი ძალა კი საკმარისი იყო სახელმწიფოში შინაგანი წესრიგისა და რეჟიმის დასაცავად. საგარეო ომების დროს, დრუჟინის გარდა, როგორც აღნიშნული იყო, მოსახლეობიდან გამოდიოდა ლაშქარი, რომელსაც „ათასისთავი“ („ტისიაცკი“) ჰყავდა უფროსად დანიშნული.

ძველი რუსეთის პოლიტიკურ წყობილებაზე რომ სრული წარმოდგენა გვექონდეს, საჭიროა მოკლედ „ვეჩეს“ საკითხსაც შევხვით. სიტყვა „ვეჩე“ მომდინარეობს სიტყვისაგან „სემჩატ“, რაც მოლაპარაკებას, აზრის გაზიარებას, ამბის შეტყობინებას ნიშნავს. VI ს-ის ავტორი პროკოპი კესარიელი თავის თხზულებაში, სადაც სლავების შესახებაც წერს, ერთგან აღნიშნავს: „სლავებსა და ანტებს არა ერთი პიროვნება, არამედ უძველესი დროიდან ისინი დემოკრატიული მმართველობით ცხოვრობდნენ და ყველა საქმეს საერთო კრებით წყვეტდნენ“. ეს ძველი საზოგადოების „ვეჩე“ უნდა იყოს, რომელიც გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობს. მაგრამ IX-XI საუკუნეთა „ვეჩე“ სრულიადაც არ წარმოადგენს VI საუკუნის „ვეჩეს“ თავისი შინაარსითა და ფუნქციით. IX-XI ს-ში ჩვენ რუსული სახელმწიფო გვაქვს და დიდი მთავრის ხელშია სახელმწიფოს საქმეების მართვა-გამგეობა. წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ „ვეჩე“, როგორც მუდ-

მივმოქმედი ორგანო, არ არსებობს დიდი მთავრის გვერდით. დიდი მთავარი თათბირობს არა სახალხო კრებასთან, არამედ თავისი დრუჟინის წევრებთან, და ისიც მხოლოდ „უფროს“ დრუჟინასთან“. „ვეჩე“-ს შეკრება თუ მომხდარა კიევში, მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში, როცა ქალაქში დიდი მთავარი არ იმყოფებოდა და ქალაქს მტერი შემოესეოდა. XI ს-ის მეორე ნახევრიდან „ვეჩე“ მოქმედებას და გამოცოცხლებას იწვევს ქალაქებში, როცა ძველი რუსეთის ცალკეული ნაწილები გაიზარდა და ცენტრისგან ჩამოცილების ტენდენცია დაეწყო. „ვეჩე“-ს საქმიანობა დიდხანს გრძელდებოდა კიევის სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთის მხარეში-ნოვგოროდში, ფსკოვსა და პოლოცკში, სადაც ფეოდალებმა და ვაჭრებმა მთავრის ძალაუფლება შეზღუდეს, ფაქტიურად ხელისუფლება ხელთ იგდებს, მაგრამ სახალხო ყრილობა („ვეჩე“) ვერ მოსპეს. სამაგიეროდ ეს ინსტიტუტი თავისი ინტერესების დაცვით იარაღად აქციეს. „ვეჩე“ აქ საერო და სასულიერო ფეოდალების და ვაჭრების ბატონობის ორგანიზაციაა, რომელსაც მთავარი, როგორც ერთი მოხელე, ექვემდებარება.

ძველი რუსეთის სახელმწიფო აპარატის შექმნა ერთი პიროვნების, ერთი დიდი მთავრის შემოქმედება არ არის. იგი IX-X ს-თა მანძილზე თანდათან იქმნებოდა. საშინაო პოლიტიკის ხაზით ძველი რუსეთის დიდ მთავართაგან ენერგიულად მოქმედნი ჩანან ოლეგი, ოლგა, ვლადიმერ სვიატოსლავის ძე, იაროსლავ ვლადიმერის ძე და ვლადიმერ მონომახი.

მათ გვერდით მაშინდელი გაბატონებული კლასის წარმომადგენლები და კლასთა ჭიდილში, ცხოვრების შესაბამისად, თანდათან რთულდებოდა და ყალიბდებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

რიურიკთა დინასტიის ფუძემდებლების პირველი საზრუნავი სლავთა გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნა იყო. ამ მიმართულებით დიდი დამსახურება ოლეგს მიუძღვის, მაგრამ ერთ სახელმწიფოში სლავთა გამაერთიანებელი დუღაბი, თითქმის, ყოველწლიურად გასაახლებელი ყოფილა. როგორც მათიანიდან ჩანს, რისეთის სახელმწიფოში არც ერთ სლავური მოდგმის მთავარს კიევის დიდი მთავრის მორჩილებაში ყოფნა არ სურდა. მათიანეში აღნიშნულია, რომ ოლეგის გარდაცვალებისთანავე „დრევილიანები იგორისაგან ჩაიკეცნენ (განუდგნენ იგორს)“. იგორიც ტახტზე ასვლის მეორე წელს თავს დასხმია დრევილიანელებს, დაუმორჩილებია ისინი და წინათ დაწესებული ხარკის რაოდენობა გაუდიდებია.

რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობის შესანარჩუნებლად იგორს ძალისა და დაშინებისთვის მიუმართავს.

იგორი ხარკს იღებდა რუსეთის სახელმწიფოში გაერთიანებული სხვა სლავური ტომებისაგანაც, მაგრამ ამ ნიადაგზე სხვა ტომებთან ურთიერთობა ისე გართულებული არ ჩანს, როგორც დრევილიანების სამთავროსთან. მემათიანეს მიერ აღწერილი ამბებიდან ასე გამოდის, რომ საქმეს თვით იგორი ამწვავებს. მაგრამ, მათიანის მასალიდან მაინც საფიქრებელი ხდება, იგორს დრევილიანები უმიზეზოდ ათვალისწინებული არ უნდა ჰყოლოდა.

იქ, სადაც მემათიანე ბიზანტიასთან საზავო ხელშეკრულების დადების აღწერას ამთავრებს, წერს: „დადგა შემოდგომა და დიწყო მან (იგორმა) ფიქრი დრევილიანებზე ლაშქრობის მოსაწყობად, რათა მათგან კიდევ უფრო მეტი ხარკი აეღო“.

მემათიანის ცნობიდან არ ჩანს, რა დააშავეს ამჯერად დრევილიანებმა. უმიზეზოდ იგორი ქვეშევრდომებზე სალაშქროდ სამზადისს არ დაგეგმავდა. აქ ერთი გარემოებაა საგულისხმო. მემათიანეს ოლეგის ბიზანტიაში ლაშქრობის დროს დრევილიანები მონაწილედ ჰყავს დასახლებული, იგორის ლაშქარში კი დრევილიანები დასახლებული არ არიან. ეტყობა, დრევილიანებმა თვით განაცხადეს უარი, დახმარება აღმოეჩინათ დიდი მთავარისათვის. შესაძლებელია, ბიზანტიაში იგორის ლაშქრის კვლავ დამარცხებას ელოდნენ, „ბერძნული ცეცხლის“ ამბების შემდეგ (941 წლის ლაშქრობა), და კიევის მთავრის ბატონობისგან განთავისუფლებას გეგმავდნენ. ამკარად ჩანს, რომ დრევილიანებს იგორი სანდო ქვეშევრდომად არ თვლის, მათთან გალაშქრებას იგორი ბიზანტიასთან ხელსაყრელ საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ გეგმავს.

ამის შემდეგ მემათიანე 945 წლის იგორის დრუჟინის წინადადებას გვაცნობს; „სვენეოდის ყმანი ტანსაცმლით და იარაღით მოირთვნენ, ჩვენ კი შიშვლები ვართო“ და დიდ მთავარს ხარკის ასაკრებად ეპატიჟებიან დრევილიანების ქვეყანაში. იგორი თანხმდება და ერთად მიდიან. დრუჟინის წინადადება წლიური სავალდებულო ხარკის აკრეფას გულისხმობს და არა ლაშქრობას. იგორის განზრახვა გალაშქრების შესახებ, საფიქრებელია, დრუჟინამ უარყო. მათიანიდან კარგად ჩანს, რომ დრევილიანებმა დიდი მთავარი თავისი დრუჟინით მიიღეს და ხარკს იხდიან. კონსტანტინე პორფიროვენეტის თხზულების მიხედვით, რუსეთის მთავრები „პოლუდიე“-ზე შემოდგომაზე მიემგზავრებოდნენ და ამ შემოვლას მთელი ზამთარი სჭირდებოდა. იგორი და მისი დრუჟინა, რუსული

მატიანის ცნობით, შემოდგომაზე გაემართა დრევლიანების ქვეყანაში. მაგრამ იგორის დრუჟინა და თავად იგორი ისე ექცევა სრევლიანებს, როგორც მტერს: „დაუმატა წინანდელ ხარკს ახალი და ძალადობდნენ იგორის კაცები დრევლიანებზეო“, წერს მემატიანე. დრევლიანების მთავარს იგორიზე წინააღმდეგობა არ გაუწევია. ამ გარემოებას იგორი ისე გაუთამამებია, რომ თავისი დრუჟინის დიდი ნაწილი, შეგროვილი გადასახადით, კიევში გაუსტუმრებია, ხოლო თვით მცირე დრუჟინის თანხლებით კვლავ ხარკის შესაგროვებლად მიბრუნებულა. თავისთავად ცხადია, იგორი თვლიდა, რომ დრევლიანებს, ვითარცა მის ქვეშევრდომებს, ხმა არ უნდა ამოეღოთ, თორემ სხვის ქვეყანაში სათანადო სამხედრო ძალების გარეშე ასეთი ოპერაციის ჩატარებას ვერ გაბედავდა. როგორც ვიცით, იგორი აქ დაიღუპა კიდეც.

დრევლიანები მორჩილებიდან გამოვიდნენ და კიევის დიდი მთავრის ოჯახის – ცოლ-შვილის თავის ქვეყანაში წაყვანა მოინდომეს. მემატიანის ცნობით, ოლგას წინადადება მისცეს, დრევლიანების მთავარს – მალს გაჰყოლოდა ცოლად, ხოლო რაც შეეხება სვიატოსლავს, მისი დალუპვა ჰქონდათ დაგეგმილი. დიდი მთავრის კარზე მყოფმა მმართველმა წრეებმა და ოლგამ დრევლიანების კვლავ მორჩილებაში მოყვანა დაადგინეს. კიევის სამთავრო კარი საგანგებო ღონისძიებებს ატარებს დრევლიანების მიმართ. მათ შორის აღსანიშნავია საგადასახადო საქმის ერთგვარი რეფორმა. ამით თითქმის დრევლიანების შემომტკიცება დამთავრდა, მაგრამ ოლგას და მის მმართველ წრეს სახელმწიფოს მთლიანობის უზრუნველსაყოფად სარწმუნოების შეცვა დაუსახავს მიზნად. სლავთა წარმართული სარწმუნოება, თავისი მრავალრიცხოვანი წარმართული პანთეონით, მაშინდელი რუსეთის სახელმწიფოსთვის, სრულიად გამოუსადეგარი ჩანდა. მაგრამ ახალი რელიგიის მიღების პრობლემა ოლგამ ვერ გადაწყვიტა. ასევე გადაუწყვეტელი დარჩა რუსეთის სახელმწიფოში შემავალი სლავური ტომების ადგილობრივი მთავრებით შეცვლის საკითხიც. მათი შეცვლა მხოლოდ ვლადიმერ სვიატოსლავის ძემ მოახერხა. ჩვენ არ ვიცით, უმტკივნეულოდ ჩაატარა თუ არა ვლადიმერმა ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი, მაგრამ საკუთარი შვილები რომ გაგზავნა ადგილობრივი „ბრწყინვალე დიდი მთავრების“ ქალაქებში და ისინი განაგებდნენ სამთავროებს, როგორც პროვინციებს, გარდა ვიატიჩების, ეს სადაო არ არის. ვლადიმერ სვიატოსლავის ძეს ეგონა, სახელმწიფოს მთლიანობის შესანარჩუნებლად საკუთარი შვილები უფრო გამო-

ადგებოდა ძველი მთავრების ადგილზე; მაგრამ სწორედ მისმა საყვარელმა შვილმა, იაროსლავმა, ითავა ნოვგოროდის კიევში მჯდომი დიდი მთავრის ბატონობისგან გათავისუფლება და ის იყო მამასა და შვილს შორის ომი უნდა დაწყებულიყო, რომ დიდ მთავარს, ვლადიმირს, სიკვდილმა მოუსწრო.

ვლადიმირის პოლიტიკის მარცხი იმთავითვე განპირობებული იყო. რუსეთის სახელმწიფოს ორგანიზმს შინაგანი სენი ღრღნიდა და იგი ნელი ტემპით დაშლისკენ მიექანებოდა. ვერც მეორე მნიშვნელოვანმა ღონისძიებამ უშველა რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებას. ვლადიმირმა ქრისტიანული სარწმუნოება სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოსახლეობის მოქცევას, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ სახელმწიფოს დაშლის პროცესი მან ვერ შეაჩერა, იგი მხოლოდ ახალ ვითარებაში წარიმართა.



#### IV თავი. აღმოსავლეთ სლავების მზადება ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად და კიევის რუსეთის გაქრისტიანება

გაქრისტიანებამდე აღმოსავლეთ სლავებს წარმათული სარწმუნოება ჰქონდათ. სლავები წარმართები იყვნენ, ბუნებრივ მოვლენებს აღმერთებდნენ და კერპებს თაყვანს სცემდნენ. ზოგიერთი ღვთაება სლავური ტომებისათვის საერთო, უმრავლესობა კი ადგილობრივი იყო. პერუნი-ელვისა და ქუხილის ღმერთი, აღმოსავლეთის სლავთა საერთო სათაყვანებელი იყო. ასეთივე საერთო ღმერთი ყოფილა მზის ღმერთი, აღმოსავლეთის სლავთა საერთო სათაყვანებელი. ასეთივე საერთო ღმერთი ყოფილა მზის ღმერთი „დაჟდ-ბოგი“. არანაკლები პატივისცემით სარგებლობდა საქონლის ჯოგების ღმერთი ველესი ანუ ვოლოსი.

წყაროებში იხსენიება დედა-მინა-ღმერთი და ქარის ღმერთი „სტრიბოგ“ და სხვ. საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოშობილი ასეთი სარწმუნოება მუდამ არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო საზოგადოებისათვის. გვაროვნული წყობილების ნიაღში განვითარებული სარწმუნოება კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც სახელმწიფო ჩამოყალიბდა და სადაც დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანების პროცესი დასრულდა, გაბატონებულ კლასს ვერ დააკმაყოფილებდა. წარმართული სარწმუნოება ახალ საზოგადოებრივ წყობილებას არაფერში არ უწყობდა ხელს, პირიქით, იგი ხელს უშლიდა სახელმწიფოებრივ გაერთიანებას.

მრავალღმერთიანობის იდეოლოგია უფრო ქვეყნის დაქუცმაცების იდეოლოგია იყო; ამდენად, მრავალი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ღმერთების არსებობა ასევე დამოუკიდებელი მრავალი ხელისუფლების არსებობას ამკვიდრებდა იდეურად.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვლადიმერ სვიატოსლავის ძე დაჯდა მთავრად კიევში და სახელმწიფოში არსებული ღმერთების ერთგვარი „შტატების შემცირება“ მოუხდენია. მას მოუწადინებია ამ ძველი სარწმუნოების ისე გადაკეთება, რომ იგი მაშინდელი ვითარებისათვის პოლიტიკურად შესაბამისი გამხდარიყო. ვლადიმერის ამ ღონისძიების შესახებ მემატიაზე გვაუწყებს: „და დაიწყო ვლადიმირმა კიევში მთავრობა და აღმართა კერპები ბორცვზე... ხის პერუნი ვერცხლის თავით და ოქროს უღვაშებით, შემდეგ ხორ-

სი, დაჟდბოგი, სიმარგლა და მოკოშა და მიჰქონდათ მსხვერპლი და უწოდებდნენ ამათ ღმერთებს...“.

აქედან ჩანს, რომ ვლადიმერს სახელმწიფოსთვის საერთო სავალდებულო ღმერთების ჯგუფი შეუდგენია; ალბათ, შერჩევის პრინციპი ამა თუ იმ რაიონის ან ტომის უმთავრესი ღმერთის წინ წამოწევას გულისხმობდა. მაგრამ, როგორც ჩანს, იმდენად უვარგისი ყოფილა X საუკუნის რუსეთისათვის ძველი სარწმუნოება, რომ მისი შეკეთების შედეგადაც მთავრობას მიზნისათვის ვერ მიუღწევია და იგი, როგორც გამოუსადეგარი, ოფიციალურად იქნა უარყოფილი.

მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოების გამარჯვება უკრაინის ტერიტორიაზე ისე როდი მოხდა, როგორც ამას მემატიაზე გამოგვეცემს. წყაროებიდან ჩანს, რომ ოფიციალურად გაქრისტიანებამდე, ამ მიმართულებით საკმაოდ ადრე ემზადებოდნენ. ქრისტიანი რუსები მოხსენებული არიან ჯერ კიდევ იგორის მიერ ბიზანტიასთან დადებულ ხელშეკრულებაში 944-945წწ. ხელშეკრულების იმ ადგილას, სადაც იმ დროის რუსებისათვის სავალდებულო ფიცზე არის საუბარი, ვკითხულობთ: „ხოლო ვინც განიზრახავს რუსების მხრივ დაარღვიოს ეს სიყვარული (მეგობრობა), და იმასთან, ვინც მონათლული არიან, მიიღებენ სამაგიეროს (სასჯელს) ყოვლის მპყრობლისაგან დასალუპავად იმ ცხოვრებაში (საიქიოს), ხოლო ისინი ვინც მოუნათლავები არიან ნუ მიიღებენ შემწეობას ღვთისაგან და პერუნისაგან და ნუ დაიფარავს მათ საკუთარი ფარები და დაიღუპონ საკუთარი ხმლებისაგან...“.

ამავე ხელშეკრულების მეორე ადგილს ვკითხულობთ: „ჩვენ კი, რომლებიც მონათლულები ვართ, დავიფიცეთ წმინდა ილიას სახელობის ტაძარში, წინამდებარე ჯვრისა და ამ ხელშეკრულების წინაშე, დავიცავთ ყოველივეს, რაც ამაში წერია და არ დავარღვიოთ არაფერი. და თუ დაარღვევს ვინმე ჩვენი მხრიდან, თუ სხვა ვინმე, მონათლული თუ მოუნათლავი, რუსები მოიხსნიან თავიანთ ფარებს, შიშველ ხმლებს და სხვა იარაღს, რათა დაიფიცონ, რომ დავიცავენ ყოველივე იმას, რაც სწერია ამ ხელშეკრულებაში...“.

მოგანილი ამონარიდი ცხადყოფს, რომ 945 წელს, როცა რუსეთსა და ბიზანტიას შორის საზავო ხელშეკრულების მუხლები იწერებოდა, რუსების ერთი ნაწილი, დიდი იგორის გარშემო მყოფი ამალიდან, ქრისტიანი იყო, ხოლო მეორე ნაწილი, და მათ შორის დიდი იგორი, წარმართი. ძალზე საინტერესოა ამ ხელშეკრულების ის ნაწილი, სადაც საუბარია ქრისტიანი რუსების მიერ წმ.ილიას

სახელობის ტაძარში დაფიცებაზე. რატომ მაინც და მაინც წმ.ილიას ტაძარში ლოცულობდნენ ან დაფიცების რიტუალს ასრულებდნენ ქრისტიანი რუსები? ეს ცხადყოფს იმას, რომ ყოფილი წარმართი რუსები, ახლა უკვე მონათლულნი, პატივს მიაგებენ ქრისტიანების წმინდანებს შორის იმ წმინდანს, რომელიც ელვასა და ქუხილთან არის დაკავშირებული. წმ.ილია, თუ ილია, ქარისტიანული ლეგენდის მიხედვით, თითქოს ღმერთმა ცეცხლის ეტლით წაიყვანა ზეცას და ამ ეტლით მისი იქ მოძრაობა ქუხილის და ელვის სახით გვევლინება. წმ.ილიამ წარმართული პერუნი-ქუხილისა და ელვის ღმერთი, შეცვალა რუსეთში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუსები იგივე სლავები არიან და 945 წელს მათ შორის ქრისტიანობა უკვე გავრცელებულია, პირველ რიგში კი გაბატონებული კლასის ერთ ნაწილში.

თუ როგორ ხდებოდა რუსეთის გაბატონებული კლასის გარკვეულ ნაწილში ქრისტიანობის გავრცელება, ამის შესახებ კონკრეტული ცნობები მეცნიერებს არ მოეპოვებათ. ის გარემოება, რომ კიევის რუსეთი იმ დროს ბიზანტიასთან ახლო და სისტემატურ ურთიერთობაში იყო, თითქოს ერთი ხელისშემწყობი პირობათაგანი უნდა ყოფილიყო ქრისტიანობის რუსეთში გავრცელებისთვის. საბერძნეთი თვითონ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული სლავურ ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელებით, ამ ფაქტს კი იმხანად უდაოდ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ ეკლესიის ორგანიზაციით უცხო ქვეყნის დაქვემდებარება შესაძლებელი იყო.

მაგრამ აშკარაა, იმ დროისათვის, რუსეთში ქრისტიანობის გავრცელებისთვის პირობები მომზადებულია და ადგილობრივი საზოგადოება საიმისოდ განწყობილი. მაგრამ სრულიად რუსეთის გაქრისტიანება ჯერ კიდევ შორს უნდა ყოფილიყო. გაბატონებული კლასის ერთი ნაწილი ტოვებს წარმართობას. რუსულ მატრიანში 955 წლით დათარიღებულ ამბებს შორის აღნუსხულია, რომ კიევის დიდმა ქალბატონმა, ოლგამ, კონსტანტინოპოლში იმოგზაურა იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენტის დროს, იქ ქრისტიანობა მიიღო იმავე წელს და მას, მონათვლის შემდეგ, ელენე დაარქვეს; ნათლობაში, თითქოს, ბიზანტიის იმპერატორი და პატრიარქი მონაწილეობდნენ. ოლგას კონსტანტინოპოლში მოგზაურობას ბიზანტიური საისტორიო ძეგლიც ადასტურებს. ბიზანტიის იმპერატორის- კონსტანტინე პორფიროგენტის იმ თხზულებაში, სადაც ბიზანტიის სამეფო კარზე სტუმრის მიღების ცერემონიალის წესება აღწერილი, ერთგან აღნიშნულია: „სექტემბრის თვის 9 რიცხვს,

კვირის მეოთხე დღეს (ოთხშაბათს) მიღება იყო რესეთის ოლგას (კონსტანტინოპოლში) მოსვლის გამო. შემოვიდა ნათესავი ქალების თანხლებით და რჩეული მსახურებით. იგი ქალების წინ წელა მოდიოდა რჩეული მსახურებით. მის შემდეგ რუსეთის მთავრების ელჩები და მდივნები შემოვიდნენ..... იმ დღეს საზეიმო სუფრა გაიშალა იუსტინეს დარბაზში. სხვა დარბაზში მეორე სუფრა იყო გაშლილი, სადაც რუსეთის მთავართა ელჩები სადილობდნენ, აგრეთვე (ოლგას) მხლებლები და ნათესავები და მიიღეს საჩუქრები: მთავრის მხლებლებმა- ოც-ოცი მილიარსი. ოცმა ელჩმა-თორმეტი მილიარსი. 43-მა მდივანმა-თორმეტი მილიარსი, მღვდელმა გრიგორიმ-რვა მილიარსი. მთავარ ოლგას ძვირფასი ქვებით მოჭედული ლანგრით მოართვეს 500 მილიარსი. ოქტომბრის 18-ს, კვირას, მეორე საზეიმო სადილი იყო...“. ეს ამონაწერი ადასტურებს ოლგას კონსტანტინოპოლში მოგზაურობას და იმ ფაქტსაც, რომ ოლგა ქრისტიანია. აქ მოხსენიებულია ოლგას მხლებლებს შორის „მღვდელი გრიგორი“. როგორც ეტყობა ოლგა კიევიდან ქრისტიანი გამგზავრებულია და მას, ვითარცა ქრისტიანს, მღვდელიც თან გაჰყვა, ქრისტიანისათვის საჭირო ყოველდღიურად შესასრულებელი ხანგრძლივად სავალ გზაზე. მხოლოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბერძნული წყაროს თარიღი (ოლგას კონსტანტინოპოლში მოსვლის შესახებ) არ ემთხვევა რუსული მატრიანის თარიღს. ბიზანტიური ცნობით, ოლგა 957 წელს არის კონსტანტინოპოლში, რუსი მემატრიანის ცნობით კი 955 წელს იქვე, კონსტანტინოპოლში მოინათლა. სპეციალისტები ამ ფაქტის შესახებ იმ აზრის არიან, რომ ოლგას ორჯერ უნდა ემოგზაურა საბერძნეთში: ერთხელ იგი მოინათლა, ხოლო მეორეჯერ სხვა საქმეების გამო ჩავიდა იქ. რუსი მემატრიანის თარიღში სპეციალისტებს შესწორება შეაქვთ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ოლგა მეთავე საუკუნის შუა წლებში ნამდვილად ქრისტიანი იყო, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მთავრის სასახლეში მართო ერთი ქალი-ოლგა ყოფილიყო ქრისტიანი. საფიქრებელია, რომ ოლგას ამაღლაში მყოფი ქალები, და სასახლის კარზე მყოფი დაწინაურებული მამაკაცების მეუღლენი, მისი ნაბაძვით ყოფილიყვნენ ქრისტიანები. ერთი მთავარია, ოლგამ ნოყიერი ნიადაგი მოამზადა სამთავრო კარის გასაქრისტიანებლად.

აღსანიშნავია, რომ ოლგას ქრისტიანული სარწმუნოების მიღება შეუთავაზებია ერთადერთი ვაჟიშვილისთვის, სახელგანთქმულ სვიატოსლავისთვის. მემატრიანე წერს: „ცხოვრობდა ოლგა შვილთან-სვიატოსლავთან და ასწავლიდა მას დედა, მიეღო მონათვლა, მა-

გრამ იგი (სვიატოსლავი) არც ფიქრობდა ამას და ყურსაც არ ათხოვებდა ამას. მაგრამ ვინც კი ისურვებდა, მონათვლას არ უშლიდა და არ ეწინააღმდეგებოდა (სვიატოსლავი), მხოლოდ დასცინოდა მათ..... ოლგა ხშირად ეტყოდა მას-„შვილო ჩემო, მე ვიცან ღმერთი და გამიხარდება თუ შენც შეიცნობ მას, შენც გაიხარებ“. იგი კი არ ისმენდა ამას და უპასუხებდა-„როგორ მივიღო მე მარტომ სხვა სარწმუნოება? ჩემი დრუჟინა ხომ დამცინებს“. დედა მიუგებდა:-„შენ თუ მოინათლები, ყველა ასევე გააკეთებს“. მაგრამ იგი (სვიატოსლავი)არ უჯერებდა დედას და განაგრძობდა წარმართული წესით ცხოვრებას...“

მატიანის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ოლგა სხვებსაც სთავაზობდა ქრისტიანობის მიღებას. აქედან ნათელი ხდება, რომ გაქრისტიანების პროცესი გრძელდებოდა. მემატიანე გარკვევით აღნიშნავს, რომ სვიატოსლავი გაქრისტიანებას არავის უშლიდა, მხოლოდ თვითონ უარს აცხადებდა გაქრისტიანებაზე.

მეტად საინტერესოა დედასთან ამ საუბრის დროს სვიატოსლავის არგუმენტაცია წარმართად დარჩენის საჭიროების თაობაზე. მას ეშინია, რომ დრუჟინა დასცინებს. აქედან საფიქრებელია,, რომ სამხედრო წრეების, მაშინდელი გაბატონებული ფენის ერთი ნაწილი, წარმართია და მათ შორის ქრისტიანები არ არიან. სვიატოსლავი, როგორც სარდალი და განუყოფელი წევრი მეომრებისა, ვერ ეთიშება ამ კოლექტივს და, დედის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, წარმართი რჩება.

ოლგა, როგორც სხვა მასალებიდან ჩანს ვერ ეგუება რუსთა ქვეყანაში წარმართული სარწმუნოების ბატონობას და ზომებს იღებს ამის საწინააღმდეგოდ. დასავლეთ ევროპის მემატიანეები გვაუწყებენ, რომ ოლგას გერმანიისთვისაც მიუმართავს რუსთა ქვეყანაში ქრისტიანობის გასავრცელებლად სათანადო პირობის გამოგზავნის შესახებ, მაგრამ გერმანიიდან მოსული მქადაგებელი იძულებული გამხდარა გაქცეულიყო. ეტყობა ოლგამ ვერ შეძლო უცხოეთიდან მოსული მქადაგებლის დაცვა. აქ წარმართული საზოგადოების წინააღმდეგობაც საგრძნობი უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით მდაბიო ფენებში.

კიევის რუსეთის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის შესახებ ცნობები ნაწილობრივ რუს მემატიანეს აქვს მოცემული. მისი გადმოცემით, ქრისტიანობის დამკვიდრება რუსეთში ვლადიმერ სვიატოსლავის ძის სახელთან არის დაკავშირებული. მას ამბავი ასე აქვს მოთხრობილი: 986 წელს, ვლადიმერ სვიატოსლავის ძესთან

მაჰმადიანი ვოლგისპირელი ბულგარელები გამოცხადებულან და უთქვამთ: „ბრძენი და გონიერი ხარ, მაგრამ სარწმუნოება არ გივარგა, მიიღე ჩვენი რჯული და თაყვანი ეც მუჰამედსო“. ვლადიმირმა მაჰმადიანური სარწმუნოების ძირითადი პრინციპების გაცნობა მოითხოვა. ბრძანება შესრულებულ იქნა, მაგრამ დიდმა მთავარმა ეს სარწმუნოება დაიწუნა იმის გამო, რომ ღვინის სმას და ღორის ხორცის ჭამას კრძალავდა. თითქოს, ასევე გამოცხადებულან ვლადიმირთან კათოლიკური სარწმუნოების წარმომადგენლები რომიდან, ებრაული სარწმუნოების მქადაგებელი ხაზარეთიდან და მართლმადიდებლური ქრისტიანობის მქადაგებელი ფილოსოფოსი საბერძნეთიდან. თითოეული მათგანი ვლადიმირს თავისი სარწმუნოების მიღებას სთავაზობდა. მემატიანეს მეტისმეტად ვრცლად აქვს წარმოდგენილი საბერძნეთიდან მოსული ფილოსოფოსის საუბარი ვლადიმირთან. ვლადიმირიც შეკითხვას აძლევს ამ უკანასკნელს და მემატიანე საქმის ვითარებას ისე გვამცნობს, თითქოს ვლადიმირს ქრისტიანობა მოეწონა, მაგრამ ბოიარებთან შეთანხმების გარეშე ეს საქმე ვერ გადაწყვიტა და ამის გამო საგანგებო თათბირიც კი მოუწვევია. თითქოს, 987 წელს, სხდომას ვლადიმირმა გააცნო იმ საუბრების შინაარსი, რომელიც მას სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებთან ჰქონდა და ბოლოს ისიც დასძინა, რომ ყველაზე უფრო ბერძენი ფილოსოფოსის ნაამბობი მოეწონა, მაგრამ, იქვე შეუნიშნავს: „გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც თითოეული მათგანი საკუთარ სარწმუნოებას აქებდა და სხვისას აძაგებდაო“. ამიტომ რჩევა სთხოვა თათბირის მონაწილეებს.

ბოიარებს და ქალაქთა უხუცესებს განუცხადებიათ, რომ ამა თუ იმ სარწმუნოების არსის გასაგებად უმჯობესი იყო შერჩეული კაცების გაგზავნა მათ ქვეყნებში და ადგილებზე მათი სარწმუნოების საფუძვლიანად გაცნობაო.

ვლადიმირის მიერ გაგზავნილი კომისია სწავლობდა კიდევ სხვა რელიგიებს ადგილზე და დაბრუნების შემდეგ მთავარს მოხსენება გაუკეთეს. სასტიკად გააკრიტიკეს მაჰმადიანური, ებრაული და კათოლიკური სარწმუნოებები, მათი ღვთისმსახურების წესები. სამაგიეროდ აღტაცებით აღწერეს ბერძენების ქრისტიანული რელიგია და სარიტუალო პრაქტიკა. კომისიამ, თითქოს, იქვე განიცხადა ვლადიმირს კატეგორიულად, - ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია ქრისტიანობის გაცნობის შემდეგ წარმართებად დარჩენაო.

იქვე მყოფ ბოიარებს ვლადიმირისთვის კვერი დაუკრავთ კომისიის მოხსენებაზე: — ბერძენების სარწმუნოება რომ უვარგისი

ყოფილიყო, შენი დიდება, ოლგა, ქრისტიანულ სარწმუნოებას არ მიიღებდა, იგი ხომ ადამიანთა შორის უჭკვიანესი იყო და ქრისტიანობა მიიღო. ამის შემდეგ ვლადიმირმა საბოლოოდ გადაწყვიტა გაქრისტიანება.

აღნიშნული მოვლენა, მემატიანის ცნობით, 988-989 წლებს უკავშირდება. ამრიგად, ქრისტიანულმა ეკლესიამ განამტკიცა და აამაღლა მთავრის მნიშვნელობა და იმავე დროს გააძლიერა კავშირი სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეებს შორის. ამავდროულად, ახალმა საეკლესიო ორგანიზაციამ ფართოდ გაუკაფა რუსულ სახელმწიფოს გზა დანარჩენ მართლმადიდებლურ სამყაროსთან, როგორც კულტურული, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

## პარი III. კიევის რუსეთის საეკლესიო ორგანიზაცია

### I თავი. სამრევლოების ჩამოყალიბება კიევის რუსეთში

ქრისტიანობის მიღების შემდეგ (ვლადიმირ სვიატოსლავის ძის პერიოდში) დაიწყო რუსული ეკლესიის ორგანიზაციისა და ფორმირების პროცესი: თავდაპირველად ჩამოყალიბდა უმაღლესი საეკლესიო ორგანიზაცია, დაფუძნდა კიევის სამიტროპოლიტო კათედრა და მთელი რიგი ეპარქიები, რომელთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა, პროცესს თან ახლდა სამღვდელოებისა და დიაკვნების კურთხევა.

ქრისტიანობის გავრცელება უპირველეს ყოვლისა ხელს უწყობდა იმას, რომ რუსეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით კიევის მაცხოვრებლები კარგად გაცნობოდნენ ახალ სარწმუნოებას ისე, როგორც იუდაიზმს, ისლამს, დასავლურ ქრისტიანობას, რასაც დიპლომატიისა და ვაჭრობის წყალობით ეუფლებოდა რუსი ხალხი.

გაქრისტიანების პირველ ეტაპზე დიდ მთავარ ვლადიმირს ჰყავდა და განსაკუთრებული რაოდენობის მღვდლები, რომლებიც კიევის რუსეთში, კორსუნში ვლადიმირის ლაშქრობის შემდეგ ჩამოვიდნენ. აღნიშნული მოვლენა მემატიანეს ასე აქვს წარმოდგენილი: „Наутрия же изиде Володимер с попы царицыны (вероятно, сопровождавшими супругу князя греческую царевну Анну) и с корсуньскими на Днепръ, снидесея бесчисла людей“.

კორსუნიდან ჩამოსული სამღვდელოება საღვთისმსახურო წესს აღასრულებდა ვლადიმირის მიერ დაფუძნებულ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში: „Посель же Володимеръ живие в законе хрестянстѣб помысли создать церковь пресвятыа богородица... и попы корсуньскыя пристаи служити в ней“.

ცხადია, სამღვდელოება იმის შემდეგ იქნებოდა ხელდასხმულნი და უფლებამოსილი, როცა კიევში ჩამოვიდნენ პირველი მაღალი იერარქები-მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები: „В лето 6497ю Крестилея Володимер и вся земля Русская, и поставиша в Киеве митрополита, а Новуграду Архиепископа, а по иным градам епископы и попы и дьяконы и бысть радость всюду“.

სწორედ ადგილობრივი ახლადხელდასხმული მღვდლები და მეზობელი სლავი ხალხიდან (ბოლგარები, სერბები) მოსული სამღვდლოება პირველი მქადაგებლები იყვნენ კიევის მიწა-წყალზე, რადგანაც კორსუნიდან მოსული სამღვდლოება არ ფლობდა რუსულ ენას.

რადგანაც კიევის რუსეთის საეკლესიო ტერიტორია მოცულობით ძალზედ დიდი იყო, თავდაპირველად ეკლესია ამის გამო განიცდიდა სამღვდლოების განსაკუთრებულ ნაკლებობას. ვლადიმირის ძის იაროსლავის მმართველობის პერიოდში საეკლესიო მოღვაწეთა რაოდენობა გაცილებით გაიზარდა: „Гриножская прозвутери и люди хрестьяны“.

პირველი ეკლესიები აგებული იქნა კიევში, ნოვგოროდში, საეპარქიო ცენტრებში და იმ ადგილებში, რომლებიც წარმართობის პერიოდში წარმოადგენდნენ საკულტო თავყვანისცემის ობიექტებს. მთავარი ვლადიმირი „после рубити церкви и поставляти по местом, идеже стоюху кумири... и постави церковь святого Василья на холме идеже столяху кумир Перун“.

თავდაპირველად გაქრისტიანდნენ ქალაქების მცხოვრებლები და ყოფილი წარმართული ცენტრები. რაც შეეხებოდა სოფლების გაქრისტიანების საკითხს, იგი შემდგომი ეტაპისთვის გადაიდო.

გრანდიოზული რუსული სამიტროპოლიტო დაყოფილი იქნა დიდ ეპარქიებად (ბერძნული საზომით), ხოლო ეს უკანასკნელნი პატარა ოლქებად. უნდა ითქვას, რომ ეს ოლქებიც საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა. ამდენად, მისიონერული საქმიანობის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქრისტიანული კერების მოშორებითაც (გარკვეული შუალედით) აშენებულიყო ეკლესიები და ტაძრები.

ტერმინი „приход“ (სამრევლო) გვიანდელი წარმოშობისაა (დაახ. XVIII ს.), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე საეკლესიო ცხოვრების წესი არ არსებობდა. თუ იყო ცნობილი, რომ სოფელში, დასახლებულ პუნქტებში იდგა ეკლესია, და ამ ეკლესიებში სწირავდა სამღვდლოება, რომ ამ ეკლესიის მღვდლებს ჰყავდათ სულიერი შვილები, ე.ი. ის პირები, რომლებიც რეგულარულად მიდიოდნენ აღსარების მისაცემად და ზიარების მისაღებად, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს რომ ეს ეკლესიები თავის დროზე წარმოადგენდნენ სამრევლოებს.

რუსულ ეკლესიაში სამწყსოს განსაკუთრებულ საქმიანობას წარმოადგენდა სულიერების ინსტიტუტის ჩამოყალიბება. თი-

თოეულ ქრისტიანს ჰყავდა (ან უნდა ჰყოლოდა) სულიერი მამა. ასეთ სულიერ მამებად შეიძლება ყოფილიყო თეთრი სამღვდლოება, მონაზვნები, ხოლო მაღალი საზოგადოებისთვის მონასტრების წინამძღვრები და ეპისკოპოსები.

სულიერი მამის იდეალი ყოველი ქრისტიანისთვის სიცოცხლის ბოლომდე შეუცვლელი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ სიკვდილს შეეძლო ამ ურთიერთობიდან გაეყარა ორივე მხარე. მიუხედავად ამ დადგენილი წესისა და კანონისა იყო შემთხვევები დაშორებისა, რაც უპირველეს ყოვლისა გამონგვეული იყო ზოგ შემთხვევაში მოსახლეობის მიგრაციით. ასეთ შემთხვევაში სულიერი მამის უფლება სპეციალური წერილით გადაეცემოდა სხვა სულიერ მამას.

უფრო მდგრადი და მტკიცე კავშირები ქრისტიანებსა და ცალკეული ეკლესიების მოძღვრებს შორის ჩამოყალიბდა XI-XIII სს. ქალაქებისა და ოლქების მცხოვრებლები სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდნენ ქალაქის ეკლესიებში, მეორე მხრივ იგივე ეკლესიის მოძღვარი უმეტეს შემთხვევაში იყო სულიერი მამა ადგილობრივი მცხოვრებლების, რომელიც აღჭურვილი იყო ასევე მრევლის შვილების ნათლობის უფლებით. ქალაქებისა და მსხვილი ვოტჩინების მცხოვრებლები ყველაზე ადრე აცნობიერებდნენ, რომ ისინი წარმოადგენდნენ საეკლესიო ქრისტიანულ თემს.

ქალაქის მცხოვრებლები წირვა-ლოცვაზე ძირითადად მიდიოდნენ კვირა დღეს და საეკლესიო დღესასწაულებზე. დანარჩენ დღეებში ღვთისმსახურება, როგორც წესი, არ სრულდებოდა, გარდა ქალაქის ტაძრებისა, რომელშიც შენაცვლებით სწირავდა ამა თუ იმ ქალაქის სამღვდლოება. (საქმე ეხება კათედრალურ ტაძრებს).

მოსახლეობის ზრდასა და საეკლესიო ორგანიზაციის აქტივობასთან ერთად იზრდებოდა სამრევლოებიც, იგებოდა ახალი ტაძრები, ქალაქებში ერთიანდებოდა თეთრი სამღვდლოება.

XII-XIII ს.ს. სასოფლო სამრევლოთა ორგანიზაციის ფორმად შეიძლება ჩაითვალოს მამრა. ეს გახლდათ საკმაოდ დიდი ოლქი, რომელშიც წარმოდგენილი იყო არა ერთი ეკლესია და საყდარი. სამღვდლოება იძულებული იყო შორ მანძილზე გადაადგილებულიყო საკუთარი სულიერი შვილების მოსახლეობა და წირვა-ლოცვის აღსასრულებლად.

იმუამად რუსულ მიწებზე პრაქტიკაში შემოვიდა ეკლესიების აშენება ისე, რომ არ იყო დადგენილი მღვდლები. აღნიშნული მოვლენა ძირითადად უკავშირდება იმ გარემოებას, როცა არ იყო საშუ-

ალეხა ადგილებზე მოემზადებინათ მღვდლები და გაემწესებინათ მოთხოვნის ადგილებზე.

XIII ს. საკმაოდ გაიზარდა კიევის მიწა-წყალზე და მის შემოგარენში ეკლესია-მონასტრების რიცხვი. როგორც ცნობილია ცალკეული სამთავროები ქრისტიანიზაციის საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ცალკეულ სამთავროთა საზღვრებში ეკლესიის მსახურთ დაუდგინდათ კანონი, რომლის თანახმად ერთი მაზრის მღვდელს ეკრძალებოდა სხვა მაზრაში მცხოვრები მრევლის მონათვლა.

აღნიშნული მოვლენა შეიძლება ახსნილ იქნას იმ გარემოებით, რომ მკაცრად განსაზღვრული ყოფილიყო საეკლესიო ცხოვრება და მასთან დაკავშირებული საშემოსავლო სისტემა.

ამ მიმართულებით მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები ვალდებული იყვნენ ყურადღებით გაეკონტროლებინათ საეკლესიო საზღვრები, რათა თავიდან აეცილებინათ ამ მიმართულებით გამონვეული უსიამოვნებანი.

1273 წელს საეკლესიო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება რუსულ მიწა-წყალზე ღვთისმსახურების წესების დადგინების შესახებ. ახლადდადგენილ სამღვდლოებას მოეთხოვებოდა შემოსილიყო ქვემოთ ჩამოთვლილი ღირსებებით: თავმდაბლობა და სიბრძნის-მოყვარულობა, თავის შეკავება ცდუნებისაგან განდგომა, და სხვ. ამავედროულად, ღვთისმსახურს მოეთხოვებოდა განათლება, რამეთუ გაუნათლებელი მღვდელი ვერ შეძლებდა საღვთო წიგნების ნაკითხვას და ღვთისმსახურების მაღალ დონეზე ჩატარებას. პრაქტიკაში ამ მიმართულებათ ფართოდ დაინერგა წირვა-ლოცვის ზეპირად შესრულება.

სასტიკად იკრძალებოდა ღვთისმსახურების აღსასრულებლად იმ პირთა დადგენა, რომელთაც ჩადენილი ჰქონდათ მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა ან შემჩნეული იყვნენ გარყვნილებაში. ასევე განსაზღვრული იყო სამოძღვრო კანდიდატის ასაკიც. წესით ეკლესიის მოძღვარი, ღვთისმსახური არ უნდა ყოფილიყო 30 წელზე ნაკლები, ხოლო დიაკონი 25 წლისა. ასევე იყო განსაზღვრული ღვთისმსახურთა ოჯახური მდგომარეობაც. მღვდლობის კანდიდატი აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაქორწინებული და ისიც ქორწინებაში ერთხელ. დადგენილებით მას უნდა გაეარა განათლების გამოცდა, რომელიც ორ ეტაპად მიმდინარეობდა. თავდაპირველად კანდიდატს ამოწმებდა მიჩენილი პირი, ხოლო შემდგომ თავად ეპისკოპოსი მოისმენდა, თუ როგორ ფლობდა გამოსაცდელი სახ-

არების და სამოციქულოს კითხვას. ამის შემდეგ გამოცდაგავლილი მომავალი მოძღვარი იგზავნებოდა თავის სულიერ მამასთან ალ-სარების სათქმელად. ამასთანავე 1273 წლის კრების დადგენილება ითხოვდა, რათა ეპისკოპოსს თავად დაეკითხა ხალხი, რომელთაც ნაცნობობა აკავშირებდა სამრევლოსთვის ახლადწარსადგენი მღვდლის წარსული.

რაც შეეხება საეკლესიო კრებულის მატერიალურად შენახვას, იგი მთლიანად ორიენტირებული იყო სამრევლო თემზე. თუ ღვთისმსახურს გარდა ეკლესიის შემოსავლისა არ გააჩნდა სხვა სახსარი, მაშინ მისი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო გამოუვალი, რადგან იმდროინდელი ტრადიციის თანახმად ძვ.რუსულ სახელმწიფოში მოძღვრისთვის გასამჯელო არ იყო დადგენილი, ეს იყო ნებაყოფლობით ფულით ან ნატურალური პროდუქტებით. ეკლესია შემოსავლებით ვალდებული იყო ეპისკოპოსისთვის გადაეხადა გადასახადი. დღევანდლამდე არ არის ცნობილი თუ რა თანხას უხდიდა საეკლესიო კრებული ეპისკოპოსს, მაგრამ ცხადია, რომ თანდათანაბრად ძველ რუსულ სახელმწიფოში აღნიშნული მიმართულებით მუშავდებოდა გარკვეული წესი.

## II თავი. ეპარქიალური მმართველობა და საეპარქიო სტრუქტურა კიევის რუსეთში X-XII ს.ს.

კიევის რუსეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ საეკლესიო კანონების თანახმად საეპარქიო სტრუქტურა ყოველთვის შეესატყვისებოდა ადმინისტრაციულ სტრუქტურას. ეპარქიები, ძირითადად მოიცავდნენ დიდ ტერიტორიებს დიდი ქალაქების ჩათვლით. ქალაქში, რომელშიც ტაძარი აიგებოდა წარმოადგენდა საეპისკოპოსო კათედრასა და ეპარქიალურ ცენტრსაც. ამით განსხვავდებოდა რუსული ეპარქიები ბერძნულისაგან, სადაც, როგორც კანონი, ყველა ქალაქს ჰყავდა თავისი ეპისკოპოსი.

რუსულმინა-წყალზე პირველი საეპისკოპო კათედრების ჩამოყალიბება წარმოადგენდა მიტროპოლიის საშინაო საქმეს, ხოლო რაც შეეხებოდა მის ფორმირებასთან დაკავშირებულ საქმეებს, სრული კომპეტენცია მიეკუთვნებოდა კიევის მიტროპოლიტს. ამავდროულად საეკლესიო კათედრების დაფუძნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ცალკეული მთავრები, რომელთა მატერიალურ დახმარებაზე დიდად იყო დამოკიდებული ახალი საეკლესიო ცენტრების დაფუძნება.

წმინდა მთავარ ვლადიმირისა და იაროსლავის მმართველობის წლებში (X ს.პ.ნახ. და X ს.) კათედრები მკვიდრდებოდა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ცენტრებში, სადაც პოლიტიკური მმართველობის სათავეებში იყვნენ ხსენებული მთავრების შთამომავლები.

XI საუკუნის მეორე ნახევარში განვითარების ფაზაში შევიდა მეორე პროცესი. კერძოდ, როცა დაიწყო კიევის მთავრების მხრიდან იმ ტერიტორიების ათვისება, რომელზედაც არარუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა და სადაც აქტიურად მიმდინარეობდა ქრისტიანიზაციის პროცესი. ამდენად XII საუკუნისთვის კიევისგან ნახევრადამოუკიდებელი ან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებში ადგილობრივი მთავრების ხელისშეწყობით ყალიბდებოდა ახალი საეკლესიო-საეპარქიო ცენტრი-კათედრები. აღნიშნულ საქმიანობაში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭებოდა მიტროპოლიტებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ცალკეულ სამთავროთა რელიგიურ სარწმუნოებრივი ფორმირების საქმეში.

XVI საუკუნის ნიკონოვის მატთანე გვაძლევს ცნობას რუსულ

მინაზე პირველი საეკლესიო კათედრის (992 წ.) დაფუძნების შესახებ. პირველი საეკლესიო კათედრების სახელით სარგებლობენ: ჩრდ.რუსული ისტორიული ცენტრი ნოვგოროდი, სანამ იგი კიევის რუსეთს შეუერთდებოდა (IX ს.) წმ.სოფიის საკათედრო ტაძარი, რომელიც კონსტანტინოპოლის წმ.სოფიის სახელობის ტაძრის ანალოგი უნდა ყოფილიყო, ამავე ნოვგოროდის მუხის ხის ტაძარი, რომელიც კიევის წმ. სოფიის შემდეგ 90-იან წლებში უნდა იყოს აშენებული. ნოვგოროდის ეპარქია ერთ-ერთი უდიდესი იყო სხვა ეპარქიათა შორის. მას მიენიჭებოდა სამისიონერო ფუნქციაც, გაეგრძელებინა ქრისტიანობა მეზობელ სლავურ არარუსულენოვან ხალხებში.

ასევე ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება ბელგოროდის ეპარქიაც. მისი აღმოცენება უკავშირდება ბელგოროდის ციხე-სიმაგრის აგებას (991 წ.). ბელგოროდის ეპისკოპოსი ასრულებდა მიტროპოლიტის სავიკარიო ფუნქციას, მაშინ როცა კიევის მიტროპოლიტი ადგილზე არ იმყოფებოდა.

ჩერნიგოვის ეპარქია პირველად საისტორიო წყაროებში მოიხსენიება 1072 წ. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ იგი დაფუძნებული უნდა იყოს არაუგვიანეს 1024 წ. როცა ჩერნიგოვში მთავარი გახდა მსტისლავ ვლადიმირის ძე, რომელმაც აქ ააშენა ფერისცვალების გრანდიოზული ტაძარი. ჩერნიგოვის ეპარქია მოიცავდა დნეპრის მარცხენა სანაპიროს ოკისა და დესნის ტერიტორიებს. მის მომიჯნავედ ვითარდებოდა პერეასლავის ეპარქიაც. აღნიშნულ ეპარქიათა ქრისტიანიზაციის პროცესი არსებითად უკავშირდება ვსევოლოდ იაროსლავის ძის მმართველობას (XI ს-ის 60-70-იანი წლები).

პოლოცკის ეპარქიის ჩამოყალიბებას მეცნიერები უკავშირებენ XI საუკუნის პირველ ნახევარს. თვით ვლადიმირისა და იაროსლავის მმართველობის პერიოდში ამ ტერიტორიაზე აშენდა წმ.სოფიის სახელობის ქვის ტაძარი, რომელიც თარიღდება XI ს-ის 50-60-იანი წლებით. XI საუკუნიდან პოლოცკის ეპარქიის ტერიტორია ემთხვეოდა თვით პოლოცკის სამთავროს ტერიტორიას მდ.დვინიდან მდ.ნემანის სათავეებამდე.

ამავე პერიოდში განვითარებული ქრისტიანიზაციის ფაზაში შევიდა ვლადიმირ-ვოლინის და ტუროვის ეპარქიებიც, რომელიც მოიცავდა ტერიტორიებს პრიპიატის ქვემო დინებასა და მის შენაკადებს შორის.

ადრეულ ეპარქიებს შორის, რომელთაც სამისიონერო მნიშვნელობა მიენიჭებოდათ ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა იურე-

ვი (ძვ.რუს. გიურევი, თანამედროვე ბელაია ცერკოვი), რომელი ქალაქიც ააშენა იაროსლავ ვლადიმირის ძემ (XI ს.). იურევის ეპარქია მოიცავდა კიევის რუსეთის ტერიტორიებს და გვიან სამხრეთის მიწებსაც (კორეგის სტეპები), რომელთაც პოლიტიკური კავშირი გააჩნდათ კიევთან. კორეგო სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა იურევს და ამდენად, პოლიტიკურ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით აქ წარმოდგენილი საეკლესიო კათედრა გადატანილ იქნა კანევიში მდ.დნეპრზე. აღნიშნული ეპარქიის ეპისკოპოსი ამასთანავე ასრულებდა სამიტროპოლიტო ვიკარიის ფუნქციასაც. როსტოვის ეპარქია მოიცავდა იმ ტერიტორიებსაც, რომელზედაც (რუსების გვერდით) ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ ფინური მოდგმის ტომები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ კიევის ადმინისტრაციას. აღნიშნულ ეპარქიაში ქრისტიანობა კიევის გაქრისტიანებისთანავე გავრცელდა და პირველ რიგში მოიცავდა მხოლოდ ქალაქებს. ეპარქიის დაფუძნება უკავშირდება დაახლოებით 1073-1076 წ.წ. როსტოვის პირველი წარმოჩინებული ეპისკოპოსი წმ.ლენტი, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა წარმართებმა მოკლეს. აღნიშნული მოვლენა ბუნებრივად უკავშირდება ქრისტიანიზაციის რთულ პროცესებს. მიუხედავად ამისა ხსენებულ ეპარქიაში კულტურული განვითარება არ წყდებოდა. ყოველივე ეს მაუწყებელია 992 წელს აგებული საუკეთესო ხისგან წმ.მარიამ ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, რომელზედაც მათიანე წერს, რომ *“Какова не бывала, потом таковой не бывати”*. კიევ-პირორის პატრიკი (XII ს. დასაწყ.) უფრო შთამბეჭდავად გადმოგვცემს, რომ ეს ეკლესია აგებულ იქნა ვლადიმერ მონომახის მიერ (1073 წ.) რომელიც მიმსგავსებული იყო ზომებითაც პირორის მიძინების ტაძართან.

თავდაპირველად ეპარქია მოიცავდა როგორც როსტოვისიზდალის, ასევე ბელოოზეროს მიწებს, - ქალაქების: სუზდალის, ვლადიმირის, იაროსლავის, და ბელოოზეროს ჩათვლით.

სამისიონერო საქმიანობის წარმატებით წინსვლის შემდგომ ეპარქიის შემადგენლობაში შევიდა მდ. სუხოზზე არსებული უსტუგის ტერიტორიაც. კიევისგან ვლადიმერ სუზდალის ეპარქიის გამოყოფის შემდგომ 1214 წ. როსტოვის იერარქი ღებულოზს როსტოველ-იაროსლავლის ტიტულს. მის დაქვემდებარებაში კვლავ დარჩა ბელოოზერო, უგლიჩი, უსტუგი და მოლოგა.

მოგვიანებით კიევის რუსულ მიწებზე საეკლესიო უმაღლეს არქიეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა ნოვგოროდის ეპისკოპოსი. ასეთი ტიტული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მიენიჭებო-

და ავტოკეფალური ეკლესიების საჭმეთმპყრობლებს, რომლებიც იმთავითვე ემორჩილებოდნენ მსოფლიო პატრიარქს. ნოვგოროდის საარქიეპისკოპოსო კიევის მიტროპოლიის ნაწილს წარმოადგენდა. აღნიშნული ტიტულის წარმოჩენა, რომელიც უპირატესად ნოვგოროდის მღვდელმთავრებს მიენიჭებოდათ მიეკუთვნება XII საუკუნეს და დაკავშირებულია: ქალაქების პოლიტიკურ სტრუქტურასთან, რესპუბლიკური ორგანოების მმართველობის სისტემის განვითარებასთან, და ვერზე საეკლესიო კანდიდატების არჩევასა და სხვაზე.

პირველი ვინც ნოვგოროდის არქიეპისკოპოსის ტიტულს ატარებდნენ იყვნენ იოანე (20-30-იან წ.წ. XII ს.) და წმ. იოფონტე (1131-1156 წ.წ.) XII ს.

თვით ტიტული არქიეპისკოპოსისა, როგორც ნოვგოროდში XII ს-დან, ასევე მოგვიანებით სხვა ეპარქიებში, იყო მხოლოდ ნომინალური, ვინც ხსენებულ ტიტულს ატარებდა, მას ჰქონდა უპირატესი პატივი კიევის მიტროპოლიის ეპისკოპოსთა შორის. მსოფლიო პატრიარქები წერილობით მიმართავდნენ ნოვგოროდის ეპისკოპოსებს, მიუთითებდნენ მასზედაც, რომ მათ (ეპისკოპოსებს) შეეძლოთ კანონიკური წესების სრული დაცვით მსჯავრი დაედოთ კიევისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტისთვის.

არქიეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა ასევე როსტოვის მღვდელმთავრები. უფრო მოგვიანებით არქიეპისკოპოსის ტიტული დაცულ და შენახულ იქნა როგორც პატივი რუსულ ეპისკოპოსთა შორის, მისი მფლობელები არ გამოდიოდნენ კიევისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიის იურისდიქციისგან.



## IV კარი. სახელმწიფო და ეკლესია კიევის რუსეთში

### I თავი. უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება და მისი დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლებასთან

ძველი რუსული სახელმწიფო (კიევის რუსეთი) დღიდან მისი გაქრისტიანებისა (მთავარ ვლადიმირის დროს) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში დამოუკიდებელ ეპარქიას წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში ედგა მიტროპოლიტი. ასეთი პატივით მოიხსენიებოდა იგი ოფიციალურ საპატრიარქო დოკუმენტაციებში.

რუსული ეკლესიის უმაღლესი ხელისუფლება ეპისკოპოსთა კრებულთან ერთად განიხილავდა მნიშვნელოვან სარწმუნოებრივ საკითხებს და იღებდა ამ მიმართულებით შესაბამის გადაწყვეტილებებს. ზემოხსენებული ორგანიზაცია ძირითადად აგებული იყო მსოფლიო მართლმადიდებლურ კანონიკურ საწყისებზე და სრულიად მონოდებული იყო უმაღლესი საერო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლებისათვის. ამავდროულად, იგი მოვალე იყო ეზრუნა კანონიკურად იმ იერარქიის ამაღლებისთვისაც, რომლის იურისდიქციის ქვეშაც ის იმყოფებოდა (კონსტანტინოპოლის საპატრიარქო „ახალი რომი“ თავისი სინოდითურთ), და ასევე ბიზანტიის იმპერატორისთვის, რომელსაც განსაკუთრებული ხელისუფლება გააჩნდა კიევის სამიტროპოლიტოზე.

კიევის სამიტროპოლიტო, დღიდან თავისი არსებობისა, წარმოადგენდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნაწილს, ხოლო მისი ხელისუფალი (მიტროპოლიტი) კი სამოცდამეექვსე, უფრო გვიან სამოცდამეათე ზემოხსენებულ საპატრიარქოზე დაქვემდებარებულ მიტროპოლიტს.

საეკლესიო საკითხებში კიევის მიტროპოლიტს ექვემდებარებოდა რიგი ძველი რუსული სახელმწიფოები მათივე სახელმწიფო დინასტიური ხელისუფლებით, პოლიტიკური და სამართლებრივი ტრადიციებით. ამდენად, კიევის მიტროპოლიტი კონსტანტინოპოლზე დაქვემდებარებულ სხვა მიტროპოლიტთა შორის იყო სახელმწიფო და ეროვნული ეკლესიის მეთაური.

კიევის მიტროპოლიტი დასაწყისიდანვე მეტწილად დამოკიდებული იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქზე, ხოლო XIV ს. იგი გახდა გაცილებით უფრო დამოუკიდებელი ფაქტობრივად ავტოკეფალური.

მოგვიანებით კიევის სამიტროპოლიტო გაიყო ორ ნაწილად: დასავლეთი (ცენტრით კიევი) ხელახლა გადავიდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ბიზანტიის იმპერიის დაცემას და იმ ტრაგიკულ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხსენებულ ქვეყანაში.

თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევათა მონაცემებით სამიტროპოლიტო კათედრების დაფუძნება ცენტრით კიევში ემთხვევა ვლადიმირისა და კიეველების გაქრისტიანების პერიოდს.

სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ეკლესიისა და მისი უმაღლესი ხელისუფლების ადგილი და მისი იურისდიქციის განსაზღვრის საკითხი დაფიქსირებულია განსაკუთრებულ დოკუმენტთა და მთავართა დადგენილებებში, ასევე წარმოდგენილია იმ ტრადიციებში, რომელიც კიევის რუსეთში მუდმივად განისაზღვრებოდა და ორგანიზდებოდა უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების მხრიდან, კერძოდ - მთავარ ვლადიმირისა და მისი ვაჟის იაროსლავ ბრძენისგან.

ჯერ კიდევ სამიტროპოლიტო კათედრის დაარსებამდე მთავარი ვლადიმირი თავად განსაზღვრავდა პირველი ეკლესიების მატერიალურად და სამართლებრივად მოწყობა-მოლონიერების საკითხს.

შემდგომ ეტაპზე კი უმაღლესი საერთო ხელისუფლება საეკლესიო კანონიკურ, დოგმატურ და ასევე სასამართლო საკითხებს არსებითად მიტროპოლიტებისა და ეპისკოპოსების კომპეტენციაში ტოვებდა. ამდენად, მიტროპოლიტებისა და ეპისკოპოსების დაქვემდებარებაში აღმოჩნდა უზარმაზარი სასამართლო ხელისუფლების სფერო, რომელზედაც პრეტენზიის უფლება საერო ხელისუფლებას არ გააჩნია.

აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში არსებობს მეორე დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც იაროსლავ ბრძენი საეკლესიო სასამართლოსთან მიმართებაში მიტროპოლიტ ილარიონთან ერთად ადგენდა მიტროპოლიტისა და ეპისკოპოსის სამართლებრივ ნორმებს, რომლის საფუძველი ნომოკანონი უნდა ყოფილიყო.

დადგენილებებში, რომელთაც ერთმანეთთან შეთანხმებით საერო და სასულიერო ხელისუფალნი, - იაროსლავი და ილარიონი ადგენდნენ, ბუნებრივია, აგებული უნდა ყოფილიყო რუსული მენ-

ტალობის გათვალისწინებით. რადგან საეკლესიო იურისდიქცია მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიებს და მასზე განფენილ ეთნოსებს ერთმანეთისგან განსხვავებული ზნე-წეს-ჩვეულებანი აკავშირებდათ, საერო და სასულიერო ხელისუფლებას მათი ინტერესის გათვალისწინებით უნდა შეედგინათ სამართლებრივი ნორმებიც. ამდენად, რუსული საეკლესიო და საერო სამართალი ერთმანეთთან შესაბამისობაში მიყვანილი უნდა ყოფილიყო.

რუსულ ეკლესიასთან მიმართებაში ტრადიციულად კონსტანტინოპოლის პატრიარქი ერთდროულად ფლობდა მეტად მნიშვნელოვან რამდენიმე ფუნქციას. ყველაზე გამოკვეთილი ხსენებულ უფლებათაგან იყო რუსულ საეკლესიო კათედრაზე მიტროპოლიტის დადგინება. ამავდროულად, მის ფუნქციაში შედიოდა სამიტროპოლიტოს დაყოფა ახალ მიტროპოლიებად და იმ კათედრებზე მიტროპოლიტების განწესება. ასევე, პატრიარქის ფუნქციაში შედიოდა მიტროპოლიტებზე სასამართლოს უფლება იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელნი საეკლესიო ცხოვრების საკითხებში კანონიკისა და სხვა სახის მნიშვნელოვან დარღვევებში იქნებოდნენ მხილებულნი. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იყო შემთხვევები, როცა კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავს იკავებდა რუსულ საეკლესიო ცხოვრებაში ღრმად ჩარევისგან. მაგ. 1162 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა უარი განაცხადა შეეცვალა რუსი ეპისკოპოსების გადაწყვეტილება როსტოვის საეპისკოპოსო მმართველობის საკითხზე, რომელსაც კონფლიქტი ჰქონდა სამწყსოში თავის სამღვდელთაგანთან. თვლიდა რა აღნიშნულ საკითხში თავის თავს არაკომპეტენტურად, პატრიარქი წერილობით მიმართავდა უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფლებას, - კიევის მთავარსა და მიტროპოლიტს, ადგილზე, - წმ. მოციქულთა ტრადიციის გათვალისწინებით მიეღოთ გადაწყვეტილებანი.

როგორც ცნობილია, პატრიარქის იურისდიქციაში წარმოდგენილი კიევის სამიტროპოლიტო კათედრაზე XIII საუკუნემდე იგზავნებოდნენ ბერძენი მიტროპოლიტები, რომლებიც არ იცნობდნენ ადგილობრივი ეთნოსების ზნე-წეს-ჩვეულებებსა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ ფლობდნენ მრევლის ენას.

აღნიშნული მოვლენის უარყოფითი მხარე არ შეიძლება შეუფასებელი დარჩენილიყო იმდროინდელ რუსულ აზროვნებაში. მართალია, ამ მიმართულებით ისტორიული საბუთები არ მოიპოვება, მაგრამ მოვლენათა მსვლელობა რუსულ საეკლესიო ცხოვრებაში თანდათანობით ისეთ ხასიათს ამჟღავნებს, რომ არსებითად შეინ-

იშნება ბერძულ-ბიზანტიური ტრადიციებიდან, უკვე საკუთარ, ეროვნულ სულიერებათა მოთხოვნილების შესაბამისად საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობა.

სინამდვილეში არ შეიძლება შეფასება არ მიეცეს ასევე ძველი რუსული სახელმწიფოს ორიენტირებას კონსტანტინოპოლზე და მის კულტურულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, რაც X საუკუნის ბოლოდან რუსულმა ეკლესიამ აღნიშნულ საპატრიარქოს ეგიდის ქვეშ მიიღო. კიევის რუსეთი ერთ-ერთი წარმატებული მართლმადიდებელი სახელმწიფო გახდა ევროპაში, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებს თანაბრად უნაწილებდა ქრისტიანულ სარწმუნოების ფასეულობებს და ოსმალეთისგან შევიწროებულ ქრისტიანულ ქვეყნებს უსჯულოთაგან განთავისუფლების რწმენას უწერდა. ამავდროულად, მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკური კავშირები კონსტანტინოპოლთან პირობას ქმნიდნენ იმისას, რომ კიევის რუსული სახელმწიფო ინტელექტუალურად განვითარებულიყო, შეექმნა ეროვნული მწერლობა და საკუთარი ხელოვნება. აღნიშნულის შედეგი იყო ის რომ კიევის სამიტროპოლიტომ ფეოდალური შინააშლილობის პირობებში ძველ რუსულ მინებზე შეინარჩუნა კულტურულ-პოლიტიკური ერთობა.

კიევის რუსეთის დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან დაკავშირება მისი აღმოსავლეთ ნაწილის კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ ყოფნა, უხსნიდა მას გზას საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის რეალიზებისთვის მეზობელ სახელმწიფოებთან. ასევე კიევის რუსეთში ფართოდ იყო კარი გაღებული აღმოსავლური კულტურული მონაპოვრების მისაღებადაც.

ძველი რუსული სახელმწიფო, როგორც ქრისტიანული კულტურის ნაწილი მიეკუთვნებოდა მის ირგვლივ მყოფ ქვეყანათა რიცხვს, რომლებსაც იმთავითვე აითვისეს კონსტანტინოპოლის ღვთისმეტყველების და ხელოვნების ელემენტები. განავითარეს და ზეხარისხში აიყვანეს იგი. ამ მნიშვნელოვან საქმიანობაში საერო და სასულიერო ხელისუფლება სრულ ჰარმონიას ავლენდა და ქვეყნის წინსვლა-აღორძინების საკითხს დიდ მომავალს უქადდა.

## II თავი. მიტროპოლიტი კლიმენტი სმოლიატიჩი და არეულობა რუსულ ეკლესიაში (XII-ის პირველი ნახევარი); ვლადიმირ-სუზდალის თავადის ნმ.ანდრია ბოგოლიუბის საეკლესიო მოღვაწეობა

XII ს-ის მე-2 ნახევრისთვის რუსეთში საბოლოოდ გაფორმდა ცენტრული პოლიტიკური სტრუქტურა, რომელმაც იარსება თითქმის XV ს-ის მე-2 ნახევრამდე. პოლიტიკური განხეთქილების ეპოქაში სამიტროპოლიტო აღმოჩნდა ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც აძლიერებდა საერთო სახელმწიფოებრივ ერთიანობას, რაც არა მარტო ზრდიდა ეკლესიის მნიშვნელობას, არამედ მის წინაშე აყენებდა განსაკუთრებულ მოთხოვნებს, პირველ რიგში კი ქრისტიანიზაციის I ეტაპზე საეკლესიო იერარქებია. როგორც მიტროპოლიტებმა ასევე ეპისკოპოსებმაც თავიდანვე ვერ გააცნობიერეს ქვეყნისა და ერის წინაშე თავიანთი ისტორიული მისია. XII ს-ის 40-ან წლებში რუსეთში პოლიტიკური წყობის ცვლილებებთან დაკავშირებით კიევი გახდა მთავართა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის განუწყვეტელი ბრძოლის საგანი. ყველაფერმა ამა და კიდევ სხვა გარემოებებმაც ქვეყანაში გამოიწვია გაჭიანურებული არეულობა, რომელმაც შეარყია რუსული ეკლესია მეოთხედი საუკუნის მანძილზე. კიევის მიტროპოლიტი მიხეილ II (1130-1145), 1145 წ. იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში, რომელიც უცნობი მიზეზების გამო რუსეთში არ დაბრუნებულა, თუმცა, განსაკუთრებული „ხელნაწერით“ ჩაკეტა სოფიის სამიტროპოლიტო ტაძარი. შედეგად კიევის ახალმა მთავარმა იზისლავ მსტისლავის ძემ (1146-1154) მიმართა ძალისმიერ მეთოდს და 1147 წლის ზაფხულში მიტროპოლიტად ექვს ეპისკოპოსთან ერთად დანიშნა მიტროპოლიტი კლიმი. დღემდე გაუგებარია, თუ რატომ არ იღებდა პატრიარქისგან კურთხევას ახალი მიტროპოლიტი. რუსული ეკლესია აღმოჩნდა დაშლილი: ეპისკოპოსებმა უნმ. ნიფონტ ნოვგოროდელმა, მანუილ სმოლენსკიმ, და, აგრეთვე, კოსმა პოლოცკიმ და ნესტორ როსტოველმა უარი თქვეს კლიმენტის აღიარებაზე და პირდაპირ ურთიერთობაში შევიდნენ იზისლავისა და მისი ბიძის იური დოლგოორუკის მიერ კიევის დასაპყრობად მიმართულ ღონისძიებებში. კლიმენტი იქ იმყოფებოდა იზისლავის მფარველობის ქვეშ, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, იგი იზისლავის შვილთან მსტისლავთან ერთად 1155 წ. გადავიდა ვოლინში, ხოლო რუსეთის დედაქალაქში გამაგრდა იური,

რომელმაც დაუყოვნებლივ გაგზავნა თხოვნა ახალი მიტროპოლიტის დანიშვნის შესახებ. ერთი წლის შემდეგ კიევი ჩამოვიდა მიტროპოლიტი კონსტანტინე I (1155-1159), ცნობილი ღვთისმსახური, მაგრამ არამდგრადი პოლიტიკოსი, რომელსაც არასაკმარისი წარმოდგენა ჰქონდა რუსეთის საეკლესიო სფეროში შექმნილ საქმის ვითარებაზე. მის მიერ მიღებულმა რადიკალურმა ზომებმა კლიმენტის და იზისლავის სიკვდილის შემდეგ (ანათემაზე გადაცემა და მისთ.), საკმაოდ გააძლიერა უარყოფითი განწყობა ეკლესიის წინააღმდეგ. როდესაც (1158 წ. დასასრულს) კიევი დაიკავა მსტისლავ იზისლავის ძემ, რომელმაც თან ჩამოიყვანა კლიმენტი, მიტროპოლიტი კონსტანტინე იძულებული გახდა თავი შეეფარებინა ჩერნიგოვში. მსტისლავი აიძულებდა კლიმენტის დაბრუნებოდა მიტროპოლიას, რის კატეგორიული წინააღმდეგეც იყო კიევის ახალი მთავარი როსტისლავ მსტისლავის ძე, რომელიც მიუთითებდა კანონიკურად არჩეულ კონსტანტინეზე. დიდი კამათის შემდეგ მთავრები შეთანხმდნენ, რომ ჩამოეყვანათ სხვა მიტროპოლიტი „ცეზარქალაქიდან“. მაგრამ ამასობაში გარდაიცვალა მიტრ. კონსტანტინე და საპატრიარქო გადაურჩა კანონიკური პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობას.

1160 წ. ზაფხულში კიევი ჩამოვიდა მიტროპოლიტი თეოდორი, თუმცა მან ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო და 10 თვეში გარდაიცვალა. ახალი მიტროპოლიტი იოანე IV კიევი მიღებულ იქნა მხოლოდ ორი წლის შემდეგ. ასეთი შუალედი გამოწვეული იყო იმით, რომ როსტისლავ მსტისლავის ძე მთელი ამ ხნის განმავლობაში ითხოვდა კლიმენტის დანიშვნას ძველი თარიღით, რაც ალბათ გამოწვეული იყო იმდროინდელი პოლიტიკური აუცილებლობით.

საეკლესიო საქმეების მოშლა ვრცელდებოდა კიევის ფარგლებს მიღმაც, საეპარქიო ცენტრებშიც და ამ რთულ სიტუაციაში კონსტანტინოპოლის პატრიარქები და კიევის მიტროპოლიტები უდიდეს ყურადღებას უთმობენ რუსული სამიტროპოლიტოების ერთიანობის პრობლემას და მის ზოგადსახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. სწორედ კონსტანტინე II-დან იწყებენ კიევის პირველი ერაქები ტიტულით „სრულიად რუსეთის“ მიტროპოლიტებად ერთმანეთის წოდებას. სავარაუდოა, მსგავს ხაზგასმამში ჩადებული იყო მთავრის ნმ. ანდრია ბოგოლიუბის გეგმაც, დაემტკიცებინა ვლადიმირში-კლიაზმაზე დამოუკიდებელი სამიტროპოლიტო ტახტი, რომლის განხორციელებასაც ის ცდილობდა XII ს-ის 60-იან წლებში, და აღნიშნული მიმართულებით მრავალგზის მიმართა თხ-

ოვნით კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ამ ფაქტის შესახებ ძველი რუსული წყაროები არაფერს მეტყველებენ. თუ არ მივიღებთ მხედველობაში კონსტანტინოპოლის პატრიარქის ლუკა გრისოვერგის (1157-1169), საპასუხო გზავნილს, სადაც თავადს ატყობინებდნენ, რომ ამ საქმის განხორციელება ყოვლად შეუძლებელი იყო. თუმცა ანდრია იურის ძემ არ დათმო და გაბედა კიდევაც დე ფაქტოდ დაეყო როსტოვის ეპარქია ორ ნაწილად-საკუთრივ როსტოვისა და სატახტო ვლადიმირ-სუზდალისა, სადაც დასვა თავისი კანდიდატი თეოდორი; მატიანე მას ირონიით იხსენიებს, რაც აშკარად გამოწვეული იყო მისი უსაფუძვლო ამბიციით მხოლოდ 1169 წ. თეოდორი მაინც გაემგზავრა კიევში (სავარაუდოდ, ანდრეი იურის ძის პოლიტიკაში ცვლილებების გამო), მაგრამ ის იქ დასჯილ იქნა მიტროპოლიტ კონსტანტინე II-ის ბრძანებით: მას, მოაჭრეს ენა, მარჯვენა ხელი და ამოთხარეს თვალები“. ასეთი უჩვეულო სისასტიკე და არაკანონიკურობა მიუთითებს წინააღმდეგობათა პრინციპულ ხასიათზე და რუსეთის სამიტროპოლიტოს ერთიანობის რეალურ საფრთხეზე. შემდგომში მიტროპოლიტები ცდილობდნენ გაეტარებინათ პოლიტიკური ცენტრალიზმის ადეკვატური ხაზი და დაეცვათ წონასწორობა დაპირისპირებულ (თავადთა) დაჯგუფებებს შორის და შეძლებისდაგვარად დაემშვიდებინათ ისინი. ამ საქმეში მიტროპოლიტი ნიკიფორე II იყო თავადების - რიურისკ როსტისლავის ძისა და სვიატოსლავ ვსევოლოდის ძის შუამავალი და მთელი ძალით ცდილობდა გალიჩის დაბრუნების ორგანიზებას და წართმევას უნგრელებისათვის 1189 წ. მიტრ. მატვეი (1200-1220) ცდილობდა შეერიგებინა ჩერნიგოვის თავადები და ეკლესიაში დაემკვიდრებინა მყუდროება.

თუმცა, ეკლესიის მიერ ასეთი მნიშვნელოვანი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა უაღრესად რთული იყო არა მარტო პოლიტიკური კონფლიქტების სიჭარბის გამო, არამედ, იმიტომაც რომ XII-ის მეორე ნახევარში საეპისკოპოსო კათედრების კანდიდატების არჩევა ხშირად ხდებოდა ადგილებზე, რასაც მოჰყვებოდა ხოლმე უთანხმოება მთავრებს შორის.

ანდრია იურის ძე ბოგოლიუბის მიზანი ვლადიმირ-კლიაზმაზე დაეფუძნებინა განსაკუთრებული სამიტროპოლიტო, წარმოადგენდა მთავრის ფართო პროგრამის ნაწილს, რომელიც ემსახურებოდა ვლადიმირ-სუზდალის მიწაზე თავისი პოლიტიკური იურისდიქციის განვრცობას და მის იდეოლოგიურ გაფორმებას. ამ პროგრამის ჩარჩოში (XII ს-ის 60-იან წლებში) გაჩაღდა აქტიური საეკლესიო

მშენებლობები, განსაკუთრებით ვლადიმირში, სადაც შეიქმნა მიძინების ქვის ტაძარი, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც სამიტროპოლიტოს ახალი საკათედრო ტაძარი. ტაძარში მოათავსეს ვიშგოროდიდან ანდრეას მიერ ჩამოტანილი ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი, რომლის თავყვანისცემის სტიმულირება ხდებოდა ყველა ასპექტით, როგორც საეკლესიო-ლიტერატურული, ასევე ლიტურგიული ტექსტების შექმნის გზითაც.

### III თავი. იაროსლავ ბრძენის საეკლესიო პოლიტიკა (XIII ს. პირველი ნახევარი)

ქრისტიანიზაციის შემდგომი ეტაპი ძველრუსულ სახელმწიფოში და საზოგადოებაში ემთხვევა წმ. ვლადიმირის ერთ-ერთი ვაჟის იაროსლავის მმართველობის პერიოდს. (1016-1018, 1019-1054), რომელიც გრძელი და სისხლიანი შინაომების შემდეგ საბოლოოდ განმტკიცდა კიევი 1026წ. დიდი მთავრის სახელმწიფო პროგრამაში ერთ-ერთი ადგილი ეჭირა ეკლესიის გასაძლიერებელ ღონისძიებებს, რადგან ამ უკანასკნელზე დიდად იყო დამოკიდებული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის წარმართვა და ამ უკანასკნელის საერთაშორისო არენაზე წარმოჩენა. ეს კარგად გამოიხატა მონუმენტურ საეკლესიო მშენებლობებში 1030-1050 წ.წ., რომელიც მთლიანად ორიენტირებული იყო კონსტანტინეპოლის მოდელზე. საკმარისია დავასახელოთ სოფიის გრანდიოზული ტაძარი კიევი და ანალოგიური საკათედრო ტაძრები ნოვგოროდში და პოლოცკში, კიევის ხარების ეკლესია ოქროს კარიბჭეზე და წმ. გიორგისა და წმ. ირინეს მონასტრები, ჩერნიგოვის პრეობრაჟენსკის (ფერიცვალეზის) საკათედრო ტაძარი და სხვა. თუმცა იაროსლავის საეკლესიო მშენებლობების საერთო მასშტაბები, მემატიანის მტკიცებით, უფრო ფართო იყო: სწორედ იაროსლავ ვლადიმირის ძის დროს რუსეთში გაჩნდა პირველი მონასტრები, პირველი ძველრუსული თარგმანები ბერძნულიდან, რასაც ადასტურებს აგრეთვე თანამედროვე ფილოლოგიის მეცნიერული მონაცემები. ამ პერიოდში ჩნდება აგრეთვე ძველრუსული საეკლესიო დამწერლობის პირველი ორიგინალური ნაწარმოებები-ნოვგოროდის ეპისკოპოს ლუკა უდიატის მოძღვრება და საეკლესიო სამართლის წარმოების ნორმები, რომლის ზოგადი მონახაზები ჯერ კიდევ ვლადიმირის პერიოდში იყო გაკეთებული (ზნეობრივი, ჯადოქრობის, დანაშაულის სამართალი საეკლესიო (ეკლესიურ) ადამიანებზე და ა.შ.), მათი არსებითი დეტალიზაცია იაროსლავის დროს მოხდა. აღსანიშნავია, რომ იაროსლავის წესდება არ იყო პირდაპირ გადმოტანილი ბიზანტიური საეკლესიო კანონმდებლობიდან, ზოგჯერ ის ორიენტირდება ძველრუსული საზოგადოების კონკრეტულ პირობებზე და ადგილობრივი მაღალი წრის სამართლის წარმოების პრაქტიკაზე; მაგალითად, დასჯის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენდა ფულადი ჯარიმები სამღვდელოების სასარგებლოდ. სამთავრო ხელისუფლებას შეეგნებუ-

ლი ჰქონდა ეკლესიის სახელმწიფოში ინტეგრირების, საეკლესიო სლავური ენის როლი, რომლის გაძლიერებისკენ ის ისწრაფოდა, მხარს უჭერდა რა იმ პერიოდში ჩასახულ პირველ რუს წმიდანთა თაყვანისცემას. თუმცა, დაუზუსტებელია იაროსლავის უმცროსი ძმების წმ. ბორისისა და გლების თაყვანისცემის თარიღი, რომლებიც ვლადიმირის გარდაცვალების შემდეგ დაილუპნენ შინაომის დროს. მაგრამ ცხადია, რომ მათი თაყვანისცემა დაიწყო იაროსლავისა და მიტრ. იოანე I-ის პერიოდში. გაურკვეველია ასევე რამდენად ჰქონდა საეკლესიო მიზეზი რუსეთ-ბიზანტიის კონფლიქტს (1043-1046 წ.წ.), მაგრამ უდავოა, რომ მიტროპოლიტ ილარიონ კიევის სამღვდელოების კრებაზე 1051 წ. „რუსინის“ (русин) დანიშვნა წინააღმდეგობაში მოდიოდა პატრიარქის სინოდის მიერ ეპისკოპოსებისა და მიტროპოლიტების დანიშვნის პრაქტიკასთან. იაროსლავის საეკლესიო პოლიტიკა აშკარად გამოირჩეოდა გარკვეული ავტორიტარიზმით, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში არ ემთხვევა კანონიკურ ნორმებს. (მაგ. ანტიკანონიკური მონათვლა თავადების იაროპოლისა და ოლეგის ნეშტისა, რომლებიც იყვნენ წმ. ვლადიმირის ძმები, და მათი „დესიატინის“ (десятинный) ეკლესიაში დაკრძალვა 1044 წ., თუმცა, მიტროპოლიტ ილარიონის შემთხვევაში, ის ადვილი შესაძლებელია, ეყრდნობოდა თვით კონსტანტინეპოლის ეკლესიის შიდა. რეფორმაციულ ტენდენციებს, რომელშიც სწორედ იმ დროის გავლენიანი სტუდიის (студийский) მონასტერს გაჰქონდა უმაღლესი სამღვდელოების არჩევითობის საკითხი საპატრიარქოს ცენტრალიზებული დანიშვნების საწინააღმდეგოდ. იაროსლავის მმართველობაში, განსაკუთრებით მის საგანგებო აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად, ფორმულირდება კიევის როგორც ქრისტიანობის ბრწყინვალე დედაქალაქის დეკლარირება, რომელიც მეტოქეობას გაუწევდა საბერძნეთის მშვენება კონსტანტინოპოლს..

მიუხედავად ქრისტიანიზაციის აშკარა წარმატებებისა წმ. ვლადიმირისა და იაროსლავის დროს, რომელიც გრძელდებოდა იაროსლავის ძეთა პერიოდშიც, მოიცავდა რუსეთის მხოლოდ სოციალურ ზედა ფენას და, გარკვეულწილად, ქალაქის მოსახლეობას. ხოლო სოფლები, განსაკუთრებით ძველრუსული სახელმწიფოს პერიფერიებში, დიდი ხნის განმავლობაში იყო დარჩენილი მისიონერთა საქმიანობის გარეშე. მათიანედან ცნობილია, XI-ს-ის 20-ან და 70-ან წ.წ. როსტოვის მინა-წყალზე მიმდინარე წარმართთა მღელვარებაზე. მხოლოდ თავადი გლეხ სვიატოსლავის ძე და მისი

ახლობლები „იდგნენ ეპისკოპოსთან, ხოლო ხალხი გაჰყვა გრძნეულებს (მისანს)“-ასე ახასიათებს მემატიანე იმდროინდელ რელიგიურ ყოფით სურათს. ამასთან, ზოგიერთ რეგიონში წარმართობის შენარჩუნება ან მისი რეციდივები არ უნდა აგვერიოს ე.წ. ორსარწმუნოებაში. თვით ტერმინი „ორსარწმუნოება“ ნიშნავს, უკვე განხორციელებულ, თუნდაც გარეგნულად, ეკლესიურობას. პოლემიკურ ლიტერატურაში წარმართობის წინააღმდეგ მთელი მონღოლამდელი პერიოდის განმავლობაში (და შემდგომაც) ვკითხულობთ ადამიანებზე, „მაცხოვრებლებზე ორსარწმუნოებით“, რომლებიც დადიან ეკლესიებშიც და წარმართებთანაც. ქრისტიანიზაციის პროგრესში მთავარ როლს ასრულებდა საეპისკოპოთა რიცხვის გაზრდა, რომელიც მოსახლეობას აახლოებდა საკათედრო ცენტრთან და აადვილებდა მისიონერულ მოღვაწეობას. ასე, მაგ. 1136 წ. არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით სმოლენსკში საეპისკოპოსო კათედრის დაწესების შემდეგ, ნათლად ჩანს XII ს-ის მე-2 ნახევარში წარმართთა ყორღანული აკლდამების დაკარგვა. XII ს-ის მე-2 ნახევრისათვის რუსეთში უკვე ითვლიდნენ 10-11 ეპარქიას: ნოვგოროდში, კიევის ბელგოროდში, ჩერნიგოვში, პოლოცკში, იურევში, ვლადიმირ-ვოლინში, ტუროვში, სმოლენსკში და, შესაძლებელია გალიჩშიც. ამავე პერიოდში ქვის ეკლესიების მშენებლობა პრაქტიკულად ხორციელდებოდა კიევში და მის შემოგარენში (დიმიტრიევის მონასტრის ტაძარი, ღვთისმშობლის სამონასტრო ეკლესია, ვიდუბიცის მონასტერს, მიხაილოვის ტაძარი, პეჩორის მონასტრის მიძინების ტაძარი და სხვა), ჩერნიგოვში (ბორის და გლეხის ტაძარი) და პერეიასლავში (მიხაილოვის ტაძარი და წმ. მახარობელ ანდრიას ეკლესია). მოგვიანებით, XII ს-ის მე-2 ნახევრის განმავლობაში, ქვის ტაძრები იქმნება აგრეთვე სმოლენსკში, გალიჩში, რიაზანში, ნოვგოროდ-სევერსკში, კანევში, ოსტერსკში. (ჩერნიგოვის სამხრ.) და სხვა ადგილებში; ქვის ეკლესიების ფართო მშენებლობები ვითარდება ამ პერიოდში ნოვგოროდშიც.

სამთავრო ძალაუფლების განმსაზღვრელი როლი კიევის რუსეთის ქრისტიანიზაციის საქმეში, საეკლესიო-ადმინისტრაციული სტრუქტურების ორგანიზაციისა და მატერიალურად უზრუნველყოფასთან ერთად გამოვლინდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეპარქიული ზღვარის თანაფარდობაშიც (რაც, სხვათაშორის, დამახასიათებელი იყო ბიზანტიური ეკლესიისთვისაც). ვინაიდან რუსეთის შიდაპოლიტიკური სტრუქტურა საკმაოდ ცვალებადი იყო, მსგავსი პრაქტიკა მივიდა ცნობილ საეკლესიო არეულობამდე.

ასე, მაგ. XI ს-ის 60-70 წ.წ. რუსეთში იაროსლავის სამი ვაჟიშვილის ერთობლივი მმართველობის პერიოდში (იზიასლავ კიეველი, სვიატოსლავ ჩერნიგოველი და ვსევოლოდ პერეიასლაველი), მივიდნენ მიტროპოლიტის კათედრების დროებით ორგანიზაციამდე ჩერნიგოვსა და პერეიასლავში. რაც შეეხება როსტოვის კათედრას, იგი დიდი ხნით, სავარაუდოდ 1136 წლამდე დაცარიელდა.

XI ს-ის მე-2 ნახევარში შეინიშნება კიევ-პეჩორის მონასტრის დაფუძნება და მისი შემდგომი აღმავლობა, რომელიც უკვე ამ საუკუნის ბოლოსთვის გახდა წამყვანი რელიგიურ-კულტურული ცენტრი რუსეთში. მაშინდელი მონასტრების უმრავლესობისგან განსხვავებით, რომლებიც მიეკუთვნებოდა ქტიტორებს (თავადებს), პეჩორის სავანე, დაფუძნებული უწმ. ანტონის მიერ, მემატიანის სიტყვებით, აგებული იყო „ცრემლებით, ლოცვებით, ვედრებით, გოდებით“, ეს თავისებურება კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ძველრუსულ საზოგადოებას. პეჩორის მონასტრის საყოფაცხოვრებო დებულება, რომელიც ნასესხები იყო XI ს-ის 60-იან წლებში უწმ. თეოდოს კონსტანტინეპოლელის სტუდიის მონასტრის ილუმენიდან, გახდა მონასტრული წეს-წყობის საფუძველი, როგორც სხვა ძველრუსულ სავანეებშიც, თუმცა, უწმ. თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ ეს წესი ვერ შენარჩუნდა, ვინაიდან ძალიან მკაცრი იყო.

პეჩორის ძმობიდან ათობით გამოსული მოღვაწე XI-XII ს.ს.-ში მართლმადიდებლური წესით აპურებდა საეპისკოპოსო კათედრებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მონასტრის საერთო ეროვნულ მნიშვნელობას. აღნიშნულის დამადასტურებელ ილუსტრაციას წარმოადგენს შემდეგი დეტალი: საკათედრო ტაძრები ეპარქიაში, რომლებიც წარმოიშვა XI ს-ის დასასრულს და XIII ს-ის დასაწყისამდე (როსტოვში, ვლადიმერ-ვოლინსკში, ტუროვში, გალიჩში, რიაზანში, ვლადიმირში-კლიაზმაზე), ყველა მათგანი მიეძღვნა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს, ისევე როგორც კიევ-პეჩორის მონასტრის სატაძრო სისტემა. კიევის მთავრებს არაერთხელ მიუმართავთ პეჩორის ილუმენთა ავტორიტეტისთვის (რომლებმაც 1170 წ. ილუმ. პოლიკარპეს დროს მიიღეს არქიმანდრიტის წოდება), და ეს უკანასკნელნიც არ ერიდებოდნენ აუცილებლობის შემთხვევაში ჩარეულიყვნენ პოლიტიკაში, პირველ რიგში მთავართა ურთიერთობებშიც. ასე, მაგ. წმ. ანტონი აქტიურად კიცხავდა კიევის მთავარს იზიასლავ იაროსლავის ძეს (1054 და 1078წ.წ.) ჯვარზე კოცნით დადებული ფიცის დარღვევის გამო, თავად ვსესლავ პოლოცკისთან წარმოქმნილი უთანხმოების გამო. ხოლო უწმ. თეოდოსმა შენ-

ყვიტა კიევის მთავრის სვიატოსლავ იაროსლავის ძის მოხსენიება ლოცვებში, მას შემდეგ, რაც მან დაიპყრო კიევის ტახტი და გადაადგო თავისი უფროსი ძმა იზიასლავი (1073-1076 წ.წ.) და მისთ. სწორედ პეჩორის მონასტერში ჩაისახა საერთო რუსული ეროვნული მატრიანეს დაწერის იდეა, აგრეთვე, საფუძველი ჩაეყარა უძველეს რუსულ ჰაგიოგრაფიულ ტრადიციებს. („უნმ. ანტონ პეჩორელის ცხოვრება“, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია; და სხვა ნაწარმოებთა საფუძველზე XIII ს-ის 20-იან წ-წ. შეიქმნა კიევ-პეჩორსკის მონუმენტური პატერიკი). კიევ-პეჩორსკის მაგალითი, ყველაზე ნათლად მიუთითებს იმ ზნეობრივ, პოლიტიკურ და კულტურულ ავტორიტეტზე, რომლის მოხვეჭაც მოასწრო ახალბედა რუსულმა ეკლესიამ.

როგორც ერთ-ერთი კონსტანტინეპოლური პატრიარქის საეკლესიო პროვინციას, XI ს-ის მე-2 ნახევარში, რუსებსაც შეეხო დასავლეთ და აღმოსავლეთ ეკლესიებად დაყოფის ტენდენციები, რომელიც განსკუთრებით სწრაფად იზრდებოდა 1054 წ. პაპის ლეგატის კარდინალ ჰუმბერტისა და კონსტანტინეპოლი პატრიარქის მიხეილ კირულარის ურთიერთ ანათემაზე გადაცემის შემდეგ (1043-1058). მრავალი იმდროინდელი ავტორი (არამარტო საეკლესიო იერარქი) აქტიურად გამოვიდა დოგმატურ საკითხებზე პოლემიკაში „ლათინელების“ წინააღმდეგ, და აგრეთვე, ღვთისმსახურებისა და ასკეტურ პრაქტიკასთან დაკავშირებულ უთანხმოებაზე. არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ უკვე მიტროპოლიტ ეფრემის პერიოდში (1055-1061 წ.წ.) კიევში მოწვეული იყო კრება, სადაც იხილებოდა ხსენებული თემატიკა. ჩვენამდე მოღწეულია კიევის მიტროპოლიტთა, ეფრემის და გიორგის, (1062 წ.), პოლემიკური მოთხრობები, იოანე II-ის, ნიკიფორე I-ისა და სხვათა პოლემიკური პასაჟები და ნაწარმოებები. ამავე დროს განსაკუთრებით გააქტიურდა საგარეო-პოლიტიკური, დინასტიური და სხვა კავშირები, რომელიც დამახასიათებელი იყო რუსეთისათვის იაროსლავ ბრძენის დროს და გაგრძელდა აგრეთვე მისი მემკვიდრეების პერიოდშიც, რა თქმა უნდა ყოველივე ეს აისახებოდა საეკლესიო საქმიანობაშიც. ასე მაგ. კიევის მთავრის ვსევოლოდ იაროსლავის ძისა და გერმანელი იმპერატორის ჰენრიხ IV (1056-1106) მჭიდრო კავშირებმა წააქეზა ანტიპაპი კლიმენტი III (1080-1100) ჰენრიხ IV-ის მოკავშირე, ეკლესიების გასაერთიანებლად შუამდგომლობით მიემართა დაახლ. 1085 წ. კიევის მიტროპოლიტ იოანე II-თვის, რომლისგან მიიღო თავაზიანი უარი, თუმცა მსგავს პოზიციას

ხელი არ შეუშლია რუსული ეკლესიის შემდგომი კონტაქტებისთვის დასავლეთთან. ვსევოლოდის მმართველობის ბოლო პერიოდში შემოღებულ იქნა დასავლეთის ეკლესიებთან ერთად საერთო დღესასწაულების წარმოების პრაქტიკა. უნმ. ნიკოლოზ ჩუდოტცორეცის (სასწაულთმოქმედის) წმიდა ნაწილების გადაბრძანების პატივსაცემად ქ. ბარიში 1087 წ. 9 მაისს გაიმართა ზეიმი ბერძნული ეკლესიის მიერ. ამ დროიდან ეკლესიისთვის არანაკლებ პრობლემას ქმნიდა შერეული ქორწინებები და სხვა სახის ხშირი კონტაქტები რუსი ხალხისა „ლათინებთან“, განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებში: კიევში, ნოვგოროდში, სმოლენსკში, შესაძლებელია პოლოცკშიც, სადაც არსებობდა ფართო დასავლეთევეროპელ ვაჭართა სამონასტრო ეკლესიები. ნოვგოროდში „ვარიანთა მღვდელთან“ მიმართვა XII ს-ის პირველ ნახევარში იხვევოდა ეპიტიმით, როგორც ორსაწინმუნოების გამოვლინება. მიუხედავად მიტრ. იოანე II-ის პირდაპირი აკრძალვისა, ძველრუსული მაღალი საზოგადოების ქალბატონთა ქორწინებები „ლათინებთან“ XI-XII ს.ს. რჩებოდა ჩვეულებრივ მოვლენად. შერეული ქორწინებები, აგრეთვე, არ იყო გამონაკლისი რიგით რუსებს შორისაც. ნოვგოროდის ეპისკოპოსმა ნიკოლ-ინმანიმ(1131-1156) ბრძანება გასცა ლათინური საწინმუნოებით მონათლულები მირონცხებით მიეღოთ. დასავლელ წმიდანთა სახეები გვხვდება უძველეს რუსულ ლიტურგიკულ ტექსტებშიც, ხოლო ზოგიერთი მათგანი დამკვიდრდა დამწერლობაშიც. მაგ. წმიდანების ლიუდმილა და ვიანესლავ ჩეხების თაყვანისცემა კიევის რუსეთში შემოღებულ იქნა კიევ-პეჩორისა და საზავის (ქ. პრალის მახლობლად) მონასტრების ურთიერთკავშირის წყალობით, სადაც XI ს-ის 90-იან წლებამდე ღვთისმსახურება შენარჩუნებული იყო სლავურ ენაზე. შესამჩნევი ცვლილებები შეინიშნება XI ს-ის მე-2 ნახევრისა და XII ს-ის პირველ ნახევარში მატერიალური უზრუნველყოფის სისტემაში საეპისკოპოსო კათედრები და მონასტრები ხდებიან მიწების (ადგილ-მამულის) მფლობელები: ცნობილია, რომ კიევ-პეჩორის მონასტრის კუთვნილი ეკლესიები სუზდალში განაგებდა სოფლებს, რომლებიც მათ გადაეცათ პერეიასლავის მიტროპოლიტ ეფრემის მიერ XI ს-ის ბოლოს. თვითონ კიევ-პეჩორის სავანეც ამ დროისთვის ფლობდა ფართო მიწის საკუთრებას, რომელიც შეძენილი ჰქონდა ნაჩუქრობის სახით. დესიატინა ხდება უფრო დიფერენცირებული და იკრიბება პირდაპირ ადგილზე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გართულებებსაც.

# V კარი. მონასტრების დაფუძნება კიევის რუსეთში

## I თავი . მონასტრები და სამონასტრო ცხოვრება კიევში

პირველი წერილობითი ცნობა კიევის რუსეთის ტერიტორიაზე სამონასტრო ცხოვრების შესახებ მიეკუთვნება მთავარ ვლადიმერ სვიატოსლავის ძისა

(978 -1015 წწ) და იაროსლავ ვლადიმირის ძის მმართველობის (1019-1054 წწ) პერიოდს. კიევის მიტროპოლიტის ილარიონის (1037-1043 წწ) მიერ მთავარ ვლადიმირის სახოტბო სიტყვებში ნათქვამია: „монастиреве на горах стаща, черноризьци явищася“. აქვე საუბარია იაროსლავის საეკლესიო პოლიტიკაზე:

„черноризьци почаша шножится, и монастыреве починаху быти“. აღნიშნულ სიტყვებში მკვლევარები მიახმებენ მასზედ, რომ კიევის რუსეთის გაქრისტიანებისთანავე კი არ ჩაყრია საფუძველი სამონასტრო ინსტიტუტს, არამედ მიმდინარეობდა ალაგ-ალაგ სამონასტრო ცხოვრება. ამ შემთხვევაში საქმე ეხება თვით მონაზვნების რიცხვის ზრდას. სამონასტრო ინსტიტუტის ჩამოყალიბების საფუძველი მკვლევარ გოლუბინსკის მინიშნებით მომზადდა სწორედ ზემოხსენებული დიდი მთავრების ვლადიმირისა და იაროსლავის პერიოდში. სამონასტრო ცხოვრება ე.ი. მისი საორგანიზაციო ფორმა იმ დროისათვის სხვადასხვა სახით გამოირჩეოდა. კერძოდ, პირველ პერიოდში ჩამოყალიბდა მონასტრები, რომელთაც არ ჰქონდათ „საკუთარი“ სახე. ე.ი. ისინი არ წარმოადგენდნენ სრულყოფილ მონასტრებს, უფრო სწორად, პირველი მონაზვნები შერჩეულ ადგილებში წარმოადგენდნენ „კელიებს“, რომლებშიც ცხოვრობდნენ „чернеце“-ბი და „старце“-ბი. მკვლევარი გოლუბინსკი თვლის, რომ არსებული ფორმა „ცხოვრებისა“ წარმოადგენდა კიევის რუსეთის ტერიტორიაზე სამონასტრო ინსტიტუტის ჩანასახის პერიოდს.

მოგვიანებით მონაზონთა სადგომები--„კელიები“ იდგებოდა მოქმედი ეკლესიების გვერდით. მონაზვნები ასკეტური ცხოვრებისთვის იქმნიდნენ ქრისტიანული ცხოვრების მკაცრ პირობებს. ცალკეული კელიებიდან ღვთისმსახურების დროს მონაზვნები ერთად იკრიბებოდნენ, ისე რომ მათ არ გააჩნდათ ერთიანი სამონასტრო დებულება—სამოქმედო კანონი.

წყაროთა თანახმად კიევის რუსეთის ტერიტორიაზე მონასტრებს აფუძნებდნენ შეძლებული მთავრები და მდიდარი ადამიანები, რომლებიც თავიანთი ხარჯებით აგებდნენ მონასტრებს, აღჭურვიდნენ აუცილებელი მოწყობილობით. ისინი იტოვებდნენ ასევე მონასტრის წინამძღვრად დანიშვნის უფლებასაც. ამგვარად, 1037 წ. მთავარმა იაროსლავ ვლადიმირის ძემ დაარსა წმ. გიორგისა და წმ. ირინეს სახელობის ორი მონასტერი: ერთი წმ. სოფიის ტაძართან, ხოლო მეორე კიევის ოქროს ქიშკართან.

მთავარმა იზიასლავ იაროსლავის ძემ (1054-1074) აკურთხებინა კიევის წმ. დიმიტრის სახელობის მონასტერი, ხოლო ვსევოლოდ იაროსლავის ძემ დააფუძნა მიხაილოვის მონასტერი (1070წ.) იმ ადგილას, სადაც წარმართი კიეველები აღნიშნავდნენ პერუნის დღესასწაულს. დიდმა მთავარმა სვიატოსლავ იაროსლავის ძემ აღაშენა წმ. სემიონის სახელობის მონასტერი. ასევე მთავარმა ვსევოლოდ იაროსლავის ძემ კიევში 1076 წელს დაარსა წმ. ანდრია პირველწოდებულის მონასტერი, რომელშიც მონაზვნად აღიკვეცა მისი ქალიშვილი იანკა, რომელიც ამავე მონასტერში ცხოვრობდა სხვა ქალებთან ერთად. როცა დიდი მთავრის ქალიშვილი გარდაიცვალა, ხსენებული მონასტერი გადაკეთდა მამათა მონასტრად.

შედარებით ნაკლები იყო თვით მონაზვნების მიერ აშენებული და დაარსებული მონასტრების რაოდენობა, როგორც მატიანე მოგვითხრობს: „сказания, чесо ради прозвася печерский монастырь“. ამ პერიოდისთვის კიევის რუსეთში წარმოდგენილი იყო ორი სახის მონასტრები: „шнозы бо монастыри от цесарь, и от бояр, и от богатства поставлени, но не суть тащи, кащи суть поставлени слезами, пощением, молитвою, бденьем“.

კიევ-პეჩორის მონასტრის დამარსებლად მიჩნეულნი არიან ანტონი და თეოდოსი, მაგრამ მონასტრის დაფუძნების პრეისტორია დაკავშირებულია მიტროპოლიტ ილარიონის სახელთან, რომელიც იმ დროისათვის წმ. მოციქულთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარი იყო და ამავდროულად მხარეში იცავდა და ასწავლიდა სამონასტრო ცხოვრების კანონებს. ილარიონის მიერ მოქმედი სამარტვილო გამოქვაბულებში, შემდგომ ათონის მთიდან მივიდა ანტონი, რომელიც წარმოშობით იყო ლუბეჩიდან. როგორც მატიანე მოგვითხრობს ანტონი ათონის მთაზე ხელდასხმული ყოფილა სამონასტრო ცხოვრებაში განსწავლული ერთ-ერთი ილუმენის მიერ. ათონელ ილუმენს კურთხევა მიუცია ანტონისთვის წასულიყო წმ. მისიით კიევის რუსეთში.



კიევის მიწა-წყალზე ანტონი მიმოდიოდა სამონასტრო „კელიების“ ადგილთა შესარჩევად. ბოლოს მან მიაგნო ილარიონის გამოქვაბულს და გადასცა მას კურთხევა ათონის მთიდან.

საბოლოოდ ანტონი ილარიონთან ერთად დამკვიდრდა ამ გამოქვაბულში, რომელიც საფუძვლად დაედო კიევ-პეჩორის სამონასტრო კომპლექსის ჩამოყალიბებას და რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსული ეროვნული მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში.

## II თავი. კიევის მიტროპოლიტები

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე კიევის რუსეთში საეკლესიო საორგანიზაციო საქმიანობას უ.ყ. მიტროპოლიტები წარმართავდნენ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეული საქმიანობა კიევისა და სხვა ქალაქების მცხოვრებლებისთვის წმ. სოფიის ტაძარში წირვის მოსმენა იყო. აღნიშნულ მოვლენას როგორც კიეველების, ასევე პერიფერიების მოსახლეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა იმდენად, რამდენადაც აქ თავს იყრიდა როგორც უმაღლესი საერო, ასევე სასულიერო კრებული. წირვა-ლოცვის შესრულების ხარისხი უმაღლეს მღვდელმთავართა მხრიდან ქრისტიანულ განსწავლულობაში გამოიხატებოდა. აქვე უახლოვდებოდა ერთმანეთს საქალაქო ცხოვრებაში ჩართული ერი და ბერი. ყალიბდებოდა ზნე-წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები. ყოველივე ამას პოლიტიკური მნიშვნელობაც მიენიჭებოდა. კიევს, როგორც ქრისტიანობისა და ცივილიზაციის ცენტრს მეტოქეობა უნდა გაენია კონსტანტინოპოლისათვის.

ბუნებრივია, ახალგაზრდა კიევის რუსულ ქვეყანას გამორჩეული ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები უნდა ჰყოლოდა, რომელთა პრეროგატივას უ.ყ. ეროვნული იდეოლოგიის დანერგვა და კიევის რუსული სახელმწიფოსთვის მძლავრი საფუძველის მომზადება წარმოადგენდა.

წმ. სოფიის ტაძარში ქრისტიანულ წესთაღრულებებში მიტროპოლიტის დასწრება აუცილებელ ნორმას წარმოადგენდა. კლიმენტი სმოლიავიჩის სიტყვით: „не достойт нам без митрополита в святой Софьи служить“. წირვა-ლოცვას თან ახლდა ეპისკოპოსის ქიროტონია, ცერემონიაში მონაწილეობას ღებულობდა როგორც მიტროპოლიტი, ასევე ეპისკოპოსებიც, რომლებიც იმყოფებოდნენ დედაქალაქში, ან საგანგებოდ ჩამოდიოდნენ რეგიონებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ქირეტონია საერთო დადგენილი წესით სრულდებოდა მიტროპოლიტისაგან. როცა ქალაქის მთავარი წარუდგენდა მას საეპისკოპოსო კანდიდატს, იგი უეჭველად უნდა გამწესებულიყო ამავე მთავრის სარეზიდენციო ტერიტორიაზე და შემოსულიყო მთელი უფლებამოსულებით.

წყაროებში დაუფიქსირებელი ზემოხსენებული კანონი, უფრო ტრადიცია იყო, ვიდრე სამართლის ნორმა, მაგრამ მიტროპოლიტს ამ მიმართულებით არ უნდა დაერღვია ადგილობრივ მთავართა

პრეროგატივა. წყაროებში დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევაც, როცა ქ.ვლადიმირის მთავარმა ვსევოლოდ იურის ძემ უარი უთხრა მოიტროპოლიტს თავის მოყვანილ საეპისკოპოსო კანდიდატ ნიკოლოზზე, რამეთუ თავად ჰყავდა საკუთარი კანდიდატი.

ნოვგოროდში საეპისკოპოსო კანდიდატს ვერე ირჩევდა, ზოგჯერ მთავრის თანდასწრებითაც. მაგ. როცა ნოვგოროდის ვერემ არქიეპისკოპოსად აირჩია გავრილი — ქალაქელებმა, მთავარმა, ილუმენმა და მღვდლებმა იგი მიტროპოლიტს წარუდგინეს ქირეტონისთვის. მიტროპოლიტმა და კიევის თავადებმა გამოუგზავნეს არჩეულ არქიეპისკოპოსს მინვევა და იგი ხელდასხმულ იქნა კიევში 1187 წ. ყოველივე ამის შემდეგ მოხდა მისი აყვანა საეკლესიო კათედრაზე.

ასეთივე ტრადიცია დაამკვიდრა იაროსლავ ვლადიმირის ძემ კიევში 1051 წ. წმ. გიორგის ტაძარში.

მიტროპოლიტმა ალექსანდრემ რიაზანისა და სარაევოს ეპისკოპოსებთან ტერიტორიულ საკითხზე დავისას ასე წარმოადგინა თავისი განუსაზღვრელი ძალაუფლება: „не ведаете ли, что все русское земли владыки под моею властью суть и в моей воли, и язих ставляю от благодати пресвятого духа?“

მიტროპოლიტის კომპეტენციაში შედიოდა ეპარქიების გაყოფა ან გაერთიანება, ახალი საეკლესიო კათედრების ჩამოყალიბება, ასევე ეპისკოპოსების ხელთდასმა. ყოველივეს მიტროპოლიტი აღასრულებდა კიევის ან ადგილობრივი მთავრის ნებართვით. ამ უკანასკნელებზე იყო დამოკიდებული სამიტროპოლიტო კათედრების მატერიალური დახმარებაც.

მიტროპოლიტის ფუნქციაში შედიოდა საეკლესიო ცხოვრებასა და მმართველობის სისტემაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ეპისკოპოსთა კრების მოწვევა და რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა. ასევე მიტროპოლიტი წყვეტდა მღვდელმთავართა სასამართლო საკითხსაც. მაგ. მიტროპოლიტმა ეფრემმა 1055წ. გაასამართლა ნოვგოროდის ეპისკოპოსი ლუკა. ეს უკანასკნელი სამი წელი სასჯელს იხდიდა კიევში, სანამ ის საბოლოოდ არ იქნა გამართლებული. იყო შემთხვევა, როცა სასამართლო თვით ეპისკოპოსთა კრებულის თანდასწრებით (კრებაზე) ხდებოდა. რაც შეეხება საეკლესიო—სახელმწიფოებრივ დანაშაულს, ამ შემთხვევაში მიტროპოლიტი დიდ მთავრებთან ერთად აწარმოებდა სასამართლოს. მაგალითისთვის, მიტროპოლიტმა კლიმენტი სმოლიატიჩმა მთავარი ი. იზიასლავთან ერთად კიევში გამოიძახა ნოვგოროდელი ეპისკო-

პოსი ინოფონტი, რომელსაც ჩამოართვა მიტროპოლიტ კლიმენტის საეკლესიო კათედრის მართვის უფლება. ეპ. ინოფონტი დატუსაღებულ იქნა და სასჯელს კიევ-პეჩორის მონასტერში იხდიდა.

მიტროპოლიტებს, ისევე როგორც ეპისკოპოსებს, ხშირად უხდებოდათ მონაწილეობის მიღება და შუამავლის ფუნქციის შესრულება თავადთა შორის გაჩაღებულ დაპირისპირებასა და სამხედრო კონფლიქტების მშვიდობიანად მოწესრიგების საქმეში. გამოდიოდნენ შუამავლების როლში ან უმეტესწილად დიპლომატიურ და სამხედრო კონფლიქტების მშვიდობიანად მომწესრიგებლად. სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით ხშირ შემთხვევაში სასულიერო წოდება თავის თავზე იღებდა ცოდვას, რაც ქვეყანაში სიმშვიდისა და წესრიგის დაცვის გარანტი უნდა ყოფილიყო.

მიტროპოლიტებისთვის დიპლომატიური ფუნქციების მინიჭების შესახებ წყაროებში ძალზედ ბევრი მაგალითია მინიშნებული. როგორც ჩანს, უმაღლესი სასულიერო მოღვაწეები მთავართა აქტიური ინიციატივით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და დიპლომატიური ხასიათის მოლაპარაკებებში. როცა 1139 წ. მთავარი ვსევოლოდი თავისი პოლკებით მოვიდა კიევში, რათა დაეკავებინა დედაქალაქი, თავადმა ვიარჩესლავ ვლადიმირის ძემ მასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა მიტროპოლიტი მიხეილი, რომელსაც უნდა გადაეცა მონიანალმდეგე მხარისთვის ვსევოლოდის სასარგებლოდ, უომრად და ერთობლივად გადაეწყვიტათ კიევის საკითხი.

თავისი მიტროპოლიტობის ძალისხმევა თავადთა შორის გამართულ დაუნდობელ ბრძოლებში მიტროპოლიტმა მიხეილმა იმდენად დახვენა, რომ შემდგომში 1210 წელს მიტროპოლიტმა მეთოდემ მისი წინამორბედის გამოცდილებით ისარგებლა და მნიშვნელოვნად მოაგვარა „ოლგოვიჩებსა“ და ვსევოლოდ დიდბუდედ წოდებულს შორის წამოწყებული პოლიტიკურ ნიადაგზე ატეხილი ომები, რომელიც იმ ეტაპზე ზავით დამთავრდა.

მიტროპოლიტებთან ერთად უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას წარმოადგენდა პირველი იარქებისგან მოწვეული ეპისკოპოსთა კრება. ასეთი სახის კრებების შესახებ საისტორიო წყაროები XIV საუკუნემდე ძალზედ ცოტაა, მაგრამ რაც არსებობს იქიდანაც ჩანს რომ კრებათა მოწვევა ძირითადად უკავშირდებოდა საეკლესიო ცხოვრებაში არსებულ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

XIII საუკუნიდან საერთო რუსულ საეკლესიო ცხოვრებაში მნიშვნელოვნად იცვლება მიტროპოლიტთა მოღვაწეობის ხასია-

თი. მიტროპოლიტთა მოღვაწეობის ფორმისა და ხასიათის შეცვლა ძირითადად უკავშირდებოდა სამიტროპოლიტო კათედრების ცვლილებას, რაც უ.ყ. გამოწვეული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ურთიერთობის შეცვლით. თუ XIII საუკუნემდე მიტროპოლიტებად როგორც წესი ინიშნებოდა ეთნიკურად ბერძენი, გამოგზავნილი კონსტანტინეპოლიდან, უკვე შესამჩნევი გახდა ეროვნული საეკლესიო ხელისუფლების მოთხოვნის პრაქტიკა, რაც, ბუნებრივია, სახელმწიფოს ინტერესებიდან მომდინარეობდა.

პირველ ასეთ მიტროპოლიტად დადგინებულ იქნა „печатник“ (канцлер) მთავარ დანიელ გოლიცელისგან კირილე II, რომელმაც ხელდასხმა მიიღო ნიკეაში XIII ს-ის 40-იან წლებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ხსენებული მოვლენა მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა რუსულ როგორც საეკლესიო, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

XIII საუკუნის შუა ხანებამდე არც ერთი საისტორიო წყარო არ იძლევა იმის საშუალებას ვთქვათ, რომ მიტროპოლიტები ერედონენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათიანე მიუთითებს მხოლოდ მასზე, რომ მიტროპოლიტები, როგორც ელჩები გადასცემდნენ ხოლმე მთავრებს ერთმანეთის მიმართ სიტყვიერ ან წერილობით მიმართვებს.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა შეუქცევადი ხდება ფეოდალური დაქუცმაცებულობა და დიდი მთავრის როლისა და ფუნქციის დაქვეითება, არსებითად შეიმჩნევა საერო ხელისუფლებისგან სამიტროპოლიტო კათედრებისთვის მნიშვნელოვანი თავისუფლების მიცემის ფაქტები.

## პარი VI. საეკლესიო ცენტრის კიევიდან ვლადიმირში გადატანა და მისი პოლიტიკური მნიშვნელობა

### I თავი. უკრაინის ეკლესია XIII ს-ის დასასრულს

მე-13 საუკუნის დასასრულს რუსულ სამთავროებსა და ეკლესიას შორის ჩამოყალიბდა გარკვეული ტენდენციები. შეასრულა რა თავისი მთავარი სოციალური ფუნქცია-ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში, ეკლესია ფართოდ იყენებდა სამთავრო ხელისუფლების აპარატს სხვადასხვა ანტისაეკლესიო და ერეტიკული მიმართულების წინააღმდეგ საბრძოლველად. თავის მხრივ სამთავროები ისწრაფოდნენ გამოეყენებინათ საეკლესიო აპარატი და ქრისტიანული სიმბოლიკა, რათა მიეღწიათ კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისთვის. ასე მაგალითად: ეკლესიას შეეძლო ისეთი რთული სამთავროების ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოყოფა და მისთვის განსაკუთრებული პრიორიტეტის მინიჭება, როგორც იყო ვლადიმირ-სუზდალი. ამ მიმართულებით ანდრია ბოგოლუბის ირგვლივ შემოკრებილია წრემ შექმნა მეტად ორიგინალური თეორია, მარიამ ღვთისმშობლის მიერ თავის მფარველობის ქვეშ ვლადიმირის მიწა-წყლის მოქცევის შესახებ. ამ იდეის ხორცშესხმის შედეგი იყო ხსენებულ მიწა-წყალზე ღვთისმშობლის სახელობაზე თეთრი ქვით აშენებული ტაძრები.

ვლადიმირ-სუზდალის მიწა-წყლის პოლიტიკურ წინსვლას თანახლდა სამღვდელოებისა და თავადების ერთობლივი ბრძოლა კიევიდან გამოყოფისა და სუვერენული უფლების მოპოვებისათვის. ამდენად, პარალელური პროცესები მიმდინარეობდა ნოვგოროდის ტერიტორიებზეც, სადაც ბოიარულმა რესპუბლიკამ სასწრაფოდ შექმნა საკუთარი „სინმინდეები“ და წინა პლანზე წამოსწია კიევიდან სუვერენული გამოყოფის მოთხოვნები.

ფეოდალური განვითარების სწრაფ პირობებში (XII-XIII სს) საეკლესიო ხელისუფლება კიევის მიტროპოლიტის სახით განსაკუთრებულად კნინდება. მიუხედავად ამისა, კიევის მიტროპოლიტი მაინც ინარჩუნებს ეპისკოპოსთა კურთხევისა და ეპარქიებში სამიტროპოლიტო-სააპელაციო სასამართლოს წარმართვისა და სხვათა სახის უფლებას.

როგორც წესი, უმაღლეს საეკლესიო ინსტანციად კიევის რუსულ სახელმწიფოში ითვლებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი, იგივე აკურთხებდა კიევის მიტროპოლიტებსაც. ამ მიმართულებით საეკლესიო ხელისუფალი პატრიარქის ნდობით აღჭურვილი პირი ხდებოდა. კიევის მიტროპოლიტი განუხრელად იცავდა მჭიდრო კავშირს ბიზანტიასთან, იგი გამოდიოდა დიპლომატიური წარმომადგენლის როლში რუსულ სახელმწიფოში.

რუსეთის რომელიმე თავადის მცდელობას დაეკავებინა საკუთარი კანდიდატისთვის კიევის სამიტროპოლიტო ტახტი, კონსტანტინოპოლის მხრიდან მწვავე წინააღმდეგობა მოჰყვებოდა. ასევე იგრძნობოდა უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთის ეკლესიის მხრიდან საკუთარი „წმიდანების“ კნენა ოლგასა და მისი შვილიშვილის, ვლადიმირ სვიატოსლავის ძის, კიევ-პეჩორის მონასტრის ფუძემდებლების ანტონისა და თეოდოსის, ასევე ეპისკოპოს ლეონტისა და სხვათა კანონიზაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. რუსული ეკლესიის მხრიდან მსგავს გამოვლინებაში ბიზანტია საკუთარი გავლენის შესუსტებას ხედავდა და პოზიციების გამაგრებისთვის ყოველგვარ ხერხებს მიმართავდა.

თათარ-მონღოლთა ურდოს უღელმა შეძლო საეკლესიო პოზიციის გამაგრება. ოქროს ურდოს ხანები ისწრაფოდნენ რუსულ დაპყრობილ მიწებზე საკუთარი მიმართველობის გასამტკიცებლად გამოეყენებინათ ეკლესიის ავტორიტეტი. მონღოლებმა გაათავისუფლეს ეკლესია ურდოსთვის განკუთვნილი ე.წ. „გამოსაღებისგან“ — გადასახადისაგან. ასეთი ზნეკეთილობა დამპყრობლის მხრიდან სამადლობლის საფასური უნდა ყოფილიყო. ამდენად რუსული ეკლესია თანაბრად აღავლენდა ლოცვებს როგორც საერო ხელისუფლებისთვის ასევე ურდოს „მეფეთა“ დღეგრძელობისთვის.

ოქროს ურდოს უღელი და მისგან გამოწვეული შედეგები საეკლესიო ხელმძღვანელობის წინაშე აქტიურად აყენებდა პრობლემატურ საკითხთა გადაჭრის აუცილებლობას, კერძოდ, აქტიურად დადგა საკითხი ოქროს ურდოს საპასუხოდ, (რაც გამოწვეული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთით რუსული მიწების ერთმანეთისგან ჩამოშორებით, სადაც კიევს მნიშვნელოვანი ადგილი მიენიჭებოდა) ახალი საეკლესიო ცენტრის მოძიებისათვის.

თავადთა ხელისუფლების დაკნინებამ ოქროს ურდოს ბატონობის პირველი ათწლეულში შესუსტდა ეკლესიის ბრძოლა წარმართობასთან. ამავდროულად გააქტიურდა რუსულ მიწებზე სხვადასხვა

აღმსარებლობის სწავლება, კერძოდ რომის პაპის კურია, რომელიც სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდა სამთავროთა გადაბირებას და მართალი სწავლების საწინააღმდეგოდ მისი გავლენის გაძლიერებას. ასევე გაჩნდა საშიშროება, როცა ურდოს ხანებმა მიიღეს მაჰმადის რჯული. ამდენად, ბუნებრივი უნდა ყოფილიყო მათივე მხრიდან ისლამის პროპაგანდის ალბათობაც.

აღნიშნულ პერიოდში ძალზედ შესუსტდა ურთიერთობები ბიზანტიასა და რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებას შორის. არა მარტო კიევის რუსეთი, თავად ბიზანტიაც განიცდიდა მძიმე დროით გამოწვეულ შედეგებს. XIII საუკუნის დასაწყისში იგი ჯვაროსნების დარტყმის შედეგად რამდენიმე ცალკეულ ბერძნულ სახელმწიფოდ დაიშალა.

იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლში დაპყრობილ იქნა ჯვაროსნებისგან, რომელთა მცდელობა იყო დაშლილი ბიზანტიის ადგილზე ლათინური სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ახალ ვითარებაში ბიზანტიური დიპლომატია ვერ ახერხებდა ტრადიციული კურსის შენარჩუნებას კიევის რუსულ სამთავროებთან, მაგრამ როგორც წყაროებიდან ხდება ცნობილი, 1283 წელს კონსტანტინოპოლიდან მაინც ხერხდება კიევში ბერძენი მიტროპოლიტის, მაქსიმეს გამოგზავნა. ძირითადად რელიგიურ-პოლიტიკურ საკითხებში მიტროპოლიტ მაქსიმეს ეჭირა მისი წინამორბედების მიმართულება, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ოქროს ურდოსთან. აღნიშნულის ნათელი მაგალითია, მიტროპოლიტად დადგინებისთანავე მისი გამგზავრება ურდოში.

კიევიდან ვლადიმირში საეკლესიო ცენტრის გადატანა ერთ-ერთი ძირითად პრობლემას წარმოადგენდა იმდროინდელ რუსულ საეკლესიო ცხოვრებაში. მიტროპოლიტი მაქსიმე იმთავითვე მოცემულ საკითხთან მიმართებაში ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენდა. აღნიშნულის ნათელი მაგალითია 1284წ. მოწვეული საეკლესიო კრება, რომელიც შედგა არა ვლადიმირში, არამედ კიევში.

არ ჰქონდა რა თანადგომა და საყრდენი კიევში, მიტროპოლიტი მაქსიმე საკუთარი გავლენის დემონსტრირების თვალსაზრისით მისივე წინამორბედების მსგავსად განაგრძობდა მიმოსვლას საკუთარი მიტროპოლიის საზღვრებში. არის მოწმობა იმის შესახებ, რომ იგი სტუმრობდა ვლადიმირში, ნოვგოროდში, ფსკოვსა და გოლიცვოლინის რუსულ მიწებს.

ის, რაც მან შთამომავლობით მიიღონინამორბედი ბერძენი მიტროპოლიტებიდან, იყო ძალზედ დაძაბული ურთიერთობა როს-

ტოვის სამღვდლოებასთან. ეს უკანასკნელნი მუდმივ ოპოზიციაში იმყოფებოდნენ სამიტროპოლიტო ხელისუფლებასთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ მომდევნო პერიოდში თავად ოპოზიციის შიგნით შექმნილმა შფოთმა მისცა საშუალება მიტროპოლიტ მაქსიმეს, რომ გაემყარებინა საკუთარი პოზიციები როსტოვის ეპარქიაზე.

გადაწყვიტა რა 1299 წელს გადაეტანა საკუთარი რეზიდენცია კიევიდან ვლადიმირში მაქსიმმა განახორციელა, როგორც ჩანს, წინასწარ გამიზნული კომბინაცია: გადაადგილა ვლადიმირის ეპისკოპოსი როსტოვში და გაათავისუფლა იგი საკუთარი კათედრისთვის. ვლადიმირის მღვდელმთავრის გადაყვანა როსტოვში ამ უკანასკნელს ჩაეთვალა მის „დანინაურებაში“.

XIII საუკუნის დასასრულს ვლადიმირის საეპისკოპოსო რეზიდენცია და მისი ცენტრი კათედრალური ღვთისმშობლის ტაძარი მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა. მათიანეში მისი მდგომარეობა ასეა გადმოცემული: „А ныне, сыну князь, аз отец твой епископ володимерской поминаю ти, сыну своему, о церкви божии. А сам, сыну, ведаешь, оже церкви та ограблена и дома ея пусты“.

სამიტროპოლიტო კათედრის გადატანას, კიევიდან ვლადიმირში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა როგორც დაბალ საზოგადოებაში, ასევე უმაღლეს საერო ხელისუფლებაშიც. არაკეთილგანწყობას ვერ მალავდა ამ მიმართულებით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოც. მხოლოდ 1354 წ. მან ფორმალურად აღიარა „ მთელი რუსეთის ’ სამიტროპოლიტო რეზიდენცია.

მიტროპოლოტ მაქსიმეს გადასვლა კიევიდან ვლადიმირში 1299 წ. ემსახურებოდა რუსულ ეკლესიაში დაწყებულ კონფლიქტს. უკვე 1303 წ. კიევის რუსულ მიწებზე ჩამოყალიბდა ექვსი ეპარქია: გოლიც-ვოლინის, პერემიშლის, ვლადიმირ-ვოლინის, ლუცკის, ხოლმის და ტუროვის. ჩამოთვლილი ეპარქიები ფაქტობრივად ვლადიმირის მიტროპოლიტიდან დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენდნენ. აღნიშნული მოვლენა თავისთავად მიანიშნებდა სამიტროპოლიტო კანდიდატად ეთნიკური-სლავური მოდგმის მიტროპოლიტის დადგინებას, რაც ბუნებრივია, თავისთავად მიანიშნებდა რუსული მიწების პოლიტიკურ გაერთიანებაზე. მიტროპოლიტად მიწვეულ იქნა გოლიცელი ეპისკოპოსი ნიფონტი, რომლის კანდიდატურას იმთავითვე მხარი დაუჭირა იური ღვოვის ძემ. ამ პერიოდიდან მთელი ასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა გოლიციის ცალკე სამიტროპოლიტოდ გამოყოფის შესახებ, რაც თავისთავად პრობლემებს უქმნიდა კიევის რუსული სახელმწიფოს ხანგრძლივი გაერთიანების პროცესებს.

ძალზედ მწირ ცნობებს იძლევა მემატინანე საეკლესიო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე, მაგრამ არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ბერძენი მიტროპოლიტი აქტიურად არ არის ჩართული პოლიტიკურ ბატალიებში. აღნიშნული კი მოცემულ საკითხისადმი მის ფრთხილ დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეს უკანასკნელი სხვათაშორის აფრთხილებს იური დანიელის ძეს (მოსკოვი) არ დაუჭიროს მხარი დიდი მთავრის ტახტზე მიხეილ იაროსლავის ძის კანდიდატურას.

საყურადღებო ფაქტია, ისიც, რომ მაქსიმე იყო მიტროპოლიტ-თაგან პირველი, რომელსაც მიენიჭა ტიტული „Митрополит „всех Руси“. როგორც ჩანს ამ ტიტულის მიღება უშუალოდ იყო დაკავშირებული გოლიციის საეკლესიო სეპარატიზმთან.

განცალკევებულად მყოფი ტვერის სამთავრო, რომელიც 1247 წლისთვის იმყოფებოდა ვლადიმირისგან მოშორებით მოსახლეობას საშუალებას აძლევდა თათარ-მონღოლებს გასცლოდნენ და დაუსახლებელი ადგილები აეთვისებინათ.

ამავდროულად, გააქტიურდა სამთავროს სწრაფვა, რათა სავაჭრო გზები, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ რუსულ მიწებზე გადიოდა, სწრაფად დაკავშირებოდა შუა და ქვემო ვოლგისპირეთს. ბუნებრივია, ასეთი „სწრაფვა“ პოლიტიკურ პროცესებთან იყო დაკავშირებული.

ამდენად, XIII საუკუნის 50-იან წლებში ტვერის მთავარი იაროსლავ იაროსლავიჩი დაუახლოვდა ანტიურდოულ დაჯგუფებას ანდრია სუზდალელისა და გოლიციის მთავარ დანიელს. ანდრია სუზდალის მთავრის გაძევების (1252 წ.) შემდეგ მან შეძლო გამაგრებულიყო პოლიტიკურ არენაზე და ალექსანდრე ნეველის გარდაცვალების შემდეგ მიიღო დიდი მთავრის ტიტული, რომელსაც ინარჩუნებდა სიცოცხლის ბოლომდე (1271 წ.). როგორც ჩანს აღნიშნულ პერიოდში ამ ტერიტორიაზე XIII ს და XIV ს დასაწყისში მიმდინარეობს საკუთარ ძალთა კონსოლიდაცია, რომელიც მოამზადებდა ნიადაგს აქტიური პოლიტიკური პროგრამის განსახორციელებლად.

ტვერის სამთავროში პოლიტიკური აქტივობის ამალღება XIII ს-ის 80-იან წლებში მიმდინარეობდა განსაკუთრებული სტაბილიზაციის პირობებში, რაც მიანიშნებდა მასზედ, რომ დროებით რუსული მიწა-წყლის ჩრდილო-აღმოსავლეთის სამთავროები მორჩილებდნენ დიდ მთავარს დიმიტრი ალექსანდრეს ძეს.

დიდი მთავრის და მიხეილ ტვერელის პოლიტიკური პროგრამა ურდოსთან მიმართებაში ცალ-ცალკე და ერთობლივად თანხვედობდნენ ერთმანეთს, საკუთარი, დამოუკიდებელი პოზიციების გათვალისწინებით. დიდი მთავრისთვის პირველ რიგში აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ტვერის მორჩილებაში მოყვანა, შემდეგ კი მთავარი მიზანი დამოუკიდებლობის მიღწევა უნდა ყოფილიყო.

მაღალი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის გამოსავლენად ტვერის მთავრებისთვის მნიშვნელოვანი ეკლესიამონასტრების მშენებლობა უნდა ყოფილიყო. ამ დროის შესანიშნავი ნამოწევა (1285-1290) თეთრი ქვით შესრულებული ფერისცვალების ეკლესია იყო, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთში მონღოლთა შემოსევის შემდეგ აშენდა.

უჭერდნენ რა მხარს თავიანთი თავადების საშინაო პოლიტიკას, ტვერელი ეპისკოპოსები, ბუნებრივია, ვერ იქნებოდნენ გულგრილნი ისეთ მნიშვნელოვან აქტთან, როგორც იყო საკათედრო ტაძრის მშენებლობა. მხარეთა ინტერესები ამ მიმართულებით თანხვდებოდნენ ერთმანეთს. ჯერ კიდევ მონღოლთა შემოსევამდე აშენებული ქვის ტაძრები ალამაზებდნენ დედაქალაქს და მიანიშნებდნენ ქალაქების მაშენებელ თავადთა ძლიერებაზე.

ტვერის თავადთა განსაკუთრებული დაინტერესება საეკლესიო საქმიანობით შემთხვევითი მოვლენა არ უნდა ყოფილიყო. ახალი ეპარქიების გახსნა, საკათედრო ტაძრის მშენებლობა-ერთდროულად მიანიშნებდა დიდ ფეოდალთა პოლიტიკურ ძლიერებაზე. სამართლებრივად ითვლებოდა ტვერის ფეოდალთა აქტიური საეკლესიო პოლიტიკა საეკლესიო კათედრაზე სასურველი მიტროპოლიტის განსამწესებლად. აღნიშნული მისწრაფებით იყო განპირობებული მიტროპოლიტ მაქსიმეს გარდაცვალებისთანავე ვაკანტურ საეკლესიო კათედრაზე ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიებიდან მოყვანილი ილუმენ გერონტის კანდიდატურა, რომლის ზურგს უკან იდგა არა ვინმე უცხოელი, არამედ ტვერის მთავარი, თავადი მიხეილ იაროსლავის ძე, რომელმაც 1305 წელს დაიკავა დიდი მთავრის ადგილი ვლადიმირში.

როგორც წერილობითი წყარო იტყობინება, გერონტიმ ვლადიმირის სამიტროპოლიტო სახლიდან ძალით წამოიღო სამღვდელო შესამოსლები, ავეჯ-ჭურჭლეულობა და სხვა საეკლესიო საჭიროებანი, რის შემდგომაც როგორც „პეტრე მიტროპოლიტის ცხოვრება“ იტყობინება გაემგზავრა საპატრიარქოში საკუთარი უფლებების განსამტკიცებლად. სინამდვილეში გერონტი კონსტანტინოპოლში

სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა. უწინდელ დროში, თუნდაც ანდრეი ბოგოლუბსკისა და დიდი ვსევოლოდ ბუდის პერიოდშიც კი ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსული მიწების მთავრები არ აგზავნიდნენ თავიანთ სამიტროპოლიტო კანდიდატურას კონსტანტინოპოლში. ფაქტი იმის შესახებ, რომ სამიტროპოლიტო ტახტი გადმოტანილ იქნა კიევიდან ვლადიმირში რჩებოდა განსჯის საგნად. საპატრიარქო საბჭოში საქმეს ართულებდა ის გარემოებაც, რომ ამ დროისთვის უკვე სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიებზე არსებობდა ადგილობრივი სლავური მიტროპოლია და რომ გოლიციის სამიტროპოლიტო კათედრაზე იური ლვოვის ძის მიერ განწესებული იყო გოლიციელი ილუმენი პეტრე, რომელიც კონსტანტინოპოლში გერონტის ჩასვლისთანავე ადგილზე აღმოჩნდა.

პატრიარქმა ათანასემ „ბიზანტიურად“ გადანყვიტა კიევის მიტროპოლიის ბედი. 1304 წლის ივნისში დაახლოებით ორი სამი წლის შემდგომ მაქსიმე მიტროპოლიტის გარდაცვალებიდან, ბიზანტიამ სამიტროპოლიტო ტახტზე პეტრეს კანდიდატურას დაუჭირა მხარი, -ტიტულით-მიტროპოლიტი „Всяя Руси“. აღნიშნული ვითარება მოწმობდა მასზედ, რომ პატრიარქმა მიაღწია კომპრომისის გოლიციისა და ტვერის ინტერესების გათვალისწინებით.

გოლიციელი კანდიდატი გახდა მიტროპოლიტი, აღნიშნულიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა გოლიციის განსაკუთრებული მიტროპოლია, რაც თავისთავად აკმაყოფილებდა ჩრდილო-აღმოსავლეთ მიწების თავადთა ინტერესებს.

მიტროპოლიტ პეტრეს გამოჩენას ვლადიმირში (კლიაზმაზე), განსაკუთრებულად მტრულად შეხვდა დიდი მთავარი მიხეილ იაროსლავის ძე. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, რომ ბრძოლა პეტრეს მიტროპოლიტის ტახტიდან ჩამოსაგდებად, ტვერის მხრიდან შორს გათვლილი დიპლომატიის შედეგი უნდა ყოფილიყო. საკუთარი პრინციპების მიმართ ერთგულება, რომელიც უპირველეს ყოვლისა, აქტიური საპირისპირო პოლიტიკით იყო განპირობებული, რაც ტვერის სამთავროსთვის ყოველთვის წარმატებების მომტანი იყო. ასეთივე შედეგებს ელოდნენ ზემოთ მოცემულ შემთხვევაშიც. ამდენად, მიხეილ იაროსლავის ძემ ტვერის ეპისკოპოს ანდრეასთან ერთად კონსტანტინოპოლის პატრიარქს პეტრეს მიმართა უმძიმესი ბრალდებით. ბრალდება უ.ყ. მდგომარეობდა იმაში, რომ თითქოს პეტრემ უდიდესი ქრთამის ფასად მიიღო კონსტანტინოპოლის მხრიდან მიტროპოლიტის ტიტული.

მანკიერების ბრალდება იმდენად გავრცელდა მთელს საქრის-

ტიანოში, რომ პატრიარქმა საქმისა და ვითარების ადგილზე გადამონშების მიზნით, „პეტრეს საქმეთა განსახილველად“ განსაკუთრებული ელჩობა გამოგზავნა, რასაც შედეგად მოჰყვა პერეიასლავლში სასულიერო და საერო პირთა ყრილობა(1311წ.)

კრება-ყრილობა პერეიასლავლში, რომელიც ძირითადად მოსკოვის გავლენას განიცდიდა, მიტროპოლიტ პეტრეს, ინტერესებში შედიოდა რადგან განსხვავებით ვლადიმირისგან, მას აქ გაცილებით მეტი თანამდგომნი აღმოაჩნდნენ, რისი შედეგიც ამ ყრილობაზე პეტრეს გამართლება აღმოჩნდა.

საკუთარიპოზიციებისგანმტკიცებისშემდგომმიტროპოლიტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსულ მიწებზე ეპისკოპოსთა გადანაცვლებაში (1311წ). როსტოვის ეპარქია დატოვა ერთ-ერთმა პეტრეს ბრალმდებელმა ეპისკოპოსმა სიმეონმა. იგი შეცვალა იაროსლაველმა ილუმენმა პროხორმა 1312წ. პეტრემ სარაევოს საეპისკოპოსო კათედრიდან გადააყენა ეპისკოპოსი იზმაილი, 1315 წელს იძულებით მონასტერში გაამწესა ტვერელი ეპისკოპოსი ანდრია და სხვა.. აღნიშნული ფაქტი შეიძლება განვიხილოთ როგორც კომპრომისი მიტროპოლიტსა და დიდ მთავარ მიხეილ იაროსლავის ძეს შორის. ამავდროულად, პეტრე განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა მოსკოვთან მიმართებაში. წყაროები არავითარ ცნობას არ იძლევიან მისი პოლიტიკაში ჩარევასა და მოსკოვსა და ტვერს შორის დაძაბულ ურთიერთობაში მონაწილეობაზე.

სრულიად განსხვავებულია პეტრეს შეხედულება შიდასაეკლესიო ცხოვრების მოწყობის საქმეში, კერძოდ, პირველი და მნიშვნელოვანი მის მოღვაწეობაში, ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლება უნდა ყოფილიყო. ამავდროულად განუხრელი ბრძოლა ანტისაეკლესიო გამოსვლებისა და საღვთო სწავლების უმაღლეს დონეზე დახვეწისათვის და სხვა.

პეტრეს მოღვაწეობის პერიოდზე არ გვაქვს ცნობები, თუ როგორ ბრძოლას აწარმოებდა ეს უკანასკნელი ერეტიკულ გამოვლინებებთან: „в то же время и сеит еретик явная, туждаа церкве христовы и православныа веры мудрѣствуюа его же святѣй препре“.

გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთლიანად XIV საუკუნის პირველ მეოთხედში განსაკუთრებულად გაფართოვდა რუსულ მიწებზე სამიტროპოლიტო კათედრის გავლენა. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მათი ურთიერთსაწინააღმდეგო და ორმაგი სახის დამოკიდებულება.

პირველი აიხსნებოდა იმით, რომ სამიტროპოლიტო კათედრა დაინტერესებული იყო პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებით და ურდოს მხრიდან ახალი თავდასხმების მოგერიებით, მიუხედავად მათი მხრიდან „დაცვის სიგელების“ არსებობისა, ნადგურდებოდა, როგორც სამოქალაქო, ასევე საეკლესიო ქონება. მეორე მხრივ, მიტროპოლიტები ვერ იქნებოდნენ მშვიდად თავადთა შორის გამუდმებული ომების შემდეგ რომელი მთავრის სახლი დარჩებოდა გამარჯვებული. საერთო ჯამში ყოველივე ზემოქმედებას ჰპოვებდა საეკლესიო სუვერენიტეტზე.

განხეთქილების მუდმივი საფრთხე რუსულ მიტროპოლიაში, რომელიც პირდაპირ კავშირში იმყოფებოდა სამიტროპოლიტო კათედრის კიევიდან ვლადიმირში (კლიაზმაზე) გადატანასთან, ისედაც არასასურველ მდგომარეობაში მყოფ მიტროპოლიტებს უფრო მეტ საზრუნავს უჩენდა.

## VII კარი. ქრისტიანული კულტურა და ხელოვნება კიევის რუსეთში

## კიევის რუსეთი

### I თავი. მართლმადიდებლური ტაძრის არქიტექტურა (მონღოლამდელი პერიოდი)

ახალ რელიგიასთან ერთად კიევის რუსეთმა მიიღო მანამაღე მისთვის უცნობი ტიპის შენობა-ქრისტიანული ტაძარი. ახლა უკვე შეიძლება მტკიცება იმისა, რომ წარმართულ პერიოდში აღმოსავლეთის სლავებს არ ჰქონდათ არანაირი კულტობრივი ან სხვა არქიტექტურული ნაგებობები, რომელსაც შეეძლო მოემზადებინა ტიპოლოგიურად ქრისტიანული ტაძრის გამოჩენა. საეკლესიო წყაროების მიხედვით „სარწმუნოებათა გამოცდის“ შესახებ ბიზანტიის საეკლესიო ხუროთმოძღვრებაზე წარმოდგენა წინ უძღოდა ქრისტიანობის მიღებას და კიდევაც წინასწარ განსაზღვრა მისი ხასიათი. X ს-ის ბოლოსთვის ბიზანტიაში შეიქმნა ტაძრის სიმბოლური განმარტებანი და შენობის არქიტექტურული ტიპი, რომელიც პასუხობდა ღვთისმსახურების მაღალ მოთხოვნებს; უფრო გაშლილი ინტერპრეტაცია, ტაძრის ცალკეული ადგილებისა და ნაწილებისა მიეკუთვნებოდა წმიდა გერმანეს, კონსტანტინოპოლის პატრიარქს (715-730). ყველა განმარტება ეხებოდა განსაკუთრებულად ინტერესს და პრაქტიკულად არ იყო რეგლამენტირებული არქიტექტურული ფორმები. ადრექრისტიანული ეკლესიის მიმსგავსება ხომალდზე ან კოშკ-შუქურაზე შეიძლება ყოფილიყო კონკრეტული ტიპის ნაგებობათა თანაფარდი, მაგრამ საერთო ჯამში ბიზანტიურ სიმბოლიკას ჰქონდა საერთო ხასიათი შენობის კონკრეტული ვარიანტებისაგან დამოუკიდებლად-ბაზილიკური, ცენტრისტული ან ნებისმიერი სხვებისგან. თუმცა, ჯვარ-გუმბათიანი სისტემა, რომელიც ნაცნობია ბიზანტიური ხუროთმოძღვრებისთვის, უკვე V-VI ს.ს.-ში სარგებლობდა მთელი რიგი უპირატესობებით, რამაც განაპირობა მისი გაბატონება, როგორც ბიზანტიაში (IX ს-ის დასაწყისიდან), ასევე კიევის რუსეთში. მის მთავარ ნიშანს წარმოადგენდა სივრცული ჯვარი, რომელიც შექმნილი იყო ორი ცენტრალური, ფართო გასასვლელის-ნევის გადაკვეთით; გვერდითა ნევიები ქმნიდა სივრცეთა გამოსატულ იერარქიას. ნევი იფარებოდა თაღებით, რომელიც იყო უფრო მეტად ნახევარწრიული ან მრუდე,-- შუა ჯვარზე დგამდნენ გუმბათს.

პირველი ქვით ნაშენები (უფრო სწორად ფართო, ბრტყელი აგურის) რუსული ეკლესია, რომელიც აგებულია ქრისტიანობის მიღების შემდეგ „десятинная“ ღვთისმშობლის (989-996წწ.)-იყო სამნავიანი, ჯვარ-გუმბათოვანი და მიეკუთვნებოდა ბიზანტიური არქიტექტურის სტილს (ეკლესია დანგრეულ იქნა 1240 წ. კიევის აღების დროს). ბერძენი ხელოსნები აშენებდნენ აგრეთვე ფერისცვალების ტაძარს ჩერნიგოვში. მისი განსხვავებულობა ბიზანტიური წინამორბედებისგან უმნიშვნელოა და ძირითადად დაკავშირებულია ქოროს (xop) მოწყობილობის აუცილებლობასთან, რომელზეც ღვთისმსახურების დროს ლოცულობდა მთავარი თავის ოჯახთან და მასთან დაახლოებულ პირებთან ერთად (რის გამოც იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ კოლონაზე და შეეცვალათ ის სვეტებით). თუმცა, უკვე კიევის წმიდა სოფიას ტაძარი (დაახლოებით 1037წ.), აგებული კი იყო კონსტანტინეპოლელი ხუროთმოძღვრების მიერ, შესამჩნევად განსხვავებოდა ბიზანტიური პროტოტიპებისაგან. მთავარი ტაძრის მიძღვნა ღვთის დიდი სიბრძნისა ახალი მიტროპოლიტისთვის, ადასტურებს შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელ, ჩვეულებრივ მისწრაფებას, აღემართათ პატივსაცემი ნიმუში არა მეტოქეობის, არამედ ორიგინალის სინმიდესთან და დიდებასთან თანანამონაწილეობის მიზნით. თუმცა, ბიზანტიელი ხელოსნები XI ს. მათი დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ შეძლებდნენ გაემეორებინათ ცნობილი წმიდა სოფიის ტაძარი, ვინაიდან მათ არ გააჩნდათ მისი მშენებლობის ტექნიკური ცოდნა მთავარი გუმბათის რთული კონსტრუქციული სისტემა კიევის ტაძარში შეცვლილია უფრო უბრალო ჯვარიან-გუმბათოვანზე, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა ცენტრალური გუმბათის არეს: ამიტომაც განსაკუთრებული სტატუსი კიევის წმ. სოფიის, როგორც საკათედრო ტაძრისა, ახალ უდიდეს ქრისტიანულ რეგიონში, გამოიხატა შენობის საერთო მოცულობის გაფართოებაში იმ ჩარჩოებში, რომლის საშუალებასაც იძლეოდა ჯვარ-გუმბათოვანი სისტემა. პირველ რიგში, ბიზანტიური ტაძრებისთვის ჩვეულებრივი რაოდენობა სამიდან გაიზარდა ხუთამდე. მეორე მხრივ, შენობამ მიიღო ორი გალერეა, რომელსაც ტაძრის ცენტრალური ფუძის სამივე მხრიდან ჰქონდა შემოსასვლელი. ცენტრალური გუმბათის ფართი აღმოჩნდა 7,5მ (წმ. სოფიის კონსტანტინოპოლის კი- 30 მ. (ს.) შედეგად აუცილებელი გახდა



ინტერიერის დამატებითი განათება, რომელიც განხორციელდა 12 გვერდითი სინათლის თავების მოწყობით. ამ ხერხმა, რომელიც არ გვხვდება ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებაში, არქიტექტურულ მასას მისცა არაჩვეულებრივი იერი, და ნაწილობრივ, გაფანტა საერთო კომპოზიციის მძიმე წონის შეგრძნება. რაოდენობრივმა ცვლილებებმა მიგვიყვანა არა მარტო გარეგან, არამედ შენობის შინაგანი წყობის ახალ თვისებამდე: დაიკარგა სამნავიანი ბიზანტიური ეკლესიის წყობის ხედვითი ლოგიკა, გეგმის სტრუქტურა ადვილად არ იკითხებოდა ნატურაში კარგად განათებული ცენტრისა და ჩაბნელებული გვერდითი ნაწილების კონტრასტი ძალიან მკვეთრი იყო: შემდგომში ეს თვისებები რუსულ ხელოვნებაში განმტკიცდა თითქმის მე-17-მდე. XI ს-ში რუსეთის უდიდეს ცენტრებში—ნოვგოროდსა და პოლოცკში წარმოიშვა კიევის სოფიის ეკლესიაზე ორიენტირებული ტაძრები. წმ. სოფიის ტაძარი ნოვგოროდში (1045-1050) შენდებოდა ისევე, როგორც კიევის, იაროსლავ ბრძენის ინიციატივით, რომლის ვაჟიშვილი ვლადიმირიც ერთ დროს მართავდა ნოვგოროდს მამის სახელით. ეს ძეგლი შეიძლება განხილულ იქნას როგორც იერარქიული მსგავსება კიევის სინამდისა-შესაბამისად ნოვგოროდის ეპარქიის დაბალი სტატუსით კიევის მიტროპოლიასთან შედარებით. შემცირდა ტაძრის ზომები, გაღვრიას რაოდენობა (ერთი), კიბის კოშკები (ერთი), თავები (ხუთი). ეს, რა თქმა უნდა, იყო მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგრამ ნოვგოროდის ტაძრის სიმაღლე პრაქტიკულად შეესაბამებოდა კიევის წმ. სოფიის ტაძრის სიმაღლეს. გეგმის მცირე ზომებმა ინტერიერს მისცა გამომხატული ვერტიკალური მიმართულება, რის შედეგადაც ნოვგოროდის ტაძრის იერ-სახე გახდა უფრო მკაცრი, ლაკონური და ამავე დროს, უფრო მხატვრული. ამგვარად, თავიდანვე გამოჩნდა ძირითადი ნიშნები, რომლებმაც განსაზღვრა ქვის ტაძრული ხუროთმოძღვრების შემდგომი განვითარება რუსეთში: ერთის მხრივ, ორიენტაცია ნიშუშზე, მეორე მხრივ—თავისუფლება მეორეხარისხოვანი თავისებურების მიცემა, დამახასიათებელია როგორც შუასაუკუნეებისთვის, ასევე ხალხური ხელოვნებისთვისაც. გარკვეულწილად შეიძლება ითქვას კიევის სოფიის ტაძრის ორიენტაციის სხვა შემთხვევებზეც. თუმცა, ისინი კიდევ უფრო ჩამორჩება იერარქიულად თავიანთი უდიდესი ნიშუშისაგან. ამკარად, ასეთი იყო გათხრების შედეგად კიევის სამიტროპოლიტოს დასახლებისა და ვლადიმირის ცნობილი ეკლესიები. (XI-XII ს.ს.). უძველესი რუსული ხუროთმოძღვრების შემდგომი განვითარებისთვის უდიდესი როლი ითამაშა კიევ-პეჩორის მონას-

ტრის უსპენსკის ტაძარმა (რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1073წ., იკურთხა 1089წ., და აფეთქებულიქნა 1942 წ.). კიევო-პეჩორსკის პატერიკის (კათოლიკე მღვდელი) მონათხრობის მიხედვით, ტაძრის მშენებლობისას არაერთხელ გამოჩნდა ღვთის გამოსახულება. ყველაფერმა, კიევ-პეჩორის მონასტრის უდიდეს ავტორიტეტთან ერთად, ტაძარი გახდა თაყვანისაცემ ნიშუშად. არქიტექტურის თვალსაზრისით გეგმიური და მოცულობითი სიმარტივე ნაგებობისა, საშუალებას იძლეოდა საკმაოდ ადვილად აღემაართათ იგი სხვა შენობებში, ხოლო ფუნქციური მხარე არ ითხოვდა პრინციპულ კორექტირებას. საერთო ჯამში ეკლესია წარმოადგენდა მართკუთხა ბლოკს კიბის კოშკის მცირე მოცულობით და მოგვიანებით, დასავლეთ ფასადზე მოსანათლი ადგილის მიშენებით. ინტერიერში ოთხი ფართოდ განლაგებული ჯვრიანი ბოძი ატარებდა მსხვილ თავს. დასავლეთი ნაწილი—ფაქტობრივად განცალკევებული იყო ეკლესიის ძირითადი სივრცისგან. ეს ხაზს უსვამდა ნარტეკსის როლს, როგორც განსაკუთრებული ადგილი კათაკმეველთათვის და მონაწილის მსურველთათვის. კიევ-პეჩორის პატერიკი გვამცნობს, რომ ტაძრები როსტოვში და სუზდალში შენდებოდა იგივე ზომებში, როგორც იყო უსპენსკის ეკლესია. უნდა აღინიშნოს, რომ პეჩორის ნიშუშის გავლენა დიდი იყო სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებისა და ტაძრების მშენებლობისას. მონღოლამდელი პერიოდის რუსულ ეკლესიებში იყო მხოლოდ დაბალი საკურთხეველები, რომლებიც ბიზანტიური ტრადიციის თანახმად, არ ფარავდა საკურთხეველის სივრცის ზედა ნაწილს. ეს ინტერიერის სივრცის გაერთიანების საშუალებას იძლეოდა: საკურთხეველის წარწერების ნახვა შესაძლებელი ხდებოდა მლოცველთათვის, რომელსაც ძალიან დიდი აზრობრივი დატვირთვა ჰქონდა. X-XII ს.ს. კიევის ტაძრების მთავარი ინტერიერის თავისებურებას წარმოადგენდა მოზაიკები, რომელიც ქმნიდა ციმციმა შუქის მატარებელ ჰაეროვან გარემოს, რომელიც ასევე იყო თვალსაჩინო გამომხატულება ტაძრის სიმბოლური მნიშვნელობისა, როგორც დედამიწის და ცისა.

ვინაიდან, ქვის ხუროთმოძღვრება ძვირადღირებული იყო და ითხოვდა პროფესიონალური ხელოსნების აუცილებელ მონაწილეობას, რუსული ეკლესიების უმრავლესობა, როგორც მონღოლამდელ პერიოდში, ისე მის შემდგომაც შენდებოდა ხისგან. ნოვგოროგდის პირველ მემათიანეში (1049წ.) ნახსენებია ნოვგოროდის სოფიის მუხის პირველი ტაძარი (989).

შეიძლება აგრეთვე ვივარაუდოთ, რომ ხის ეკლესიები თავიდანვე ორიენტირებდნენ ქვის ნიმუშზე იქამდე, სადამდეც მშენებლობის კონსტრუქციის საშუალებას იძლეოდა მასალა.

შეიძლება ითქვას, ხის ეკლესიები ქვის ეკლესიებთან შედარებით გამოიყურებოდა ღარიბულად. X ს.-ის მხატვრული გამოხატულება რა თქმა უნდა დამოკიდებული იყო ხელოსნებზე, რაც მაქსიმალურად იშლებოდა სხვადასხვა ნაგებობებში. თუმცა, ცენტრალური და ჩრდილოეთ რუსეთის კლიმატური პირობები საშუალებას არ იძლეოდა ინტერიერის მორთულობებისა და მუდმივი წარწერების გასაკეთებლად. ქვის ნაგებობები წარმოადგენდა დომინანტს რუსული ქალაქების ხის შენობებს შორის.

## **XII ს. – XIII ს.-ის პირველი მესამედი. (ადგილობრივი სკოლები)**

XII ს.-ის კიევის ნიმუშებისა და ტრადიციების გავლენა დიდად მნიშვნელოვანი რჩებოდა საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში და საეკლესიო მინების დამოუკიდებლობის მიღებას თან მოჰყვა ადგილობრივი არქიტექტურული სკოლის ფორმირება. საეკლესიო ხუროთმოძღვრების თავისებურება სხვადასხვა რეგიონში გამოწვეული იყო არა შეგნებული მისწრაფებით ინდივიდუალურობისკენ, არამედ მათი რიგი პარალელურად მომუშავე სამშენებლო არტელების გამოჩენით. მათი დამოუკიდებელი მუშაობა ახდენდა არქიტექტურული თავისებურების დივერგენციას. ეს ნაგებობები შესამჩნევად განსხვავდებოდა კიევის ეკლესიებისგან, როგორცაა: ხარების ეკლესია ბოროდიშეში (1103წ.), ნიკოლოდვორისენის ტაძარი (1113წ.) და გეორგიევის ტაძარი (1119-1130).

კიევის არტელმა მუშაობა დაიწყო XII ს.-ის 30-იან წლებში პოლოცკშიც, მაგრამ უკვე X ს.-ის მე-2 ნახევრიდან დასავლეთის არქიტექტურის გავლენით იქ წყარმოიშვა პირველი ძეგლი კოშკისებრი ტაძრების რიცხვიდან: სპასკის, ექვსგოდოლიანი პატარა ტაძარი, რომელიც აიგო ევფრასინე პოლოცკაიას დაკვეთით, მისი მოცულობა იყო ძალიან მცირე. თუმცა, მსგავსი გადანყვეტილების მთავარ მიზანს ალბათ წარმოადგენდა გარეგანი არქიტექტურული ფორმების კომპოზიციათა ცვლილება. შენობის დასავლეთი ნაწილი იყო დადაბლებული, ხოლო ცენტრალური-პირიქით, დამატებითი პოსტამენტის შედეგად---ამაღლებული. ძალიან შეიცვალა შენობის პროპორციებიც – სიმაღლე შესამჩნევად აღემატება სიგანის ზომებს და ტაძრის სილუეტმა მიიღო კოშკისებრი ხასიათი. მსგავსი გადან-

ყვეტილება შეიძლება შეფასდეს, როგორც მცდელობა სიმაღლისაკენ, ცისკენ მისწრაფებით სპეციფიური არქიტექტურული საშუალებების დახმარებით, თან არა მარტო ინტენსიურში, არამედ ეკლესიის გარეგან ფორმებში. მსგავსი ტიპის ნაგებობამ შემდგომში განხორციელება ჰპოვა XII ს.-ის ბოლოს და XIII ს.-ის პირველ მესამედში. XII ს.-ის 80-90 წ.წ. მიჯნაზე პოლოცკელმა ხუროთმოძღვარმა, რომელიც მოიწვია სმოლენსკის მთავარმა, აღმართა კარის წმ. მიხეილის ეკლესია სმოლენსკში. თუ სპასკის ტაძარში ცენტრი გამოხატულია არა გეგმაში, არამედ მოცულობათა შედგენაში, მიხეილის ეკლესიის გეგმის საფუძველს წარმოადგენს ჯვარი თანმბარბოლოებით, კოშკისებრი ფორმა მასში გამოვლენილია უფრო ძლიერად, პერიფერიიდან სიმაღლის თანმიმდევრულად გაზრდის ხარჯზე ცენტრისკენ. შენობის კუთხეები ხუროთმოძღვარმა დაფარა ჩვენულებრივი ნახევარმრუდებით, რომელის დასრულებას ლამაზი და დინამიური სამფრთიანი თითოეული კედელი წარმოადგენდა. შენობის სიმაღლეს ხელს უწყობდა მრავალრიცხოვანი ერთად თავმოყრილი ნახევარსფეროები რომელიც მსგავსებაში მოდიოდა დასავლეთ ევროპის გოთურ არქიტექტურისთან. სმოლენსკში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს კიდეც ექვსი მსგავსი ეკლესიის ნარჩენები, რაც საშუალებას იძლევა ასეთი გადანყვეტა დახასიათდეს, როგორც XII-XIII ს.ს. I მესამედის სმოლენსკის არქიტექტურული სკოლის სპეციფიკური ნიშანი. ვინაიდან, სმოლენსკის ხუროთმოძღვრებს ინვევდნენ მსგავსი ნაგებობების ასაშენებლად. სხვა რუსულ ქალაქებსა და მიწებზე (რიაზანში, ნოვგოროდში, ფსკოვში, კიევში) შეიძლება დარწმუნებით დავასკვნათ, რომ კოშკისებრი ეკლესიები გამოხატავდნენ ეპოქის საერთო არქიტექტურულ იდეალს.

რომაული და გოთური ნიშნების არსებობა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის ხუროთმოძღვრებაში აიხსნება შუასაუკუნეების ევროპისათვის სამშებლო არტელების ჩვეულებრივი მიგრაციით. გალიციის მიწაზე XII ს.-ში მუშაობდნენ პოლონელი და უნგრელი ხელოსნები, რომლებმაც თან ჩამოიტანეს რომული ტექტონიკა, სხვადასხვა დეტალები და ტაძართა ტიპებიც კი. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ცენტრისტული ეკლესიები-როტონდები და კვადრიფოლიები, რომლებიც გვაგონებს უნგრულ პროტოტიპებს. აღსანიშნავია, რომ ცენტრისტული მარტივები და ბაპტიკურიები საკამოდ ხშირად გვხვდება ადრებიზანტიურ ხუროთმოძღვრებაში, ხოლო ილუმენი დანიელი, რომელიც იყო იერუსალიმში XII ს.-ის დასაწყისში აღწერდა აღდგომის და წმინდათა წმინდა იერუსალიმის

ეკლესიებს (რომელის ადგილზე აგებული იყო ომარის მეჩეთი-კუბბატ ას-საბრა), როგორც „მრგვალ ფორმას“, ე.ი. როტონდებს. როტონდული ტაძრის იდეა არ იყო უცხო რუსული მართლმადიდებლური კულტურისათვის. XIII ს-ის 30 წ.ნ. ხოლმე ვინმე „ემშაკმა ავდიუსმა“ ტაძრები და ეკლესიები მართო სკულპტურული მოტივებითა და ინკრუსტაციებით ქვებზე; ფანჯრებში იყო „რომაული შუშები“- ვიტრაჟები. რადგან მართლმადიდებლურ ეკლესიაში მსგავს ფორმებზე აკრძალვები არ იყო, ხოლო ტრადიციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული კანონის ძალა რუსეთში, უცხოელ ხელოსნებს შესაძლებლობა ჰქონდათ აეშენებინათ საკუთარ ტრადიციებზე, თუ ეს არ იყო დამკვეთის სურვილთან და წარმოდგენებთან წინააღმდეგობაში.

პოლონური არტელი, რომელიც აშენებდა მთავარ ვლადიმირ ვოლოდარევის ძისთვის, დიდი მთავრის მიერ გაიგზავნა იური დოლგორუკთან პერიასლავლ-ზელნსკში ბორისისა და გლების ეკლესიების ასაშენებლად (1152წ.). გალიცინის და როსტოვ-სუზდალის რუსეთში იყო მყარი, მაგრამ დამყოლი კირის „თეთრი ქვის“ მარაგი, რომელიც კარგად მუშავდებოდა და მისგან შესაძლებელი იყო რთული არქიტექტურული დეტალებისა და სიუჟეტური კომპოზიციების გამოჭრა. მას იყენებდნენ იური დოლგორუკის შთამომავლის, ანდრეა ბოგოლიუბის ხელოსნებიც. ამ დროისათვის პოლონელ ხელოსნებს ემატებოდა ადგილობრივი კადრები, აგრეთვე ხუროთმოძღვრები, რომლებიც გამოგზავნილი იყო ანდრეა ფრიდრიხ ბარბაროსის თხოვნით, სავარაუდოდ ისინი იყვნენ გერმანელები ან იტალიელები. დამატებითი ძალების აუცილებლობა წარმოიშვა ვლადიმირის მთავრის გაფართოებულ სამშენებლო პროგრამასთან დაკავშირებით, რომელის მიხედვით საეკლესიო შენობების ტიპოლოგია დარჩა უცვლელი. მათი გარეგანი სახის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენდა თეთრი ქვების წყობის სრულყოფილება, სწორი პროპორციები, ნახევარწრიული ფასადების და მოჩუქურთმებული დეტალების გამოყენება. ანდრეა ბოგოლიუბოვის დაკვეთით 1158 და 1166 წლების შუალედში ვლადიმირში აშენდა უსპენსკისტაძარი (გადაკეთდა 1185-1189 წ.წ.) და ოქროს კარიბჭეზე ღვთისმშობლის (Положения Риз Богоматери- სამოსის (კვართის) დასაბრძანებელი ეკლესია (დაშალეს 1795 წ.), აგრეთვე საშინაო (სახლის) ღვთისმშობლის შობის ეკლესია მთავრის რეზიდენციაში-ბოგოლიუბოვში (რომელიც მთლიანად გადაკეთდა XVII ს-ში) და ღვთისმშობლის მფარველობის (покров) ეკლესია ბოგო-

ლიუბოვთან ახლოს. ექვსბოძიან უსპენსკის ტაძარს ჰქონდა ერთი თავი, კედლები იყოფოდა სვეტებიანი პილასტრებით და დამახასიათებელი რომაული თალურ-სვეტიანი სარტყელით, რომელიც იყო განმასხვავებელი ნიშანი ვლადიმირ-სუზდალის ეკლესიისათვის. გარეგან მონყობილობაზე აქტიურად გამოიყენებოდა ფრესკული წარწერები და მოოქროვება. (კედლის ნაწილები და არქიტექტურული დეტალები იყო მოოქროვილი სპილენძით). მდიდრულად იყო მორთული გარეთაც და შიგნითაც ღვთისმშობლის შობის ეკლესია. მისი თაღები ეყრდნობოდა ოთხ მრგვალ ბოძს, რომლებიც მოხატული იყო პრიალა სპილენძის ფილებით. ღვთისმშობლის მფარველობის ეკლესია, რომელიც აგებული იყო მდ.ნერდისა და კლიაზმის შესართავთან, მიეკუთვნება აგრეთვე უძველესი რუსული საეკლესიო ხუროთმოძღვრების „არისტოკრატიულ“ შტოს. თავდაპირველად ტაძარი გარშემორტყმული იყო სამივე მხრიდან გალერეებით, რომელიც გარეგნულად ამძიმებდა და ადიდებდა მის მასშტაბებს, რაც საბოლოო ჯამში ქმნიდა დახვეწილობის შტაბეჭდილებას. ამას ხელს უწყობდა ჩუქურთმიანი ჩართვები ფასადებზე (მეფსალმუნე მეფე დავითი, რომლისკენ მიიღტვიან ფრინველები, არწივები, ლომები, ანგელოზები). ძმების ანდრეასა და სვიატოსლავ ვსევოლოდის ძეთა ნაგებობებში ჩუქურთმა სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს: ვლადიმირის დიმიტრის ტაძრის ზედა ნაწილი (1193-1197 წ.წ.), ხოლო გეორგიევსკის ტაძრის ფასადები კი მთლიანადაა დაფარული ჩუქურთმით. გარდა ცალკეული სიუჟეტებისა, რომელთა აზრის რეკონსტრუირება ადვილია ლიტერატურული წყაროებიდან (მათ შორის „ალექსანდრიიდან“ ნასესხებია სიუჟეტი „ალექსანდრე მაკედონელის განდიდება“ თავადის ძალაუფლების ბოძებით); დიმიტრიევის ტაძარში არის მცენარეების, ფრინველების, რეალური და ფანტასტიური ცხოველების გამოსახულებები და ანტიკური და მითოლოგიური პერსონაჟებიც კი (კენტავრი და ჰერაკლე მშვილდის-რით). მსგავსი დეკორაციისადმი სიყვარულს, ალბათ, საფუძვლად ედო მისწრაფება კონკრეტიზაციისადმი საჩვენებელ-მატერიალურ ფორმებში აესახათ ტაძრის მნიშვნელობა როგორც სამყაროს სახისა, წარმოდგინათ ღვთის ქმნილებების თავისებური „ნომენკლატურა“. არსებობს ვარაუდი, რომ ჩანაფიქრი შეიძლება შთაგონებულიყო სოლომონის ტაძრის ბიბლიური აღწერის შედეგად, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ის ზოგადია (საერთოა), ხოლო ცალკეული გამოსახულებები შეიძლება იყოს შემთხვევითი და მათი გაშიფრვა შეუძლებელია თეზა-ურუსის ტიპით, რომელიც დამახასიათებელია

დასავლეთ-ევროპული სიმბოლიკისათვის. გეორგიევსკის ტაძრის ფასადებზე გამოტანილია სიუჟეტები, რომლებიც ინტერიერში იყო ხოლმე ხატებზე და ფრესკებზე (წმინდანების და დღესასწაულების გამოსახულებების. მოცემულ შემთხვევაში, დამკვეთი სავარაუდოდ ორიენტირებდა ტაძრების გარეგანი მოხატულობების ტრადიციებზე, რომელიც ცნობილია როგორც ანდრეი ბოგოლიუბოვის დროს ნაგებობიდან, მაგრამ მოახდინა მათი ტრანსპონირება მასალით და მისცა უფრო სისტემური ყოვლისმომცველი ხასიათი. შედეგად თითოეული ფასადი გახდა თითქოს თავისებური, უზარმაზარი მოჩუქურთმებული ხატი. უნდა აღინიშნოს, რომ მოჩუქურთმებული დეკორი (თუმცა არც ისე განვითარებული) იყო ბიზანტიურ ტაძრებშიც (პანაგი გორგოეპისკოსის ეკლესიაში, ანუ მცირე მიტროპოლიაში, ათენი XII ს.); ის არ იყო აკრძალული არანაირი კანონიკური დებულებებით და არ ცვლიდა მართლმადიდებლური ტაძრის არც ტიპოლოგიას, არც სიმბოლიკას.

ამგვარად, XII ს-ის მეორე ნახევარსა და XIII ს-ის დასაწყისში რუსული არქიტექტურის საერთო სურათში ნათლად გამოიყო ადგილობრივი მიმართულებები (სკოლები), რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა სამშენებლო ტექნიკით, საყვარელი, ამოჩემებული კონსტრუქციებით, დეკორაციული ფორმებითა და ხერხებით, გეგმიური და მოცულობითი გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიაციებით. სკოლას ხელოსნები ჰყავდა მთელ რიგ სატახტო ქალაქებში, როგორიცაა: კიევი, ნოვგოროდი, პოლოცკი, გალიჩი, გოროდნია (თანამედროვე გროდნო); ვლადიმირ-სუზდალის მიწაზე და სმოლენსკში ერთდროულად მუშაობდა ორ-ორი სამშენებლო არტელი.

## 2.XIV-XV საუკუნეები. ნოვგოროდი და ფსკოვი:

რუსული ხურთომოდღვრების შემდგომი განვითარება შეწყდა მონღოლ-თათართა შემოსევის გამო, ნოვგოროდშიც კი, რომელიც არ დაზარალებულა დამპყრობლებისაგან უშუალოდ, ქვით მშენებლობები განახლდა მხოლოდ XIII ს-ის ბოლოს, როდესაც საკუთარი ხელოსნების არტელები ამ რეგიონში უკვე არ არსებობდა, ვარაუდობენ, რომ შესვენების შემდეგ, წმინდა ნიკოლოზის პირველი ტაძარი, რომელიც აიგო ლიპნზე 1232 წ. აშენებულია რიგის ხელოსნების მიერ, რომელთაც შესაძლებელია ეხმარებოდნენ ნოვგოროდელები, რომლებიც ადრე მუშაობდნენ სარემონტო ან გამაგრებით სამუშაოებზე. ეს ჰიპოთეზა ხსნის ტაძრის იერ-სახის რომაულ-გოთურ

ნიშანს. ამასთან არქიტექტურული ტიპი და კონსტრუქციული თავისებურებები უდავოდ მიეკუთვნება მონღოლამდელი პერიოდის ბოლო ნაგებობას ნოვგოროდში ღვთისმშობლის შობის ეკლესიას პერინიზე (XIII ს-ის I მესამედი). ამ დროიდან შეიძლება საუბარი ტიპიურ ნოვგოროდის ტაძარზე, როგორც ჯვრიან – გუმბათიან ოთხგოდოლიანი, ერთთავიანი (გუმბათიანი), თითქმის კუბისებრი პროპორციებით, ერთი დაბალი საკურთხევის აფსიდით. შენობის სტატიკურობას ნაწილობრივ არბილებდა კედლების სამფრთიანი ქმნილება, აგრეთვე ფანჯრების ჭრილების პირამიდული ჯგუფები და შედარებით სუსტი დეკორატიები (წმ.ფიოდორ სტრატელატის ეკლესია 1360 წ., ფერიცვალების ეკლესია 1374 წ., წმ. მახარობლების პეტრე და პავლეს ეკლესია კოჟუენიკებში, 1406 წ. და სხვ.). XV ს-თვის შენობის ეს ტიპი იმდენად ჩვეულებრივი გახდა ნოვგოროდისათვის, რომ არქიეპისკოპოს ევფემიას ხელოსნებმა, რომლებმაც აღადგინეს წმინდა იოანეს უძველესი ხუთგუმფათიანი ტაძარი ძველ საძირკვლებზე (1453 წ.) მიუხედავად მსგავსი გადაწყვეტის აშკარა ალოგიკურობისა ხუთის ნაცვლად ის დააგვირგვინეს ერთი გუმბათით.

ფსკოვის არქიტექტურა დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ნოვგოროდის ნაწილს, ვინაიდან ფსკოვი შედიოდა ნოვგოროდის რესპუბლიკის შემადგენლობაში. თუმცა, მიროჟის მონასტრის ტაძარი ფსკოვში (1138-1140?) განსაკუთრებულია არა მარტო ნოვგოროდის, არამედ საერთოდ რუსულ არქიტექტურაში. ის აგებულია ნოვგოროდის ეპისკოპოსის უწმ.ნიფონტის დაკვეთით, რომელიც წარმოშობით იყო ბერძენი: ტაძარს აქვს ჯვრის ფორმის დიდი მოცულობის კომპოზიცია, დასავლეთით დანაწევრებული დაბალი ნაწილებით და გვერდითი აბსიდებით. ვარაუდობენ, რომ ნოვგოროდის მშენებლებს ხელმძღვანელობდა ბერძენი ხუროთმოდღვარი. თუმცა ჯვრის გარეგნული კომპოზიციის გამოხატულება, ქრისტიანობის ძირითადი სიმბოლო, წარმოადგენდა უდაოდ ტაძრის ღირსებას, უტილიტარულად ასეთი კომპოზიცია არაპრაქტიკული აღმოჩნდა, ვინაიდან ცუდად უზრუნველყოფდა გვერდითი სახურავის ჰიდროიზოლაციას. მშენებლობის დამთავრების შემდეგ, მაშინათვე მოხდა დასავლეთით დაბალი კუთხეების დაშენება, ხოლო სნეტოგორსკის მონასტრის შობის ტაძარს (1310), რომელიც იყო მიროჟის ტაძრის განმეორება, თავიდანვე ჰქონდა ძირითადი მოცულობის ზომასთან გათანაბრებული დასავლეთი ნაწილი. უშუალოდ ფსკოვის ხუროთმოდღვრების განვითარება იწყება XIV

ს-ის ნახევრიდან და მალევე იქმნება ტაძრის საკუთარი ვარიანტი. XIV ს-ის 60-იან წლებში ადგილობრივი ხუროთმოძღვრების მიერ ხდება ქალაქის მთავარი ტაძრის-(სამების ტაძრის) აღდგენა. მისმა ზედა ნაწილმა მიიღო კიბისებრი ფორმა, მაგრამ ნახევარწრიული სახურავის ნაცვლად, თითოეული მათგანი გადაიხურა ორფერდა სახურავით. მსგავსი სახურავი იყო აღდგენილი მიძინების ეკლესიის რესტავრაციის დროს მელეტოვში (1461-1463), სადაც გამოიყენეს ამაღლებული ზამბარისებრი თალები, ხოლო მთავარი გუმბათის ქვეშ არის რვანახნაგოვანი პოსტამენტი, რომლის თითოეული ნახნაგი აგრეთვე დაფარულია ორფერდიანი სახურავით. შემდეგ, ტაძრის ზედა ნაწილი თითქოს დაიყო ფენებად, რომელსაც ჰქონდა 24 ფერდიანი სახურავი. ამასთან, ხუროთმოძღვრები არ იყენებდნენ ნივგოროდისთვის დამახასიათებელ ცილინდრისებურ გვერდით თალებს. ფსკოვის ტაძრების კეთილმონყობა, ნოვგოროდისგან განსხვავებით, ჩვეულებრივ ხდებოდა გალერეებით და ეკვდრებით და ჰქონდა სამი მაღალი აფსიდა. ფსკოვის საეკლესიო ხუროთმოძღვრების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა ქვის სამრეკლოები, რომელიც დაშენებული იყო ეკლესიებზე ან იდგა ცალკე. უმთავრესად შენდებოდა უბრალო და არქაული ხის სამრეკლოები. ხის ბოძებით და ჯგობით, რომელზეც ეკიდა ზარი.

## II თავი. საეკლესიო ფერწერა კიევის რუსეთში.

წარმართობის პერიოდის კიევის რუსეთი არ იცნობდა ხელოვნების ისეთ დარგს, როგორცაა ფერწერა. იევის რუსეთში ბიზანტიიდან შემოტანილი ხატები გახდა სახვითი ხელოვნების პირველი ნიმუშები. ხატწერა უკრაინის საეკლესიო ტერიტორიაზე ევოლუციურად ვითარდებოდა. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ თავდაპირველად რუსი ხელოვანები ვერ ამჩნევდნენ ხატწერის ხერხების პირობებს. სახატო სახე მათ წარმოადგენდა იყო როგორც „ცოცხალი“. პრინციპულად უმთავრესი რუსული საეკლესიო მხატვრობის ფორმირებისთვის იყო ის გარემოება, რომ ხატწერის ხელოვნება აღქმული იყო ბიზანტიურიდან უკვე განვითარებული და სრულყოფილი სახით, როცა ორი პერიოდის შემდეგ დამკვიდრდა მხატვრული სისტემა და წმინდა სახის საღვთისმეტყველო გაგებაც.

პირველი მოხატულობები და ხატები, როგორც ავღნიშნეთ სრულდებოდა ბერძენი ხელოვანების მიერ. მათ რუსეთში ჩამოიტანეს იმ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ტექნიკური ხერხები და მხატვრული პრინციპები. ხატებს წერდნენ დაფებზე, უმთავრესად ცაცხვისგან, ცარცის გრუნტზე; მინერალური და ორგანული პიგმენტებით, რომელიც შეზავებული იყო კვერცხის გულთან (ტემპერული მხატვრობა). ფრესკები იწერებოდა იგივე საღებავებით, ნესტიან ბათქაშზე წყლის ნაზავებით.

შუასაუკუნეების ხატწერისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული სახვითი ხერხები-სიბრტყე, სივრცის სპეციფიკური გადაცემა (ე.წ. უკუპერსპექტივა), ოქროსფერი ფონის გამოყენებით სინათლის ილუზორული წყაროს არქონა, ლტოლვა ლიკალური ფერისკენ და მთელი რიგი პირობები საგნებისა და მოვლენების გადაცემაში. გამოსახულების სიბრტყე უზრუნველყოფდა მის დემატერიალიზაციას. უკუ, ანუ პერსპექტული, პერსპექტივა ხელს უწყობდა ამ სიბრტყეს, თითქოს ანაწილებდა საგნებს და თავისებურად შლიდა მათ. გარდა ამისა უკვე პერსპექტივის დროს ხაზების გადასვლის წარმოსახვითი ნერტილები, რომლებიც პერპენდიკულარულია ხატის სიბრტყესთან, არ იმყოფებოდა გამოსახულების შიგნით ილუზორულ პორიზონტზე, არამედ ის იყო რეალურ სივრცეში, ხატის წინ. ამდენად ხატის სახე უშუალოდ მიმართული იყო მლოცველისკენ, ანტიკური ან რენესანსული მხატვრობის-

გან (ფერწერისგან) განსხვავებით, რომელიც პირიქით, თითქოს არც ითვალისწინებს მათგან არსებობას. სიბრტყემ ხელოსნებს მოუსპო ინტერიერში მოქმედების ჩვენების შესაძლებლობა, ვინაიდან შიგნიდან ნაჩვენები შეუძლებელია არ იყოს სამგანზომილებიანი. შედეგად არქიტექტურის ფონზე დამტკიცდა სცენების განლაგების პირობითი ხერხები. ამ მიმართულებით თავისებურება აქვს დროის გადაცემასაც ხატში. ხატზე გამოსახული წმინდანი იმყოფება დროის გარეშე, სხვა სამყაროში, და ეს წარმოდგენა ზემოქმედებას ახდენს ხატის მთელ ველზე.

მატიერიალურის ნეიტრალიზაციისკენ მისწრაფების გამო, მხატვრებმა უარი თვეს სინათლისა და ჩრდილის ილუზორულ გადმოცემაზე, მოცულობის ნატურალურ მოდელირებაზე. ოქროსფერი ფონები, რომლებსაც შეაქვს ხატში ღვთიური შუქი ქმნიდა ირეალობის შთაბეჭდილებას, ამავედროულად, გადმოიცემოდა არა ფიზიკური, არამედ მისტიკური სივრცე. წარმოიშვა სახის წერის განსაკუთრებული ტექნიკა, როცა მუქ შეფერილობაზე თანამიმდევრულად დებდნენ უფრო ღია საღებავის ფენებს. აგრეთვე ღია ფერებში იყო ამოზრდილი წერტილები: ცხვირის ბოლო, საფეთქლები, წარბის ზედა ნაწილები, ღანვები. ასეთი ხერხის წყალობით მოცულობა მთლიანად არ იკარგებოდა, მაგრამ ხდებოდა უფრო ზომიერი და შერბილებული. იშვიათი იყო უკუმოდელირება – ნათელიდან მუქისაკენ.

ხატმწერი ძირითადად ორიენტირებული იყო არა კონკრეტულ, ადამიანთა და საგანთა ფიზიკურ სახეზე, არამედ მათი სულიერების გამოსახვაზე.

ფერთან დაკავშირებით ხატმწერი უარს ამბობდა ფერთა გადასვლებზე, რეფლექსებზე. თუმცა, ბიზანტიელი და კიევის რუსეთის მხატვრების პალიტრა საკმაოდ მდიდარია, ყოველთვის შეიმჩნევა ფერთა ტონალობის შეზღუდვა, მათი ლოკალური გამოყენება. ძირითადად ფერებს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა მართლმადიდებლურ კულტურაში. თეთრ და წითელ ფერებს ეკავა განსაკუთრებული ადგილი.

ბიზანტიელი ხატმწერები უძველესი დროიდან იყენებდნენ ნიმუშებს, რომელზეც პირველად V საუკუნეშია მოხსენიებული. ლ.მ.ევსევის ვარაუდით, ყველაზე ეფრო ადრინდელ ნიმუშთა წიგნს წარმოადგენს ილუმინირებული XV ს-ის ბერძნულ-ქართული ხელნაწერი ათონიდან. რაც შეეხება რუსეთს ხატმწერი დედნები ცნობილია XVI ს-დან. განმარტებით დედანში შედიოდა ტექნოლოგიური

რეცეპტები, დღესასწაულებისა და წმინდანთა გამოსახულების აღწერები. პირისახის დედნები გავრცელებული იყო განსაკუთრებით XVII-XVIII ს.ს. და შეიცავდა აგრეთვე გრაფიკულ გამოსახულებას. ნამდვილი სახის გამოყენება უზრუნველყოფდა იკონოგრაფიის მდგრადობას და მლოცველის მიერ მის უშეცდომოდ გამოცნობას, აგრეთვე გარანტირებული იყო ხატოსნობის განსაზღვრული დონე ხარისხიანი ნიმუშის კოპირების ხარჯზე.

ხელოსანთა მცირერიცხოვნების გამო გაქრისტიანების პირველ ეტაპზე კიევის რუსეთში სახლის ხატები ჯერ კიდევ არ იყო დიდად გავრცელებული. XII ს-ში ჩამოსხმული ჯვრებიც ბიზანტიიდან ჩამოჰქონდათ. მორწმუნეებში თანდათანობით იზრდებოდა ტაძრებში წარმოდგენილი ხატებისა და ტაძრული მოხატულობის როლი. მოხატულობები სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა ტაძრის ინტერიერს, როგორც ღვთის და ცის ხატს მოვლენილს დედამიწაზე, გამოსახავდნენ ციური ეკლესიისა და მინიერი ეკლესიის ერთიანობას. X ს-სთვის უკვე საკმაოდ ჩამოყალიბდა მოხატულობის ლოგიკური სისტემა, რომელიც მონყობილი იყო ჯვრიან-გუმბათოვან ტაძარზე.

## მონღოლამდელი კიევის რუსეთის ფერწერა

X-X ს-ში კიევის „ათი“ ეკლესია მორთული იყო ფრესკებითა და ორნამენტული მოზაიკით. კიევის წმინდა სოფიის ტაძარში, რუსული მიტროპოლიის მთავარ ცენტრში, გამოჩნდა ბიზანტიელი ხელოსნების ნამუშევარი სიუჟეტური მოზაიკა. აღნიშნული ტექნიკა საკმაოდ ძვირადღირებული და შრომატევადი იყო. ამავედროულად იგი ითხოვდა უმაღლეს კვალიფიკაციას, ვინაიდან გამოსახულების აწყობა ხდებოდა შუშის ათასი „კუბიკისგან“ (ბუნებრივი ქვის დამატებით). მოზაიკას მიენიჭებოდა მნიშვნელოვანი უპირატესობა ფრესკასთან შედარებით. ის პრაქტიკულად მუდმივი იყო, არაქრობადი. არ იცვლიდა ფერს, არ იწოვდა ჭვარტლს, არ ზიანდებოდა ხანძრის დროს. ოქროსფერი მოზაიკური ფონი ახდენდა კედლის ხედვით დემატიერიალიზაციას. იმ დროს ფერწერული ტექნოლოგია არ იძლეოდა „კიბიკების“ აწყობის საშუალებას ფერებითა და ფორმით, აგრეთვე ზედაპირის სისწორითაც, რაც მას აძლევდა განსაკუთრებულ მხატვრობას. წმ.სოფიის ტაძარში მოზაიკა მოთავსებული იყო უფრო მთავარ და ინტერიერის კარგად სანახავ ნაწილში: ცენტრალურ

ავსიდეზე, მთავარ გუმბათში, აღმოსავლეთ სვეტებზე და მათზე დაყრდნობილ თაღებზე, საერთო ჯამში მას ეკავა 640 კვ.მ. ღია არქიტექტურობა, გეომეტრიული წყობა ნიმუშებისა ქმნიდა ერთგვარ გადაძახილს ტაძრის არქიტექტურულ ფორმებთან. ღვთისმშობლის მასიური ფიგურა ბოლოსკენ გაფართოებული ტანსაცმლით, რომელიც მას აძლევს დამატებით მდგრადობას გამოიყურება ურყევად. ღვთისმშობლის ლოცვად აღმართული ხელები აღიქმება წყალობისა და მფარველობის ნიმუშად, რასაც შეესაბამება ბერძნული წარწერაც 45 ფსალმუნიდან 6 სტრიქონის შემადგენელი სიტყვებით: „ღმერთი მის შუაგულშია, არ ნაბორძიკდება, ღმერთი შეეწევა მას გარიჟრაჟზე“.

კონსტანტინოპოლის სკოლას წარმოადგენდა ოსტატი, რომელმაც შეასრულა აფსიდის საკურთხეველის რიგის მარჯვენა ნაწილი.

წმინდანთა სახეები ჩანს თითქმის პორტრეტივით, თუმცა, მსგავსმა გამოსახულებებმა მიიღო „არაპორტრეტული პორტრეტის“ ნოდება. მხატვარმა სინატიფით, ფაქიზად მონახა წონასწორობა ინდივიდუალურ დახასიათებათა და იმ ზოგად თვისებასთან, რომელიც აერთიანებს ყველა გამოსახულს - მათ სინამდვილესთან, მათ კავშირს სხვა სამყაროსთან.

ჩაცმულობაში ჭარბობს წყნარი მონაცრისფრო-მწვანე და მონაცრისფრო-ლურჯი ელფერი, რომელიც ხაზს უსვამს წმინდანთა შინაგან გულისხმიერებას.

უზარმაზარი კედლის მოსართავად საჭირო გახდა მოზაიკისა და ფრესკის შეხამება. ფრესკათა ნაწილი სტილისტურად ახლოსაა მოზაიკასთან. გარეთა გალერიისა და კიბის კოშკების ფრესკები მნიშვნელოვნად უბრალოა მხატვრობის თვალსაზრისით. სლავური წარწერების მიხედვით, ვარაუდობენ, რომ ისინი შესრულებულია ადგილობრივი ისტატიების მიერ.

კიევის წმ.სოფიის ტაძრის მოხატულობის ანსაბლს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იკონოგრაფიული ნიმუშების თვალსაზრისით, რუსი მხატვრების შემდგომი მუშაობისთვის: სახარებისეული სცენებისა და მრავალი ცალკეული წმინდანების გარდა, ტაძარში წარმოდგენილია ცხოვრებისეული ციკლები, დაკავშირებული იოაკიმთან და ანასთან, მახარობელ პეტრესთან, წმ. გიორგისთან და ს.ხვ. დასავლეთ ნაწილში მოთავსებული იყო იაროსლავ ბრძენის ოჯახის კტიტორული პორტრეტი, წარმოდგენილი ქრისტესთან (აქედან გადარჩენილია მხოლოდ იაროსლავის ვაჟიშვილის გამოსახულება სამხრეთ კედელზე), ხოლო კოშკებზე შენარჩუნე-

ბულია თამაშების უნიკალური სცენები კონსტანტინოპოლის იპოდრომზე.

1083-1089 წ.წ. კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულმა ოსტატმა სანაულებრივად მორთო კიევ-პეჩორის მონასტრის უსპენსკის ტაძარი (აფეთქებულ იქნა 1942 წ.). კიევ-პეჩორის პატრიკი მოგვითხრობს მოხატულობის დროს მომხდარ სასწაულზე, როცა ღვთისმშობლის პირიდან გამოფრინდა თეთრი მტრედი.

ბერძენ მოზაიკოსთა შეგირდი იყო პირველი ცნობილი რუსი ხატმწერი უნეტარესი ალიპი, რომელიც უსპენსკის ტაძრის მოხატულობის დასრულების შემდეგ პეჩორის მონასტერში ბერად აღიკვეცა. სამწუხაროდ არც ერთი შემორჩენილი ძეგლის დაკავშირება არ არის შესაძლებელი მის ხელოვნებასთან. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ განსაზღვრული წარმოდგენა მის სტილზე შეიძლება მოგვცეს უფრო გვიანდელმა ხატმა „ღვთისმშობელი დიადი პანაგია“ იაროსლავის სპასკის მონასტრიდან (XIII ს.).

მართლმადიდებლურ კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ილუსტრირებულ ხელნაწერებს. მათი მინიატურები სტილისტურად ახლოსაა მათივე თანამედროვე ფრესკებთან და ხატებთან, ვინაიდან მხატვრებს შეეძლოთ პარალელურად ემუშავათ სხვადასხვა ჟანრში. მაგალითად, მინიატურები ერთ-ერთი ადრინდელი რუსული ხელნაწერებისა (სვიატოსლავის ხელნაწერები 1073 წ.), რომელთაც ბევრი აქვთ საერთო კიევის წმ.სოფიის წარწერებთან. მეორე ადრინდელი ხელნაწერი – ოსტრომიროვის ევანგელე (1056-1057 წ.წ.) გვაგონებს გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს. შემდგომში ილუმინირებული წიგნების კავშირი დეკორატიულ გამოყენებით ხელოვნებასთან შეინიშნება როგორც სტილის დონეზე, ასევე, ორნამენტების ხარისხზეც.

## VIII კარი. კონფესიათაშორისი ურთიერთობის საკითხები უკრაინაში

### I თავი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უკრაინაში და საეკლესიო საკითხი XVII-XVIII ს.ს.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან პოლინეთი-ლიტვის ჯარების მოქმედების გაძლიერებასთან დაკავშირებით 1651 წ. დაიწყო კიევის ტოტალური დარბევა. დამპყრობლებმა გადაწვეს ქალაქი. ამ საომარი პროცესების დროს დაიწვა უძველესი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელშიც დასაფლავებული იყო პირველი ქრისტიანი მთავარი ვლადიმერი, გაძარცვეს და გაავერანეს პეჩორის, მეფიგირივის, ნიკოლო-პისტივნის, მიხაილოვის, ვიდუბიცის მონასტრები. არ იქნა დანდობილი ქალაქების მცხოვრებლები და ღვთისმსახურები, განადგურებულ იქნა წიგნსაცავები („старовечные“); იტაცებდნენ ფასეულობებს და დნეპრზე განლაგებული ხომალდებით გაჰქონდათ უკრაინიდან.

აღნიშნული ვითარება ხალხთა აღმავლობის საწინდარი უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, საღად მოაზროვნე უკრაინულ საზოგადოებაში დაისადგურა ქვეყნის ხსნის იდეამ. შექმნილი ვითარებით განრისხებულმა გეტმანმა ზოგდან ხმელნიცკიმ თავის დამოკიდებულება კაზაკების პოლკოვნიკ ჟდანოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში გამოავლინა (ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო კიევის დაცვა) „Учинил недобро: самой стольный город , и церкви божии, и святыя мощи, откудава православная вера зачалась и воссияла, ярко солнце, выдал в лятцкие в еретические руки на пруганье!“

კიევმა ამ პერიოდისთვის პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა: თითქმის თხუთმეტი წლის შემდეგ, დღიდან ხსენებული კატასტროფისა, მისი მოსახლეობა შეადგენდა არა უმეტეს ათი ათასი კაცისა.

წინააღმდეგობა ხმელნიცკის სიკვდილის შემდეგ (1657წ.) გადაიზარდა სამოქალაქო ომში, ანტიპოლონური აჯანყება დასრულდა უკრაინის ორად გაყოფით: დნეპრის მარცხენა სანაპირო და კიევი გადავიდა რუსეთის მხარეზე ავტონომიური მხარის უფლებით, დანარჩენი მარჯვენა სანაპიროს უკრაინა დარჩა რეჩპოსპოლიტას შემადგენლობაში. რაც შეეხება უნიას, მისი პოზიციები მარჯვენა სანაპიროზე საგრძნობლად გაძლიერდა.

1711 წ. პოლონეთის შლიახტა და კათოლიკური სამღვდლოება განაგრძობენ მართლმადიდებლების დევნას. განსაკუთრებული რეაქციული ძალები პოლონური თავად-აზნაურებისა გამოვიდა გეგმით: მიეცათ უკრაინის მართლმადიდებლები თურქებისთვის მონებად.

უნიატური მოძრაობა იმდენად გაძლიერდა, რომ 1712 წ. მათ ძალისმიერი მეთოდებით დაიკავეს ლუცკის კათედრა. ამ დროიდან ვიდრე XVIII ს.-მდე მარჯვენა მხარის უკრაინაში კიევის გამოკლებით, არ მოქმედებდა არც ერთი მართლმადიდებლური კათედრა. ერთადერთი მართლმადიდებლური კათედრა, რომელიც განაგრძობდა არსებობას რეჩ პოსპოლიტას ტერიტორიაზე იყო მოგილევის ეკლესია, რომელიც მდებარეობდა დნეპრზე.

მხარეში მართლმადიდებლობის სრულიად მოსპობის მიზნით რეჩ პოსპოლიტას ტერიტორიაზე გამოჩნდა კიდევ ერთი პროექტი: „Проекта искоренения российского (православного) народа в польских владениях“. პროექტის ავტორი მოუწოდებდა შლიახტას მართლმადიდებლების შევიწროვებასა და მათ გაერთიანებას უნიაში. ამავდროულად, მოწოდებაში გაისმოდა: დახურულიყო მართლმადიდებლებისთვის ყველა მისასვლელი ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, ხელოვნურად მოეხდინათ პროვოცირება მარჯვენა სანაპიროს ქალაქებში, რათა არ შეძლებოდათ მართლმადიდებლებს სკოლებში მიეყვანათ ბავშვები და სხვ. და თუ ყოველივე ეს აღმოჩნდებოდა ცოტა, მაშინ ისინი (მართლმადიდებლები) გადაეცათ „татарам в служение“.

1720 წ. ზამოლსში შედგა უნიატურულ-კათოლიკური ეკლესიის კრება, რომელმაც მოუწოდა პოლონეთის შლიახტას უფრო მეტი ძალისხმევა გამოეჩინა მართლმადიდებლების უნიის წინააღმდეგობაზე. ამასთანავე ღვთისმსახურების მართლმადიდებლურ ნესთმსახურებაში დაუნდობლად შეჰქონდათ ცვლილებები, რაც ბუნებრივია, მორწმუნეთა გულისწყრომას იწვევდა. განსაკუთრებით აუტანელი ხდებოდა პრაქტიკაში ლათინურ ენაზე დაკანონებული უნიატურული ღვთისმსახურება.

მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ 1732 წ. რეჩ პოსპოლიტას მართლმადიდებელ მაცხოვრებლებს აეკრძალათ ხალხმრავალ დასაფლავების რელიგიური პროცესია და აიძულებდნენ ხსენებული პრაქტიკა შეეცვალებათ კათოლიკურით. მართლმადიდებლებისთვის საწინააღმდეგო მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებული იყო ადგილობრივ კათოლიკე ღვთისმსახურზე.



შერეული ქორწინებიდან ბავშვებს მიზანმიმართულად რიცხავდნენ კათოლიკეებში, ღვთისმსახურებს ევალებოდათ ზედამხედველობა გაენათ მრევლის გარეგნულ ჩაცმულობაზეც.

1766 წ. შეიარაღებული პოლონეთის შლიახტის გვარდიელები მხეცურად გაუსწორდნენ ჩერკაშის ეკლესიის წინამძღვარს დანიელ კუშნირს, რომელმაც ლიკში გადაიტანა მართლმადიდებლური სინმინდეები. მისი თანამედროვე გვაცნობებს, რომ წინამძღვარს „до имеющегося в том их полоком обзое поставленного деревянного креста привязав и руки ушотав`прядивом, зеполою зажгли, и по логти odpаливши, голову отсекли, на полю сложили, а тело сожгли совсем“.

ეს ფაქტი, იმ დამახასიათებელ მოვლენათაგან ერთ-ერთია, თუ როგორ უსწორდებოდნენ შეიარაღებული შლიახტელები მართლმადიდებლებს. ამავე პერიოდს მიეკუთვნება (1732 წ.) კირილე ზელინციკის მართლმადიდებლობისთვის მოწამეობრივი სიკვდილი, რომელსაც წამებით გაუსწორდნენ კათოლიკეები.

XVIII ს-ის 80-იან წლებში პოლიტიკური ვითარება რეჩ პოსპოლიტასთან მიმართებაში ძალზედ შიცვალა. 1768 წ. რუსეთის დიპლომატიური ზეწოლის შედეგად რეჩ პოსპოლიტას სეიმმა 1732 წ. შეცვალა დისკრიმინაციის დადგენილება მართლმადიდებლებთან მიმართებაში. მაღალმა საზოგადოებამ (თვად-აზნაურობამ) რომელმაც არ გაიზიარა მართლმადიდებლობასთან შერბილებული დამოკიდებულება შეკრიბა საკუთარი კონფედერაცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მხარეში საბოლოოდ ამოეძირკვა მართლმადიდებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით უკრაინის მარჯვენა სანაპიროს მცხოვრებლებმა დაიწყეს მძლავრი ანტიუნიატური და ანტიკათოლიკური გამოსვლები (უმეტეს შემთხვევაში აჯანყებები), რომელიც ისტორიაში შევიდა „коливщини“-ს სახელით.

1772 წელს მოხდა რეჩ პოსპოლიტას პირველი დაყოფა რუსეთს, პრუსიასა და ავსტრო-უნგრეთს შორის. აღნიშნულის საპასუხოდ შლიახტამ მართლმადიდებლების წინააღმდეგ განახორციელა ახალი აგრესია. მარტო 1776 წ. მარჯვენა მხარის უკრაინაში ძალადობით უნიაში დაბრუნებულ იქნა 800-ზე მეტი მართლმადიდებელი სამრევლო. უმეტესობა კათოლიკური მონასტრებისა კიევში ჩნდებოდა სწორედ ამ პერიოდში. მართლმადიდებელ ღვთისმსახურებს მოეხსნათ ყოველგვარი შემწეობა, ხოლო მათ სამრევლოებს დაეკისრათ წარმოუდგენელი გადასახადი.

1782 წელს კათოლიკური თავად-აზნაურობა გამოდის მოთხოვნით, რომ სეიმს მიეღო გადაწყვეტილება გაუქმებულიყო რეჩ

პოსპოლიტას მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის ეპისკოპოსიც ცხოვრობდა რუსეთში და გაეცა მისი უკრაინაში გამოჩენის შემთხვევაში დაპატიმრების სანქცია.

1790-იან წ.წ. საბოლოოდ დასრულდა რეჩ პოსპოლიტას დაყოფა რუსეთს პრუსიასა და ავსტრო-უნგრეთს შორის. გალიცია და კარასტისპირეთი დარჩა რეჩ პოსპოლიტას შემადგენლობაში.

ამრიგად, XVIII ს-ის მეორე ნახევარში უკრაინაში რუსეთის იმპერიისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა გავრცელდა. უკრაინის ავტონომიამ არსებობა შეწყვიტა.

## II თავი. ყირიმის ბერძენ-ქრისტიანთა სარწმუნოებრივი საკითხი რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ სისტემაში (XVIII ს.).

ქრისტიანული სწავლება ძველი ყირიმის მიწა-წყალზე ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იქადაგა ქრისტეს იმ თორმეტ მოწაფეთაგან ერთ-ერთმა, რომელსაც თავად მაცხოვარი ანდრიას-პირველწოდებულს უწოდებდა. მის შემგომ ღვთის სიტყვას ყირიმის მიწა-წყალზე ასწავლიდა წმინდა კლიმენტი-რომის პაპი, მოციქულ პეტრეს მოწაფე.

ბიზანტიის ბრწყინვალეების ეპოქაში ყირიმის ტერიტორიაზე წარმოდგენილი იყო ხუთი მართლმადიდებელი ეპარქია: ბოსფორის, ხერსონესის, სუგდეის, გოთის ფულს. ცნობილია რამოდენიმე განმანათლებლის სახელი, რომლებიც ამ უძველესი მართლმადიდებელი კათედრების მოღვაწეები იყვნენ: გოთის ეპისკოპოსი იოანე (790 წ.), რომელიც დედოფალ ირინეს მოძღვარი იყო და რომელიც იმპერატორ ლეონისა და კონსტანტინეს მმართველობის დროს უამრავი განსაცდელი გადაიტანა ხატმებრძოლების მხრიდან. იცავდა რა ტავრიელთა მიწა-წყალზე გოთების უფლებებს, რომლებიც აუფხანყდნენ ხაზარებს, განმანათლებელი იოანე ფულის ციხეში ჩასვეს, მაგრამ მოგვიანებით გაანთავისუფლეს მთავრის ქალიშვილის მოთხოვნით. გარდაიცვალა განმანათლებელი იოანე გოთელი თავრიდში მის მიერ ნაწინასწარმეტყველებ დროს.

ასევე ცნობილი სახეა არქიეპისკოპოსი სტეფანე (VIII ს.) წარმოშობით იგი კაპადოკიელი იყო ღვთისმეტყველებაში თავისი განსწავლულობით ეს გამორჩეული საეკლესიო მოღვაწე იმთავითვე დაახლოვებული პირი გახდა პატრიარქთან, მაგრამ გარკვეული დროით განმარტივებული იყო მონასტერში. მოგვიანებით სტეფანე აკურთხეს ეპისკოპოსად და გამწესებულ იქნა სუროჟის კათედრაზე. თავისი განმანათლებლური მოღვაწეობის პერიოდში ეპისკოპოსმა სტეფანემ შეძლო მხარის წარმართები მოენათლა მართლმადიდებლობაზე. „Веселие и похвала земли Сурожской“ წერს მასზედ მემატიანე. მედგარ წინააღმდეგობას უწევდა იგი ხატმებრძოლ იმპერატორს, რის გამოც იგი მრავალგზის იქნა დევნილი. მხოლოდ ხელისუფლებაში იმპერატორ კონსტანტინეს მოსვლის შემდგომ განთავისუფლებულ იქნა იგი ღვთისმოსავი დედოფლის ვედრებით. განმანათლებლობასთან ერთად სასწაულმოქმედები-

თაც გამოიჩინა. გადმოცემით ვინმე ეფრემი, დაბადებით იყო ბრმა, მაგრამ მეფის შეხებისთანავე მას თვალები აეხილა. გენუელებმა დაახლოებით 1380 წელს ყირიმის სამხრეთი სანაპიროები დაიპყრეს. გენუზიის რესპუბლიკაზე იქნა შეერთებული გოთიაც, რომელიც ძირითადად დასახლებული იყო ქრისტიანებით. XIII ს-თვის მხარეში არსებობდა სამი ეპარქია: სუდგეი-ფულის, ხერსონესის, გოთების და კაფასისა. მათზე ვრცელდებოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქცია. გოთკაფას ეპარქია არსებობას განაგრძობდა ყირიმის რუსეთთან შეერთებამდე. ბოლო მიტროპოლიტი იყო ეგნატი, რომელიც ხსენებულ კათედრებს (სულიერად აპურებდა სიცოცხლის ბოლომდე) (1786) და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდგომ ბერძნული კათედრა აქ გაუქმებულ იქნა, ხოლო სამრეკლოები მარიოპულის ეპისკოპოსს თეოდოსს დაექვემდებარა, რომელიც ეკატერინოსლავის ეპარქიის ვიკარიას წარმოადგენდა.

ყირიმის ჩრდილოეთ ნაწილი ჯერ კიდევ XIII საუკუნეში დაკავებული იქნა თათრების მიერ.

XIV ს-ში თურქებმა თათრების უდიდესი მხარდაჭერით მიიტაცეს სამხრეთ ყირიმი. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ სამხრეთ ყირიმი დაპყრობილი ჰქონდათ გენუელებს. თათრების მხარეში შემოჭრის შემდგომ გენუის კოლონიების მოსახლეობა, რომლებიც ქრისტიანები იყვნენ, თითქმის ამოწყვეტილი იქნენ, ნაწილი გაიქცა და რუსეთის ქვეყნებს შეაფარა თავი. ყოველივე ამის შემდგომ ნახევარკუნძული შევიდა ყირიმის სახანოში, რომელიც თავის მხრივ ვასალურ ურთიერთობაში იმყოფებოდა თურქეთთან. ყირიმი ამ პერიოდისათვის გახდა ტყვეთა ვაჭრობის ცენტრი. ვაჭრობდნენ განსაკუთრებით მართლმადიდებელი რუსებით, რომლებიც მოსკოვის მიწა-წყლიდან თათართა მიერ ტყვედ იყვნენ აყვანილნი თათართა მოსკოვის მიწა-წყალზე შემოსევების შედეგად. მუდმივი თავდასხმები ყირიმელი თათრებისა მოსკოვზე დაქვემდებარებულ ქვეყნებზე დაიწყო 1507 წ. მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III (ვასილის ძის) გარდაცვალების შემდგომ, თათრებმა მახვილით დაიპყრეს რუსული ქალაქები: ბელეკი და კოზელსკი. თითო ლაშქრობაზე თათრებს რუსეთის ქვეყნიდან 5-დან 50-ათასამდე კაცი გაჰყავდათ ტყვეებად. ტყვეები ძირითადად იყიდებოდა კაფფას, კარასუბაზას, ბალჩისარაის და მეზლემში. ბოლო ლაშქრობა მოაწყო გირეიმ 1769 წ., მაშინ, როცა თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ამ პერიოდში თათრებმა გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს 1190 სახლი, 4 ეკლესია, 6 წისქვილი, დაახლოებით განადგურდა 6 ათასი კვ.მ. პურის

ყანა და 10 ათასი ფუთი თივა, გადენეს 30 000 ცხვარი და თხა, 1557 ცხენი, ტყვედ წაიყვანეს 624 ათასი მამაკაცი და 559 ათასი ქალი, უმეტესობა აჩეხეს და ისე დატოვეს.

იმ დროისათვის, როცა ყირიმი რუსეთის შეუერთდა, ნახევარკუნძულზე შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ ერთი მიტროპოლია, რომელიც მიეკუთვნებოდა ქრისტიან ბერძნებს, რომლებსაც თათრებმა იმთავითვე შეუცვალეს, როგორც გარეგნული იერსახე, ასევე ენა. უმეტესობა უკვე საუბარს იწყებს მხოლოდ თათრულად, ბერძნულმა ენამაც აქ განიცადა დიდი ცვლილება. ქრისტიანებისადმი აუტანელი დამოკიდებულება უმეტესობას უბიძგებდა ისლამის აღმსარებლობისკენ. მძიმე სოციალური და რელიგიური უუფლებობა აისახებოდა ლიტერატურულ ნაწარმოებებში, სადაც მხატვრულად იყო წარმოსახული შევიწროებისა და დევნის სურათები, რომელსაც განიცდიდა ქრისტიანობა თათართა რელიგიურ-პოლიტიკური წნეხვის ქვეშ. ბერძნებს ეკრძალებოდათ განეახლებინათ ეკლესიები, ესარგებლათ ქრისტიანული სიმბოლოებით და ტრადიციული ზნე-წეს-ჩვეულებებით. XVIII ს-თვის აქ შემორჩენილი ეკლესიებს არ ჰქონდა შენარჩუნებული წინანდელი სახე ისინი ქოხებს და თავშესაფრებს უფრო ჰგავდნენ ვინემ სალოცავ ადგილებს. გაძარცვულ ეკლესიებში არა თუ კულტსამსახურების ვერცხლის ნივთები არამედ უბრალო ხელშესახები საგანიც არ მოიპოვებოდა, რომელიც კი მიანიშნებდა ოდესმე აქ საღვთისმსახურო მოღვაწეობაზე. თათრებისგან ქრისტიანებისთვის შეზღუდული იყო სახარების კითხვაც. სულთნის მიერ გამოცემულ სიგელებში მიტროპოლიტებისთვის ნათქვამი იყო: „Митрополитам и прочим священникам в домах своих Евангелие итать грамогласно дозволяется, равно как и знатных домах службу по закону отправлять; Евангелие читать тихо, без поставления ламп и свеч, также без кадила и жезла, не облачаясь в ризу и не ваясь в кресло“.

ამონარიდი ადასტურებს მართლმადიდებელთა ცხოვრების უკიდურეს პირობებს მუსულმანთა გარემოში.

თათრები აჩვენებდნენ რა თავიანთ შვილებს სამხედრო ხელოვნებას ნებას რთვდნენ მიზანში ესროლათ ხანში შესულ ქრისტიანებისათვის. ხანები შეაგროვებდნენ ქრისტიან მოსახლეობას და აიძულებდნენ უსასყიდლოდ ემუშავათ ყველაზე რთულ სამუშაოებზე.

ბერძნებს ეკრძალებოდათ მოეთხოვათ საკუთარი შვილების განათლებისათვის სკოლები, ასევე სასჯელი იყო დაწესებული იმ-

ათვის, ვინც შეეცდებოდა მშობლიურ ენაზე ესაუბრა მეორესთან. ბერძნული ენის გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ ლოცვებისა და წირვის დროს. ბერძენ ქრისტიანთა დამაკნინებელ ყოფაზე მიუთითებს თათართა მიერ ყირიმის ტერიტორიაზე საკუთარი ჩინოვნიკების მოძრაობის წესი, რომელიც უნ.ყოვლისა ქრისტიან მღვდლების ოჯახების მხრიდან სტუმართა მომსახურების ფორმაზე იყო აგებული: იმ მხარეში, სადაც იმოგზაურებდნენ სამთავრობო ჩინოვნიკები, მათ ღამე ქრისტიანი მღვდლების ოჯახებში უნდა გაეთენებინათ. უნდა მიეღოთ პურმარილი და ყოველივე რასაც ისინი მოისურვებდნენ. გარდას იმისა რომ ოჯახი ძალზედ უნდა დახარჯულიყო, მას ევალებოდა გამოსაღები (გადასახადი) გადაეხადა მოსულებისთვის, მასზედ, რომ მათ თავიანთი მობრძანებით დიდი პატივი დასდეს ქრისტიანებს „и утруждали свои зубы на еду в этих домах“.

მარიოპულის გიმნაზიის რექტორი, ისტორიკოსი, ავტორი უამრავი სტატიებისა ფ.ხარტახაი, ასე წერს ყირიმელი ბერძნების შესახებ: „Песнь христиан нельзя назвать песней-это вой беззащитного народа, безыскусственное описание возмутительных сцен и уныния с замогильным голосом“.

რუსეთის გამარჯვების შემდგომ თურქეთზე და ქუჩუკ-კაინ-არჯის საზავო ხელშეკრულების შედეგად, რომელიც 1774 წლის 10 ივნისს გაფორმდა, ყირიმმა მიიღო თურქეთისგან სრული დამოუკიდებლობა და გადაინაცვლა რუსეთის მფარველობის ქვეშ. რუსეთის მხარეს გადაეცა ციხე-სიმაგრეები ქერჩი და ენიკოლი. მაგრამ ამ ვითარებას არავითარი სასიკეთო ცვლილებები არ მოუტანია ბერძენი ქრისტიანებისთვის. პირიქით: თურქები და თათრები ცდილობდნენ შეესუსტებინათ მართლმადიდებელი რუსული სახელმწიფოს მხრიდან ყირიმის ქრისტიანი მოსახლეობის მფარველობა. ძალზედ დაიძაბა ვითარება ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის, რამაც აიძულა კაფა-გოთელი მიტროპოლიტი ეგნატი, რომელმაც საკუთარი მრევლის დაცვის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება გამოეყვანა ქრისტიანები ყირიმიდან.

1771 წელს მეუფე ეგნატი მივიდა გეორგიევსკის მონასტერში და იქედან გადავიდა ბერძნულ დასახლება-მარიანაპოლში, ბალჩისარაისთან ახლოს, სადაც იყო სამიტროპოლიტო კათედრა. აქვე მეუფემ იხილა უკიდურესი სიდუხჭირე და უუფლებობა ბერძენი ქრისტიანების. იმის შიშით, რომ ხსენებული მრევლი ფიზიკურად გადაშენდებოდა, მიტროპოლიტმა ეგნატემ თხოვნით მიმართა

რუსეთის სახელმწიფოს ხელისუფლებას თავის მფარველობის ქვეშ მიეღო ყირიმელი ბერძნები, მიეცა მათთვის მოქალაქეობა და დასასახლებლად მიწები.

ყირიმიდან ბერძენი ქრისტიანების გადმოსახლებას წინა ეპოქაშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი ატარებდა სტიქიურ ხასიათს. მიტროპოლიტ ეგნატეს კი იმჟამად ყირიმიდან გამოჰყავდა დაახლოებით 20 000 ქრისტიანი იმ იმედით, რომ აღუდგენდა დაქვეითებულ „დაკნინებულ“ კულტურას, სულიერებას და რწმენას თავის მრევლს. როგორც ძველი ებრაელები გამოჰყავდა მოსეს ეგვიპტედან, ასევე გამოჰყავდა ყირიმიდან ქრისტიანები მიტ.ეგნატეს. ძალზედ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა ქრისტიანების მხრიდან მშობლიური მიწა-წყლიდან აყრა და სხვა ქვეყანაში გადასახლება, მაგრამ იმჟამად ფიზიკური და სულიერი გადარჩენის სხვა გზა არ არსებობდა.

უნ.ყოვლისა ვინემ ასეთ რადიკალურ გზას დაადგებოდა, მანამდე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლობასთან-თავად პ.ა.რუმიანცევ-ზადუნაისკისთან, თავად გ.ა.პოტიომკინ-ტავრიჩევსკისთან და ა.ვ.სუვოროვთან. არჩეულ იქნა ქრისტიან ბერძნების ჩასახლებელი მიწა, რომელსაც მიტროპოლიტმა ეგნატემ უწოდა მარიუპოლო-ქალაქი წმ.მარიამი, ყირიმელი ქრისტიანების მრავალსაუკუნოვანი მფარველის მარიამის საპატივცემულოდ.

მიუხედავად ამისა, ყველა ქრისტიანმა ბერძენმა და სომეხმა როდი დატოვეს მშობლიური მხარე. ამდენად, აუცილებელი გახდა მიტ. ეგნატეს მხრიდან ყირიმში დარჩენილი ქრისტიანებისთვის სამღვდელოების ისეთი წარმომადგენლების გაგზავნა, რომლებიც დაარწმუნებდა მათ კუთხის დატოვების აუცილებლობაში. თავის აგიტატორებს გზავნიდა ყირიმში ა.სუვოროვიც, რომელიც ძირითადად მოქმედებდა მდიდარი ბერძნებისა და სომეხების მეშვეობით ქალაქებში: კოზლოვში, კარასუბაზარში, აკ-მეჩეთში და ბალჩისარაიში.

რუსეთის ხელისუფლება, იღებდა რა თავის მფარველობის ქვეშ ყირიმელ ქრისტიანებს, აძლევდა მათ თავის მოქალაქეობას, აკეთებდა ყოველივეს, რაც დაკავშირებული იყო მათი ყირიმიდან გასვლასა და რუსეთის მიწა-წყალზე დასამკვიდრებლად. ხელისუფლება დარწმუნებული იყო იმაშიც, რომ მოსული ქრისტიანები აუთვისებელ მიწებს ააყვავებდნენ და მათი ქვეყანა სარგებელს ნახავდა.

ამავდროულად, რუსეთის ხელისუფლება ახალწამოსახლებული ქრისტიანებისთვის გამოსცა სიგელი, რომლის ძალითაც მოსულ ქრისტიანებს სახელმწიფოს ფარგლებში, გარდა მიწებისა, ეძლეოდათ სხვადასხვა სახის, როგორც ერთჯერადი ისე, მრავალი სახის დახმარებები, რაც აუცილებლად მათ სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა. ასევე იმპერიის ხელისუფლებამ არ დაიშურა ძალისხმევა გაეთვალისწინებინა ყოველი წვრილმანი, რაც გადმოსახლების პროცესებთან იყო დაკავშირებული. ამ მიმართულებით გათვალისწინებული იყო: გადმოსახლებულთათვის ვალების გადახდა, აულებელი მოსავლის კონპენსაცია, გადმოსახლების პროცესში კვებისთვის ხარჯების გაღება. აღნიშნულ საპროცედურო საკითხებს მუდმივ ზედამხედველობას უწევდა მიტრ.ეგნატე, ერთეული და მოამაგე მოძღვარი, რომელმაც იხსნა საკუთარი სამწყსო ფიზიკური და სულიერი გადაგვარებისგან.

ყირიმიდან ქრისტიანები გამოდიოდნენ ეტაპობრივად 1778 წ. 18 ივნისიდან 28 სექტემბრამდე. ისინი თავს იყრიდნენ უსპენსკის ტაძართან ბალჩისარაიში და იქედან გადმოდიოდნენ ახალ ადგილებში. მათთან განუყრელად სწირავდა მიტროპოლიტი ეგნატე. ისტორიკოსი ფ.ხარტახაი, აღწერს რა ქრისტიანების გამოსვლას ყირიმიდან, აღნიშნავს, რომ მუსულმანი თათრების გამომშვიდობება ქრისტიანებთან იყო ძალზედ ამაღელვებელი; მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრებ თათარ გლეხებს მეტად მომხიბვლელად ეჩვენებოდათ ქრისტიანი ბერძნების ბედი. რუსეთის სახელმწიფოში ზოგიერთი თათარი პირჯვარს იწერდა, იგებდა რა, თუ როგორი პრივილეგიებით ისარგებლებდნენ ქრისტიანები რუსეთში.

ყირიმის თათართა სახანოსთვის ქვეყნიდან ქრისტიანების გამოსვლა დაკავშირებული იყო უპ.ყ. მატერიალური დანაკარგებთან. ბუნებრივია, ამ მიმართულებით ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა შემოსავლები, რადგან გადასახადებს სახანო ძირითადად ქრისტიანებისგან კრებდა, მათი რუსეთის იმპერიაში გადასვლის შემდგომ ადგილობრივ-მუსულმან-თათრებს დაწნვა გადასახადების მთელი სიმძიმე რამაც სახანოში, მძიმე კრიზისები გამოიწვია.

აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით, ფრიად მნიშვნელოვანია ხან შაჰინ-გირეის დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფოსთან. ყირიმის ქრისტიანების მიმართ გატარებულ პოლიტიკაზე: გახდა რა ცნობილი, ხანისთვის ბერძნების გასვლა სახანოდან და შემოსავლების კლება, ეს უკანასკნელი რუსეთის ხელისუფლებას აკისრებს ამ მიმართულებით სახელმწიფოს დაზარალებულთათვის

საკმაოდ დიდ თანხებს. თათრებთან ურთიერთობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით რუსეთის ხელისუფლება ნავიდა დათმობაზე – ზარალი თათრებმა რუსეთისაგან დაიბრუნეს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ რუსებმა ფაქტიურად გამოისყიდეს ბერძენი ქრისტიანები.

ყირიმიდან ქრისტიანების გამოსვლის შემდგომ ხან შაჰინ-გირეის მდგომარეობა გახდა არამდგრადი. ქვეყანაში დაიწყო აჯანყებები, რაც უმეტესწილად მიანიშნებდა მასზე, რომ თურქული გავლენა ყირიმის მისახლეობაზე რჩებოდა განსაკუთრებულად და ძლიერად. რუსეთის ხელისუფლებისთვის გასაგები იყო, რომ ყირიმი კვლავინდებურად რჩებოდა აგრესიის წყაროდ. სინამდვილეში, თურქეთი არ კარგავდა იმედს ყირიმის დასაბრუნებლად და არა მარტო აქეზებდა თათრებს რუსეთის წინააღმდეგ, არამედ ქვეყანაში გეგმავდა გადატრიალებასაც.

ინიციატივა ყირიმის რუსეთთან მიერთების შესახებ გამოდიოდა თავად გ.პოტიომკინის მხრიდან, რომელიც მიიჩნევდა, რომ ნახევარკუნძულზე მშვიდობა ვერ დაისადგურებდა და არც რუსეთის სახელმწიფო არ იქნებოდა დაცული გარე აგრესიისგან, თუ ყირიმი არ შეუერთდებოდა რუსეთს.

აჯანყებულების დასამშვიდებლად და შაჰინ-გირეის განსამტკიცებლად ყირიმში შეყვანილ იქნა რუსი ჯარი. სტამბულში გაგზავნილ იქნა მემორანდუმი რომელშიც თურქეთის ხელისუფლებას მიეცა მითითება აჯანყებულების მიმართ გატარებულყო შედარებით რბილი პოლიტიკა.

ხოლო, რაც შეეხება ყირიმელ წარჩინებულებს რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებათა შემდგომ ისინი იღებდნენ გარანტიებს და დიდ პრივილეგიებს სხვადასხვა სფეროში, ამავედროულად გარანტიებს რელიგიური ხელშეუხებლობის შესახებ. ამის შემდგომ ამ უკანასკნელთა მხრიდან, გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ მიეღოთ რუსეთის მოქალაქეობა. რა შეეხებოდა თავად შაჰინ-გირეის სამომავლო მდგომარეობას, იგი ყირიმის სანაცვლოდ თანხმდებოდა ირანის ერთ-ერთ პროვინციაზე. ეკატერინეს ბრძანების თანახმად მიეცა მას რჩევა, საკუთარი ნებით უარი ეთქვა ხანობაზე და ყირიმი გადაეცა რუსეთისთვის, რაზედაც ამ უკანასკნელმა თანხმობა გამოაცხადა. ყოფილი ხანის შესანახად რუსეთის მხარე ყიველნლიურად 200 ათას რუსულ რუბლს გადაიხდიდა და ხანის ტიტული მიეცემოდა ირანში. 1783 წელს შაჰინ-გირეი გადადგა ტახტიდან. ეკატერინე II-ის მანიფესტით 1783 წლის 8 აპრილს ყირიმი

შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ყირიმის ნახევარკუნძულის შეერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის. ყირიმის ხანები, ფაქტიურად, მიეკუთვნებოდნენ თურქებს და ყოველთვის სიძულვილით უცქერდნენ ქრისტიანულ ქვეყნებს. ამდენად, ყირიმის შემოერთების შემდეგ რუსეთს სამუდამოდ დაცული იქნებოდა რუსეთის სამხრეთი საზღვრები სხვადასხვა რჯულის ხალხებიდან, რაც მას საშუალებას მისცემდა აეთვისებინა შავიზღვისპირეთისა და აზოვისზღვისპირეთის ნაყოფიერი მიწები, განეხილათ ირანის სანარმოები.

1784 წ. 13 თებერვალს ოტომანის იმპერიამ აღიარა ყირიმის შეერთება რუსეთთან. მაგრამ უკვე 3 წლის შემდეგ, მოკავშირეთა მხრიდან ნაქეზებულმა, 1787 წ. 13 აგვისტოს ომი გამოუცხადა რუსეთს, ყირიმის დაბრუნების მოთხოვნით. რუსეთისთვის ეს ომი წარმოადგენდა უკვე 100 წლის განმავლობაში მეშვიდე ომს შავ ზღვაზე გასასვლელად და ეს მისია დასრულდა იასის ხელშეკრულებით, რომლის ძალითაც ყირიმი და ყუბანის ტერიტორია მიეკუთვნა რუსეთის იმპერიას.

თუ როგორ ეპყრობოდა რუსეთის ხელისუფლება ყირიმის მუსულმანურ მოსახლეობას, შეიძლება გავოგოთ იმ წერილის შინაარსიდან, რომელიც გაეგზავნა ხერსონის ეპისკოპოსს ტავრიჩევს ყირიმის რუსეთთან შეერთების 70 წლის შემდეგ (1852 წ. 20 ივნისი).

«Вашему Высочеству, между прочем, угодно было обратить особое внимание на замечание мое отношении у нас магометанства к господствующей религии: почитаю за долг изъясниться перед вами о сем предмете со всюю откровенностью, хотя, некоторые из мыслей моих покажутся, может быть жалобными.

Крым куплен, как известно, ценою, не раз обливавшей его от перекопа до Керчи, и, следовательно, жители его, как побежденные, не имеют никаких прав на особые преимущества: но несмотря на это, татары крымские пользуются и у нас доселе такими отличиями и льготами, каких не имеют в нашем краю ни один поселянин: оне не платят подушной подати, не обязаны рекрутской повинностью, не подлежит помещицкому праву в той мере, как наш бедный крестьянин, и почес.(А сам татарин, дослужившийся в армии до известных чинов, может делаться над тысячью православных христиан господином с полным правом помещика!!!). Такой неестественный избыток прав у народа дикого и побежденного пред его победителями невольно приводит к удивлению и русских, и самих татар, так что, ни тот, ни

другой не знают, чем изъяснить такое неравенство, и предаются: первый ропоту и неудовольствию на свое провидительство, последний-надменности, презрению имени русского, отвращению и от русской Веры и тайным надеждам на будущую политическую независимость. Справедливость требовала бы, чтобы, по крайней мере, магометанин по переходе в христианство сохранял прежние права свои, но сего нет. Ныне он сделался христианином, а с завтрашнего дня начинает подлежать почти всем обязанностям нашего простолюдина. При таком положении вещей многие ли из магометан решаться оставить свою Веру, с кою соединено столько гражданских преимуществ, когда и без того переход в христианство сопряжен для него с тяжким отречением от всего, чем алкоран так сильно льстит страстям плотоугодию человеческому ?

К сему должно прибавить карине затруднительное положение обращающихся татар среди русских общин, к коим их обыкновенно приписывают и кои окружены у нас магометанскими аулами. И язык, и обычай долго мешают обращенным слиться с новыми единоверующими, между тем как прежние, преследуя их всеми способами, в то же время искушают их терпение примером своей плотоугодной жизни...

Все это могло бы быть без труда устранено назначением для обращающихся магометан дял поселения особой казенной земли, в коей еще столько избытка, что ее доселе продолжают к сожалению, отдавать иностранным колонистам. Но сего доселе не сделано. Вообще в обращение татар к христианству никогда не было обращено ни малейшего внимания, хотя дело это первой важности не только в отношении к церкви, но и к государству, по сознанию самих губернаторов Маврических...

Подобная крайне горькая для нас неудобность в действовании на иноверцев встретила нас недавно по отношению к колонистам немецким. Некоторые из них начали было обращаться в православие. Что же? Вместо того чтобы ободрить таковых и хотя чем-либо показать им, что мы рады их религиозному соединению с нами, по распоряжению министерства государственных имуществ их тотчас лишили всех прав, коими они пользовались дотоле как колонисты и кой, как известно, простираются весьма далеко. Таким образом, за переход из лютеранства в православие перешедшие к православной России подвергнуты лишению прав состояния, то есть к такому наказанию, коему подвергаются обыкновенно не иначе, как по суду, и только за тяжкие преступления...

В основании подобных законов и распоряжений, очевидно,

лежит та мысль и убеждение, что для государства все равно, какую бы кто ни исповедовал веру, только бы исполнял хорошо обязанности верноподданного. Но возможно ли это последнее для еврея и магометанина, когда противного тому требует самая его вера? Дотоле еврей будет ожидать своего царя мессию (а он всегда будет ожидать его, дотоле он еврей), дотоле сколько бы ни давал он присяг, для него нет на земле царя, которого он не должен был бы оставить и презреть, коллль скоро ему сказали и он поверит, что его мессия пришел и явился. Дотоле мусульманин не откажется благоговением пред падишахом турецким, который, в его понятии, есть приемник магомета и тень Аллаха...

Судя по сему, вообще бесполезно было бы обозреть внимательно нам законодательный кодекс в тех его частях, где изображены права гоподствующей религии в ставлении с правами вероисповеданий иностранных и нехристианских. Я совершенно уверен, что при сем сличении окажется, что религия господствующая во многих случаях остается при одном титуле и прозвании, а действительными правами прользуются вероисповедания иностранные и даже нехристианские, к унижению и вреду первой, - то есть в нашем отечестве повторяться то, что некогда произошло в доме отца верующих Авраама, когда Агарь, рабыня, начала брать верх над Сарою, его супругой.

Такое положение дела тем страннее, чем продолжается в благополучное царствование монарха, который, кроме множества других великих дел, уже давно стяжал себе и святую славу венценосного покровителя и распространителя церкви православной...

Излагая таким образом мысли и чувства свои пред Вашим Высоченством, я уверен, что прозорливая мудрость Ваша не припишет их какой-либо раздражительности или страсти прозелитизму и пропаганде: пером моим, как и сердцем водит одна искренняя любовь к престолу и отечеству, для коих Вера православная, была и есть краеугольным камнем силы и величия, которого не могут затмить никакие искусственные контрафорсы самой оборотливой политики».

მოცანილი ამონარიდიდან სავსებით გასაგებია, თუ როგორ უკმაყოფილებას გამოხატავდა ეროვნულად განწყობილი უკრაინელი სამღვდელოება ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთის იმპერიის მხრიდან გატარებულ სარწმუნოებრივ პოლიტიკაზე. უიმედოდ დარჩენილ სამღვდელოებას მეტი არაფერი დარჩენოდა, თუ არა, დალოდებოდა უკეთეს მერმისს პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

## IX კარი. რუსეთის სარწმუნოებრივი პოლიტიკა უკრაინაში (XVIII-XIX სს)

### I თავი. რუსეთის საეკლესიო მოდერნიზაციის პოლიტიკა რეჩ პოსპოლიტას მესამე დაყოფის შემდეგ

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის იმპერიამ ისარგებლა რეჩ პოსპოლიტას მესამე დაყოფით და რუსეთის იმპერიისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი წყობა გაავრცელა. უკრაინის ავტონომიამ არსებობა შეწყვიტა.

პოლონეთის დაშლის შემდგომ (1772, 1793, 1795 წ.წ.) რუსეთის შემადგენლობაში მოქცეულ ეკრაინულ-პოლონურ მიწა-წყალზე დადგა საეკლესიო ორგანიზაციის საკითხი და ამან უაღრესად დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

უკრაინა-პოლონეთის მძიმე ისტორიულმა წარსულმა განაპირობა მის ტერიტორიაზე ქრისტიანების სხვადასხვა მიმართულებების მოსახლეობის თანაცხოვრება; და რადგან აგრესორი სახელმწიფოები მათთვის მისაღები ქრისტიანობის დაფუძნებას ცდილობდნენ, აღნიშნულმა ვითარებამ უნიატურული ეკლესიის დაფუძნება გამოიწვია, რომელიც გახდა სერიოზული მიზეზი კათოლიკობასა და მართლმადიდებლობას შორის, რომლის მიღმა უკრაინელი და პოლონელი ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლა, ხოლო რუსეთის მხრიდან კოლონიზატორული მიზნები იდგა. ასეთ შემთხვევაში უნიაში პოზიციების ფლობას უნდა განეპირობებინა ის, თუ რიმელი აღმსარებლობა იქნებოდა პრიორიტეტული. აქედან გამომდინარე არც ერთი მხარე არ აკლებდა ძალისხმევას პოზიციების გამაგრებისათვის.

როგორც წინა პარაგრაფებში ავლნიშნეთ პოლონეთმა თავის დროზე მოახერხა უნიატური ეკლესიისთვის დაექვემდებარებინა პერემიშლის (1692წ.), ლვოვის (1700 წ.), ლუცკის (1701 წ.) ეპარქიები. რეჩ პოსპოლიტას ტერიტორიაზე დარჩა მსტისლავში (მოგილოვში) ერთადერთი მართლმადიდებლური ეპარქია. ეს ეპარქია გახდა რუსეთის სარწმუნოებრივი პოლიტიკის გამტარებელი პოლონეთის მიწების რუსულ სივრცეში შემოსამტკიცებლად. ამ პერიოდში მასიურად დაიწყო ძალისმიერი მეთოდებით კათოლიკე პოლონელების რუსული მართლმადიდებლობის იურისდიქციაზე დაქვემდებარება.

დასავლეთ ევროპის ისტორიულ წყაროებში რუსეთის ეკლესია უნიატური ეკლესიის „მესაფლავის სახელით იხსენიება“.

პოლონეთის მოსახლეობაში მართლმადიდებლობის აქტიური აგიტაციის მიზნით იმპერატრიცა ეკატერინე II-ემ გახსნა უნიატური საეპისკოპოსო მოგილეეში, სადაც დაიწყო მუშაობა მართლმადიდებლობის პრეროგატივობისთვის. ლუცკის ეპარქიის ამოქმედებასთან დაკავშირებით 1785 წლის 27 მარტს ეკატერინე II უწმინდეს სინოდს შემდეგ განმარტებას აძლევდა – „მართლმადიდებლების სასარგებლოდ და მისი მფარველობისთვის პოლონეთში საჭიროა ეპარქიების გახსნა“. ასეთი პოლიტიკის დამსახურებით პოლონეთში 195 სამრევლო იძულებით იქნა გადაყვანილი მართლმადიდებლობაზე. პოლონეთში მოვლინებული სახელმწიფო საგანგებო კომისიები პოლონეთის საეკლესიო ორგანიზაციის მდგომარეობას უარყოფითად აფასებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ის არც გარეგნული, და არც შიდა პოლიტიკური ინტერესებით არ შეესატყვისებოდნენ პოლონეთის ღირსებას.

აღნიშნული განსაკუთრებით შეურაცმყოფელი იყო პოლონელი ერისთვის მას შემდეგ, როცა 1772 წლის 14 დეკემბრის ბრძანებით ეკატერინე II-ემ აუკრძალა პოლონეთის ეკლესიას აღესრულებინა რომის პაპის ნებისმიერი ბრძანება რუსეთის იმპერატორის ნებართვის გარეშე. ასეთი ვითარება გაგრძელდა იმპერატორების – პავლე I-სა და ალექსანდრე II-ის დროსაც. ამ უკანასკნელის გამოცემული კანონის თანახმად რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის ყველა პირს მკაცრად აუკრძალა ურთიერთობები ვატიკანთან.

როგორც უკვე აღინიშნა XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სამყაროში სრული გაბატონებისათვის ბრძოლამ. რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსი საგანგებო დახვეწას ითხოვდა, ისეთი მეთოდ-ხერხების შემუშავებას, რომელიც დააკმაყოფილებდა მის პოლიტიკურ ინტერესებს ევროპაში, კავკასიისა და შორეულ აღმოსავლეთში.

საგარეო პოლიტიკის გატარებაში, რუსეთის ხელისუფალნი აშკარად იყენებდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიას და ის გადააქციეს რუსული ველიკოდერჟავული პოლიტიკის გატარების იარაღად. ექსპანსიურ იდეებს რუსეთი ფარავდა ე.წ. კეთილშობილური მისიით, ანუ ქრისტიანთა დამცველის ფუნქციით.

რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მთლიანად გაჯერებული იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობით და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან რუსეთის თვითმპყრობელური სახელმწიფოს

იდეოლოგიას რუსული მართლმადიდებლური რწმენა წარმოადგენდა. რუსეთის იმპერიისთვის მისაღები იყო მხოლოდ მართლმადიდებლობა და, ამიტომ ის ცდილობდა ყველა დაპყრობილ ერისათვის მხოლოდ მართლმადიდებლობა ყოფილიყო მისაღები, რადგან ამ იდეოლოგიით ის ახერხებდა დაპყრობილი ხალხების მის მორჩილებაში ყოფნას. ასეთივე ინტერესები ჰქონდა რუსეთს უკრაინელი ხალხის მიმართაც.

რუსული მართლმადიდებლობის დამკვიდრების მიზნით რუსეთის ხელისუფლება სხვადასხვა ქვეყნებში აწესებდა სასულიერო მისიებს, რომელსაც კურირებას უწევდა საეკლესიო ხელისუფლება. მისიების მოვალეობა იყო რუსული მართლმადიდებლობისა და თვითმპყრობელობის გამარჯვება დაპყრობილ თუ დასაპყრობ ქვეყნებში. ასეთი პოლიტიკით მოქმედებდა საიმპერატორო კარი ახლო და შორეულ ხალხებში და მათ შორის უკრაინა-პოლონეთშიც. ყველა კუთხეში რუსეთი აწესებდა თავის სასულიერო მისიებს, სადაც აქტიურად მოღვაწეობდნენ რუსეთის იმპერიის სასულიერო აგენტები, მაღალი იერარქიის სასულიერო პირები, მღვდლები, მისიონერები და სხვ.

პოლონეთში, რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს იეზუიტთა ირდენის ბერებმა. იეზუიტთა ბერებმა კარგად იცოდნენ თავიანთი მისიის სიმძიმე, რომ რუსული მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო ადვილი და, არც ერთბაშად შეიძლებოდა ყოფილ კათოლიკეთა და იმჟამად გამართლმადიდებლური მოსახლეობის უკან, ტრადიციულ რწმენაზე (კათოლიკობა) დაბრუნება რთული და მძიმე პროცესი იქნებოდა, ამიტომ მათი მიზანი გახდა მიეღწიათ უნიისთვის. ისინი არ შეურაცხყოფდნენ მართლმადიდებლობას, მაგრამ ხალხში ქადაგებდნენ მის უსუსურ მდგომარეობას. იეზუიტები მოსახლეობას უხსნიდნენ, რომ უნიის არსი მდგომარეობდა შემდგომში: აღმოეფხვრა ყველა უწესრიგობა; ამისთვის საჭირო იყო მართლმადიდებლებს მიეღოთ მხოლოდ რომის ეკლესიის მრწამსი და ეღიარებინათ რომის პაპის უზენაესობა, ხოლო წესები კი შეენარჩუნებინათ მართლმადიდებლური.

პოლონეთის სამეფოს ხელთგდებისთვის დაპირისპირებული ორი სამყარო: კათოლიკური და მართლმადიდებლური აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ მოსახლეობაში, რამაც მათ შორის დაპირისპირება გამოიწვია; ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ბრესტის საეკლესიო კრებამ გადაჭრა უნიატური ეკლესიის საკითხი (1596 წ.),

მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ რუსეთი თავად პოლიტიკურ ინტერესებს დასთმობდა და არ გააგრძელებდა ბრძოლას პოლონეთში მართლმადიდებლური რწმენის სახელმწიფო რელიგიად აღიარებისა და უნიატური ეკლესიის ლიკვიდაციისთვის.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან რუსეთის იმპერიას და კათოლიკურ ევროპას შორის გაიშალა ბრძოლა უნიატების აბსოლუტური გადმობირებისთვის, მაგრამ ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც პოლონეთის სამეფოს სამად გაყოფის შემდეგ პოლონეთის სოლიდური ნაწილი, ლიტვისა, ბელორუსიის, უკრაინის მხარეები იმპერიის საზღვრებში მოექცა.

კათოლიკური ქვეყნებისა და რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შემდეგ პოლონეთის მოსახლეობა სარწმუნოებრივი თვალსაზრისით შუაზე გაიყო. უნიატებზე მიმდინარეობდა აქტიური ზეწოლა როგორც რუსეთის, ისე ევროპის კათოლიკური ქვეყნების მხრიდან. 1794-1795 წლებში რუსული საეკლესიო პოლიტიკის შედეგად უნიატების ერთი ნაწილი სამღვდელეობასთან ერთად რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში იქნა იძულებით შეყვანილი, მაგრამ ლიტვის სამთავროს მილიონ ნახევარზე მეტი მოსახლეობა დარჩა უნიატურ ეკლესიაში. სწორედ ამ მოსახლეობაზე დაიწყო რუსეთის ეკლესიამ აქტიური მუშაობა. მათი მართლმადიდებლობაზე გადაყვანა რუსეთის იმპერიის გადაუდებელ საკითხად იქცა. იმპერიისთვის მიუღებელი იყო განხვავებული აღმსარებლობის მრევლი, რადგან ისინი თვითმპყრობელური რუსეთის ერთგულები ვერ იქნებოდნენ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთმა პოლონეთში თავისი პოზიციების გამაგრებისათვის საეკლესიო პოლიტიკა დაიხმარა და ამ მხარეში აქტიური რუსული მისიონერული მუშაობა გაშალა, რომელსაც საგანგებოდ დაფუძნებული სასულიერო მისიონი უწევდა ხელმძღვანელობას, რომლებიც ძირითადად უკრაინული სამღვდელეობით იყო დაკომპლექტებული. XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსული მისიონის ხელმძღვანელი და რუსული პოლიტიკის გამტარებელი პოლონეთში იყო მიტროპოლიტი იოსები (სემაშკო).

მიტროპოლიტი იოსებ სემაშკო დაიბადა 1798 წლის 25 დეკემბერს კიევის გუბერნიის, ლიაპოვეცკის მაზრის სოფ.პავლოვკაში უნიატი მღვდლის ოჯახში. 1816 წელს დაამთავრა ნემიროვის გიმნაზია წარჩინებით და სწავლა გააგრძელა ველიენის უნივერსიტეტთან არსებულ უნიატთა მთავარ გიმნაზიაში. 1820 წლის 25 დეკემბერს ხელი დაასხეს დიაკვნობაზე, 1921 წელს მღვდლობაზე და დანიშნეს ლუცკის დეკანოზად. ამავედროულად, ის იყო ლუცკის ბერძნულ-



უნიატური კონსისტორიის წევრი. მამა იოსები რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკის ზუსტი გამტარებელი იყო და რუსული ეკლესიის გამარჯვების საქმეს ემსახურებოდა პოლონეთში – „მე გულითა და სულით ვიყავი რუსთა ერთგული და ის ყოველთვის იყო ჩემი იდეალი“ – წერდა თავის ჩანაწერებში ი.სემანკო.

პარალელური პროცესები მიმდინარეობდა უკრაინის უნიატურ ეკლესიაში. მასობრივი ხასიათი მიიღო კონფესიონალურმა ურთიერთდაპირისპირების ამაზრზენმა ფაქტებმა. მართლმადიდებლობისთვის მონამეობრივი სიკვდილის უამრავი შემთხვევა დაფიქსირდა.

რუსეთის მხრიდან უკრაინასა და პოლონეთში საეკლესიო პოლიტიკის უხეშად წარმართვამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ უკრაინელმა უნიატებმა და კათოლიკურმა სამღვდელოებამ პოლონეთის აჯანყებას დაუჭირა მხარი. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ხელახალი აგრესიით უპასუხა. უნიატებსაც და კათოლიკებსაც უკრაინის უმეტეს ნაწილებში ჩამოერთვათ მონასტრები და გადაეცათ მართლმადიდებლებს.

იმპერიის ხელისუფლება უკრაინაში, აღნიშნულ საეკლესიო პოლიტიკაც ორი მიმართულებით აწარმოებდა ძალდატანებით მართლმადიდებლობისკენ უბიძგებდა, ხოლო მართლმადიდებლებს პოლონეთის უნიატებისა და კათოლიკების წინააღმდეგ სამისიონერო საქმიანობისთვის იყენებდა.

რუსეთის იმპერიის სასულიერო მისიონის საქმიანობა პოლონეთსა და უკრაინაში სამ პერიოდად იყოფა:

1) სასულიერო მისიის მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 28-30 წელი;

2) სასულიერო მისიის აქტიური მოღვაწეობის პერიოდი, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 10 წელი და დასრულდა 30-იანი წლების მიწურულს. ეს პერიოდი ყველაზე მძიმე აღმოჩნდა რუსი მისიონერებისთვის, რადგან ამ დროს რომაული მიმართულების უნიატები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსულ მართლმადიდებლურ აგრესულ პოლიტიკას. ამ შემთხვევაში უკრაინელი და პოლონელი უნიატების წინააღმდეგობა გაერთიანდა პოლონელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და მიიღო საერთო სახალხო ბრძოლის ხასიითი.

3) მესამე პერიოდმა გასტანა 1839 წლამდე, მანამდე, სანამ

რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ძალის გამოყენებით არ შეძლო რომაელი უნიატების მორჩილებაში მოყვანა. სწორედ მესამე პერიოდში გამოვლინდა იოსებ სამაშკოს აგენტურული საქმიანობა პოლონელ ქრისტიანებს შორის.

რუსული სასულიერო მისიის და მათი ხელმძღვანელი იოსებ სემაშკო ყველა მეთოდით ცდილობდნენ უნიატებთან საერთო ენის გამონახვას, მათში ავტორიტეტის მოპოვებას და რუსული ეკლესიისკენ გადმოხიზებას. საამისოდ, რუსი მისიონერები ეწოდნენ აქტიურ ქადაგება-პროპაგანდას პოლონეთისა და უკრაინის მოსახლეობაში. მისიონის ხელმძღვანელი მიტროპოლიტი იოსები თავის ჩანაწერებებში აღნიშნავდა: „მე ახლოს გავეცანი უნიატების ცხოვრებას, დავუახლოვედი მათ, დავინახე მათი უკიდურესად მძიმე გარემოება, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ მართლმადიდებლურ და რომაულ კათოლიკურ ეკლესიებს შორის. უნიატებზე ზეწოლას აწარმოებდნენ მართლმადიდებლები, ავიწროვებდნენ სხვადასხვა მხრივ და უსამართლოდ ექცეოდნენ. რომაელები კი მათ უფრო ღმობიერად ექცეოდნენ და „მეგობრული“ ურთიერთობის დამყარებას ცდილობდნენ. ეს ფაქტი ხშირად მაფიქრებს და სიმართლე რომ ითქვას მართლმადიდებლების ნაცვლად მათ ვუხდი ბოდიშს. მტრებს უმიზეზად არ იძენენ და უნიატებიც მართლმადიდებლებს მტრობით პასუხობენ“.

1822 წელს მისში იოსებ სამაშკო დანიშნეს პეტერბურგში სასულიერო კოლეგიის წევრად. ამ დროიდან იწყება მისიონის მოღვაწეობის ყველაზე რთული პერიოდი. 1827 წელს მისიონის ხელმძღვანელობამ წარუდგინა ანგარიში – „რუსეთის უნიატური შერწყმის საშუალებები“. – საგარეო სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის უფროსს გრიგოლ კარტაშევსკის. ამ ანგარიშში აღწერილი იყო იმ დროის უნიატური ეკლესიის მდგომარეობა; მისიონერები სთავაზობდნენ რუსეთის ხელისუფლებას იმ მეთოდებსა და მოსაზრებას, რითაც უნდა ეხელმძღვანელა ხელისუფლებას, რათა უნიატური ეკლესია დაეახლოვებინა მართლმადიდებლური ეკლესიისთვის – „რომ დაეთესოთ მათ გულებში ჩვენდამი სიკეთე, საჭიროა უნიატები ჩამოვაშოროთ კათოლიკებს. უნიატ სამღვდელოებას სწრაფად უნდა გაუხსნათ სასულიერო სასწავლებელი“ – აღნიშნავდა პოლონეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელი მიტროპოლიტი იოსებ სამაშკო.

ხელისუფლებისთვის შეთავაზებული მისიონის მოშობის მეთოდებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო შემდეგი:

1) უნიატ სამღვდელოებას თავიანთი შვილები სასწავლრბლად უნდა მიეცათ მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების სკოლებში;

2) უნდა შემცირებულიყო რომაული ეკლესიების რაოდენობა და შეკვეცილიყო ამ ეკლესიების გავლენა ხალხზე; ასევე ჩამოეშორებინათ ისინი მომავალი თაობის აღზრდისაგან;

3) ადგილობრივ ეკლესია-მონასტრები უნდა გადასულიყო რუსი სამღვდელოების დაქვემდებარებაში და ეს ეკლესია-მონასტრები წმინდა უნიატური ყოფილიყო, მათში არ უნდა ყოფილიყო კათოლიკე სამღვდელოება;

4) უნიატ სასულიერო იერარქიას მთლიანად უნდა გაეწყვიტა კათოლიკე სამღვდელოებასთან კავშირი;

5) ერათმანეთისაგან აბსოლუტურად უნდა გამიჯნულიყო უნიატური ეკლესიისა და კათოლიკეთა მმართველობის აპარატები.

პირველ რიგში პოლონეთის მისიის მიზანი იყო ზემოჩამოთვლილი მეთოდებით პირველ ეტაპზე უკრაინელი და რუსი მრევლის გაკათოლიკებისგან გადარჩენა და დროებით უნიატურ ეკლესიაში ყოფნა მანამ, სანამ ისინი ისევ დაუბრუნდებოდნენ რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას.

სასულიერო მისიის მოხსენებითი წერილის შედეგად მოხდა ის, რომ 1828 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე გაჩნდა იდეა, რომ შექმნილიყო უნიატების სპეციალური სასულიერო კოლეგია; ხოლო 4 ეპარქიის ნაცვლად გახსნილიყო ორი ეპარქია: ბელორუსიისა და ლიტვის; ყველა რომაული ეკლესია უნდა დამორჩილებოდა ამ ეპარქიათა მღვდელმთავრებს და მათ კონსისტორიებს. ასევე, ყოველ ეპარქიაში გაიხსნა სასულიერო სემინარია და დაბალი კლასის სასულიერო სასწავლებელი.

ზემოხსენებული საიმპერატორო ბრძანების შემდეგ, პოლონეთის სასულიერო მისიონის მუშაობა გააქტიურდა და გაფართოვდა.

1829 წელს მისიონის ხელმძღვანელად მიტროპოლიტი იოსებ სემაშკო დაინიშნა, ასევე, ბელორუსიის ეპარქიის ვიკარეპისკოპოსად.

სასულიერო მისიონს საქმე მოემატა, ის პასუხისმგებელი იყო თავის მოღვაწეობაზე რუსეთის ხელისუფლების წინაშე. წარმატებული მუშაობისთვის საჭირო იყო მისიონის ხელმძღვანელობას სისტემატური მუშაობის ანგარიში შეედგინა; შეემუშავებინა პროექტები და კოლეგიაში განეხილათ ისინი; კოლეგიაშივე წყდებოდა მოქმედების ახალი მეთოდები. ასეთი მიმართულებით მუშაობის შედეგად 1828-1829 წლებში კოლეგიამ უნიატური ეკლესიის მიმართულებით არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა. მათ

შორის მთელი სიმკაცრით უნდა დაცულიყო შემდეგი წესები.

1) კატეგორიულად იკრძალებოდა რომაულ-კათოლიკური სარწმუნოების მქონე პირების მიღება უნიატურ ბერ-მონაზონთა წრეში. ისინი ვინც იყვნენ კათოლიკენი უფლება ეძლეოდათ დაბრუნებოდნენ რომის ეკლესიას. აღსანიშნავია, რომ ამ უფლებით ისარგებლეს 50-ზე მეტმა ბერმა და გადავიდნენ რომის ეკლესიის დაქვემდებარებაში.

2) უნიატ ბერებს არ ჰქონდათ უფლება ღვთისმსახურების ჩატარებისა უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების განკარგულების გარეშე.

3) უნიატელ მოსწავლეებს ეკრძალებოდათ სწავლის გაგრძელება ვილენის უნივერსიტეტთან არსებულ მთავარ სასულიერო სემინარიაში.

4) იკრძალებოდა უნიატური საღვთისმეტყველო წიგნების ბეჭდვა სასულიერო კოლეგიის ნებართვის გარეშე.

5) უნიატურ სამღვდელოებას ეკრძალებოდა განწესება სამუშაოდ რომაულ ტაძრებში და სხვ.

პოლონეთის სასულიერო მისიის ენერგიული მუშაობის მიუხედავად, მის წრეში მყოფი უნიატი სამღვდელოება მაინც მერყევე პოზიციაზე იდგა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისადმი. უნიატი სამღვდელო იერარქიის ის პირები, რომლებიც თითქოს მისიას მხარს უჭერდნენ და მართლმადიდებლობასთან გაერთიანებისთვის მზად იყვნენ სერიოზული ნაკლოვანებით ხასიათდებოდნენ:

1939 წელს იმპერიის ხელისუფლებამ უკრაინაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქცია ჩაატარა. გამოსცა აქტი უნიატების მართლმადიდებლურ ეკლესიასთან შეერთების შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა ორი მილ. უნიატის ძალდატანებით მართლმადიდებლურ მრწამსზე გადასვლა. ბუნებრივია, აღნიშნულ ქმედებას მრავალი მორწმუნე შეეწინა, რაც უარყოფითად განაწყობდა მოსახლეობას ხელისუფლებისადმი.

1833 წლის 25 ოქტომბერს პოლონეთის მისიონმა კიდევ მიმართა რუსეთის საიმპერატორო კარს თხოვნით, რათა ბერძნულ-უნიატური კოლეგია უწმინდესი სინოდის იურისდიქციაში გადასულიყო.

ზემოაღნიშულმა ქმედებამ შედეგი გამოიღო და უნიატების სასულიერო კოლეგიამ შემდეგი ღონისძიებანი დასახა: უნიატურ ეკლესიებში უნიატური საღვთისმსახურო წიგნების ნაცვლად გამოყენებულიყო მოსკოვის საპატრიარქოში დაბეჭდილი წიგნები; ასევე უზრუნველყოფილიყო უნიატური ეკლესიები მოსკოვის სა-

პატრიარქოდან საეკლესიო ინვენტარით და საამისოდ, გამოყოფილიყო 5000 მანეთი, ყოველი ეპარქიისთვის ღარიბი ეკლესიების დასახმარებლად. სასულიერო კოლეგიის ეს გადაწყვეტილება მაშინვე დაამტკიცა საიმპერატორო კარმა და უნმინდესმა სინოდმა. ეს ღონისძიებები შეესატყვისებოდა უნიატების მოთხოვნებს, სადაც უბრალო ხალხს არ ესმოდა სხვაობა დოგმატიკასა და იერარქიას შორის და მხოლოდ აფასებდა ეკლესიათა გარეგან სახეს.

რუსეთის ხელისუფლება თანდათან სულ ახალ ღონისძიებებს სახავდა უნიატების მართლმადიდებლობასთან დაახლოებისათვის. უნიატების საქმესთან დაკავშირებით მთავრობამ შექმნა საიდუმლო კომიტეტი, რომელის მიზანი იყო გაენადგურებინა ყველაფერი, რაც აბრკოლებდა რუსული პოლიტიკის განხორციელებას აღმოსავლეთ ევროპაში. 1835 წლიდან უნიატების სასულიერო სასწავლებელი დაქვემდებარა რუსეთის სასულიერო სასწავლებლების კომისიას. დროთა ვითარებაში სულ უფრო ხშირად იხსნებოდა მართლმადიდებლური ორიენტაციის ეპარქიები.

მიუხედავად სასულიერო მისიის დიდი ძალისხმევისა, უნიატების საქმე წინ ვერ მიიწევდა, შესაბამისად რუსეთის საეკლესიო პოლიტიკაც აღმოსავლეთ ევროპაში კრახს განიცდიდა. კონფესიონალური საკითხი გართულდა უკრაინასა და ლიტვაში.

1836 წელს უნიატების საქმე სამართავად გადაეცა რუსეთის უნმინდესი სინოდის ხელმძღვანელს, ობერ-პროკურორს გრაფ პროტასოვს. ამ დროიდან რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა პოლონეთ-ლიტვაში. ფაქტობრივად, ამ მოვლენით დასრულდა პოლონეთის სასულიერო მისიის მოღვაწეობის მეორე პერიოდი. ამის შემდეგ დაიწყო მისიონის საქმიანობის მესამე პერიოდი, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ ძალმომრეობით შეძლო 1839 წ. უნიატების შეყვანა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში.

1837 წლიდან პოლონეთის მისიონის მისიონერებმა სამღვდელთაში გაშალეს პროპაგანდითი და დაზვერვითი სამუშაოები. ისინი ყურადღებით სწავლობდნენ უნიატების შეხედულებას მართლმადიდებლობასთან შეერთებაზე და ხელისუფლებას აცნობებდნენ, რომ შესანიშნავი დრო იყო რუსული პოლიტიკის გამარჯვებისთვის. 1837 წლის 3 ოქტომბერს ი. სემაშკოს წერილი გრაფ პროტასოვისადმი იუწყებოდა, რომ უკრაინის ლიტვისა და ბელორუსიის დიდებულების თანხმობა იყო უნიატების რუსულ ეკლესიასთან შეერთებაზე. აღნიშნული გახდა მიზეზი იმისა, რომ რუსეთის ხე-

ლისუფლებას უხეში ფორმებით გაეტარებინა თავისი ინტერესები უკრაინა-პოლონეთ-ლიტვაში. მაგალითად, აეკრძალათ მღვდლობის კანდიდატებს კათოლიკე-უნიატებზე ქორწინება, ინუატი ბავშვების ნათვლა კათოლიკეთა ეკლესიებში და მათი ფიქსაცია კათოლიკეთა მეტრიკულ წიგნებში.

1839 წლის 12 თებერვალს პოლოცკში ხელი მოენერა აქტს ბერძნულ-აღმოსავლურ ეკლესიასთან უნიატების შეერთებაზე, უნიატმა სამღვდელოებამ აქტით დაადგინა:

1. აღიარებენ ერთობას რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან და ემორჩილებიან რუსეთის უნმინდეს სინოდს.

2. სთხოვენ რუსეთის იმპერატორს მათ გაუწიოს მფარველობა. აქტს ხელი მოაწერა 1305 პირმა. აქტს რეზოლუცია დაადო უნმინდესმა სინოდმა და იმპერატორმა 1839 წლის 25 მარტს.

ამავე წლის 30 მარტს წმ.სინოდის სხდომაზე, რუსმა მღვდელმთავრებმა საზეიმოდ აღნიშნეს ეს მნიშვნელოვანი აქტი. იოსებ სემაშკოს რუსული პოლიტიკის დამკვიდრება მიულოცეს ნოვგოროდისა და სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტმა სერაფიმემ, კიევისა და გალიცის მიტროპოლიტმა ფილორეტმა, მოსკოვისა და კოლომენსკის მიტროპოლიტმა და სხვებმა.

მართალია, რუსეთის სასულიერო მისიამ მოახერხა მოტყუებით უნიატების დიდი ნაწილის რუსულ ეკლესიასთან შეერთება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი საქმის მოლომდე სისრულეში მოყვანისათვის. საამისოდ კი საჭირო იყო ერთის მხრივ, აღმოფხვრილიყო ჯერ კიდევ შემორჩენილი უნიატებში ის ელემენტები, რაც მართლმადიდებლობას ეწინააღმდეგებოდა; მეორეს მხრივ, გაგრძელებულიყო აქტიური მუშაობა ლათინი უნიატების რუსულ ეკლესიაში შერწყმისათვის.

ამრიგად, რუსეთის სამინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო რუსულ ეკლესიასთან სულ უფრო ცდილობდა ამ უკანასკნელის გამოყენებას რიგი პრობლემების გადაჭრაში. რუსეთის აღმოსავლეთ-ევროპული პოლიტიკა ითვალისწინებდა მის ქვეყნებში მართლმადიდებლობის დამკვიდრებას; ამიტომ, რუსეთის ყურადღება გადატანილი იყო ისეთ ქვეყნებზე, სადაც შერეული მართლმადიდებელი-კათოლიკური (უნიატური) ეკლესიები არსებობდა. აღმოსავლეთ ევროპის უნიატების მართლმადიდებლურ რუსულ ეკლესიაში შერწყმა რუსეთის იმპერიის XIX ს-ის პირველი ნახევრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. ამ საქმის განმხორციელებელი კი პოლონეთში მოქმედი რუსული სასულიერო მისიები იყო.

ასეთი პოლიტიკის შედეგად პოლონეთ-ლიტვა-უკრაინა-ბელორუსიაში რუსული ეკლესია მძლავრად იკიდებდა ფეხს. აღნიშნულის დასტურად 1832 წლის ნიკოლაევის კანონთა კრებულში რუსეთის ხელისუფლების პოზიციის ფორმულირება – „მართლმადიდებელი ეკლესია არის გაბატონებული“, ხოლო რომაულ—კათოლიკური და ევანგელისტურ-ლუთერანული (რეფორმატორული) ეკლესია არის მფარველობაში. 1835 წლიდან სასულიერო დეპარტამენტი უცხოური აღმსარებლობისა შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც დაექვემდებარა რომაულ-კათოლიკური გენერალური კონსისტორია. ამრიგად, 1832 წლის კანონით, ზემოხსენებულ ქვეყნებში შეიზღუდა კათოლიკური სარწმუნოება. ხელისუფლება ამ კანონს უკავშირებდა კათოლიკური სამღვდელოების ბრალდებას 1831 წლის ამბოხებაში მონაწილეობა-თანადგომისათვის.

მიუხედავად რუსეთის ხისტი სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარებისა და შემოერთებული ტერიტორიების მოსახლეობის კათოლიკური აღმსარებლობიდან მართლმადიდებლურზე გადაყვანისა, პოლონეთში ამ ხალხებში ფარული გზით მიმდინარეობდა ეროვნული — კათოლიკური მრწამსის დაცვა. საარქივო მონაცემები იუწყებებიან, რომ რუსეთის დიდგვაროვანთა ფენებშიც კათოლიციზმი სიმპატიით სარგებლობდა და იყო შემთხვევებიც მათი წარმომადგენლების კათოლიკურ რელიგიაზე გადასვლისა.

XX საუკუნის პირველ წლებში იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ რიგი ბრძანება და მანიფესტი გამოსცა, რომლებმაც შეცვალეს უცხო (არატრადიციული) რელიგიის მიმდევართა მდგომარეობა იმპერიაში და შეიქმნა პირობა, რომ ყველა თავის ნაციონალურ სარწმუნოებას დაბრუნებოდა. 1905 წლის 7 აპრილის მანიფესტმა „რჯულშემწყნარებლობის დაცვაზე“ და შემდგომ გააუქმა მართმადიდებლობის სავალდებულო დაცვის მანამდე არსებული კანონები. 17 აპრილის კანონის საფუძველზე უკრაინა-პოლონეთ-ბელორუსიის მოსახლეობა სურვილის მიხედვით უბრუნდებოდა ტრადიციულ რელიგიას.

## II თავი. უკრაინის ეკლესია XIX ს-ში. კონფენსიონათაშორისი დაპირისპირების საკითხი ცარიზმის სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში

XIX ს-ის დასაწყისში, პოლიტიკური თვალსაზრისით, მთელ მსოფლიოში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ბუნებრივია, ეს საკითხი ცარიზმის რუსეთსაც შეეხო. იმპერიის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში (1905-1907წ.წ.) ქვეყანაში მიმდინარე შიდა კრიზისის გამო, რაც გამონეწეული იყო დემოკრატიული ხასიათისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით, ხელისუფლება ველარ ლობიერებდა უცხოეთის სავანეებზე და თანდათან მათზე უფლებებიც დაკარგა. ეს მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, ათონის „ივერონთან“ მიმართებაში გამოვლინდა, როდესაც, უკანასკნელი ქართველი ათონელი ბერის გარდაცვალებისთანავე, „ივერონს“ არა რუსული, არამედ ბერძნული ეკლესია დაეპატრონა.

ამრიგად, XIX საუკუნის მანძილზე რუსეთმა, როგორც უკვე მძლავრმა სახელმწიფომ საერთაშორისო იმპერიულ სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა და მსოფლიოს ქვეყნებში ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა. რუსეთს სრული შესაძლებლობა მიეცა დაეცვა თავისი ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე. ის წარმატებით იყენებდა თავის ძლევამოსილებას და ავტორიტეტს მსოფლიოს სუვერენებს შორის, რაც ნათლად გამოიკვეთა ევროპაში მიმდინარე „არეულობისას“ (ნაპოლეონის მმართველობის ხანა) რუსეთის აქტიურ მონაწილეობაში, „ახალი წესრიგის“ დამყარებისთვის.

რუსეთის მიერ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა განპირობებული იყო მისი სწრაფვით იმპერიის საზღვრების გაფართოებისკენ. ამ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს უკვე მორჩილებაში მყოფი უკრაინის პოლონეთის, ბალტიისპირეთის და ფინეთის შემომტკიცებისთვის მეცადინეობა. ზემოაღნიშნულის განხორციელება პირდაპირ კავშირში იყო ევროპაში ე.წ. „სიმშვიდესთან“, რის გამოც რუსეთი აქტიურობდა ევროპული რევოლუციების ჩახშობაში. ევროპაში სტაბილურობა რუსეთის დასავლეთ საზღვრების დაცვის მტკიცე გარანტი იყო. პარალელურად რუსეთი ეტაპობრივად მიიწევდა წინ, მსოფლიოში გაბატონებისაკენ. მისი ამბიციები ვერ კმაყოფილდებოდა მხოლოდ უშუალო მეზობელი სივრცის (კავკასია) შემომტკიცებით და მიისწრაფოდა ევროპის შუაგულისკენ.

რუსეთმა პირველ ეტაპზე აღმოსავლეთ ევროპაზე დაიწყო პრეტენზიების განცხადება, რამაც ის ბუნებრივად დაუპირისპირა კათოლიკურ ევროპას და ამით მისი საგარეო პოლიტიკა ძალზე დაამძიმა. პოლონეთის, ლიტვისა და უკრაინის მიწებზე გაბატონების სურვილმა, ამ ქვეყნის ხალხები გააერთიანა რუსეთის აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიშანდობლივია, რომ მათი გაერთიანება რელიგიური ნიშნით განხორციელდა<sup>1</sup>, რასაც მოჰყვა რეჩ პოსპოლიტაის სახელმწიფოს შექმნა. ეს სახელმწიფო ორივე ხალხს ავტონომიურ უფლებას უტოვებდა, რელიგიური და პირისპირების თავიდან აცილების მიზნით, რეჩ-პოსპოლიტას ხელისუფლებამ თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს ერთიანი მრწამსი შეუმუშავა. რუსული ბატონობის წინააღმდეგ გაერთიანებულმა ხალხმა მიიღო კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების უნია<sup>1</sup>.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის იმპერიამ ისარგებლა რეჩ-პოსპოლიტას მესამე დაყოფით და 1795 წელს ლიტვის ტერიტორიის სოლიდური ნაწილი მიითვისა. ვენის კონგრესის (1815 წ. 28 მაისი) დასკვნით აქტივით სამ სახელმწიფოს (რუსეთი, ავსტრია, პრუსია) შორის პოლონეთის გადანაწილებამ, რუსეთს პოლონეთის უდიდესი ნაწილი (ვარშავის საჰერცოგო) ქ. ვარშავით მოუპოვა. მას ეწოდა პოლონეთის სამეფო, რომელშიც გაერთიანებული იყო ლიტვის ის ტერიტორია, რომელიც 1795 წელს რუსეთმა შეიერთა.

1 ლუბლიანის უნია – 1569წ. საეკლესიო უნიების ისტორია ძირითადად XIII საუკუნიდან იწყება. უნიებისათვის იბრძოდნენ, რომელსაც რომის პაპები ცდილობდნენ მართლმადიდებლური ეკლესიების მორჩილებაში მიყვანას, — ისე ბიზანტიელი იმპერატორები. ეს უკანასკნელნი იმედოვნებდნენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლებში რომის პაპის დახმარებას. მართლმადიდებელი სამღვდელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ბიზანტიელმა იმპერატორებმა კათოლიკეებთან რამდენიმე უნია დადეს: 1) 1274 წ. ლიონის უნია, რომელიც არ ცნო სამღვდელთა და მოსახლეობამ და 1285 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ დაგმო; 2) 1439 წ. ფერარა-ფლორენციის უნია, დაიგმო 1443 წელს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, პაპობა ცდილობდა საეკლესიო უნიებში რუსეთის სახელმწიფოს ჩართვას. აღნიშნული გამოვლინდა რეჩ-პოსპოლიტას სახელმწიფოსთან კავშირით- უკრაინულ და ბელორუს ერებთან 1596 წელს ბრესტის უნიის დადებით (იხ. БСЭ, ტ. 27, გვ. 18-19).

ბრესტის უნია-1596 წ. უნია გავრცელდა უკრაინისა და ბელორუსიის ეკლესიებზე, რომლებიც, ერთის მხრივ, ცნობდნენ რომის პაპის უზენაესობას, მეორეს მხრის, ინარჩუნებდნენ მართლმადიდებლური მრწამსის წესებს და ღვთისმსახურების სლავიანურ ენაზე ჩატარების უფლებას. უნიატები მისდევდნენ ბერძნულ-კათოლიკურ სარწმუნოებას. ეს უკანასკნელი საეკლესიო ისტორიოგრაფიაში ცნობილია უნიატურული სარწმუნოების სახელით. უნია დაირღვა 1946 წ. ქ. ლვოვში (იხ. БСЭ, ტ. 4, გვ. 25).

ამგვარად, 1815 წლისათვის რუსეთის იმპერია ზემოაღნიშნული ტერიტორიების სრულუფლებიანი მმართველი გახდა და მან ათვისებულ ტერიტორიებზე ბატონობის განმტკიცების მიმართულებით აქტიური მუშაობა დაიწყო. თუ კავკასიის კულტურული ათვისებისათვის რუსეთის ხელისუფლებამ მისიონერული საზოგადოებები დაარსა და დაიწყო ბრძოლა წარმართობის, მაჰმადიანობისა და ქართული მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, აღმოსავლეთ ევროპაში მისთვის სერიოზულ პრობლემად იქცა უნიატების საკითხი. ლიტვის სამთავროს, უკრაინისა და ბელორუსიის უნიატებში აქტიურად მოღვაწეობდნენ იეზუიტთა ორდენის<sup>1</sup> მისიონერები, რომლებიც მოსახლეობაში აქტიურად ქადაგებდნენ კათოლიციზმს.

რუსეთის ხელისუფლების ამოცანა გახდა გაკათოლიკებული უნიატების მართლმადიდებლობა, ხოლო კათოლიკეთა შორის, რუსი მისიონერების მხრიდან, რუსული პოლიტიკასა და სარწმუნოების პროპაგანდა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მისიონერული მუშაობა უნიატებს შორის, პირობითად, შესაძლებელია დაიყოს სამ პერიოდად:

1. მართლმადიდებლობის პროპაგანდის შესამზადებელი პერიოდი XIX ს-ის 20-იანი წლები;
2. უნიატთა მართლმადიდებლობაზე მოქცევის პერიოდი, რომელიც მერყევი პერიოდებით ხასიათდებოდა და გაგრძელდა 1837 წლამდე;
3. 1837-1839 წლები, რომლებიც დასრულდა უნიატების მასიური მართლმადიდებლობით და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან შერწყმით.

რუსი სამღვდელთა აღმოსავლეთ ევროპაში აქტიური სამი-

1 იეზუიტთა ორდენი-კათოლიკური ორდენი- „ისესოს საზოგადოება“, დაარსდა პარიზში, 1535 წ. იყო კონტრეფორმაციის ერთ-ერთი მთავარი ორდენი. ორდენის მიზანი იყო კათოლიციზმის დაცვა-გავრცელება და პაპის ძალაუფლების გამტკიცება. ორდენი განაგებდა მეცნიერებისა და განათლების, ახალგაზრდათა აღზრდის სფეროს. XVI ს-ში იეზუიტთა ორდენის ბერები მოღვაწეობდნენ მთელ ევროპაში, ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიასა და ფილიპინებზე. რუსეთის იმპერიის პირველი შეხება იეზუიტთა ორდენთან მოხდა 1569 წელს, როდესაც მისიონერები გამოჩნდნენ ლიტვაში და სასწავლებლები გახსნეს ქალაქებში: ვილინიუსი, პოლოცკი და სხვ. 1772 წელს რეჩ პოსპოლიტას პირველი დაშლის შემდეგ ორდენი შევიდა ბელორუსისა და უკრაინაში, რომლებიც უკვე რუსეთის შემადგელობაში იყვნენ. 1820 წლის 13 მარტის იმპერატორი ალექსანდრე I-ის ბრძანებულების საფუძველზე იეზუიტთა ორდენის ბერების ქონების კონფისკაცია განხორციელდა და მათ აკრძალა რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოღვაწეობა.

სიონერო საქმიანობა დასტურდება აურაცხელი პროგრამების შედგენით, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო უნიატებში მუშაობის ამოცანები და მეთოდ-ხერხები. პროგრამა-მოხსენებებში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი სასულიერო განათლების საკითხს. ადგილზე მოღვაწე სამღვდელოებს დიდი თანადგომა ჰქონდა რუსეთის ხელისუფლებისგან. ეს უკანასკნელი კი შესატყვისი გარემოებით ხელმძღვანელობდა. მთავრობის პოლიტიკა ხან უკიდურესად მკაცრი, ხანაც კომპრომისული ღონისძიებით ხასიათდება.

მეფის რუსეთის უმკაცრეს პოლიტიკას დაუპირისპირდა ადგილობრივი თავადაზნაურობა, სამღვდელოება, დაბალი სოციალური ფენები. ცარიზმის სანინაალმდეგო პროცესების ალაგმვას ემსახურებოდა მთავრობის მიერ 1834 წელს უნიატთა საქმის საიდუმლო კომიტეტის დაარსება. ამ უკანასკნელმა დიდი მუშაობა გასწია უნიატების რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე დაქვემდებარების საქმეში. 1839 წლის 12 თებერვალს ბერძნულ-უნიატური ეკლესიის სამღვდელოებამ ხელი მოაწერა აქტს უნიატების შერწყმაზე აღმოსავლურ-ბერძნულ კათოლიკე ეკლესიასთან. მიღებულ აქტში სამღვდელოებამ დააფიქსირა:

1. ვალიარებთ რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან და აღმოსავლეთის პატრიარქებთან ერთობას; ვექვემდებარებით რუსეთის უწმინდეს სინოდს;

2. ვითხოვთ, რუსეთის იმპერატორისგან მის მფარველობაში შესვლაზე თანხმობას.

საეკლესიო აქტს ხელი მოაწერა 1305-მა სამღვდლო პირმა აღნიშნული თხოვნა იმპერატორმა 1839 წლის 25 მარტს დაატყვიცა-„... ღმერთს მადლობას ვწირავ და ვიღებ“. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, 1839 წლის 30 მარტს, უწმინდესი სინოდის სხომაზე (კრებას ესწრებოდნენ: ლიტვის ეპისკოპოსი იოსები (სემეშკო), ნოვგოროდისა და სანკტ-პეტერბურგის ეპისკოპოსი (სერაფიმი), კიევისა და გალიციის მიტოროპოლიტი ფილარეტი) დამტკიცდა ბერძნულ-უნიატური სასულიერო კოლეგიის სახელწოდება- „ბელორუსიისა და ლიტვის ეპარქია“, რომლის მღვდელმთავრად განწესდა ყოფილი ლიტველი ეპისკოპოსი იოსები (სემეშკო). ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის პატივსაცემად რუსეთის იმპერიაში საგანგებო სასულიერო მედალი დამზადდა.

მიუხედავად, ზემოაღნიშნული აქტის ღრმა მნიშვნელობისა, ის არ მოასწავებდა რუსული პოლიტიკის გამარჯვებას აღმოსავლეთ

ევროპაში. ადგილობრივი ძალების სისტემატური წინააღმდეგობრივი ქმედებანი ვერ იძლეოდა რუსული იმპერიული მმართველობითი სისტემის მყარად დადგინების შესაძლებლობას, რამეთუ აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობა, უნიატობისათვის ბრძოლის საბურველით მთელი ძალისხმევით იცავდა ეროვნულ თვითმყოფადობას და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

ამრიგად, რუსეთის სახელმწიფო, დღიდან ჩამოყალიბებისა მიზანმიმართულად იღწვოდა საერთაშორისო ასპარესზე დამკვიდრებისა და მსოფლიო ძლიერ ქვეყნებს შორის ავტორიტეტის დამკვიდრებისთვის. ამავდროულად, რუსეთი აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო მტაცებლურ პოლიტიკაში და მთელი ყურადღება გადაიტანა სამყაროს ხელახალი გადანაწილებისთვის ბრძოლაზე.

იმპერიის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა გახდა სამყაროს გადანაწილებაში აქტიური როლის შესურსილება და მაქსიმალური კოლონიების მოპოვება.

რუსეთმა ზემოხსენებული ამოცანის გადაჭრისას, მისეული პროგრამა შეიმუშავა და მაჰმადიანთა აგრესიისაგან ქრისტიანი ხალხების დაცვის მოტივით ქრისტიანული გლობალური სამყაროს შექმნასა და ჰეგემონობაზე პრეტენზია განაცხადა.

აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის, რუსეთის ხელისუფლებას ერთგული ძლიერი იარაღი ესაჭიროებოდა და, რადგან ქრისტიანული გლობალური სამყაროს შექმნას აპირებდა, ბუნებრივია, ამ საქმეში თავისი სახელმწიფო იდეოლოგი-რუსული მართლმადიდებელი ეკლესია უნდა ჩაერთო. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა რუსულმა საეკლესიო დიპლომატიამ, რომელმაც თავისი მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარმართა: მახლობელი აღმოსავლეთისკენ და აღმოსავლეთ ევროპისკენ; სამოქმედო ობიექტად კი იქცა: იერუსალიმის „წმინდა მიწა“, „ათონის წმინდა მთა“ და აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედ მართლმადიდებლურ მონასტრებს თავის საკუთრებად აცხადებდა, რამეთუ მათ მეპატრონე ეთნოსებს თავისი იმპერიის პოლიტიკურ-კულტურულ საზღვრებში მოიაზრებდა და მათ კუთვნილ ქონებასაც, ადგილზე თუ საზღვარგარეთ, რუსეთის იმპერიის საკუთრებად მიიჩნევდა.

რუსეთის სახელმწიფოს ამგვარი ამბიციები რადიკალურად უპირისპირებდა მას ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს, რაც მის საგარეო პოლიტიკას მუდმივად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

# **X კარი. მართლმადიდებლური სარწმუნოების საკითხი კარპატისპირა უკრაინაში XIX-XX სს**

## **I თავი. მართლმადიდებლური მოძრაობის ისტორიული წინამძღვრები კარპატისპირეთში XIX-XX სს**

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთ უნგრეთში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა კარპატისპირეთი გაძლიერდა და ახალ ფაზაში შევიდა მართლმადიდებლური მოძრაობა. უნიის წინააღმდეგ განსაკუთრებით დაირაზმა ღრიბი უკრაინელი მოსახლეობა, ამდენად მართლმადიდებლური მოძრაობა ატარებდა სპონტანურ ხასიათს, არ გააჩნდა ძლიერი ორგანიზაცია და მხარდაჭერი ძალა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ინტელიგენცია და სამღვდლოება ამ პროცესებში მონაწილეობას არ იღებდა.

რომთან უფროდის უნიის გაფორმების (1649 წ.) შემდგომ კარპატისპირეთში ჩამოყალიბდა ეპისკოპოსთა ორხელისუფლებიანობა. 1654-1649 წლებში მართლმადიდებლურ სამღვდლოებას სათავეში ედგა ეპისკოპოსი იოანნიკი (ზაიკანი), რომელიც ასევე ხელმძღვანელობდა მუკაჩევისა და იმსტიჩევის მონასტრებს, ხოლო მისი მემკვიდრე მეთოდე ბოლო მართლმადიდებელი ეპისკოპოსი იყო, რომელიც მოღვაწეობდა მუკაჩევოს მონასტერში. თავის პოზიციებს ინარჩუნებდა კარპატების აღმოსავლეთ ნაწილში მართლმადიდებლობა, კერძოდ მარამორში, რომელიც იმყოფებოდა მოლდავის მეფის გავლენის ქვეშ. ეპისკოპოსის დროთეს გარდაცვალების შემდგომ 1735 წელს მართლმადიდებლებს აეკრძალათ ყოლოდათ საკუთარი ეპისკოპოსი. მიუხედავად ამისა ხსენებულ ადგილებში შენარჩუნებულ იქნა მართლმადიდებლური ტრადიციები.

იღუმენი ანტონი თავის „სპისანიაში“ გვანვდის ცნობებს კარპატებში მოქმედ მართლმადიდებლური მონასტრების შესახებ. ასეთი იყო: ბორონიავი (1711), დრაგოვი (1705), კრიჩოვი (1693), ვოლხოვი (1708), ბედეკლიანკი (1719), ბიჩკოვი (1719), ბელოცერკოვი (XIV ს.), უგოლი (XII-XIII სს) და სხვ. XVII საუკუნეში მკვლევარ გრუშევსკის მოსაზრებით, ხსენებული მონასტრები არ განიცდიდნენ მართლმა-

დიდებელი მღვდლების ნაკლებობას, რაც უპ.ყ. მეზობელი მართლმადიდებელი ქვეყნების დამსახურება იყო (სერბეთი, მოლდავეთი) სადაც შესაბამის განათლებას იღებდა მომავალი სამღვდლოება.

იმდენად დიდი იყო სიყვარული და მისწრაფება მხარეში შენარჩუნებულიყო მართლმადიდებლური რწმენა და ტრადიციები, რომ ღარიბი უკრაინელი მოსახლეობა შვილების მოსანათლად კარპატებიდან მართლმადიდებელ სერბ და ბუდაპეშტის მიშკოლცის სამღვდლოებასთან მიდიოდნენ. უნგრული კანონების თანახმად უნგრეთის ტერიტორიის ყველა მართლმადიდებელი სერბეთის პატრიარქის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა. მხოლოდ მართლმადიდებელმა რუმინელებმა მიიღეს აღმოსავლეთ უნგრეთში 1867 წელს ცალკე, სერბეთის საპატრიარქოსგან დამოიკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის ქონების უფლება. აღნიშნულ (სერბეთს) ორგანიზაციის კანონიკურ უფლებებზე მიუთითებს ეპისტოლეთა მემკვიდრეობა, რომელიც ინახება კარპატისპირეთის არქივებში. აღნიშნული მოვლენა მიუთითებს მასზე, რომ კარპატისპირეთი საუკუნეთა მანძილზე შეეცადა არ გაენყვიტა სულიერი კავშირები მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რაც იმთავითვე გახდა იმის მიზეზი, რომ მხარეში დაწყებულიყო ამ მიმართულებით სერიოზული მოძრაობა მართლმადიდებლობის აღორძინებისთვის.

ბუნებრივია, აღნიშნული ვითარება მიუღებელი უნდა ყოფილიყო უნიატებისთვის. მათ სამღვდლოებაში მუდმივად არსებობდა შენიღბული ოპოზიცია მიმართული დასავლური წესთმსახურებისაკენ. ბრძოლა აღმოსავლური ტრადიციების შენარჩუნებისათვის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიაში მიმდინარეობდა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში – იმ დროიდან რაც გაფორმებულ იქნა უნია რომთან.

მსგავსი გამოვლინება შეინიშნებოდა არა მარტო კარპატებში, არამედ მეზობელ გალიჩიაში. სამღვდლოების ცალკეული წარმომადგენლები საღვთისმეტყველო ნაწარმოებებში მიუთითებდნენ კათოლიკური დოგმების ზოგიერთ უზუსტობაზე.

XVII ს-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნება ცნობილი მწერლისა და მომლიცველის მიხეილ ანდრელას მოღვაწეობა (1637-1710). მას ჰქონდა ბრწყინვალე განათლება, სწავლობდა ვენაში, ბრატისლავაში, ტრანავოში, ფლობდა ბერძნულ, ლათინურ, უნგრულ, ჩეხურ და პოლონურ ენებს. მიხეილ ანდრელა იყო ავტორი მრავალი ხელმანერი ნაწარმოების, რომელთა შორის წარმორჩინებულია «Одному верному каждому человеку» და «Логос»-ი. მისი ნაწარმოებების მთავარი იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ გაენია პროპაგანდა კარ-

პატისპირეთის ხალხებისთვის მართლმადიდებლური პრინციპების დასაცავად.

მიხეილ ანდრეელის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლო გაეანალიზებინა და გაეცნობიერებინა უკრაინელი ხალხისთვის იმდორინდელი რელიგიურ- პოლიტიკური საკითხები, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო უკრაინელი ხალხის სახელმწიფოებრივ მოწყობისთვის ბრძოლაში.

ეს ის პერიოდია, როცა უკრაინელი ხალხი ფარტომასშტაბიან გამოსვლებს ანარმოებდა პოლონელი პანების წინააღმდეგ.

უკრაინის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი წარმმართველები სტარშინები იყვნენ. აჯანყების მამოძრავებენ ძალას წარმოადგენდნენ კაზაკები, მასში ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ გლეხები და სასულიერო პირები. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში 1669 წელს მიხეილ ანდრეელს ტოვებს უნიას და მოღვაწეობას განაგრძობს მართლმადიდებელი მღვდლის სტატუსით.

აღნიშნული მოვლენა ანდელლას ცხოვრებაში აშკარად ემთხვევა დიდ პოლიტიკას, - ანდრუსოვოს საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც უკრაინის მარცხენა სანაპირო რუსეთის ძალაუფლების ქვეშ რჩებოდა, მარჯვენა სანაპირო კი პოლონეთს ერგო. კიევი ირი წლით რუსეთის ხელქვეითად რჩებოდა, შემდეგ კი პოლონეთზე უნდა გადასულიყო.

ანდრუსოვოს ხელშეკრულებამ უკრაინაში პროტესტი და აღმფოთება გამოიწვია. უკრაინული მიწების დაყოფამ ერთიანობისკენ სწრაფვა გააძლიერა. ამ პირობებში დოროშენკომ მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს უკრაინის თავისი ძალაუფლების ქვეშ გაერთიანება გადაწყვიტა.

ამავე წელს 1669 წელს თურქეთის სულთნის პროტექტორატის ქვეშ გადავიდა. თურქეთმა მას უკრაინის მთელ ტერიტორიაზე „პერამიშლიდან პუტივილამდე“ ძალაუფლების დამყარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

თურქულმა და თათრულმა ჯარებმა უკრაინას უფრო მეტი ზიანი მიაყენეს. ეკლესიები მეჩეთებად გადაკეთდა. მოსახლეობა ტყვედ მიჰყავდათ. ხალხმა დოროშენკოს ზურგი შეაქცია. პოლონელებმა არ შეასრულეს ხელშეკრულების პირობა და თავისი ჯარი არ გაიყვანეს მარჯვენა სანაპიროდან.

ამგვარად, უკრაინისთვის უკიდურესად მძიმე პერიოდის განმავლობაში ხმელნიცის დროინდელი მიღწევები მნიშვნელოვნად დაიკარგა. უკრაინა ძლიერმა მეზობლებმა დაინანილეს. მხოლოდ

უკრაინის მარცხენა სანაპიროზე შენარჩუნდა ცარიზმის მიერ შემოზღუდული წყობა.

მართლმადიდებლური მოძრაობა კარპატისპირეთში XIX ს-ის დასაწყისში ახალ ფაზაში შევიდა. ცარიზმის რეპრესიებმა ვერ შეძლო უკრაინული ხალხის ეროვნული მოძრაობის შეჩერება. ამ დროის მონინავე ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ ხარკოვისა და კიევის უნივერსიტეტებში უკრაინის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე. ტარას შევჩენკოს გენიალური შემოქმედების წყალობით უკრაინული ლიტერატურა ეროვნული თვითშეგნების ფორმირების მძლავრ ძალად იქცა.

1846 წელს კიევიში შეიქმნა უკრაინული ინტელიგენციის საიდუმლო ორგანიზაცია სახელწოდებით: „კირილე-მეთოდის საძმო“, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ნიკოლოზ კოსტომაროვი, ტარას შევჩენკო, პანტელეიმონ კულიში, ნიკოლაი სავიჩი, ათანასე მარკევიჩი, ალექსანდრე ტულუბი და სხვები.

„კირილე-მეთოდის საძმო“-ს პროგრამა ჩამოყალიბებული იყო ორ დოკუმენტში – „უკრაინელი ხალხის ყოფის წიგნი“ (ღვთის კანონი) და კირილე-მეთოდის საძმოს წესდებაში“. საქმის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ითვლებოდა სლავების განთავისუფლება თვითმპყრობელობის უღლისაგან, ბატონყმობისა და ნოდებების ლიკვიდაცია და ყველა სლავი ხალხის ერთ თანასწორუფლებიან ფედერაციაში გაერთიანება, სადაც ყველა ხალხს საკუთარი სახელმწიფოებრიობა ექნებოდა. უკრაინელები უნდა ყოფილიყვნენ პირველები, ვინც დანარჩენ სლავებს განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ წაიყვანდა, კიევი კი სლავური ფედერაციის ცენტრად იქცეოდა. სწორედ უკრაინული ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეა განასხვავებდა „კირილ-მეთოდელების საძმო“-ს პროგრამის გაერთიანებულ სლავთა საზოგადოების“ მსგავსი პროგრამისგან.

1848 წლის 2 მაისს უკრაინულმა სამღვდელთა ლეოვში შექმნა მთავარი რუსკა რადა ეპისკოპოსის გრიგორი იახიმოვიჩის მეთაურობით. რადას შემადგენლობაში მღვდლების გარდა სტუდენტები და ინტელიგენცია შედიოდა. რადამ შექმნა განყოფილებები, რომლებიც განათლებას, ფინანსებს, გლეხთა საქმეებს და ა.შ. კურირებდა. იქმნებოდა საეკლესიო საზოგადოებები.

ყოველივე ზემოთქმულს არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა კარპატისპირა საზოგადოების აზროვნებაზე. თანდათანობით წინა პლანზე წამოიწია მიხეილ ანდრეელის მიერ ანტიუნიატურმა მოძრაობამ, რომელსაც სული შთაბერა მისი იდეების გამგრძელებელმა



კარპატებში ბერძენ – კათოლიკური ეკლესიის მოძღვარმა იოანე რაკოვსკიმ, რომელიც 1815 წელს დაიბადა სოფ.სტავნოეში. 1856 წელს იგი რუსულ ენაზე გამოსცემდა „Церковную газету“-ს, ხოლო 1858 წელს – «Церковный вестник для русинов австрийского государства». მავდროულად, ხსენებული მოღვაწე აქტიურ მიმონერას აწარმოებდა ი.აკაკოვთან, ი.გოლოვაკციმთან, დ.ზუბრიცკიმთან და სხვ. ასევე თანამშრომლობდა უფგოროდის გაზეთ «Свет»-თან, «Карпат»-თან, «Сова»-თან და სხვ. 1866-1871 წლებში იყო საზოგადოება წმინდა ვასილი დიდის თავმჯდომარის მოადგილე უფგოროდში. რაკოვსკის მოღვაწეობა მთლიანად მიმართული იყო კარპატისპირა უკრაინელების უცხოელებთან ძალდატანებითი ასიმილაციის წინააღმდეგ და ამ ხალხში განათლებისა და რწმენის განმტკიცებისთვის. იგი მიიჩნევდა, რომ უკრაინელები არიან ველიკორუსი ხალხის ძირი და ფესვი.

1859 წელს რაკოვსკი დანიშნულ იქნა ერთ-ერთი სოფლის (იზა-ს) მღვდლად, სადაც მან იღვანა სიცოცხლის ბოლომდე (1885 წ.).

მხარეში სადაც ის მოღვაწეობდა, გავრცელდა მოსაზრება, რომ მამა იოანე რაკოვსკი მონამლულ იქნა ბუდაპეშტში ყოფნისას, სადაც მას ბრალი დადეს პანსლავიზმსა და რუსოფილურ პროპაგანდაში. როგორც წყაროები მეტყველებენ რაკოვსკის გააჩნდა ძალზედ მდიდარი ბიბლიოთეკა და ის ნებას რთავდა გლეხებს ესარგებლათ აქ არსებული წიგნებით. კითხულობდნენ რა უკრაინელი გლეხები ისეთ გამოცემებს როგორც იყო «Православное исповедание веры митрополита Петра Мохлы», «Катехизис» და სხვ. გლეხები აცნობიერებდნენ განსხვავებას ბერძნულ-კათოლიკურ აღმსარებლობასა და მართლმადიდებლურ დოგმატებს შორის.

მიხეილ ანდრელლასა და იოანე რაკოვსკის მოღვაწეობა იაზში მიანიშნებდა მასზედ, რომ კარპატებისპირა უკრაინელები აცნობიერებენ თავიანთ ერთობის აუცილებლობას აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ძმებთან და და ისწრაფვოდნენ დაენერგათ თავიანთ ღვთისმსახურებაში ღმოსავლური ტრადიციები.

XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში უნგრეთში ეკონომიკა და წარმოება სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და კარპატისპირა მიწებს მიზნობრივად (საკუთარი საწარმოების ნედლეულისთვის) იყენებდა უნგრელი მენარმეები. დაახლოებით 32% მიწის ნაკვეთებისა ჰქონდათ გლეხებს. ისინი უდიდეს გადასახადებს იხდიდნენ, რომელის წლისური რაოდენობა შეადგენდა 5 მილიონ 966 ათას კრონს. ასეთმა ვითარებამ ადგილობრივი მოსახლეობის სხვა-

დასხვა წოდებას მნიშვნელოვნად უზიდა ემიგრაციისაკენ. გარდა ეკონომიკური შეჭირვებისა, ემიგრაციის მიზეზი რელიგიურ-ნაციონალურ საკითხსაც უკავშირდებოდა. დიდი რაოდენობა კარპატისპირელების ემიგრირებული იქნენ აშშ-ში, კანადაში, ბელგიაში, ავსტრალიაში, ბრაზილიაში. დასახლებულ ქვეყნებში ყალიბდებოდა ცალკეული რელიგიური ორგანიზაციები.

ემიგრაციაში მრევლის შენარჩუნების მიზნით, მუკაჩევსკის ბერძნულ-კათოლიკური ეპარქია ემიგრირებულ უკრაინელებთან გზავნიდა უნიატურ ღვთისმსახურებს, რომლებიც ადგილებზე აფუძნებდნენ საეკლესიო ორგანიზაციებს და აგებდნენ ეკლესიებს. 1889 წელს პრიაშევსკის ეპარქიიდან შეერთებულ შტატებში ჩავიდნენ მღვდლები ა.ტოვტი, გ.ვისლიცკი და ს.იატკოვიჩი.

1894 წლისთვის ამერიკაში იმყოფებოდა 30 მღვდელი, რომლებიც წარმოადგენდნენ სამ ბერძნულ-კათოლიკურ ეპარქიას: ლვოვის, მუკაჩევის და პრიაჩევის 1890 წლის 17-29 ოქტომბერს მამა ალექსი ტოკტისა და ვილკეს-ბერეს მეტაურობით შედგა სამღვდლოების კრება, რომელმაც მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: 1) ეთხოვოს ლვოვის მეტროპოლიტს, მუკაჩევისა და პრიაშევის ეპისკოპოსებს დანიშნოს სამღვდლოების ეპისკოპოსად ამერიკაში სავიკარიო ეპისკოპოსი; 2) გაერთიანდეს ყველა სლავური თემები და ძმობის წევრები; 3) დაფუძნდეს საკუთარი პერიოდული გამოცემლობა.

კრების გადაწყვეტილების თანახმად, ბერძენი კათოლიკე მღვდლები ამერიკაში უნდა დამორჩილებოდნენ რომაულ-კათოლიკურ ეპისკოპოსებს, თუ მათ ეპარქიაში არ იმყოფებოდა ბერძენი კათოლიკე მეთუფე.

რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსები მწვავედ რეაგირებდნენ თავიანთ ეპარქიებში ცოლიანი მღვდლების წინააღმდეგ და ეჭვქვეშ აყენებდნენ უნიის სისწორესაც. აღნიშულ საკითხთან მიმართებაში მიმონერები პაპთან რამოდენიმე წელი გრძელდებოდა მანამ სანამ ბოლოს და ბოლოს ბერძენ-კათოლიკე ცოლიან სამღვდლოებას არ უბრძანეს დაბრუნებოდნენ ძველი ცხოვრების წესს.

აღნიშნულმა ვითარებამ სერიოზულად ალაშფოთა როგორც უბრალო მრევლი, ასევე სამღვდლოებაც. ამდენად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამოსულიყვნენ უნიიდან და დაბრუნებოდნენ მართლმადიდებლობას.

მინეაპოლის საეკლესიო თემმა, რომელსაც ხელმძღვანლობდა

მამა ალექსი ტოვეტი დაამყარა ურთიერთობა მართლმადიდებელ რუს ეპისკოპოს ვლადიმირთან, ალექსის და ალიასკის ეპისკოპოსთან, რომელიც ცხოვრობდა სან-ფრანცისკოში. იგი ჩამოვიდა 1891 წლის 24 მარტს ქალაქ ნეაპოლში და შეაერთა პირველი უნიატური სამრევლო მართლმადიდებლურთან.

გარკვეული დროის გასვლის შემდგომ მართლმადიდებელი სამრევლოების რიცხვი, რომელიც ყოფილ უნიატურ ეკლესიას გამოეყო აშშ-ში გაიზარდა და XX ს-ის დასაწყისითვის მისი რიცხვი დაახლოებით 300 სამრევლოს შეადგენდა. იქმნებოდა მართლმადიდებლური საძმოები და ფუნდებოდა ახალი მონასტრები.

1905 წლისთვის სამხრეთ ხანაანთან პელსინვაში ჩამოყალიბებულ იქნა ტიხონ ზადონსკის მამათა მართლმადიდებლური მონასტერი, ხოლო 1915 წელს სპინგვილდში დაფუძნდა დედათა მონასტერი.

ამერიკიდან მშობლიურ ადგილებში დაბრუნების შემდგომ მართლმადიდებელი კარპატის მკვიდრნი შესძლებისდაგვარად აძლიერებდნენ მართლმადიდებლურ მოძრაობას მხარეში.

კარპატისპირეთში მართლმადიდებლური მოძრაობის აღორძინებაში არც თუ მცირე ფაქტორი გახდა უნგრული პოლიტიკა, მიმართული ადგილობრივი უკრაინელი ხალხის ეროვნული იერსახის შესაცვლელად (модьяризация). საკუთარი გეგმების რეალიზების მიზნით უნგრეთის ხელისუფლება ნაყოფიერად იყენებდა ბერძულ-კათოლიკური ეკლესიის სამღვდელოებას. მუკაჩევის ეპისკოპოსები მუდმივ თანადგომას უცხადებდნენ უნგრულ ეროვნულ-ნაციონალურ პოლიტიკას და ყოველნაირად ცდილობდნენ შეესრულებინათ იმპერიის ცენტრის ყველა განკარგულება, ისეთი მაგალითად როგორც იყო: ახალი კალენდარის შემოღება, კირილიციის ლათინიცით შეცვლა და სხვ. ინტელიგენცია და სამღვდელოება, რომლებმაც განათლება უნგრული ხელისუფლების ხელშეწყობით მიიღეს, იცვლიდნენ გვარებს და წყვეტდნენ კავშირს უბრალო გლეხობასთან. მღვდლები ოჯახებში საუბრობდნენ უნგრულად, კითხულობდნენ მხოლოდ უნგრულ წიგნებსა და ჟურნალებს. სამღვდელოება არაკეთილსინდისიერად ეპყრობოდა საეკლესიო წესთმსახურებას, რაც ბუნებრივია, მრევლის გულისწყრომას იწვევდა.

სახალხო და საეკლესიო სკოლებში უნგრული ენის შემოტანა, და ეკლესიისთვის ეროვნული იერ-სახის შეცვლა გახდა მნიშვნელოვანი ბიძგის მიმცემი კარპატისპირელებისთვის ზურგი შეექციათ

კათოლიკობაზე და მასობრივად გადასულიყვნენ მართლმადიდებლურ წესთმსახურებაზე.

უკმაყოფილების მიზეზი გლეხობის მხრიდან შუასაუკუნეებიდან შემორჩენილი გადასახადების არსებობაც უნდა ყოფილიყო. „კობლინა“ და „როკოვინა“, რომელიც ადგილობრივი ბერძულ-კათოლიკური ეკლესიის გამოსაღებს წარმოადგენდა მოსახლეობისათვის არა მარტო აუტანელი, არამედ მიუღებელიც გახდა.

კარპატისპირეთში მართლმადიდებლობისა და რუსოფილური განწყობილების ამალებაში დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ მღვდელების გარკვეული ნაწილი და სოფელ იზას აქტივისტები ბუკოვინელების დიდი ოჯახის მეშვეობით მოხვდნენ მართლმადიდებლურ რუსულ მონასტრებში ლუცკში და ჟიტომირში, სადაც აზიარებდნენ მართლმადიდებლურ რწმენას მღვდლები და მონაზვნები. ასევე რუსულ მონასტრებში აღმოჩნდა რამოდენიმე კარპატისპირელიც, რომლებიც აყვანილ იქნენ ტყვეებად პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის დროს. ოჯახებში დაბრუნებული მეომრები მხარეში მართლმადიდებლურ განწყობილებასა და რუსეთის ერთგულებას ნერგავდნენ.

რევოლუციის შემდგომ (1917 წ.) კარპატისპირეთი ჩეხოსლოვაკიის საზღვრებში მოექცა. ემიგრაცია განიცადა დიდი რაოდენობით რუსებმა ბუკოვინელებმა და გალიციელმა მოსკოვფილებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ მართლმადიდებლურ მოძრაობას და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მის შემდგომ წინსვლაში. მათივე მეცადინეობით ჩამოყალიბებულ იქნა „რუსული შრომის პარტია“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ა.გაგატკო. პარტიის ბეჭდვითი ორგანო გახდა გაზეთი „რუსკაია ზემლი“, რომელშიც იმეჭდებოდა მართლმადიდებლობის მხარდასაჭერი სტატიები. 1919 წლიდან კარპატისპირეთში ჩასახლდა დაახლოებით 9000 რუსი ემიგრანტი.

1922 წელს სენატორ ი.ლაროს დახმარებითა და ხელისშეწყობით პრეშივეინაში გადავიდა არქიმანდრიტი ვიტალი, რომელმაც იმთავითვე დაიწყო კულტურული მოღვაწეობა. მან ორგანიზება გაუკეთა „Во Владимировой возле цветника“ მართლმადიდებლური მონასტრისა და ტოპოგრაფიის ჩამოყალიბებას. მართლმადიდებლური მისია ვლადიმროვოში გახდა ცენტრი თეთრი ემიგრანტების გაერთიანებისთვის ჩეხოსლოვაკიაში.

განსაკუთრებული გავლენა მართლმადიდებლობის ასაღორძინებლად ჰქონდათ ისეთ მონასტრებს, რომლებიც იყო სუჩავეის, ბიკსადის, მარია პოვჩანის მონასტრებს. ჩამოთვლილი სავანეები

უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ლიტურგიკის გავრცელებაში, ხოლო სამონასტრო დღესასწაულები თავისებურად მიანიშნებდა მართლმადიდებლობის „აგიტაციაზე“.

კარპატისპირეთში მართლმადიდებლური მოძრაობის განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა ათონის წმინდა მთამ. ხსენებულ მთაზე საუკუნეთა მანძილზე ისრაფვოდნენ მოხვედრას მთელი მართლმადიდებელი სამყაროს წარმომადგენლები. ამ მხრივ გამონაკლისს არც კარპატისპირელები წარმოადგენდნენ. ზუსტად არ არის ცნობილი, რომელ დროში მოხვდნენ ათონზე კარპატისპირეთიდან მოსული მომლოცველები, მაგრამ XIX ს-ში მათი წარმომადგენლები წმინდა მთაზე იყვნენ საკმაოდ ბევრი. XX ს-ში მარტო სოფ.იზადან (ხუსტის რაიონიდან) ათონზე ავიდა 20-მდე ბერი. მონაზვნებს აქტიური მიმონერა ჰქონდათ სამშობლოში თავიანთ ახლობლებთან, ურჩევდნენ განდგომოდნენ უნიას და ბერძენ კათოლიკურ სამღვდელოებას. საგულისხმოა ფაქტი იმის შესახებ, რომ ათონის მთის წერილები როგორც სამხილი მასალა გამოყენებულ იქნა მარამორმ-სიგორის პროცესზე (1913-1914 წ.წ.) როდესაც ასამართლებდნენ მართლმადიდებელ სამღვდელოებას თავიანთ რელიგიურ განწყობილებათა გამო.

კარპატის მხარის ჩეხოსლოვაკიის საზღვრებში შესვლის შემდგომ (სახელწოდებით კარპატისპირა რუსეთი) მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავისუფლად განვითარების შესაძლებლობა მიიღო. მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობის თანახმად ამ ტერიტორიაზე თავის უყრისდიქცია გაავრცელა სერბეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. 1921 წელს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა კარპატისპირა რუსეთში წარგზავნა თავისი იერარქი-ეპისკოპოსი დოროთე. ხსენებულ ეპისკოპოსს მიენიჭა განსაკუთრებული როლი განემტკიცებინა მართლმადიდებლობა დასავლეთ უკრაინაში. ეპ. დოროთეს სახელთან არის დაკავშირებული რამოდენიმე ათეული მართლმადიდებლური საგანის დაარსება და სამონასტრო ცხოვრების მოწესრიგება. ამავე პერიოდს მიეკუთვნება რამოდენიმე მამათა და დედათა მონასტრის დაფუძნება იზაში, ლიჩმეშსა და ტერებლში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას იმ დროისათვის წარმოადგენდა მართლმადიდებელ ღვთისმსახურთა (სამღვდელოება) უკმარისობა. აღნიშნულთან დაკავშირებით 1920-1930წ.წ. კარპატისპირელების განსაზღვრულმა რაოდენობამ მიიღო სასულიერო

განათლება სერბეთის სასულიერო ცენტრებში. დოროთე ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ კარპატისპირა მართლმადიდებლურ ეკლესიებს ხელმძღვანელობდა ეპისკოპოსები: ნოვოსადსკელი ირინეი, პრიხესკელი სერაფიმი და ბოტოლსელი იოსები.

1991 წელს განახლებულ იქნა უძველესი მუკაჩევის კათედრა, რომელის შემადგენლობაში ასევე შევიდნენ აღმოსავლეთ სლოვაკიის სამრევლოები. მუკაჩევო პრიაბრევის პირველი ეპისკოპოსი გახდა დამასკინი. ახლადდადგენილმა ეპისკოპოსმა იმთავითვე სასულიერო კონსისტორიის რეორგანიზება მოახდინა, რასაც შემდგომში ხელი უნდა შეეწყოს სასულიერო პირთა განათლების გაღმავებისთვის. ამისათვის მან ორგანიზება გაუკეთა საღვთისმეტყველო კურსების ჩამოყალიბებას იზაში არსებულ ნიკოლაევის მონასტერში. ეპისკოპოსმა ასევე იღვანა იმისათვის, რომ აეშენებინა საეპარქიო სახლი მუკაჩევში საეკლესიო საქმეთა სამართავად. ჩეხეთის ხელისუფლებამ მართლმადიდებლებს თავიდანვე უჩინდა მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას.

1936 წლისთვის მუკაჩევის ეპარქიაში შედიოდა 127 სამრევლო, მასში იყო 160 ათასი მრევლი. ასევე ეპარქიის საზღვრებში მოქმედებდა 5 მონასტერი: 3 მამათა-ნიკოლაევის (იზაში), პრეობრაჟენსკი (ტერებლში), ღვთისმშობლის სახელობისა (ლიჩმში).

1920-1930 წ-ში მართლმადიდებელი ეკლესიების ნაწილი და მონასტრები ემორჩილებოდა ეპისკოპოსს სავვას, რომელიც აკურთხავდა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მელენტიმ.

1938 წელს მუკაჩევო პრიაშჩევის კათედრაზე დანიშნულ იქნა ეპისკოპოსი ვლადიმირი, რომელსაც ეპარქიაში დიდხანს ყოფნამ არ მოუწია, რამეთუ მიუნხენის შეთანხმებით ნაწილი კარპატისპირეთისა ოკუპირებულ იქნა უნგრეთის მიერ. აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით ეპარქიალური მმართველობის ცენტრი და ეპისკოპოსი გადავიდა ხუსტში, რომელიც ასევე 1939 წლის მარტში მიიტაცა უნგრეთმა.

1941 წ. ეპისკოპოსი ვლადიმირი დაპატიმრებულ იქნა და იმავე წელსვე იგი გასახლებულ იქნა სერბეთში.

იმავე პერიოდში უნგრეთის რეგენტმა მიკლოშ ხორტიმ „უნგრეთის აღმოსავლეთ-ბერძნებისა და უკრაინის აღმოსავლეთ ბერძნების ეკლესიების ადმინისტრატორად დანიშნა“ მიხეილ პოპოვი. პოპოვი აშკარა პროუნგრულ პოლიტიკას ატარებდა და ამავდროულად ცდილობდა შეექმნა უნგრეთის „ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“.

5 თებერვალს 1944 წ. ახალ ადმინისტრატორად დანიშნულ იქნა ილუმენი თეოფანი, დოკუმენტებში მისი სახელი ასე მოიხსენიება: „მუკაჩევო-პრიასჩევის ეპარქიის ეპისკოპატის მოადგილე და ადმინისტრატორი“.

1945 წ. ოქტომბერში მუკაჩევო-პრიასჩევის ეპარქია მთლიანად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში გადავიდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ კარპატისპირა მართლმადიდებელი ეკლესიების მიმართ ისეთივე პოლიტიკა გაატარა, როგორც ქვეყნის სხვა მხარეებშიც, ქვეყანამ გადაიტანა უმძიმესი ტრაგედიები. ლიკვიდირებულ იქნა ეკლესიები და მონასტრები, უმეტესობა სამღვდელოებისა რეპრესირებული ნაწილმა კი ემიგრაციით უშველა თავს.

ახალი ეტაპი როგორც მართლმადიდებელი ასევე სხვა კონფესიების რელიგიურ ცხოვრებაში იწყება 1980 წლიდან. ამ პერიოდში კარპატისპირა ეპარქიებს ხელმძღვანელობდა ექვთიმე (მუტაკი). რამოდენიმე წელიწადში აქ განახლდა ათობით მართლმადიდებელი ეკლესია და მონასტერი, მხარეში აღორძინება დაიწყო სასულიერო განათლების კერებმა.

1994 წ. მუკაჩევო-უჟგოროდის ეპარქიიდან გამოყოფილ იქნა ხუსტო-ფინოგრადოვსკის ეპარქია.

2000-2007 წ.წ. მუკაჩევის ეპარქიებს ხელმძღვანელობდა ეპისკოპოსი აგაპი (ბავციკი). 2007 წ. დეკემბერში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის უწ. სინოდმა ეპისკოპოსად დანიშნა თეოდორ (მამასუევი) ხუსტის ეპარქიის მმართველად არქიეპისკოპოსი მაკარი.

2008 წლის მონაცემებით კარპატისპირა ტერიტორიის ორი ეპარქია მოითვლიდა დაახლოებით 520 სამრევლოს და 35 მონასტერს. იერშაში მოქმედებს სასულიერო სემინარია, ხოლო უჟგოროდში სასულიერო აკადემია. გამოიცემა პერიოდული ჟურნა-გაზეთი: «Православная летопись» და «Духовная Криница Карпат» ხუსტში.

## II თავი. მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი დასავლეთ უკრაინაში

დასავლეთ უკრაინაში მართლმადიდებლობამ ჯერ კიდევ მონღოლებამდელ პერიოდში საკმაოდ დაიმკვიდრა ადგილი. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ პირველი ქრისტიანული თემები ხსენებულ მიწა-წყალზე არსებობდნენ კირილესა და მეთოდეს მოღვაწეობის დროს

XI საუკუნისთვის გალიციისა და ვოლინის მიწები შედიოდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ვლადიმირ-ვოლინის ეპარქიაში. XII საუკუნეში ზემოხსენებული ეპარქიიდან გამოყოფილ იქნა დამოუკიდებელი გალიციის ეპარქია (საეპისკოპოსო). ქრისტიანიზაციის შემდგომმა წინსვლამ, ეროვნული მიმართულების გაძლიერებამ, რაც უპირველეს ყოვლისა მონღოლ-თათართა უღელს უკავშირდებოდა, დღის წესრიგში დასვა ეპარქიების გაზრდის მოთხოვნა.

XIII საუკუნისათვის დასავლეთ უკრაინაში კიდევ ოთხი ეპარქია ჩამოყალიბდა: უგროვსკის, ლუცკის, პერემიშლისა და ხოლმის ეპარქიები, რომლებიც კიევის სამიტროპოლიტოს ნაწილს წარმოადგენდნენ. დღევანდლამდე შემონახულ არც ერთ ისტორიულ წყაროში არ მოიძებნება ცნობა დასავლეთ უკრაინაში რომელიმე ლათინური მისიონერის მოღვაწეობის შესახებ. ე.ი. მხარეში მართლმადიდებლობა ძირითადი წამყვანი კონფესია იყო

გალიციის მიწაწყალი კიევის განაპირა მხარეს წარმოადგენდა. გამომდინარე აქედან კანონზომიერი უნდა ყოფილიყო ის მოვლენა, რასაც იმ დროისათვის ქვეყანა განიცდიდა. მეზობელი სახელმწიფოები პოლონეთი და უნგრეთი ცალ-ცალკე ცდილობდნენ საკუთარი პოლიტიკურ-კულტურული გავლენა გაეგრძელებინათ უკრაინის დასავლეთ ნაწილზე. მიუხედავად ამისა, რომ ხსენებული მიმართულებით განსაკუთრებული ზეწოლა მიმდინარეობდა, გალიცია მაინც რჩებოდა მართლმადიდებლობის ერთგულად. მატინანეებმა ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითი შემოინახა.

როგორც ცნობილია, რელიგიურ ფაქტორს უმეტესწილად პოლიტიკა განსაზღვრავს. ამდენად, გალიციის მხარე, რომლის ცენტრი იყო პერემიშლი, დიდ ხანს არ ყოფილა კიევის მთავრების ხელქვეით. გალიციის სამთავროს დაწინაურება XII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო იაროსლავ ოსმოვილოვის დროს (1152-1187ს). მას დიდი ძალისხმევა გაუწევია გალიციის ტერიტორიების

შემოსამტკიცებლად, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთზე გასასვლელად. შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩასაგდებად ბრძოლა ბიზანტიის, უნგრეთის, პოლონეთის ყივჩაღების ინტერესებს ეხებოდა და ამდენად ეს უმნიშვნელო საკითხი არ ყოფილა

დუნაისპირეთის სამხრეთი ნაწილისთვის კიევის მთავრებიც იბრძოდნენ, ბიზანტიაც განსაკუთრებით ყოფილა დაინტერესებული, რომ გალიციის მთავრის, იაროსლავ ვლადიმირის ძისთვის საშუალება არ მიეცა აქ განმტკიცებულიყო, მაგრამ ჩერნიგოველი, სმოლენსკელი და ვოლიჩელი მთავრები, აგრეთვე პოლონეთისა და უნგრეთის მფლობელები ცნობდნენ გალიციის მთავრების უფლებას დუნაისპირეთის სამხრეთ ნაწილზე

გალიციის სამთავროს მთლიანობის შესანარჩუნებლად იაროსლავს ბრძოლა უხდებოდა ბოიარებთან. ქვეყანაში შექმნილ შიდა უნესრიგობას მოხერხებულად იყენებდნენ მეზობელი სახელმწიფოები. უნგრეთის მეფემ გალიციაში თავისი შვილის დასამოინდომა, ეს უკანასკნელი იაროსლავის შვილიშვილი იყო დედის მხრიდან. ამ წინააღმდეგობით ვლადიმირ-ვოლინის მთავარმა, რომან მსტისლავის ძემ ისარგებლა, გალიციის ბოიარებთან კავშირი დაამყარა და 1188 წელს გალიცი აიღო. 1199 წელს რომან მსტისლავის ძემ გალიციის სამთავროს ტერიტორია ვოლინის სამთავროსთან გააერთიანა და გალიჩ-ვოლინის სამთავრო წარმოქმნა

რომანის საგარეო პოლიტიკაში ყურადღების ღირსია დასავლეთ ევროპასთან დამოკიდებულების საკითხი. ბიზანტიის მთავრობა იძულებული იყო დახმარება ეთხოვა რომანისათვის ყივჩაღთა ბიზანტიაზე თავდასხმების ასალაგმავად. რომანის ყივჩაღთა წინააღმდეგ ლაშქრობის შედეგად ყივჩაღები ბალკანეთს მოსცილდნენ. მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად და სამფლობელოს გასაფაროებლად რომანს ბრძოლა მოუხდა ლიტველ მთავრებთან. დიდ ანგარიშს უწევდა მის სამთავროს პოლონეთი, მტკიცე საზავო პირობები შექმნა რომანმა უნგრებთან. გალიცია მიმზიდველ სამთავროდ იქცა. რომის პაპი ინოკენტი III დიდ სურვილს გამოთქვამდა რომანთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. აღნიშნულ სწრაფვას თავისი მიზეზიც გააჩნდა. ვატიკანი ცდილობდა თავისი ეკლესია გალიც-ვოლიჩე გაეგრძელებინა

1205 წელს რომანი პოლონელებთან ბრძოლაში დაიღუპა. პოლონელ ფეოდალებს, რომელთაც დიდი ზიზლი ჰქონდათ რომანის, დიდი ზეიმი გადაიხადეს მისი დაღუპვის გამო

ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ასეთი დიდი შრომისა და ენერჯის ფასად მოპოვებული სამთავროთა გაერთიანება, ამა თუ იმ მთავრის გარდაცვალების შემდეგ იშლება. რომანის გარდაცვალების შემდეგ უკრაინის სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე დაჩქარდა დაქუცმაცებულობის პროცესი. რეალური ძალა მსხვილი ბოიარების ხელში აღმოჩნდა. გალიციის ტერიტორიაზე ბატონობის პრეტენზიით რუსეთის მთავრები გამოვიდნენ, რადგანაც ტახტის მემკვიდრე დანიელ რომანის ძე მცირეწლოვანი იყო. ბოიარებს ხელსაყრელი დრო დაუდგათ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. შინა პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში იმგვარად წარიმართა, რომ მცირე ხნით გალიციაში მთავრად დასვეს ბოიარი ვლადიმირ კორმილიჩიჩი, რომელიც არ იყო რიურკიტა შთამომავალი. მართალია, ეს ბოიარი მცირე ხნით მთავრობდა, მაგრამ თვით ფაქტი არის მნიშვნელოვანი იმით, რომ ბოიარი ისე განდიდდა მმართველ დინასტიას აღარ ცნობდა და თავისი დინასტიის დამკვიდრებას ცდილობდა. შექმნილ შიდა ვითარებას ყურადღებით ადევნებდა თვალს პოლონელი და უნგრელი პოლიტიკოსები, რომელთა ინტერესში არ იყო გალიჩ-ვოლინის დიდი სამთავროს აღორძინება. ამ უკანასკნელმა თავიანთი შეთანხმების საფუძველზე გალიციისა და ვოლინის მიწების გადანაწილება მოინდომეს, მაგრამ უბრძოლველად ეს საკითხი არ მოგვარდა. ცხარე ბრძოლები წარიმართა გალიციის მიწების მისატაცებლად, ამ მიმართულებით თავისი ინტერესები გააჩნდა მოსკოვის სამთავროსაც. გალიციის მიწებისთვის იბრძოდა მთავარ რომანის მემკვიდრე დანიელიც. ის და მისი თანამებრძოლები დარწმუნდნენ იმაში, რომ მხოლოდ რუსეთის შინა ძალებზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის წინანდელი მდგომარეობის აღდგენა. მხოლოდ 1233 წელს შეძლო დანიელმა გალიცის ტახტის დამკვიდრება. თათრების შემოსევის დროს გალიც-ვოლინის ეკლესია-მონასტრები გაიძარცვა, ქვეყანა აოხრდა, მაგრამ თათრების ვოლგის მიდამოებისკენ გამობრუნების შემდეგ დასავლეთში თავშეფარებული დანიელი გალიცში დაბრუნდა. 1245 წელს, დანიელის თაოსნობით, საბოლოოდ დამარცხდნენ ჩერნიგოველი მთავარი და მისი მოკავშირენი: უნგრელები და პოლონელები. ამ გამარჯვებით ორმოც წლიანი ბრძოლა დასრულდა, მაგრამ შემდგომ უარესი მტერი მოევიდნა, როგორც გალიც-ვოლინის სამთავროს, ასევე მთელ რუსეთს, მონღოლები გაბატონდნენ აღმოსავლეთ ევროპაში (რომელზედაც წინა თავში გვაქვს საუბარი).

ოქროს ურდოს მბრძანებლისგან მალე მოუვიდა დანიელს მკაცრი ბრძანება: „მომეცი გალიცი“. დანიელი იძულებული გახდა ბათო ყაენს ხლებოდა ურდოში და მორჩილობა აღუთქვა, მაგრამ თათრების ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლების იდეა, ამ მორჩილების გამოცხადებით არ მომკვდარა. დანიელი და მისი მრჩეველები წლების განმავლობაში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ რომის პაპ ინოკენტ IV-თან, რომელმაც ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება აღუთქვა თათრების წინააღმდეგ. 1245 წელს პაპმა წინადადება მისცა დანიელ რომანის ძეს, თათრებთან ომის სანაცვლოდ მიეღო კათოლიკობა და გამოეზავნა მასთან ორი დომინიკელი მონაზონი, რომელთაც მიეცათ მითითება-დავალება განუშორებლად ყოფილიყვნენ დანიელთან. ასევე გამოუგზავნა პაპმა დანიელს ესტონელი ეპოსკოპოსი ჰენრიხი, რომელიც შემოსა უფლებით, ეკურთხებინა დანიელის სამფლობელოში ეპისკოპოსები

აღნიშნული მოვლენა სავსებით მიანიშნებდა მასზედ, რომ ქვეყანას ამ მძიმე განსაცდელის ჟამს, მეორე განსაცდელი მოევლინა და ეს მართმადიდებლობისაგან განდგომა უნდა ყოფილიყო

მთავარმა დანიელმა ისიც იცოდა, რომ სხვა მეზობელმა ქვეყნებმაც (იმჟამად ლიტვამ) პოლიტიკური მოსაზრებით გადადგა მსგავსი ნაბიჯი. ამდენად ვინემ რელიგიურ ზენოლას მიეცემოდა ფართო ხასიათი დანიელმა პაპისგან რეალური მხარდაჭერა მოითხოვა და როცა ამაზე ვერ მიიღო შესაბამისი პასუხი, 1249 წელს მან ქვეყნიდან გააძევა პაპის ლეგატი ალბერტი და განწყვიტა ურთიერთობა რომთან

1252 წელს პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავების შედეგად დანიელმა დახმარებისათვის კვლავ მიმართა რომის პაპს. პაპმა კი თავის მხრივ ევროპის ქვეყნებს, მაგრამ მოწოდებას გამოხმაურება არ ჰქონია, ამდენად, დანიელმა კვლავ განწყვიტა კავშირი რომთან.

გალიც-ვოლინის მთავრის იური II-ის გარდაცვალების შემდეგ გალიჩი პო-ლონეთისა და უნგრეთის ჯარებმა დაიკავეს.

1340 წელს ბოიარებმა გალიციაში ლიტვის მთავარი ლუბარტ მედიმინოვიჩი მოიწვიეს, რომელიც ვოლინში დამკვიდრდა და გალიჩის დაპყრობას ცდილობდა. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, როდესაც გალიცინა ხელიდან ხელში გადადიოდა, 1387 წელს ეს სამთავრო საბოლოოდ პოლონელებმა დაიკავეს. აღნიშნულ მოვლენას წინ უსწრებდა უნგრეთის მიერ იმიერკარპატეთის თავის საზღვრებში მიერთება.

1352 წელს პოლონეთის ხელმწიფემ კაზიმირმა გალიცინში

შემოასახლა გერმანელები და პოლონელები. დაიწყო მიწების კონფისკაცია, იმავდროულად გოლიცინის ადგილ-მამულები ახალ მფლობელებს პოლონელებს, გერმანელებს და უნგრელებს გადაეცემოდათ. დიდი ქალაქების მოსახლეობა გერმანული კოლონიზაციით იზრდებოდა. ბუნებრივია, კოლონიზაციები დაპყრობილ ქვეყანაში საკუთარი რელიგიური მიმდევრების (კათოლიკების) ეპარქიებს აფუძნებდნენ და მართლმადიდებლობას ავინროვებდა.

აღნიშნულ პერიოდში ოქროს ურდოში შინა ომები მიმდინარეობდა. 1362 წელი მდინარე სინუხასთან ოლგერდმა თათართა მთავრები ხოჩიზეი, ყუთლუ-ბულა და პოდოლის მფლობელი დიმიტრი დაამარცხა. ამის შემდეგ პოდოლი ლიტვამ შეიერთა. ლიტვის მთავარმა უკრაინაში მთავრებად თავისი ნათესავები დატოვა. ახალი მთავრები მალე უკრაინის ლიტვური დინასტიის თავადებად გადაიქცნენ. ქალაქი კიევიც ლიტვის საზღვრებში მოექცა. თანდათანობით უკრაინის ტერიტორიები თავისუფლდებოდა თათარ-მონღოლთა უღლისაგან, საკუთარი ეროვნული დამოუკიდებლობის ხარჯზე დროებით აქ ლიტველები დასადგურდნენ. ლიტველები სხვა დამპყრობლებისაგან განსხვავებით არ ცვლიან ცხოვრების წესს შემოიერთებულ ტერიტორიებზე, პირიქით განიცდიდნენ რუსულ გავლენას და იღებდნენ მართლმადიდებლობას. მართლმადიდებლურმა ეკლესიამ თავისი გავლენა შეინარჩუნა (ჩერნიგოვში, სიკერში, კიევი და პერეია-სლავშიზე), ხოლო რუსულმა ენამ სახელმწიფო სტატუსი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უკრაინის მიწების ის ნაწილი, რომელიც პოლონელებმა დაიკავეს ამ მხარეში ამრავლებდა კათოლიკური მრწამსის მიმდევრებს

1375 წელს რომის პაპი მითითებას აძლევდა თავის კრაკოველ ეპისკოპოსს გამოედევნა გალიცინიდან მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, გაუქმებინა მისი კათედრა, ხოლო ეკლესია-მონასტრებიდან დაეთხოვა მართლმადიდებელი სამღვდელთა.

ბუნებრივია, აღნიშნული მოვლენა მართმადიდებელი უკრაინელი ხალხისთვის ტრაგიკული უნდა ყოფილიყო, რამაც არსებითად გააძლიერა ანტიკათოლიკური განწყობილება ქვეყანაში. XVI საუკუნის პოლონელი ქრონოლოგის დ. ლუგომის თანახმად ერთ-ერთი კათედრალური ტაძარი მართლმადიდებლებისა ხელთ იგდეს კათოლიკებმა და იქ საკუთარი „კოსტელი“ მოაწყვეს. მართლმადიდებლების კუთვნილი მიწები ეტაპობრივად გადადიან კათოლიკი ღვთისმსახურების ხელში, ასეთი იყო იმდროისათვის პოლონეთის ადმინისტრაციის სურვილი.

1382 წელს შექმნილი მძიმე პოლიტიკური, სოციალური და რელიგიურ-კონფესიონალური კრიზისის გამო ქვეყანაში (გალიციაში) დაიწყო აჯანყება. გამოსვლები ძირითადად რელიგიურ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო კათოლიკების წინააღმდეგ. მართლმადიდებლებმა კათოლიკებს გაუზიარებინეს „კოსტელები“ ეკლესიებიდან გამოდევნეს მღვდლები და დაიკავეს კუთვნილი სალოცავები. აჯანყება ჩახშობილ იქნა. კათოლიციზმმა აღიდგინა თავისი პოზიციები მხარეში და გაამკაცრა რეპრესიები მართლმადიდებლების მიმართ

1385 წელს ლიტვის დიდი მთავარი იაგაილო დაქორწინდა პოლონეთის მეფის ასულ იადვიგზე. ქორწინება აშკარა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. აღნიშნულს ადასტურებს ლიტვასა და პოლონეთს შორის დადებული კრევის უნია, რომლის ძალითაც თვით მთავარი და ეთნიკური ლიტველები კათოლიკურ სარწმუნოებას მიიღებდნენ. მავდროულად, კათოლიკე-ბოიარები ხელისუფლებისაგან იღებდნენ მთელ რიგ პრივილეგიებს, რომელიც არსებითად განასხვავებდა მათ მართლმადიდებლებისაგან. კიევი იაგაილო დომინიკელ კათოლიკებს აძლევს გარკვეულ მიწებს, რაც ადგილობრივი მართლმადიდებელი კიეველების უკმაყოფილებას იწვევდა. მართლმადიდებლებთან მიმართებაში დისკრიმინაციის ხასიათს ატარებდა გოროდელსკის აქტიც (1413 წელი). დროგამოშვებით უნია ლიტვას და პოლონეთს შორის ხან ძალას კარგავდა, ხანაც ახლდებოდა. თუ ლიტველებს მართლმადიდებლებთან მიმართებაში გააჩნდათ შედარებით ლოიალური დამოკიდებულება იგი არ ვრცელდებოდა პოლონელებზე. აქ აშკარა და ღია ხასიათს ატარებდა მართლმადიდებლობაზე აგრესია. გალიციაში მართლმადიდებლებს მოიაზრებდნენ როგორც, „სექტანრებს“, ხოლო მათ ეკლესიებს „სინაგოგებს“ უწოდებდნენ.

ერთობლივად ლიტვისა და პოლონეთის პოლიტიკა არსებითად ემსახურებოდა კათოლიციზმის ექსპანსიას უკრაინის სამხრეთ ნაწილში. კათოლიკების ხელში აღმოჩნდა მიწებზე საკუთრების უფლება. კანონად იქცა მართლმადიდებლებისათვის ტაძრების ჩამორთმევა. 1412-1414 წლებში მართლმადიდებელი ეპისკოპოსის გალიციელის სახელი მიითვისეს კათოლიკებმა. იმავე 1412 წელს იაგაილომ მართლმადიდებლებს ჩამოართვა წმინდა იოანეს სახელობის ტაძარი, იავარყო საფლავები და სინმინდეები, რომელსაც უკრაინელი მართლმადიდებლები „*при горких рыганиях народа*“ მოიხსენიებდნენ და აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდნენ ძალადობის საწინააღმდეგოდ

1430-1431 წლებში ომი უკრაინაში პოლონელებსა და ლიტველებს შორის კომპრომისით დამთავრდა. პოლოლიე გაიყო ორ ნაწილად: დასავლეთი პოლონეთმა მიისაკუთრა, აღმოსავლეთი კი ლიტვამ. მიუხედავად ამისა, პოლონეთს არ სურდა ლიტვისთვის მდიდარი მიწების დათმობა, ამდენად ბრძოლა ახალი ძა-ლით გაჩა-ლდა. პოლონეთში გადატრიალების შედეგად დიდი მთავარი გახდა სიგიზმუნდ კეისტუტოვიჩი

1447 წელს ლიტვის დიდი მთავარი კაზიმირი გახდა. იგი იმა-ვდროულად პოლონეთის მეფეც იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ სახელმწიფოს ერთი მმართველი ჰყავდა ლუბლიანას უნიამდე (1569) შენარჩუნებული იყო ლიტვისა და პოლონეთის ავტონომია. კაზიმირმა გააუქმა სამთავროები, რომლებიც კიდევ არსებობდა უკრაინაში. 1452 წელს არსებობა შეწყვიტა ვოლინის სამთავრომ, ხოლო 1471 წელს კიევის სამთავრომ. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად უკრაინის საზოგადოებაში გაძლიერდა პრომოსკოვური მიმართულება. მოსკოვის მთავრის ივანე III-ის მხარეზე გადავიდ-ნენ ჩერნიგოვის თავადები. მოსკოვი ლიტვასთან დაძაბულ ბრძო-ლას აწარმოებდა ძველი სლავური მიწების შემოსაერთებლად. ამ ბრძოლის შედეგად მოსკოვის სამთავრომ შემოიერთა ჩერნიგოვის, სევერშინის და სმოლენშინის მიწები

მოსკოვის საწინააღმდეგოდ ლიტვის თავადებმა გააძლიერეს სახელმწიფოს ცენტრალიზებული მმართველობა. ძლიერ ძალაუ-ფლებას ფლობდა ასევე რადა, რომელიც არა მარტო ცვლიდა დიდ მთავარს მისი არყოფნის დროს, არამედ მასთან ერთად წყვეტდა ფი-ნანსური პოლიტიკას, ადმინისტრაციულ თანამდებო-ბებზე დანიშ-ვნებისა და მიწის გადანაწილების საკითხებს. გაძლიერდა სეიმიც. 1557 წელს სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მიწათმფლობელობის უფლება შლიახტას გადაეცემოდა

მაშასადამე, უკრაინამ ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს საზ-ღვრებში ღრმა პოლიტიკური და რელიგიურ-კონფესიონალური კრიზისი განიცადა, რამაც ასახვა ჰპოვა ამ მიწებზე მცხოვრებ ხალხთა სულიერებაზე.

განსაკუთრებულად სიძლიერით წარმოჩინდა რელიგიური წნ-ეხი კათოლიკების მხრიდან XVI საუკუნეში მიუხედავად იმისა, რომ 1509 წელს პოლონეთის მეფემ სიგიზმუნდ I-მა მიტროპოლიტი იოსებს მიანიჭა კიევისა და გალიციის ტიტული, პირველ იერარქს (მართლ-მადიდებელი ეკლესიისა) ფაქტობრივად ჩამოართვეს დასავლეთ უკრაინის ეპარქიების მართვისა და იქ საკუთარი წარმომადგენ-

ლის ყოლის უფლება. სამაგიეროდ პოლონეთის ხელისუფლებამ ყოველივე უფლებები მიანიჭა ლვოვის კათოლიკური ეკლესიის არქიეპოსკოპოსს. აღნიშნულთან დაკავშირებით (სიგიზმუნდი) თავის „უნივერსალში“ ცინიზმამდე დაყვანილ თავისი „გულწრფელობით“ ამ ნაბიჯის აუცილებლობას ხსნიდა იმით, რომ მართლმადიდებლობის მობრუნება კათოლიკურ წიაღში უფრო მოხერხებული იქნებოდა „ქვემარტივ სარწმუნოებაში“ დასაბრუნებლად. მიუხედავად ამისა გალიციის ძირძველობა მოსახლეობამ სიყვარულით შეინახა მართლმადიდებლობა. ამდენად მართლმადიდებელი უკრაინელები, როგორც გლეხები, ასევე შლიახტა, ცხოვრობდნენ ძირითადად სოფლებში. ამიტომაც გაკათოლიკება გალიციაში ძირითადად ქალაქების მოსახლეობაზე ხდებოდა. აქ მართლმადიდებლები უმცირესობას წარმოადგენდნენ. რაც შეეხება უფლებრივ მდგომარეობას, რომ არაფერი ითქვას პოლონელებისა და გერმანელების დიდ უფლებებზე, ებრაელებს უფრო მეტი პრივილეგიები გააჩნდათ გალიციაში, ვინემ მართლმადიდებლებს. ისტორიული წყაროები მეტყველებენ იმაზედაც, რომ მართლმადიდებელი მოძღვრის დანიშვნა ქალაქის სამრევლოში დამოკიდებული იყო კათოლიკე მაგისტრატზე. მართლმადიდებელ მღვდელს ქალაქში გასვლა ეკრძალებოდა საეკლესიო შემოსასვლელით. ასევე ეკრძალებოდა მღვდელს გარდაცვლილ მართლმადიდებლის სასაფლაოზე სანთლებით გაცილება. მღვდელი იქ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო, როგორც კერძო პირი.

1530 წლისთვის მართლმადიდებელთა უფლებრივი მდგომარეობა გალიციაში კრიტიკული გახდა, რაც უპირველეს ყოვლისა გამომწვეული იყო რომაულ-კათოლიკური არქიეპოსკოპოსის სწრაფვით მიტროპოლიტის მამასახლისად (მართლმადიდებელი სამრევლოებისათვის) ისეთი პიროვნება დაენიშნა, რომელიც აქტიური ხელისშემწყობი იქნებოდა ლათინიზაციისა და კათოლიკური პროზელიტიზმის საქმეში

აღნიშნული მიმართულებით მართლმადიდებლებიც ცდილობდნენ მოეხდინათ გავლენა მამასახლის კანდიდატურის არჩევანზე. მათ თხოვნით მიმართეს პოლონეთის ხელმწიფეს, აერჩიათ ისეთი მამასახლისი, რომელიც გაითვალისწინებდა მართლმადიდებლების ინტერესებსაც. სიგიზმუნდ I მიიღო გადაწყვეტილება ლვოვში აღორძინებული იყო მართლმადიდებლური საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც წინათ მდებარეობდა გალიციაში და პირველად გამოჩნდა ეპისკოპოსი - მიტროპოლიტი გალიციისა, მეუფე ლვო-

ვისა და კამენეც-პოდოლსკისა, ამ დროიდან ასე ეწოდებოდა ადგილობრივ უმაღლეს მღვდელმთავარს.

ბრესტის უნიის გაფორმების (1596წელს) შემდეგ გალიციის მართლმადიდებელი მრევლი შეგნებულად განუდგა ძალდატანებას და მთელი საუკუნის მანძილზე წარმატებით იგერიებდა პოლონელ ხელისუფალთა მხრიდან ზენოლას მიეღოთ კათოლიკური აღმსარებლობა. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე ლვოვში და მის მიმდებარე მიწა-წყალზე არ მოქმედებდა არც ერთი მართლმადიდებლური ეკლესია. ქალაქი გადაიქცა ერთ-ერთ უდიდეს მართლმადიდებლურ ცენტრად და კათოლიკურ პროზელიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლად მთელ რეჟ პოსპოლიტაში.

გალიციაში, როგორც რელიგიურ კათოლიკურ ცენტრში მოქმედებდა ცნობილი „უსპენსიკის“ ძმობა, რომლის წიაღში მოქმედებდა ტიპოგრაფია და სასულიერო სკოლა. იმდენად დიდი იყო გალიციის დედაქალაქის მნიშვნელობა, რომ წარმოიშვა საჭიროება კიევის მიტროპოლიტად განმანათლებელ პეტრე მოგილას დადგინების აუცილებლობა. მისი ინტრონიზაცია იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ეს ფაქტი აღიარა პოლონეთის ხელისუფლებამ, რომელიც იმთავითვე დათანხმდა (ბრესტის უნიის შემდგომ) რეჟ პოსპოლიტაში მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინებაზე. ინტრონიზაცია შედგა 1633 წელს უსპენსკის საძმოს ეკლესიაში.

მთელი XVII საუკუნის მანძილზე ლვოვის ეპარქია ინახავდა მართლმადიდებლებისადმი ერთგულებას. მიუხედავად ამისა ჰეტმან ბოგდან ხმელინცკის განმანათავისუფლებელი ბრძოლების შემდეგ მარცხენა სანაპიროს თავისუფალ კაზაკთა უმეტესობა და მართლმადიდებელი მიტროპოლიის ცენტრი კიევი უერთდება მოსკოვის სახელმწიფოს. რეჟ პოსპოლიტას ხელისუფლების ქვეშ დარჩა მარჯვენა სანაპიროს უკრაინა, სადაც პოლონური გავლენა გაცილებით ძლიერი იყო.

პოლონეთთან გამუდმებულ ბრძოლებში მოსკოვმა ვერ აღმოუჩინა რეალური დახმარება დასავლეთ უკრაინელ ერთმორწმუნეებს. ამ პერიოდიდან, დარჩნენ რა მხარდაჭერის გარეშე, რეჟ პოსპოლიტას დაქვემდებარებაში აღმოჩენილი მართლმადიდებლები უძლურნი გახდნენ კათოლიციზმის ექსპანსიასთან მიმართებაში.

1676 წელს პოლონეთის სახელმწიფოს ხელისუფლებამ აუკრძალა მართლმადიდებელ უკრაინელებს ჰქონოდათ სულიერი ურთიერთობა აღმოსავლეთის პატრიარქებთან, ასევე აეკრძალათ პოლონეთის საზღვრებიდან გასვლა, ხოლო მართლმადიდებლურ



დმობას ებრძანა დამორჩილებოდნენ ადგილობრივ ეპისკოპოსებს.

საბოლოოდ პოლონეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ამოეწურა საკითხი მართლმადიდებლობის შესახებ გალიციაში. მაგრამ რადგანაც უნიასთან მიმართებაში უკრაინელები უარყოფითად იყვნენ განწყობილნი. კათოლიციზმის დასაწერად გამოყენებულ იქნა უფრო დახვეწილი იეზუიტური ტაქტიკა, უფრო მოქნილი, ვინემ ეს იყო ბრესტის უნიამდე. ხელისუფლებამ მართლმადიდებლური კათედრებიდან აარჩია ისეთი კანდიდატები, რომლებიც მერყეობდნენ ორ მიმართულებას შორის და მისცა მათ დავალება დროგამოშვებით თავიანთ ეპარქიებში ექადაგათ უნიაზე გადასვლის აუცილებლობა. შედეგად ფარულმა უნიატებმა ინოკენტი ვინიციკი და ვარლამ შეტინციკი შესაბამისად დაიკავეს პერიემიშლისა და ხოლმის ეპარქიები, ხოლო მათმა თანამებრძოლმა იოსებ შუბლიანსკი ლვოვის საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა, ეს უკანასკნელი ხელისუფლების ბრძანებით „ადმინისტრატორად“, ე.ი. კიევის მიტროპოლიაში შემავალ მთელი მართლმადიდებელი ეპარქიების მმართველად იქნა აღიარებული. სრულიად რეჩ პოსპოლიტას ტერიტორიაზე. თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მართლმადიდებლობის დასაწერევად აქტიური მუშაობის შედეგად უკვე უშრომლად შესაძლებელი იყო უნიაზე გადასვლის გამოცხადება, რაც შუბლიანსკიმ კიდევაც გააკეთა ლვოვის ეპარქიის სახელით 1700 წელს მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი დარტყმა მიაღწა მართლმადიდებლობას, თავიანთ საქმიანობას განაგრძობდა ლვოვის უსპენის მართლმადიდებლური საძმო, მაგრამ უკვე „ადმინისტრატორის“ რანგში მყოფმა შუბლიანსკიმ შეიარაღებული პოლონელებით დაარბია მართლმადიდებელი საძმო. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს ხსენებული ორგანიზაცია უნიის წინააღმდეგ ბრძოლას 1708 წლამდე განაგრძობდა.

როგორც პოლიტიკური პროცესები გვიჩვენებს მართლმადიდებელ საძმოს დიდი იმედი ჰქონდა იმისა, რომ პოლიტიკური მდგომარეობა მათ სასარგებლოდ შეიცვლებოდა იმ დროს რუსეთ-შვედეთის ომი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. 1704 წელს პეტრე I-მა თანხმობა განაცხადა, რომ მარჯვენა სანაპირო ივანე მაზეპას დაეკავებინა. მან როგორც კი განიმტკიცა თავისი ძალაუფლება უკრაინის მარჯვენა სანაპიროზე, პოლკების რაოდენობა შვიდამდე გაზარდა და მიწები კაზაკებს დაურთა. 1704 წელს კაზაკურმა არმიამ შვედები ლვოვიდან დასავლეთისაკენ განდევნა.

შვედებისა და პოლონელების უკრაინაზე თავდასხმის საშიშროებასთან დაკავშირებით, აქ ციხე-სიმაგრეების და სხვა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა და შეკეთება დაიწყო. ბუნებრივია, მართლმადიდებლური საძმო ამ შემთხვევაში ორიენტირებული იყო პოლიტიკაზე, იმ იმედით, რომ პოლონეთის ხელისუფლება გაიდევნებოდა ქვეყნიდან და აქ სასიკეთო ძვრები მოხდებოდა, „ძმობა“ ცდილობდა საკუთარი ორგანიზაციის შენარჩუნებას. ასეთ პირობებში 1708 წელს მაზეპამ რუსეთის ხელმწიფეს დახმარების თხოვნით მიმართა, რაზედაც პეტრე I-მა უპასუხა, რომ მის მხარდაჭერას ვეღარ შეძლებდა. ასეთ პირობებში ლვოვი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მყოფმა შვედების ხელმწიფის წარმომადგენელმა კოლოსალური კონტრიბუცია დაუწესა (120 ათასი ჩერნოვეცი) მართლმადიდებლურ საძმოს, რაც ბუნებრივია, ორგანიზაციის დაშლაზე მიანიშნებდა.

შუმიანსკის მოღალატოებრივი საქმიანობის შემდგომ გალიციაში იწყება უნიატების მხრიდან არნახული ძალადობა, ეს უკანასკნელი თანდათანობით იკავებენ მართლმადიდებლურ სალოცავებს. სწორედ იმ პერიოდში ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია ხდება მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა ქონების მფლობელი. აღნიშნულის დასტურად აქ გვინდა მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი: წმინდა ონოფრეს მონასტერი ლვოვი დაფუძნებული იყო მართლმადიდებლების მიერ, ჯერ კიდევ გალიც-ვოლინის სამთავროს ფარგლებში XIII საუკუნეში, შემდგომ პერიოდში სავანე გაკეთებულ იქნა დიდი მთავრის ოსტროუსკის მიერ. კონსტანტინე-პოლის პატრიარქის იერემიას მიერ გაცემული სიგელით მონასტერი ეკუთვნოდა უსპენის მართლმადიდებლურ საძმოს, რომელმაც სავანეში მოაწყო ტიპოგრაფია. აქ შრომობდა და მოღვაწეობდა დიდი მთარგმნელი ივანე ფიოდოროვი, რომელიც ამავე მონასტერშია დაკრძალილი. მხოლოდ XIII საუკუნეში წმინდა ონოფრეს მონასტერი გადაეცა ბერძენ-კათოლიკეთა მონაზვნებს (ბაზილიანის ორდენს). უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელებმა მიზანმიმართულად გაანადგურეს დიდი მოღვაწის საფლავი. კათოლიკებმა სავანეში ამოძირკვეს მართლმადიდებლობის მაუწყებელი ყოველივე და ამის შედეგად გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ დახურა მონასტერი. უფრო მოგვიანებით მონასტრის ერთ ნაწილში გაკეთდა მუზეუმი, სადაც გამოფენილი იყო ივანე ფიოდოროვის უძველესი წიგნები.

„პერესტროიკის“ პერიოდში ლვოვის ხელმძღვანელობამ მი-

ილო გადაწყვეტილება წმინდა ონოფრეს მონასტრის უნიატებისთვის მიკუთვნებაზე. ამის შემდგომ აქ ბაზილიანელები განთავსდნენ. პირველ რიგში რითაც დაინწყეს უნიატელებმა, იყო მუზეუმისა და ექსპონატების განადგურება, მაშინვე იავარყვეს წიგნები და ასევე დაანგრეს დიდი მოღვანის ივანე ფიოდოროვის ძეგლიც.

კათოლიკური აგრესიის მსხვერპლი შეიქმნა ლვოვის მახლობლად უნევის მონასტერიც, რომელიც წყაროებში ცნობილია XVI საუკუნიდან. სავანე ასევე მიეკუთვნებოდა ლვოვის მართლმადიდებლურ საძმოს. XVI საუკუნის ბოლოს აქ მოღვანობდა დასავლეთ უკრაინელი სასულიერო მწერალი ივანე ვისენსკი, - ანტიკათოლიკური ტრაქტატების ავტორი. ეს მონასტერიც დაიკავა ბაზილიანელებმა კათოლიკე მონაზვნებმა. ასეთივე მდგომარეობა განიცადა კრეხოვის მონასტერმა, რომელიც დაფუძნდა XVII საუკუნეში, როგორც „მართლმადიდებლობის სვეტი“. ასე მოიხსენიებდნენ ამ მონასტერს იმ პერიოდში, როცა ყველაზე მეტად დევნას განიცდიდა მართლმადიდებლობა (1596 წელს ბრესტის უნიის შემდგომ).

თანამედროვე პერიოდში ეს მონასტერიც ბაზილიანელებმა კათოლიკეებმა დაიკავეს და მოანწყვეს აქ (დასავლეთ უკრაინაში) უნიატრული პროზელიტიზმის ცენტრი. მონასტერთან არსებობს ბერძნულ-კათოლიკური სემინარია. უნიატებს, რომელთაც არქივისკოპოსი ტორანი თვლის გალიციის ეკლესიების „კანონიერ მფლობელად“ გადაეცათ სხვა მრავალი მონასტერი და ეკლესია გალიციაში, რომლებიც მართლმადიდებლებს აშენებული ჰქონდათ ჯერ კიდევ ბრესტის უნიამდე. ეს და სხვა უძველესი მონასტრები აგებული XII საუკუნეში, გადაეცა კათოლიკებს.

მიუხედავად პოლონეთის ხელისუფლების მხრიდან კოლოსალური ძალისხმევისა აღმოეფხვრა გალიციიდან მართლმადიდებლობა, ამას ვერ მიაღწია. მართალია, მართლმადიდებლებს ჩამოართვეს ყველა ტაძარი და მონასტერი, მაგრამ ისინი ხვთისმსახურების აღსასრულელებად იკრიბებოდნენ კერძო სახლებში და ამგვარად იკმაყოფილებდნენ სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას. ერთადერთი სალოცავი, რომელსაც კათოლიკეები ვერ დაეპატრონენ იყო კარპატების მაღალ მთებში მანიავის სავანე. აქ მოღვანეობდა უამრავი მართლმადიდებელი მონაზონი, რომლებიც ნახევრად არალეგალურად აპურებდნენ გალიციელ მრევლს. 1785 წელს მართლმადიდებლებისათვის ეს ნათელი სვეტიც იქნა განადგურებული.

პოლონეთის შემდგომი დაყოფის შემდეგ ავსტრიის მონარქიამ ოკუპირებულ გალიციის მართლმადიდებლებს, ასევე მანია-

ვეის მონასტრის უკანასკნელ ილუმენს ისააკს მოსთხოვა მიელო უნია, მაგრამ ამ უკანასკნელმა მიიღო უარი. საპასუხოდ მონასტერი გაძარცვეს და დახურეს. დარბეული სავანიდან გატანილი ხატები ლვოვის მართლმადიდებლებმა გამოისყიდეს, რომელთაც იმავდროულად 1785 წელს ავსტრიის ადმინისტრაციისაგან მიიღეს დასტური მისათან დაკავშირებით, რომ ლვოვში შეექმნათ მართლმადიდებლური თემი და იქ გაეერთიანებინათ უკრაინელები, ბერძნები და რუმინელები. იმჟამად დაფუძნებულ მართლმადიდებლურ გაერთიანებას არსებობა არ შეუწყვეტია. ეს თემი დღესაც განაგრძობს თავის მოღვანეობას უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში.

ცნობილია ასევე, რომ XIX საუკუნეში გალიციაში არსებობდა კიდევ ორი მართლმადიდებლური ეკლესია: ლვოვში ქალთა საპატრიარქოსთან და მამათა მონასტერს სტანისლავეში (ივანო-კსანკოვში). მართლმადიდებელი თემის წინამძღვარი ლვოვში მონაზონი ევგენი ვოროხვევიჩი გვაცნობებს, რომ 1890 წელს მის სამრევლოში 72 ლვოველი ოჯახი იყო გაერთიანებული, რომელიც მოითვლიდა 340 კაცს. მთლიანად მთელს გალიციაში იმჟამად (XX საუკუნის ბოლოს) მათი რიცხვი შეადგენდა 226 ოჯახს (1089 კაცს).

პოლიტიკური სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით მართლმადიდებლების რიცხვის ზრდა გალიციაში XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა. მართლმადიდებლობას უბრუნდებოდა არა მარტო მრევლი, არამედ უნიატების სამღვდელთაგან. განსაკუთრებული ხასიათი მიიღო ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიიდან წარმოჩენილ პირთა გადმოსვლამ მართლმადიდებლურ წიაღში. უნდა აღინიშნოს, რომ ლათინიზირებული ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის იეზუიტური მიმართულება, რომელიც პოლონეთის ხელისუფლების დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, იმჟამად უმძიმეს გარემოებაში აღმოჩნდა. აღნიშნული მოვლენა პოლიტიკაში მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული (კოლოსალური მასშტაბებით) საზოგადოებრივ პოლოტიკურ-მოდრაობასთან, უპირველეს ყოვლისა „მოსკოვფილობასთან“, მიმართულს უკრაინის რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთებისაკენ. საწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნდათ „ნაროდვოლებს“, რომელთაც აქტიურ მხარდაჭერას უწევდა ავსტრო-უნგრეთი. პოლიტიკურმა პროცესებმა იმდენად მძიმე ხასიათი შეიძინა, რომ 30 ათასზე მეტი „მოსკოვოფილი“ შეეწირა პირველ მსოფლიო ომის წინა ხანებში ამ მოვლენებს. გამოცხადდა რა „მეხუთე კოლონად“ რუსული იდეები, ქვეყანაში დაიწყო

„მოსკოვოფილების“ დახვრეტა, გადასახლება და კატორღაში გაგზავნა. რეპრესიების მსხვერპლი შეიქმნა 800 მართლმადიდებელი ღვთისმსახური და უამრავი ბერძულ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელი, რომელიც თანაუგრძნობდა მართლმადიდებლობას.

მართლმადიდებლობაზე მასობრივი გადასვლა მიმდინარეობდა პირველ და მეორე მსოფლიო ომის შუალედშიც. განსაკუთრებულად მაშტაბური იყო ეს მოძრაობა პერემიშლის ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობაც თავის თავს უწოდებდა „ლემკებს“. 1920 წლისათვის ლემკების ნახევარზე მეტი ტოვებს უნიატურულ ეკლესიას და გადადის მართლმადიდებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის ხელისუფლება ძალზედ რეაგირებდა ხსენებულ პროცესებზე, მოძრაობა ამ მიმართულებით არ შეჩერებულა.

XX საუკუნის 30-იან წლებში მართლმადიდებლების ისტორიაში უკრაინის ტერიტორიაზე იყო უპრეცედენტო. პერემიშლისა და ხოლმის მთელ ტერიტორიაზე გატარდა მართლმადიდებლების სასტიკი დევნა და მათი ეკლესიებისა და სინამდვილის მიტაცება და შეურაცხყოფა.

### III თავი. კარპატისპირა უკრაინის ისტორიული კავშირები ათონსა და „წმინდა მიწასთან“

როგორც ცნობილია, კიევის რუსეთი მსოფლიო ქრისტიანობის საერთაშორისო ასპარეზზე მოგვიანებით გამოვიდა და, როგორც ქრისტიანულმა ქვეყანამ ახალი მსოფლმხედველობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე (988 წელი) დაიწყო მსოფლიო ასპარეზზე დამკვიდრებისთვის მიზანმიმართული ბრძოლა. ნიშანდობლივია, რომ კიევის რუსეთს ამ ბრძოლაში სერიოზული დაბრკოლებებიც ელოებოდა, რაც ვლინდებოდა როგორც საერო, ასევე სასულიერო სფეროში: ამ პერიოდში კიევის რუსულ ქვეყანას უნდოდა მთლიან ერთეულად შეეკრა ქვეყანა, მოეხდინა მართველობის სისტემის ფორმირება, შეემუშაებინა სახელმწიფო იდეოლოგია, რაც ბუნებრივია, ეროვნული ტრადიციების რუსული მენტალიტეტისთვის უნდა ყოფილიყო შესატყვისი. ამგვარი იდეოლოგიის საყრდენად კიევის მთავრებმა იმთავითვე ქრისტიანობა შეარჩიეს, მაგრამ მისი ფორმირების გზა ისეთივე მტკივნეული და წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა, როგორც თავის დროზე სხვა იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც ამგვარი არჩევანი გააკეთეს. ამავედროულად, კიევის ქრისტიანი მთავრების მცდელობა ცივილიზირებული ქვეყნების გვერდით დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი, რაც კიდევ უფრო დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულით იყო განპირობებული ბერ-მონაზვნების სწრაფვა საკუთარი ადგილი დაემკვიდრებინათ ათონსა და „წმინდა მიწაზე“

ათონი, როგორც ბერ-მონაზვნული სამყარო VI-VII საუკუნიდან უნდა არსებობდეს, რომლის წარმოშობა უკავშირდება მაჰმადიანთა მიერ ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის დაპყრობასთან და ამ ქვეყნებში ქრისტიანების მონოფიზიტური განხეთქილების დაბადება-გავრცელებასთან. აღმოსავლეთის დაკარგვის შემდეგ, მართლმადიდებლური მონაზვნობის ცენტრმა ათონზე გადაინაცვლა. უკვე IX საუკუნიდან ათონზე გაჩნდა მონაზვნური საცხოვრისის პირველი ელემენტი, ხოლო X საუკუნის მიწურულიდან „წმინდა მთის“ პირველი საერთო სტატუსი ე.წ. „ტრაგოსი“ (თხა), რადგან მისი ტიპიკონი დაიწერა თხის ტყავისაგან დამზადებულ პერგამენტზე. „ტრაგოსს“ ხელი მოაწერეს ათონის მთის პირველმა ბერებმა წმინდა ათანასემ და ბიზანტიის იმპერატორმა იოანე ციმისმა. X-XI საუკუნეებში ათონი უკვე კარგად ორგანიზებული ადგილია, სადაც

მოქმედებდნენ სხვადასხვა ეთნოსის მონაზვნებით დაკომპლექტებული მონასტრები.

კიევის რუსეთზე ათონის მთით პირველი დაინტერესება გამოწვეული იყო სლავურ მიწებთან მისი გეოგრაფიული სიახლოვეთ. საამისო პირველ ისტორიულ საბუთად მიჩნეულია უკრაინული სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებლის ანტონ პეჩორელის ათონზე ორგზის მოგზაურობის ჩანაწერები (1051 წელი). მართალია, ამ დროიდან არ დაწყებულა უკრაინელი ბერების მასიური ჩასახლება ათონზე, მაგრამ კიევში ფაქტობრივად დაწყებული იყო საგანგებო სამზადისი საკუთარი სასულიერო უჯრედის დადგინებისთვის „წმინდა მთაზე“.

ათონის სლავურენოვან წერილობით აქტებში პირველად არის მოხსენიებული ღვთისმშობლის სახელობის სავანე „კლისურგუ“ („ხე-ცხოვრებისა“, რომელიც სახელდება კიეველი ბერების ცენტრად (XII საუკუნე).

XII საუკუნის მიწურულიდან „კლისურგუს“ სავანიდან ბერებმა გადაინა-ცვლეს ახალ, შედარებით, ფართო წმინდა პანტელეიმონის მონასტერში („რუსიკი“) ეს უკანასკნელი „თესალონიკის მონასტრის“ სახელით იყო ცნობილი. „რუსიკის“ აქტები იუწყებიან „თესალონიკის მონასტრის“ სავალალო მდგომარეობასა და ბერძენი ბერების ღრმა რწმენას, რომ სწორედ სლავების მოღვაწეობით მოხდებოდა მისი აღორძინება. კიეველი ბერებისთვის თესალონიკის მონასტრის გადაცემის ბრძანებას ხელს აწერდნენ, საერთაგან ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენოსი და სასულიეროთაგან: წმ. ათანასეს ლავრის ილუმენი თეოდოსი, „ივერონის“ არქიმანდრიტი მიხეილი, ვათოპეტის საკანის ბერი ეგნატე, ამალთიის წმ. მარიამის მონასტრის ილუმენი, კარაკალის საკანის ბერი მიტროფანე (1081 წელი), წმ. პანტელეიმონის მონასტერში გადასულ კიეველ ბერებს თხოვნით მიუმართავთ ათონელი მამებისთვის შეენარჩუნებინათ ძველი სავანეც: „... ჩვენ აქ აღვიკვეცენით ბერებად, ბევრიც ვიღვანეთ, ვიბრძოლეთ მისი შენარჩუნებისთვის, მონყობისათვის, აქ განისვენებენ ჩვენი თანამემამულე ბერებიც...“ აღნიშნავდნენ რუსი მონაზვნები.

კიევის რუსეთის სასულიერო საცხოვრისის დაარსების მიზეზით საქრისტიანო მონაზვნობის მსოფლიოს ერთ-ერთ მართლმადიდებლურ ცენტრში, ათონის წმინდა მთაზე საძიებელია ერთის მხრივ, რუსული სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში, მისი ერთიანი ეკლესიის ჩამოყალიბებაში და, რაც მთავარია, რუსეთის საგარეო პოლიტიკის დარეგულირებაში.

რუსული ფენომენის ათონის მთაზე დამკვიდრების გზა რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. მან საინტერესო ევოლუციური გზა განვლო, დაწყებული ე.წ. მთიანი „რუსიკით“, იგივე თესალონიკის მონასტრით, გაგრძელებული „კლისურგუს“ ფორმირებით და დასრულებული წმ. პანტელეიმონის მონასტრის დადგინებით. პირველი ორის შერწყმამ, ათონზე დაამკვიდრა სასულიერო ცენტრი, წმ. პანტელეიმონის სამონასტრო კომპლექსი. მონასტრის ფუნქცია არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საგანმანათლებლო-მართლმადიდებლური მიმართულებით, არამედ მას მძლავრი საერთაშორისო პოლიტიკური მისიაც ჰქონდა დაკისრებული. განსაკურებით ძლიერი გახდა ათონის წმ. მთის ფუნქცია კიევის რუსეთის მიწა-წყალზე უცხო ტომების მოძალებითა და მისი სახელმწიფოებრიობის საყრდენის მართლმადიდებლობისათვის ზიანის მიყენების მიზნით სხვა აღმსარებლობის (ძირითადად კათოლიკობის) მოძღვრება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამიშროების წინაშე აღმოჩნდა უკრაინის დასავლეთი ნაწილი.

კარპატისპირა უკრაინის ისტორიული კავშირები ათონის მთასთან მოითვლის ათასს წელს და სათავეს იღებს კიევის რუსეთის გაქრისტიანების ეპოქიდან. იმ დროისათვის წმინდა მთა წარმოადგენდა ბერ-მონაზვნური ცხოვრების მთავარ სასწავლებელს მთელი მართლმადიდებლური სამყაროსთვის. კიევის რუსეთიდან წმინდა მთაზე ძალზედ ადრე დაიწყო მომლოცველების მიდინება. ერთ-ერთი ასეთი მოგზაური იყო ქალაქ ლუბეჩიდან ანტიპა, რომელიც ათონზე ბერად აღიკვეცა და ეწოდა ანტონი. გარკვეული დროის შემდეგ ის დაბრუნდა კიევში და დააფუძნა კიევ-პეჩორის მონასტერი, რომელსაც მისცა ათონის მონასტრების იერსახე. ეს სავანე, ისე ვითარცა მისი დამფუძნებელი, თანდათანობით გახდა სახელგანთქმული მთელს მართლმადიდებელ სამყაროში. მონასტერში მონაზვნების რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოსე უგრინი. როგორც მათიანე გვატყობინებს მოსეს მონაზვნობა პოლონელებისგან ტყვეობის დროს მიუღია, ერთ-ერთი ათონელი იერარქის მიერ, რომლებიც დროდადრო შემოდოდნენ ახლადგაქრისტიანებულ სლავურ მიწებზე ქრისტიანობის უფრო მეტად განმტკიცების მიზნით.

გამომდინარე იქიდან, რომ კარპატისპირეთი წარმოადგენდა დერეფანს რუსეთის მიწებსა და იმ სლავურ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ძალზედ განიცდიდნენ წმინდა მთა ათონის ძლიერ ზეგავლენას ბალკანეთზე. მისი მეშვეობით რუსულ მიწებზეც გავრ-

ცელდა წმინდა მთის გავლენა. ამ ფენომენის არსებობის მაგალითზე შეიძლება დავასახელოთ XV საუკუნეში რუსეთში გავრცელებული წმ. სავვას ლავრის წესდება, რომელიც ცნობილია, როგორც იერუსალიმის საეკლესიო წესდება. ეს წესდება, რომელიც დღესაც მოქმედებაშია რუსულ ეკლესიაში, პირველად თარგმნილ იქნა სლავურ ენაზე ათონის მთაზე XII საუკუნეში სერბელი წმ. სავვას მიერ. არქიეპისკოპოსად გახდომის შემდეგომ სავვამ შეიტანა იგი სამოქმედოდ სერბეთის ეკლესიაში, ამის შემდეგ იერუსალიმის ტიპიკონი მიღებულ იქნა ბულგარეთში და ცოტა მოგვიანებით რუსეთში.

1646 წელს უჟგოროდში უნიის გაფორმებასთან დაკავშირებით, კარპატისპირეთის კავშირი ათონის მთასთან პრაქტიკულად შეწყდა, მაგრამ წმ. მთის ხსოვნა, როგორც მართლმადიდებლური რწმენის სიმბოლო, სისხლხორცეულად იყო შერწყმული კარპატისპირა უკრაინელებში XX საუკუნემდე, როცა აქ უკვე გამოცოცხლება და აღორძინება დაიწყო მართლმადიდებლობამ. თავდადებულ მოციქულთა სწორად და სულიერ ბელადად მოეგვინა თავის ხალხს კარპატისპირეთის მოძღვარი ალექსი (კაბალიუკი). 1905 წლიდან იწყება მისი აქტიური ქადაგება მხარეში მრევლის მშობლიურ, მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დასაბრუნებლად. მართლმადიდებლურმა მოძრაობამ სულ ცოტა ხანში მიიღო შეუქცევადი ხასიათი, კარპატისპირელები მასობრივად გადმოდიოდნენ ტრადიციულ სარწმუნოებაზე. ამდენად, 1905 წელს ამ მოძრაობის აქტივისტების კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გაეგზავნათ ალექსი კაბალიუკი ათონის წმ. მთაზე, რათა მას იქედან ჩამოეტანა მართლმადიდებლური სინმინდეები მორწმუნეებში რწმენის განსამტკიცებლად. მეორე წელს ალექსანდრე გაემგზავრა იერუსალიმში, მივიდა რუსულ წმ. პანტელეიმონის მონასტერში ათონზე. როგორც წყაროებიდან ჩანს ათონზე ყოფნისას მოღვაწეობდა მონაზონი ვიარჩესლავი, უკრაინული სოფელ ბერეზოვადან, რომელმაც გააცნო ალექსანდრეს მონასტრის ილუმენი არქიმანდრიტი მისაილი. არქიმანდრიტმა მისაილმა მოისმინა ალექსანდრესაგან მართლმადიდებლობის მდგომარეობის შესახებ კარპატისპირეთში, შეკრიბა მონასტრების წინამძღვრები, მოიწვია კრება, რომელზედაც 1908 წელის 8 მაისს გადაწყდა, რომ საზეიმო ვითარებაში მოეწყობათ ალექსანდრე კაბალიუკის შეერთება-შერწყმა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. მიიღო რა წმინდა საიდუმლო, ალექსანდრემ არქიმანდრიტ მისეილისაგან მიიღო ღვთისმშობლის ხატი („Акафистаная“) სიტყვებით: „Пришите от меня эту икоиу божей матери и отвезите ее в

свой край как благославление Святой горы“

ხატს უკანა მხრიდან ჰქონდა ასეთი წარწერა:

„Святая афонская гора 1908 года июля 8 дня. Сия святая икона пресвятыя ииго-родицы, погобие видош и шерою чудотворной Афанской заграфского монастыря, писана и освящена на Афоне и доруется от игушена русского Афонского Пантелеимона монастыря архимандрита Мисаила со всей о Христе братиею новово соединившемуся святого восточною каролического православного церковню во святой обители нашей, онныне духовно-му сыну нашему, раку божию Александру Кабалюну, жителю и подданому Австро-ун-грии, во благословение ему от святыя Эори Афонския-земного удела царицы небесныя и нашей священныи обители во имя святого славного великомученика и целителя Пантеле-имона, в благодатную ему помощь от всяких бег, зол и напастей, от всяких врагов види-мых и не выдимых и во укрепление его в торжественно данном им обещании даже досмерти быть верными и послушным святой Апостолской православной восточной церкви, ея-же глава есть всесвятой господьнам Иесус Христос. Аминь. Пресвятая богородице, спаси раба твоего. Мати божия, просвети всех заблудших“.

მეორედ მორჩილმა ალექსიმ ათონზე იმოგზაურა 1910 წელს. ამჟამად იერომონაზონის წოდებით, რუსეთის იმპერიის სახელით გაცემული პასპორტით. ათონზე მისი მისვლის მიზანი იყო რუსეთის საზღვარგარეთული დოკუმენტების შეცვლა ათონით, რაც მას უფრო მეტ საშუალებას მისცემდა სამშობლოში დასაბრუნებლად. წმ. პანტელეიმონის მონასტრის ილუმენმა არქიმანდრიტმა მისაილმა სიხარულით მიიღო იგი, ასევე მისცა მას მონასტერში მოღვაწეობის ნება და მიაღწია იგი ათონის წმ. მთის მთავარი გამგებლისგან (протата) ნებართვას ემოღვაწა დანარჩენ მონასტრებშიც იერომონაზონ ალექსის და მიეღო კურთხევა. ოთხი წელი მოღვაწეობდა ხსენებული მონაზონი წმ. მთაზე, სანამ არ მიიღო არქიმანდრიტ მისეილისგან მონაზობა (1911 წელს) იმის შესახებ, რომ ის იყო წმ. პანტელეიმონის მონასტრის მოზინადრე. ეს დოკუმენტი ექვემდებარებოდა მტკიცებულებას კონსტანტინოპოლის პატრიარქის მხრიდან როგორც კანონიკურ ეპისკოპოსს ათონის მთაზე, რისი მეოხებითაც იერომონაზონ ალექსის გზა ეხსნებოდა კონსტანტინოპოლში გასამგზავრებლად.

უფლის ნათლისღების დღეს 1911 წელს არქიმანდრიტმა მისი ილიმა კონსტანტინოპოლში მსოფლიო პატრიარქთან სპეციალური

წერილით გააცვილა იერომონაზონი ალექსი და თან გაატანა წმ. ევხ-არისტიისთვის აუცილებელი ნივთები და წიგნები

ასეთი სახით ათონის წმ. მთას კარპატების მიწა-წყალთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდა მართლმადიდებლობის ასაღორ-ძინებლად. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ათონის მთიდან კარ-პატების მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის გამოგზავნილი წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ილუმენები: წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის არქიმანდრიტი მისაილი, მიტროფანე და იო-ანნე:

„Утверждайтесь в святой православной вере! Бережно храните дарованное вам туне неоценное сокровище! Проникайтесь духом православным! Очищайте обряды восточные от западной порчи, которой засарили их латиняне!.. Вас называют греко-камоликами, а на великом входе за литургией поминают „православыи~. Почему же вас, русских именуют греко-католиками? Потому что вы прыняли веру от греков. Значит, какая вера греческая, такая должна быть и ваша. Знайте же, что греки никогда не были католиками, а хранили всегда и днесь хранят в полной неповрежденности и чистоте святу православною восточную католическую веру и у нас, на святом Афоне, много греческих монастырей и все они православниые и Римскому Папу не признавали и не признают. Греков называют православными все народы мира, а с греками и всех других, исповедывающих вместе восточную веру, как то: русских, сербов, др болгары двух православий быть не может: или православный весь восток, а вас камолики держат обнаном в заблуждении; или только вы, малая горсточка униатов-православные, а все греки, русские, сербы, болгары, словом, весь древний православный восток, -ложно присвоили себе это наименование...ваше обращение в дом отчий,-в лоно православной церкви, послужит искурительной жертвой не только вашего личного греха, заблуждения, но и ваших предков, зоолет назад, по своему неведению и простоте, обманом же и насилием латинян отторгнутых от тела христов-а-святой церкви православной. Ваши молитвы за них, освящаемые истинными таинетвам святой матери-церкви православной, будет возноситься к богу как фимиам, ему благоприятный и дерзновенно ходатайствовать о помиловании и возвращений их на Авраамово из огня женского”.

ათონიდან სმშობლოში (კარპატებში) დაბრუნებული იერომონ-აზონმა ალექსიმ და მისმა ხელიშემწყობებმა მართლმადიდებლო-ბის განსამტკიცებლად უად-რესად მნიშვნელოვანი მუშაობა გააჩ-

აღეს. რისი შედეგიც იყო XX საუკუნის 20-40-იან წლებში კარპატებ-ში სამონასტრო ცხოვრების მნიშვნელოვნად გამოცოც-ხლება. დაფუძნდა ათობით ახალი მონასტერი. ამავე წლებში სამონასტრო ცხოვრებისთვის ახალი ნაკადი მიემგზავრება ათონზე, კერძოდ რუსულ წმ. პანტელეიმონის მონასტერში, სადაც ჩამოყალიბებას იწყებს ხსენებული სავანის საძმო

მიუხედავად ამისა ყველა დამონაფების მსურველს როდი გუ-მართლა ათონზე მოსახვედრად. მის მიზეზი გახდა იმჟამინდელი ბერძნული პოლიტიკა, მიმართული ელიზინებისკენ.

926 წლის 10 სექტემბერს საბერძნეთის ხელისუფლებამ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ათონის მთის მონაზვნები, მიუხედავად მათი ეროვნული ნიშნისა, ითვლებოდნენ საბერძნე-თის სახელმწიფოს მოქალაქეებად (подданными), კანონის გათვალ-ისწინებით ათონის მონასტრებში ვერ მოხვდებოდნენ ის პირები, რომელთაც არ ექნებოდათ საბერძნეთის მოქალაქეობა. იმისთვის, რომ არაბერძენ მოქალაქეს მიეღო ათონზე მოხვედრის ნებარ-თვა, მას საბერძნეთში უნდა ეცხოვრა არა ნაკლები ათი წლისა, ამასთან ერთად მსურველს წმ. მთაზე მოსახვედრად საბერძნეთის პოლიციიდან უნდა ჰქონდა დამაკმაყოფილებელი დახასიათება. ამ კანონით ფაქტობრივად ეკეტებოდათ გასასვლელი სლავი მოდგმის სასულიერი პირებს ათონის მთაზე სლავურ მონასტერში მოსახ-ვედრად.

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით კარპატისპირელების უმეტესობას ათონიდან მოუხდა სამშობლოში დაბრუნება. მხარეში დაბრუნების შემდგომ რამოდენიმე მონაზონმა ადგილობრივი სასუ-ლიერო ხელისუფლების ნებართვით 1930 წელს გადაწყვიტა ხუსტი-დან ცოტა მოშორებით „городилово“-ში დასახლება. ასე მიეცა და-საწყისი ათონიდან დაბრუნებული ძმების ჩამოყალიბებულ სავანეს რომელსაც ათონიდან საჩუქრად გადმოეცა დიდმონამე დიმიტრი სოლუნსკის წმინდა ნაწილები. ახლადგახსნილ წმინდა სამების მონ-ასტერში მოღვაწეობდა ასევე ორი ძმა იერომონაზვნები პანტელეი-მონი და იობი. უნდა აღინიშნოს, რომ აქედან ერთმა, - იობმა ორჯერ ფეხით იმოგზაურა ათონზე, რის შემდეგაც გახდა ის გოროდილოვ-კის იეროდიაკონი წმ. სამების მონასტერში. 1940 წელს ხსენებული მონაზონი ისე ვითარცა ათასობით სხვა კარპატელი საბჭოთა ხე-ლისუფლების მხრიდან გატარებული რეპრესიების შედეგად მოხ-ვდა გადასახლებაში. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ ციხის სასჯელი შეუცვალეს ფრონტზე წასვლით. ომის შემდეგ იობი დაბრუნდა

თავის მონასტერში, ხოლო 1946 წელს იგი არჩეულ იქნა მონასტრის ილუმენად. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში სავანემ იწყო გაფართოება და აყვავება. ამოშენებულ იქნა სატრაპეზო, საძმო კორპუსი, სამზარეულო. 1950 წლისთვის მონასტერი მოითვლიდა 25 მონაზონს

როგორც ცნობილია ნ. ხრუშოვის მმართველობის პერიოდში მრავალი მონასტერი და ეკლესია დაიხურა. ესეთივე ბედი ეწია საძმოს მიერ დაარსებულ წმ. სამების მონასტერს. მამა იობი დაბინავდა სოფელ უგოლკაში, სადაც მოღვაწეობდა როგორც სამრევლოს მღვდელი. არქიმანდრიტი იობი ათეიზმის პერიოდშიც დიდი მხარდაჭერითა და სიყვარულით სარგებლობდა საზოგადოებაში. 60-იან წლებში ასობით ადამიანი ჩადიოდა მასთან სარწმუნოებრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და მისი ღირსების გასამაგრებლად

იობის ძმა იერომონაზონი პანტელეიმონი (მართლმადიდებლურ სამყაროში გიორგი კუნდია) ცნობილია, როგორც ღვთისმშობლის დაბადების ქალთა მონასტრის დამაარსებელი. 1936 წელს იგი დამასკინის ეპისკოპოსად დაადგინეს. ამ მონასტერში მოღვაწეობდა იერომონაზონი კასსიანი, რომელმაც 32 წელი გაატარა ათონზე, აქედან სამი წელი განყენებულად იყო კარულის კლდეების ერთ-ერთ გამოქვაბულში

იობის მონაფე, რომელმაც მასწავლებლის ტრადიციები გააგრძელა იყო წმ. დიმიტრის სახელობის მამათა მონასტერის დამაარსებელი სოფელ დუბოკოში იერომონაზონი ილარიონი (რიბაკი). 1923 წელს გაემგზავრა ათონის მთაზე, საიდანაც ორი წლის შემდეგ დაბრუნდა (1925 წელი). 1939 წელს იერომონაზონი ილარიონი სოფელ დუბოკოში დამკვიდრდა და თავის თანამონაფეებთან ერთად ააგო ტაძარი და რამოდენიმე კორპუსი, აქედან დაედო წმ. დიმიტრის სავანის დაარსებას საფუძველი

კიდევ ერთი სავანე დიდმონამე პანტელეიმონის სახელობის ხუსტში „კოლესაროვოში“ დაარსებულ იქნა ათონიდან ჩამოსული იერომონაზონის მელენტი-ის მიერ

მამა მელენტი (მიხეილ რუშაკი) იყო ხუსტის მცხოვრები. იგი თექვსმეტი წლის ასაკში გადავიდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მან გაიცნო ცნობილი მოღვაწე ალექსი კაბალიუკი, რომელიც იმ დროისათვის მოღვაწეობდა ხუსტში. ამ უკანასკნელმა დიდი გავლენა მოახდინა მელენტიზე. მისი კურთხევით 1924 წელს მამა მელენტი მომლოცველად გაემგ-

ზავრა ათონის მთაზე. სამი თვის შემდეგ იგი დაბრუნდა ხუსტში, მაგრამ 1925 წელს კვლავ მიემგზავრება ათონზე და იქ მსმენელად რჩება რუსულ პანტელეიმონის მონასტერში. თავისი ღრმა მონაზვნური ღირსებით მან მალევე მოიქცია არქიმანდრიტ მისეილის ყურადღება, რომელმაც ეს უკანასკნელი 1926 წლის 18 აგვისტოს შემოსა მანტიით სახელად მელენტი. მამა მელენტიმ ათონზე დაჰყო 1927 წლამდე, ამავე წელს, იგი ავადმყოფობის გამო დაბრუნდა სამშობლოში. გამოჯანმრთელების შემდგომ არქიმანდრიტმა ალექსიმ იგი დანიშნა მართლმადიდებელი მღვდლების მოსამზადებელი კურსების გამგედ სოფელ ხურტში. 1931 წლის 29 აპრილს იოსებ ეპოსკოპოსის მიერ იგი აყვანილ იქნა იეროდიაკონის ხარისხში. 1934 წელს მელენტი ისევ მიემგზავრება ათონზე, სადაც მიიღო დიდი სხიმა, სახელად ლუკა. ექვსი თვის შემდგომ იგი კვლავ ბრუნდება ათონიდან და ფეხით ჩამოდის ხუსტში. დამასკონის ეპისკოპოსის ნებართვით იგი დაბინადრდა ტყეში, შემდეგ გამოქვაბულში და ხელი მიჰყო მეუდაბნოებას. თანდათანობით გამოქვაბულთან აშენდა კელიები და მცირე ზომის ეკლესია დიდმონამე პანტელეიმონის სახელზე. საგულისხმოა, რომ მამა ლუკამ თავის დაარსებულ კელიებში დაამყარა ათონის მთის წესრიგი. როგორც ათონზე ისევე აქაც, ღვთისმსახურება იწყებოდა ღამის 12 საათზე. დღესასწაულებზე იგი გრძელდებოდა მთელი ღამე. ტრაპეზი ნებადართული იყო მხოლოდ დღეში ორჯერ. თავისი ასკეტური ცხოვრებით მამა ლუკამ მალევე მიიპყრო იმათი ყურადღება, ვინც მონაზვნური იყო მონაზვნური ცხოვრებისათვის. მალე მათივე ხელისშეწყობით აშენებულ იქნა 5 კელია და ახალი ეკლესია, სადაც ღვთისმსახურება აღევლინებოდა მხოლოდ ათონის დებულებით

წმინდა ათონის მთა როგორც ღვთისმშობლის მიწიერი ნავსაყუდელი, ყოველთვის წარმოადგენდა საოცნებო მიზანს, რომელზედაც მოხვედრისთვის ოცნებობდნენ მართლმადიდებელი ხალხები. გამონაკლისს ამ მიმართულებით არც უკრაინელები წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით მისი კავშირები ათონთან გამოვლინდა XX საუკუნეში, როცა კარპატისპირა ტერიტორიებს ათონიდან მისწვდა მართლმადიდებლობის სხივი.

კარპატისპირა უკრაინელების სწრაფვა აეგოთ თავიანთი სულიერი ცხოვრება წმ. ათონის მაგალითზე, ნიშნავდა იმას, რომ მხარემ სიღრმისეულად ზურგი აქცია კათოლიკობას და გეზი აიღო მართლმადიდებლობაზე.

## ბიბლიოგრაფია

1. К. Главозда Крещение Руси, Киев 1988г.
2. Двухтысячелетия христианства и его распространение на Руси – М.Знание, 1992.
3. Н. Гориденко, Крещение Руси. 1984.
4. Б. Греков, Киевская Русь. м.1953.
5. Б. Греков, Феодальные отношения в Киевском государстве, л.1935.
6. В. Седов, Происхождение и ранняя история славян, м. 1979.
7. Г. Алферова, А. Харлампов, Киев во второй половине XVIIв. 1982.
8. Правда о Киево-Печерской Лавре.
9. Г. Кузьмин, Введение христианства на Руси, 1987.
10. Б. Рыбаков, Язычество древней Руси, м. 1987.
11. Н. Никольский, О древнерусском христианстве, 1913.
12. История русской архитектуры. м. 1956.
13. Л. Сахаров, А. Муравьев, Очерки русской культуры IX-XVIIв.в. 1962.
14. История культуры Древней Руси. м. 1948.
15. А. Новосельцев, Г. Памто, Древнерусское государство и его международное значение, м. 1965.
16. Г. Гошко, Население украинских Карпат XV-XVIII. 1976.
17. А. Масонов, Монголы и Русь, м. 1940.
18. Л. Кизя, М. Коваленко, Вековая борьба украинского народа против Ватикана, К. 1959.
19. В. Голубецкий, Россия и освободительная война украинского народа 1648-1654 г.г.
20. Национальная борьба украинского народа против Шляхтской Польши во 2-ой половине XVIи в 1-ой половине XVII в.в. К. 1939.
21. П. Зырянов, Православная церковь и самодержавие, м.1984.
22. Н. Лукин, Революция и церковь, м. 1925.
23. В. Егоров, К истории провозглашения грузинами автокефалии своей церкви в 1917. м. 1917
24. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წ.წ.
25. Православная энциклопедия. Русская православная церковь, м. 2001.
26. М. Бердяев, Церковная смута и свобода совести, м. 1926.
27. А. Боголепов, Церковь под властью коммунизма, Мюнхен, 1958г.
28. ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია. 2003.
29. გ. მარხულია, დავით ჩიტაია, უკრაინის ისტორია.
30. Воссоединение Украины с Россией к., 1961.
31. История Украины в документах и материалах в 3-х томах, 1936-1946 г.



დავით ჩიტაია

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია X-XIX სს.

(სახელმძღვანელო)

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ჟაზბუგის გამზ., №47.

☎ 39-15-22

E-mail: [davideku1@mail.ru](mailto:davideku1@mail.ru)